

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე

ტომი V

ნომერი II

ბათუმი - 2022

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შრომების კრებულია. მასში ასახულია, აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

**რედაქტორი: პროფესორი ემზარ მაკარაძე**

**სარედაქციო საბჭო:** აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; პროფესორი გიორგი სანიკიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი ნანი გელოვანი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი დარეჯან გარდავაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); აკადემიკოსი შაჰინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი); პროფესორი ფარდა ასადოვი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი); პროფესორი ნურიე მურატოვა (ბლაგოვევოგრადის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, ბლაგოვევოგრადი, ბულგარეთი); ცირებული პროფესორი ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი).

**რეცენზენტი: პროფესორი სულხან კუპრაშვილი**

**კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.**

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი. საქართველო, 6010. რუსთაველი/ნინოშვილი 32/35. ელ.ფოსტა: emzar.makaradze@bsu.edu.ge

**ISSN 2587-490X**

**E-ISSN 2720-8168**

**Batumi Shota Rustaveli State University**

**Faculty of Humanities**

**Department of Oriental Studies**

**HERALD OF ORIENTAL STUDIES**

**Volume V**

**№ II**

**Batumi - 2022**

Herald of Oriental Studies is the collection of papers of the department of Oriental Studies at the faculty of Humanities at Batumi Shota ProfessRustaveli State University. The papers are about the noteworthy issues of history, politics, archaeology, ethnology, introduction to linguistics and literary studies of the Eastern countries.

**Editor: Professor Emzar Makaradze**

**EDITORIAL BOARD:** Academician Roin Metreveli, Georgian National Academy of Sciences; Professor Giorgi Sanikidze (Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University); Professor Nani Gelovani (Institute of Oriental Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Professor Darejan Gardavadze (Institute of Oriental Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Academician Shahin Mustafaev (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan), Professor Farda Asadov (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan); Professor Nurie Muratova (South-West University of Blagoevgrad, Blagoevgrad, Bulgaria); Associate Professor Harun Çimke ( Turkey).

**REVIEWERS: Professor Sulkhan Kuprashvili**

**© Department of Oriental Studies**

Address: Rustaveli/Ninoshvili Str. 32/35, Batumi, Georgia, 6010, Batumi Shota Rustaveli State University, Department of Oriental Studies.

E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge

**ISSN 2587-490X**

**E-ISSN 2720-8168**

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

**მაია მანჩხაშვილი**

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის ----- 9

**Maia Manchxashvili**

The Issue of Turkey's Membership in European Union and its Importance for Georgia

**გიორგი ახალკაციშვილი**

ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ თემურ-ლენგის ლაშქრობის შესახებ 1400-1401 წლებში ----- 31

**George Akhalkatsishvili**

On the campaign against the Egyptian Mamluks by Temur Lang in 1400-1401

**შალვა ჩიხლაძე, ნელი ახობაძე**

ჩინური პოლიტიკური და ინტელექტუალური ჯგუფები გვიანდელ ცინგის დინასტიასა და რესპუბლიკურ ჩინეთში ----- 55

**Shalva Chikhladze, Neli Akhobadze**

Chinese political and intellectual elites in the late Qing dynasty and the beginning of republican era

**მაია კაპანაძე, ნინო კოპალიანი**

თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი და ფინეთ - შვედეთის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ----- 88

**Maia Kapanadze, Nino Kopaliani**

The issue of Turkey's national security and Finland-Sweden's accession to the North Atlantic Alliance

**გიორგი დობორჯგინიძე**

ნატოს სამშვიდობო მისია კოსოვოში ----- 101

**Giorgi Doborjginidze**

NATO peacekeeping mission in Kosovo

**ლევან ჯანჯღავა**

ულუჩ ალი ფაშა - ტყვეობიდან ქაფუდან ფაშამდე (იტალიური და თურქული წყაროების მიხედვით) ----- 125

**Levan Janjgava**

Uluç Ali Pasha – From Slave to Kapudan Pasha (According to Italian and Turkish Sources)

**დავით ანდღულაძე**

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები საწყის ეტაპზე (XVII საუკუნე) ----- 139

**Davit Andguladze**

RELATIONS BETWEEN CHINA AND RUSSIA AT THE INITIAL STAGE (XVII CENTURY)

**ლევან ტარიელაძე**

ისლამური ფაქტორი კოსოვოს კრიზისში ----- 151

**Levan Tarieladze**

THE ISLAMIC FACTOR IN THE KOSOVO CRISIS

**ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM**

---

---

**ქრისტინე ცინცაბაძე**

თურქულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმთა შეპირისპირებითი ანალიზი ----- 164

**Kristine Tsintsabadze**

Comparative analysis of Turkish and Georgian phraseology

**ალკაზარ კაშია**

„ჰურუფიზმი-ასტრაბადელი დერვიშის ბათინური მოძღვრება“ --  
----- 179

**Alkazar Kashia**

„Hurufism- the batin doctrine of the dervish from Estarabad“

**მაღზაზ ბალაძე**

ბაირონის რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა ----- 195

**Malkhaz Baladze**

„Byron's religious and philosophical problematics“

**ანასტასია მახარაძე**

მეცნიერების განვითარება და თარგმანის როლი ცოდნის გავრცელების პროცესში ----- 210

**Anastasia Makharadze**

Science Development and the Role of Translation in the Process of Knowledge Exchange

**არქეოლოგია, ეთნოლოგია**  
**ARCHEOLOGY, ETHNOLOGY**

---

---

**გიორგი თავამაიშვილი**

ოსმალური თიხის ჩიბუხები პეტრას ციხიდან ----- 226

**Giorgi Tavamaishvili**

OTTOMAN CLAY TOBACCO PIPES FROM PETRA FORTRESS

**თარგმანი**  
**TRANSLATION**

---

---

**ასმათ ჯაფარიძე**

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი(1852-1937)„შთაგონების ადგილი“-248

**Asmat Japaridze**

Abdulhak Hamid Tarhan (1852-1937) - "Place of Inspiration"

**მარიამ ჩალაბაშვილი**

კოიძუმი იაკუმო (1850-1904) – „ოშიდორი“; „დამარხული საიდუმლო“ ----- 254

**Mariam Chalabashvili**

Koizumi Yakumo (1850-1904) – „Oshidori“; „Buried secret“

**ნატო ხარშილაძე**

საბაჰათინ ალი (1907-1948) – „მერცხალი“ ----- 260

**Nato Kharshiladze**

Sabahatin Ali (1907-1948) – „Swallow“

## **რეცენზია**

## **REVIEW**

---

---

**ემზარ მაკარაძე**

**რეცენზია** - პროფესორ გიორგი სანიკიძის მონოგრაფიაზე - „ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები“ განსხვავებული რეალიები, განსხვავებული შესაძლებლობები. თბილისი, 2022. -----266

**Emzar Makaradze**

Review on the monograph „Iran and the countries of the South Caucasus” in different realities, different opportunities, Publishing house of Ilia Chavchavadze State University, Tbilisi, 2022



თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი და მისი  
მნიშვნელობა საქართველოსთვის

მაია მანჩხაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის  
ასისტენტ პროფესორი, საქართველო, თბილისი

**აბსტრაქტი.**

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანებაა. ამ კავშირის წევრ ქვეყნებს მსგავსი ფასეულობები და დემოკრატიული ნორმების მაღალი სტანდარტები გააჩნიათ.

თურქეთის რესპუბლიკა ერთადერთი ქვეყანაა მუსლიმური სამყაროდან, რომელმაც ღიად დააფიქსირა ევროკავშირთან ურთიერთობების სურვილი და 1959 წელს ოფიციალური განაცხადიც გააკეთა წევრობაზე.

ევროკავშირის წესდება არ ზღუდავს არცერთ ქვეყანას, გახდეს ამ გაერთიანების წევრი, თუ ეს სახელმწიფო იზიარებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ფასეულობებს და აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რასაც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ მოიცავს.

ვინაიდან თურქეთის რესპუბლიკას უკვე რამდენიმე ათეული წელია უწევს დალოდება ევროკავშირის გადაწყვეტილებისათვის, თურქეთის მხრიდან გაწევრიანებაზე პასუხის დაყოვნება ხშირად აღიქმება როგორც პოლიტიკური უარი და მიზეზად არაერთი საკითხი სახელდება, მათ შორის რელიგიური განსხვავება. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სულ სხვაა ის საკითხები, რომლებიც რეალურად უშლის ხელს თურქეთს გაწევრიანდეს ევროკავში-

რში. ესენია: მოსახლეობის რაოდენობა, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და ადამიანის უფლებები.

თურქეთის ევოკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობები საკმაოდ დაბალია, მაგრამ თუ ეს გამოიწვევა მიიღო ევოკავშირმა და თურქეთი გახდა წევრი სახელმწიფო, ეს მხოლოდ დადებით გავლენას იქონიებს ამ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

მეზობელი სახელმწიფოს ესოდენ დიდი წინადადგმული ნაბიჯი კი ავტომატურ რეჟიმში პოზიტიური გავლენის მქონე იქნება საქართველოსთვის: საქართველო უშუალოდ გაუმეზობლდება ევოკავშირს. ეს ფაქტი იქნება იმედის მომცემი და მკვეთრი ბიძგი ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის მყარად იაროს განვითარების გზაზე და რეალურად გაატაროს დაწყებული რეფორმები.

**სადიებო სიტყვები:** თურქეთი; ევოკავშირი; „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“; საქართველო.

## შესავალი.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა<sup>1</sup>. ევროპის ეკონომიკური კავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, ამის უფლება ევროპის ყველა ქვეყანას ქონდა. თურქეთის განაცხადი გადაეგზავნა დასკვნის მოსამზადებელ კომისიას, რომელმაც თავის მხრივ ეს საკითხი დეპარტამენტებს გადაუგზავნა ევოკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესაძლო შედეგების გამოსავლენად და ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება დაავალა.

კანდიდატი ქვეყანა ევოკავშირის წევრ-ქვეყნებში არსებულ დემოკრატიისა და საერთო განვითარების ნორმებთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ამასთან, კომისია დარწმუნებული უნდა ყოფილიყო იმაში, რომ ახალი წევრის მიღება დამატებით პრობლემებს არ შექმნიდა. ორივე სავარაუდო შემთხვევის გაანალიზებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: პირველი, თურქეთი უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონი იყო, მოსახლეობით იგი წევრი-ქვეყნ-

---

<sup>1</sup> [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/turkiye\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/turkiye_en)

ბის შესაბამის მაჩვენებლებს საგრძნობლად აღემატებოდა და მეორე, მისი განვითარების დონე საერთოევროპულზე შესამჩნევად დაბალი იყო. ეს ორი ფაქტორი თურქეთისათვის არასახარბიელო შედეგის მომტანი აღმოჩნდა ევროკავშირთან დაახლოების გზაზე.

კომისიის დასკვნაში, რომელიც მოამზადა 1989 წლის 18 დეკემბერს, ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“. კომისიამ მოიყვანა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზები. ასევე, საბერძნეთსა და თურქეთს შორის დავის „ნეგატიური ეფექტი“ და „კვიპროსზე არსებული მდგომარეობა“, თუმცა, ევროკავშირი აცხადებდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო თურქეთთან თანამშრომლობა, ხელი უნდა შეეწყობოთ მის ევროპასთან დაახლოებისთვის, დახმარებოდნენ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის სწრაფ დასრულებაში.

ორმხრივი თანამშრომლობა თანდათან გაღრმავდა და 1995 წლის 6 მარტს ევროკავშირმა და თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინანსური თანამშრომლობის განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საბჭომ ასევე გადაწყვიტა ურთიერთობათა ახალი სფეროების ათვისება და პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება.

### **მეთოდო.**

ნაშრომზე მუშაობისას ვიყენებდით თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურის კონტენტ ანალიზის მეთოდით შესწავლას ანუ შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს. შევისწავლეთ ამ საკითხის შესახებ წამყვან მკვლევართა შრომები ქართულად, ინგლისურად და თურქულად. დამუშავების შედეგად გადმოვეცით ანალიტიკური მასალის ის ნაწილი, რაც ყველაზე საინტერესოდ ჩავთვალეთ.

### **შედეგები.**

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანებიდან ევროკავშირში გაწევრიანება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. თურქეთი უკვე წლებია უშედეგოდ

ცდილობს დაიმსახუროს ევროკავშირის წევრის სტატუსი, რაც სკეპტიკოსებს აძლევს ფართო დიკუსიის უფლებას.

არა მხოლოდ თურქი ექსპერტები, არამედ, ხშირად სხვა ქვეყნის ექსპერტებიც სრულიად არასწორად მიიჩნევენ გაწევრიანების ხელშეშლელ ფაქტორად რელიგიას. შესაძლოა რელიგიის თემა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ევროპული თანამეგობრობა თავს იკავებს, მის რიგებში შემოიყვანოს მუსლიმური სახელმწიფო, მაგრამ, უმთავრესი მიზეზი, ვფიქრობთ, თურქეთის მოსახლეობის რაოდენობაა. მისი რიცხოვნობის საკითხი ძალზედ აფიქრებს ევროკავშირის ხელმძღვანელებს, ვინაიდან გაწევრიანების შემთხვევაში, თურქეთის ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტები აღმოჩნდება, გავლენა იქონიოს ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე. ევროკავშირის დამფუძნებელი ძირძველი ევროპული ქვეყნები კი არ დაუშვებენ, მათ მგაიერ გადაწყვეტილება მიიღოს თურქეთმა.

ვფიქრობთ, თურქეთის მოსახლეობის რაოდენობა რომ არ აღემატებოდეს საშუალო ევროპული სახელმწიფოს რაოდენობას, ევროპა არ შეუშინდებოდა ექსპერიმენტს და თურქეთი უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანა იქნებოდა. მაგრამ, თუ მაინც დადგება ეს ფაქტი, ეს იქნება უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, როგორც თავად თურქეთის, ასევე, მეზობელი საქართველოს რესპუბლიკისთვისაც.

### **დისკუსია.**

ევროპის კავშირის ფესვები პარიზის 1952 წლის ხელშეკრულებიდან მოდის, რომლითაც „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ დაფუძნდა. მასში დამფუძნებელ წევრებად შევიდნენ ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. 1957 წელს ექვსმა დამფუძნებელმა ქვეყანამ ხელი მოაწერა „რომის ხელშეკრულებას“, რომლის საფუძველზეც 1958 წელს შეიქმნა „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ და „ევროპის გაერთიანება ატომური ენერჯის დარგში“. შემდგომში სამივე ამ გაერთიანებას ეწოდა „ევროპის თანამეგობრობა“.

1993 წლის 1 ნოემბრიდან ევროპულ გაერთიანებას უკვე ვიცნობთ ევროკავშირის (ეკ) სახელით. მისი შექმნის მიზანს „რომის ხელშეკრულება“ შემდეგნაირად ხსნის:

მუხლი 2. გაერთიანება მიზნად ისახავს საერთო ბაზრის დაარსებითა და წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯერებით გაერთიანების სივრცეში ჰარმონიული ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი და გაწონასწორებული გაფართოების, სტაბილურობის ამაღლების, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფას (ალექს, რ, 2002: 7).

რომის ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანების უფლება აქვს ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლისთვისაც მისაღებია მათი ფასეულობები და აკმაყოფილებს დემოკრატიის ნორმებს. ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიხედვით საჭიროა „კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწიოს ინსტიტუტების სტაბილურობას, რომლებიც დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და უმცირესობების უფლებების დაცვის გარანტი იქნება“.

ყველაზე მეტად ფასეული, რაც ევროკავშირმა შეიმუშავა მისი არსებობის განმავლობაში, არის საზღვრების თავისუფალი გადალახვის პრინციპი ანუ წევრ ქვეყნებს შორის საქონლის, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება – ე.წ. „ოთხი თავისუფლება“. შიდა საზღვრების თავისუფალ გადალახვას 1995 წელს ხელმოწერილი „შენგენის ხელშეკრულება“ არეგულირებს.

ეკ-ის შექმნიდან დღემდე მრავალი ქვეყანა გამოთქვამს მასთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილს. თავად ევროკავშირის ხელმძღვანელობაც ინტენსიურად მუშაობს გაფართოების შემდგომ პერსპექტივებზე, რომლის ერთ-ერთი კარგი მაგალითიც 2004 წელს მისი კიდევ 10 წევრით გაზრდა იყო.

### **თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების დასაწყისი**

რაც შეეხება თურქეთთან ურთიერთობებს, საკითხი ცოტა სხვაგვარადაა და უამრავი სპეციფიკურობით ხასიათდება; თურქეთს უკვე მრავალი წელია კარს არ უღებენ ევროპის ერთა თანამეგობრობაში. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნიდან მალევე, 1959 წლის ივლისში, თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გააკეთა. იმავე წელს კავშირმა მას ასოცირებული ურთიერთობა შეს-

თავაზა. ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს „ანკარის შეთანხმების“ („თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შესახებ“) ხელმოწერით დასრულდა. ამ შეთანხმებით დაიწყო თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორია. შეთანხმება ძალაში 1964 წლის 1 დეკემბერს შევიდა (თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2014: 126).

„ანკარის შეთანხმება“ მოიცავდა საბაჟო კავშირის შექმნის გეგმას, რაც მხარეებს ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში დაახლოებდა. ამავე დროს, კავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა, რისთვისაც სპეციალური პროტოკოლები უნდა შემუშავებულიყო (მანჩხაშვილი, 2014: 58).

პირველი ფინანსური პროტოკოლი, რომელიც 1963-1970 წლებს მოიცავდა, ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს 157 მილიონი ეკიუს რაოდენობის სესხი გამოუყო. უკვე 1972 წელს, კავშირის წილი თურქეთის იმპორტში 1963 წელთან შედარებით 29%-დან 42%-მდე გაიზარდა. მეორე და მესამე ფინანსურ პროტოკოლს 1970 და 1977 წლებში მოეწერა ხელი. 1970 წლის 23 ნოემბერს ხელი მოეწერა ასევე დამატებით პროტოკოლს, რომელიც საბაჟო კავშირის შექმნისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

შეთანხმების მიხედვით, ევროპის ეკონომიკურ კავშირს თურქეთთან იმპორტზე ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. დამატებითი პროტოკოლი კი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებასაც იძლეოდა. სწორედ ამიტომ, საფუძველი ჩაეყარა თურქულ მიგრაციულ პროცესებს ევროპის ქვეყნებისაკენ.

დამატებითმა პროტოკოლმა თურქეთის სოფლის მეურნეობის იმპორტს ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა. მაგალითად, 1971 წელს ამ ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა; თურქეთის სოფლის მეურნეობამ 92%-იანი სარგებელი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ კავშირის რამოდენიმე ქვეყანა მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მაგალითად, საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი, თურქეთი კავშირის წევრ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან პრ-

ეფერენციული სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში, ერთ-ერთ პრივილეგიურულ სავაჭრო პარტნიორად რჩება.

1980-83 წლებში თურქეთის ურთიერთობები ევროკავშირთან საგრძნობლად გაფუჭდა. სამხედრო გადატრიალების გამო ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობების გაყინვა და მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დაბლოკვა გადაწყვიტა. ურთიერთობების დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი. თუმცა, მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დამტკიცება მაინც შეფერხდა (მანჩხაშვილი, 2014: 59).

1995 წლის 13 დეკემბერს გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნა. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ინსტიტუციურ დონეზე კი შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. თურქეთში ეს ფაქტი მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნიეს. 1995 წელს პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ, საზეიმოდ განაცხადა: „თურქეთმა ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას ევროკავშირთან“ (ბატიაშვილი, 2000: 8). თურქეთში ამბობდნენ, რომ თანსუ ჩილერმა გააკეთა ის, რაც თავის დროზე მოიმოქმედა ათათურქმა, როდესაც მან აზიური და ამასთან, მუსლიმური ქვეყნის გზა მიმართა პარიზისაკენ და მთელი ევროპისაკენ.

ამავე დროს, ევროკავშირის ერთ-ერთი წარმომადგენელი ალენ ჟუპე აცხადებდა - ევროკავშირის აზრით, თურქეთში მიღწეული პროგრესი არაა საკმარისი, რადგანაც ქვეყანაში ისევ ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას, იკრძალება გაზეთების გამოცემა, იდეენებიან ჟურნალისტები და ინტელიგენციის წამომადგენლები, ციხეში სხედან დეპუტატები თურქეთის პარლამენტის ე.წ. საზოგადოებრივი დემარშის გამო.

შენიშვნების არსებობის მიუხედავად, ანკარა კმაყოფილებას გამოთქვამდა; თურქული პრესა წერდა, რომ საბაჟო კავშირის ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გამოცოცხლდა ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრება. ამასთან, თურქეთში აღნიშნავდნენ, რომ თავს არ იტყუებდნენ ფუჭი იმედებით და რომ მატერიალური დახ-

მარება ქვეყანას თავისთავად წაიყვანდა ევროკავშირისაკენ. ამისათვის კი თურქეთს რეფორმები უნდა გაეგრძელებინა.

საბაჟო კავშირის ძალაში შესვლის შემდეგ თურქეთმა ევროკავშირიდან სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე ყველა ტარიფი გააუქმა. აიკრძალა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფა. ამის გასაკონტროლებლად შეიქმნა სპეციალური ორგანო. თუმცა, დასაშვები იყო თურქეთის დაბალგავითარებული რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად დახმარება.

თურქეთის კანონმდებლობა სახელმწიფო მონოპოლიებთან მიმართებაში უნდა დახვეწილიყო, რაც თურქეთსა და ევროპის კავშირის ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობას გულისხმობდა. უახლოესი წლების განმავლობაში თურქეთის მხრიდან ეკონომიკური ურთიერთობების ხელისშემშლელი ბარიერები უნდა მოშლილიყო.

საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ, 1996 წელს, თურქეთის იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან წინა წლებთან შედარებით 34,7%-ით იყო გაზრდილი და 11,477 მილიარდი დოლარით განისაზღვრა. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 52,9% იყო, ხოლო თურქეთის ექსპორტი 49,5%.

საბაჟო კავშირის შექმნით და თურქეთთან დაახლოებით ევროკავშირმა ისლამურ სამყაროს უჩვენა, რომ ინტეგრაციისათვის რელიგიური განსხვავება ხელისშემშლელი ფაქტორი არაა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო თურქეთისათვის, ვინაიდან ხშირად საუბრობდნენ ცივილიზაციათა სხვაობაზე, რომ თურქეთი განსხვავებული კულტურის ქვეყანაა და ის უფრო საფრთხეს წარმოადგენს ევროპისათვის. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის გამოქვეყნების შემდეგ ეს დავა უფრო ინტენსიური გახდა. ამ თეორიის მიხედვით თურქეთის პოლიტიკური ორიენტაცია არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის კულტურულ ნორმებს, თურქეთი ამ მხრივ გახლეჩილ ქვეყანას წარმოადგენს და მისი ე.წ. ფეთქებადსაშიშ რეგონებთან სიახლოვის გარდა, თავად ქვეყანაშიც არამყარი ვითარებაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება უთანხმოებაში გადაიზარდოს.



1996 წელს ორმხრივ ურთიერთობებში უსიამოვნო მომენტი გაჩნდა; თურქეთს დაეძაბა ურთიერთობა საბერძნეთთან, რამაც ევროკავშირთან ურთიერთობებზეც იქონია გავლენა. 1996 წლის 15 ივლისს გენერალური საქმეების საბჭომ მიიღო MEDA-ს პროგრამაში გათვალისწინებული პროექტები ხმელთაშუაზღვის 12 სახელმწიფოსთვის, მათ შორის თურქეთისთვისაც. მაგრამ, იმავე წლის 19 სექტემბერს ევროპარლამენტის რეზოლუციით დაიბლოკა თურქეთში მათი განხორციელების იდეა. ეს რეზოლუცია ძირითადად განპირობებული იყო თურქეთში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ვითარებით. ჟაკ სანტერის ხელმძღვანელობით ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პროგრამა 2000 წლისათვის“ ფაქტობრივად თურქეთს ევროკავშირის გაფართოების პროცესიდან გამორიცხავდა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა საბაჟო კავშირის დამაკმაყოფილებელ მუშაობას და თურქეთის შესაძლებლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ევროკავშირის ნორმების შესრულების შესახებ.

მანამდე კი იყო 1997 წლის 12 დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტი: თურქეთი ამ სამიტზე კანდიდატ-ქვეყნად დასახელებას ელოდა, მაგრამ უარყოფითმა შედეგმა თურქეთის ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია. პოლიტიკური ელიტაში აღაპარაკდნენ ევროპასთან ურთიერთობების შენელებაზე. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ ევროკავშირის ლიდერებისათვის გამართულ სადილზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა მიპატიჟება არ მიიღო და ღიად გამოხატა უკმაყოფილება. მან გერმანიის მაშინდელ კანცლერს ჰელმუტ კოლს ანტითურქულ განწყობილებაში დასდო ბრალი, რამაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია.

სავსებით გასაგებია საბერძნეთის წინააღმდეგობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე, ხოლო გერმანიის წინააღმდეგობა თურქეთის კანდიდატურის მიმართ ძირითადად განპირობებული იყო გერმანიაში თურქი მიგრანტების მოზღვავეებით. თურქული დიასპორა გერმანიაში უკვე რამდენიმე მილიონს აღწევდა და გერმანიას გარკვეულ შიდა პრობლემებს უქმნიდა.

გერმანიაში თურქი მიგრანტების შესვლის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმებით. მას შემდეგ რაც გერმანიაში შავ მოსამსახურეებზე მოთხოვნა გაიზარდა, ქვეყნის მთავრობამ განვითარებად ქვეყნებიდან იაფი მუშახელის მიზიდვა გადაწყვიტა და ღია კარის პოლიტიკის შესახებ განაცხადა. ამას მოჰყვა თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც თურქი მუშები დროებით სამუშაოდ გაიგზავნებოდნენ დასავლეთ გერმანიაში. დაიწყო თურქი მუშახელის უწყვეტი გასვლის პროცესი არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. დროებით გასული მუშახელის ევროპაში ყოფნამ მუდმივი ხასიათი შეიძინა.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგისათვის ევროპის 10 ქვეყანა 3 116 860 თურქ ემიგრანტს ითვლიდა (არალეგალურად გადასული მუშახელის გარდა) (მანჩხაშვილი, 2014: 68).

არაოფიციალურ საუბრებში ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოების რელიგიურ განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად თქვა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი, რომელმაც განაცხადა, რომ თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი რელიგიური განსხვავება – ისლამია. ოფიციალურად მსგავსი პოზიცია არ გჟღერებულა.

ხშირად დავის საგანი ხდება თავად ტერმინი ევროპაც; იგი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია თუ საერთო ფასეულობების მატარებელი გაერთიანება. მეორე განსაზღვრების შემთხვევაშიც თურქეთის ადგილს „ქრისტიანულ კლუბში“ ხშირად ვერ ხედავენ. ამ საკითხის ირგვლივ დავა კიდევ უფრო აქტუალური გახდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური მიმართულების ძალები მოვიდნენ. ეს ევროპას აიძულებდა კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა (მანჩხაშვილი, 2014: 687).

თურქეთის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი მიზეზს მუსლიმობაში ხედავდა. ის აღნიშნავდა, რომ თურქეთის ეკ-ში არ მიღების ჭეშმარიტი მიზეზი ისლამში მდგომარეობდა.

ევროკავშირის მორიგი სამიტი 1998 წლის 15-16 ივნისს გაიმართა კარდიფში. კარდიფის სამიტის გადაწყვეტილება შედარებით რბილ ტონში იქნა მიღებული, მაგრამ თურქეთისთვის ის მაინც უარს ნიშნავდა. ამ სამიტის უმთავრესი შედეგი ევროკავშირის კომისიის მიერ შემუშავებული „ევროპული სტრატეგიის“ დამტკიცება იყო.

1998 წლის სექტემბერში ეკ კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტალების გასარკვევად პირველი ტექნიკური დისკუსია გაიმართა, რამაც თანამშრომლობისათვის თურქეთის მზადყოფნა დაადასტურა.

ანკარა აღნიშნავდა, რომ თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ევროკავშირის მომავალი სამიტი გადაწყვეტი მნიშვნელობის იქნებოდა. მართლაც, დამაბული ურთიერთობების ფონზე, მდგომარეობა დადებითისაკენ შემობრუნდა. ამ სამიტზე - 1999 წლის 10 დეკემბერს, თურქეთი, სხვა ქვეყნებთან ერთად, ევროკავშირში გაწევრიანების სრულუფლებიან კანდიდატად აღიარეს. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ბიულენთ ეჯვეითი ჰელსინკში გაფრინდა ოფიციალურ ვახშამზე. ის დიდხანს ელოდა კანდიდატი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რანგში მიეღო მიწვევა. ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას მიესალმა აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი.

თურქეთმა ქვეყანა-კანდიდატის მანდატით აიღო ვალდებულებები, რომელსაც ის განახორციელებდა. მათ შორის იყო ოთხი ქურთული წარმოშობის ქალბატონის გათავისუფლება. 2004 წელს თურქეთის მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება და ათწლიანი პატიმრობიდან გაათავისუფლა ორხან დოგანი, ჰათივ დიკოლი, სალჰიმ სადაკი და სახაროვის პრემიის ლაურეატი ლეილა ზანე.

2004 წელს ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ისევ განახლდა საუბარი თურქეთის გაწევრიანების შესაძლებლობაზე, მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის ვერ ხდება პოზოციების შეჯ-

ერება, მათი განსხვავებული დამოკიდებულების გამო. მაგალითად, გერმანიის მთავრობაში ადმიანთა უფლებებზე პასუხისმგებელმა და თურქეთ-გერმანიის მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა კლაუდია როზიმ განაცხადა, რომ დაიცავს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას, რადგანაც გერმანიას სჭირდება ძლიერი თურქეთი.

ანგელა მერკელმა, როცა ის გერმანიის კანცლერი გახდა, თავის ევროპული ტურნე საფრანგეთით დაიწყო (2005 წლის ნოემბერი). მან პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იგი თურქეთსაც შეეხო და აღნიშნა, რომ თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი აზრით, მოლაპარაკებები მის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ხანგრძლივი აღმოჩნდება. გერმანიის მხარე დიდი სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს.

აშშ ასევე მხარს უჭერს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. თურქეთისათვის მისი მხარადაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) თურქეთის შესახებ აღნიშნავდა, რომ თურქეთი ევროპის ძალაა და რომ თურქეთის წევრობა ამავდროულად ისლამსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების წინსვლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა.

დიდი ბრიტანეთი ასევე თანახმაა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

საინტერესოა მსოფლიო ბანკის ზოგიერთი მონაცემიც, რომლის მიხედვითაც თურქეთის ეკონომიკა ევროპის არაერთი ქვეყნის ეკონომიკაზე დიდია. მაგალითად, სტამბოლის ეკონომიკა ბევრად აღემატებოდა ევროკავშირის 4 ახალი წევრი ქვეყნის ანალოგიურ მონაცემებს, იგი 9-ჯერ მეტი იყო იგივე ბულგარეთის ეკონომიკაზე.

მონაცემები თურქეთის ეკონომიკის დიდი პერსპექტივებზე მეტყველებს. მაგრამ, ესოდენ დიდი ეკონომიკური პოტენციის ქონის პირობებშიც შედარებით არადადამაკმაყოფილებლად ჩანდა მიღწევები დემოკრატიის სფეროში გატარებული რეფორმების თვალსაზრისით.

## ევროკავშირში გაწევრიანების რეალური ხელისშემშლელი ფაქტორები

თურქეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთ მთავარ შემავერხებელ ფაქტორად არაოფიციალურად ასახელებენ მოსახლეობის რაოდენობას. ამ ეტაპზე მისი რაოდენობა დაახლოებით 75-80 მილიონით განისაზღვრება. დემოგრაფიული სურათის შესწავლის საფუძველზე, თურქეთში უახლოეს მომავალში ვარაუდობენ მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას. ზრდის ახლანდელი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში მისი რაოდენობა უახლოეს ათ წელიწადში შესაძლოა 100 მილიონს მიუახლოვდეს. თურქეთი ასეთ შემთხვევაში იქნება ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ევროპის სივრცეში. მაგრამ, მისი ამჟამინდელი რაოდენობაც კი შემამოთხებელია ევროკავშირის ხელმძღვანელობისათვის. კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თურქეთი მოიპოვებს უფლებას, გავლენა იქონიოს ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე, კვოტების რაოდენობის მიხედვით. ევროპის ქვეყნებს კი თურქეთისათვის ამ უფლების მინიჭება (ათი კვოტის ფლობა) არ სურთ. ევროპა ასე ადვილად ვერ შეეგუება მისთვის ამხელა ბერკეტების გადაცემას.

თურქეთისათვის მიულოდნელობებით აღსავსე იყო 2004 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტი. ამ სამიტმა, თავის მხრივ, ევროპას ახალი საზღვრები და ახალი პოლიტიკური რეალობა შესთავაზა და ამ რეალობაში თურქეთის ადგილი და როლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორსაც მოელოდნენ ანკარაში. თურქეთში მტკივნეულად აღიქვეს მასში კვიპროსის ბერძნული ნაწილის გაწევრიანება (2002 წლის თურქეთისადმი ევროკავშირის მოთხოვნათა ახალი პაკეტი მოიცავდა კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარებას, რომელიც დღემდე არაა დაკმაყოფილებული), ვინაიდან ამ შემთხვევაში საბერძნეთს ერთით მეტი ხმის უფლება ექნება კავშირში თურქეთის წინააღმდეგ.

გაფართოების შემდეგ საინტერესო განცხადება გააკეთა ევროკავშირის საერთო ბაზრის კომისარმა. მან აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა (ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა) და თურქეთი შესაძლოა კანდიდატების სიიდან საერ-

თოდ გამორიცხონ. ევროკავშირის სხვა წარმომადგენლების მაშინდელი განცხადებით კი, მას შემდეგ რაც 2007 წელს კავშირში ბულგარეთსა და რუმინეთს მიიღებენ (მოლაპარაკებები მიდიოდა ხორვატიის გაწევრიანებაზეც), ევროგაერთიანება დაახლოებით 10-15 წელი აპირებს შეისვენოს და აწონ-დაწონოს მომავალი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, ჯერ კიდევ არაა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ქვეყანაში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული ცვლილებები ეკონომიკის, განათლების, სამართლისა და სხვა სფეროებში, ვერ წყვეტს თურქეთის ევროპასთან გაიგივების, ევროპის ერთიან ცივილიზაციამში მისი მოაზრების საკითხს.

ევროკავშირსა და თურქეთს შორის მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ არაერთ თურქ სახელმწიფო მოღვაწეს სკეპტიკური განცხადების გაკეთებისკენ უბიძგა. მაგალითად, 2002 წელს მეჯლისის თავმჯდომარემ ომერ იზგიმ განაცხადა, რომ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია ალტერნატივა.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ ხელისშემშლელ საკითხად სახელდება კვიპროსის პრობლემაც. იგი გაცდა თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობების სფეროს და საერთაშორისო განხილვის საგნადაა ქცეული.

ევროკავშირის მხრიდან მუდმივად კეთდება აქცენტი, რომ მეზობლებთან ურთიერთობების სამხედრო წესით მოგვარება არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს. არადემოკრატიულად აღიქმება თურქეთის მხრიდან კვიპროსის ბერძნული ნაწილის არაღიარება.

კვიპროსის საკითხი გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1974 წელს ამბოხებულმა ეროვნულმა გვარდიამ საბერძნეთის მმართველ სამხედრო ხუნტასთან შეთანხმებით გადააყენა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი და მთელი კუნძულის საბერძნეთის შემადგენლობაში შეყვანა გადაწყვიტა. საპასუხოდ თურქეთმა მის ჩრდილოეთ ნაწილში გადასხა ჯარი. ამის შემდეგ თურქეთი უფრო მყარად ცდილობს აქ დამკვიდრებას. მოხდა მოსახლეობის იძულებით გაცვლა: სამხრეთ ნაწილში მცხოვრები 45-65 ათასი თურქი გადავიდა თურქეთის მიერ

დაკავებულ ჩრდილოეთის მიწაზე. გაიყო თვით დედაქალაქი ნიუიორკი.

კუნძულის გაყოფის გეგმა ადრევე იყო შემუშავებული. არსებობდა კვიპროსის საბერძნეთთან (ენოზისის) და თურქეთთან (ათაქსიმას) მიერთების გეგმებიც. „ენოზისის ვარიანტს“ დაუპირისპირდა თურქული ნაციონალიზმი ე.წ. „ათაქსიმას მეთოდით“. ამით გამოიხატა ექსპანსიონისტური დამოკიდებულება კვიპროსისადმი, რომელიც მიზნად ისახავდა კუნძულის ტერიტორიის ორ ნაწილად გაყოფას – ბერძნებისათვის და თურქებისათვის გავლენის სფეროების შესაბამისად, რასაც შემდეგში უნდა მოყოლოდა ორი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დასრულდებოდა თურქეთთან და საბერძნეთთან გაერთიანებით ან მომხდარიყო ფედერაციულ საფუძველზე მოწყობა სახელმწიფოებრივი „თვითმყოფადობის“ პრინციპებით.

კუნძულის თურქული თემის ხელმძღვანელობამ 1983 წელს გამოაცხადა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“. იგი არ ცნო არცერთმა ქვეყანამ, გარდა თავად თურქეთისა. გაერომ კი მის მიმართ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები შემოიღო.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მოხდა შეთანხმება, რომ ეს საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით მოგვარებულიყო; რაც გულისხმობდა კუნძულზე მოსახლეობის აზრის შესწავლას ანუ დანიშნულიყო საერთო-სახალხო რეფერენდუმი და გამოკითხვის შედეგების მიხედვით დარეგულირებულიყო საკითხი. თუმცა კვიპროსის ბერძნული ნაწილის ევროკავშირში გაწევრიანება უკვე გადაწყვეტილი იყო. როგორც არაერთი ექსპერტი მაშინ ამბობდა, კვიპროსის თურქულ ნაწილს კარგი საშუალება ეძლეოდა გამხდარიყო ცივილური საზოგადოების ნაწილი.

რეფერენდუმი დაინიშნა 2004 წელს. შედეგები იყო ისეთი, როგორსაც მოელოდა საერთაშორისო საზოგადოება: კვიპროსის ბერძნულ ნაწილს არ სურდა თურქულ ნაწილთან გაერთიანება, რადგან ეს მათ დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა. ხოლო თურქულმა ნაწილმა კი თავად განაცხადა უარი გაერთიანებაზე. კვიპროსის პრობლემის დარეგულირების უნიკალური შესაძლებლ-

ობა არ იქნა გამოყენებული. კვიპროსის გაერთიანებით თურქული მოსახლეობის დიდ ნაწილს ეკონომიკური განვითარების ფართო შესაძლებლობები მიეცემოდა. ასე რომ, 2004 წელს 1 მაისს კვიპროსის მხოლოდ ბერძნულმა ნაწილმა იზეიმა ევროკავშირში გაწევრიანება.

მორიგი საკითხი, რომელიც თურქეთ-ევროკავშირს შორის მუდმივი დავის თემაა, გახლავთ თურქეთში დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრება და თურქეთის საკანონმდებლო ბაზის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიაში მოყვანა.

ერთ-ერთი ბოლო რეფორმების პაკეტის ინიცირება პრეზიდენტ რ. თ. ერდოგანის ინიტიატივით მოხდა და მის განხორციელებას მხარი დაუჭირა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 2010 წლის 12 სექტემბერს გამართულ რეფერენდუმზე. რ. თ. ერდოგანმა მას „თურქული დემოკრატიის“ გამარჯვება უწოდა და აღნიშნა, რომ ახალი ერა დაიწყო ქვეყნის ცხოვრებაში. რეფორმები შეეხო კონსტიტუტიას, სამხედროთა გავლენის შესუსტებას, რამაც ძალიან დიდი დავები გამოიწვია ქვეყნის შიგნით, საკონსტიტუციო სასამართლოს და სხვა არაერთ სფეროს. ევროკავშირის წარმომადგენლები ღიად გამოთქვამდნენ კმაყოფილებას გატარებული რეფორმების გამო და იმედს გამოთქვამდნენ, რომ რეფორმები შეუქცევადი ხასიათის იქნება და უფრო საფუძვლიანად შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატიული არჩევნები, კონსტიტუციის სხვა მუხლები, მაგალითად ეროვნების საკითხის თემატიკა და სხვა.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელობა საქართველოსთვის:

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იქნება ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ფაქტი, ასეთის დაშვების შემთხვევაში, ასევე დიდ გავლენას მოახდენს ევროკავშირის ცხოვრებაზე: თურქეთი გახდება გადაწყვეტილების მიმღები ერთ-ერთი სახელმწიფო და ეს გადაწყვეტილებები გავლენას იქონიებს ევროპის მომავალზე.

ერთი რამ, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას არის ის, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას უდაოდ მოჰყვება დემოკრატიზაციის ხელშემწყობი პროცესების დაწყება სხვა



მუსლიმურ სახელმწიფოებში, ვინაიდან თურქეთი მუსლიმური სამყაროს ერთ-ერთ ლიდერ და მისაზამ სახელმწიფოდ ითვლება, მისი განვითარების უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე.

ამ ფაქტს დიდი შედეგების მოტანა შეუძლია მეზობელი საქართველოსათვისაც: ევროკავშირთან უშუალო სახმელეთო გამეზობლება იქნება დიდი სტიმული, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პროცესებისათვის. საქართველო ბევრად უფრო მომგებიან პირობებში აღმოჩნდება, ვიდრე იყო მანამდე და შეძლებს ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რასაც ევროკავშირი სთავაზობს მის წევრ თუ ასოცირებულ სახელმწიფოებს. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი და გადაწყვეტიანია ის, რომ როგორც ევროკავშირი, ასევე, თავად თურქეთი, მზადაა დაეხმაროს საქართველოს ყველა მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტაში და ეს მხარდაჭერები დეკლარირებულია არაერთ შეთანხმებასა თუ პოლიტიკური ლიდერების უშუალო განცხადებებით. ის, რომ ორივე მხარე ღიად აფიქსირებს პოლიტიკური მხარდაჭერის მზაობას, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება მამ შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ამოქმედდა ასოცირების შეთანხმება, ბევრად უფრო ხელშესახებს გახდის ასოცირების ყველა პუნქტის რეალიზებას და ძალიან დიდ სტიმულს მისცემს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესს, რაც ასე ძალიან სჭირდება ქვეყანას.

### **დასკვნა.**

რაც შეეხება გამოწვევებს ამ კუთხით, უნდა ველოდოდთ, რომ რუსეთის ფედერაცია ეცდება არ დაუშვას ამ ფაქტის დადგომა. მისთვის მიუღებელია ნატოს-ს წევრი თურქეთის ახლო სამეზობლოში ყოფნა და ევროკავშირის უფრო მოახლოება მის საზღვრებთან, ასევე მიუღებელი იქნება. რუსეთი არ ისურვებს განვითარებულ სამყაროსთან ასეთ სიახლოვეში ცხოვრებას, ვინაიდან ესაა საფრთხის შემცველი იმ კუთხით, რომ საპროტესტო ტალღებმა არ გადაუაროს რუსეთს და პროცესები უმარავი გახდეს. რუსეთი ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს, არ დაუშვას არც თურქეთის და არც საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექს, რ. (2002). *ევროკავშირის ფაქტების წიგნი*, თბილისი.
- ბატიაშვილი, ზ. (2000). თურქეთის შეიარაღებული ძალები, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, თბილისი.
- ლეონარდი, დ. (2000). *ევროკავშირის სახელმძღვანელო*, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი.
- კომახია, მ. (2000). *თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები*, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №41, თბილისი.
- მანჩხაშვილი, მ. (2014). *თურქეთი მე-XX საუკუნის ბოლოსა და XX-ე საუკუნის დამდეგს*, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.
- მანჩხაშვილი, მ. მაკარაძე, ე. (2014). *ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში*, გამომცემლობა „ქართული ელიტა“, თბილისი.
- „*თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008*“: (2014). სახელმძღვანელო, თარგმანი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მაკარაძე, ე. გოგიტიძე, მ. (2000). *კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში*, გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი.
- Turkey-EU Relations and problems of Identity, Dış Politika*. (2005). Nos. 1-2. ss. 25-36.
- Zalmay Khalilzad, Ian O. Lesser, F. Stephen Larrabee, *The Future of Turkish-Western Relations*, Center for Middle East Public Policy, National Security Research Division Prepared for the Smith Richardson Foundation, Published 2000 by RAND, [https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monograph\\_reports/2011/MR1241.pdf](https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monograph_reports/2011/MR1241.pdf)<https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/turkeyen>[https://www.ab.gov.tr/brief-history\\_111\\_en.html](https://www.ab.gov.tr/brief-history_111_en.html).

- EU-TURKEY RELATIONS, FEPS Policy Paper September 2019,  
[https://www.feps-europe.eu/attachments/publications/feps\\_eu\\_turkey\\_relations\\_soler.pdf](https://www.feps-europe.eu/attachments/publications/feps_eu_turkey_relations_soler.pdf).
- USAK Analysis: *Evaluation of the Referendum*, <http://www.usak.org.tr>  
 13.09.2010;
- PM Erdoğan discusses new constitution, elections with media representatives. <http://www.Turkishweekly.net>. 27.09.2010

### References:

- Aleks, R. (2002). *Evrok'avshiris Fakt'ebis Ts'igni (EU fact book)*, Tbilisi.
- Bat'iashvili, Z.(2000) *Turketis Sheiaraghebuli Dzalebi (Turkish Armed Forces)*, Sakartvelo – Turketis Sametsniero-k'ult'uruli Urtiertobis Sazogadoeba, Tbilisi.
- Leonardi, D. (2000). *Evrok'avshiris Saxelmdzghvanelo (Handbook of the European Union)*, Gamomcemloba „Jiisiai“, Tbilisi.
- K'omaxia, M. (2000). *Turket-Evrok'avshiris Urtiertobebi(Turkey-EU relations)*, Sakartvelos St'rat'egiuli K'vlebebis da Ganvitarebis Cen t'ri, Biulet'eni, №41, Tbilisi.
- Manchxashvili, M. (2014). *Turketi me -XX Sauk'unis Bolosa da XX- e Sauk'unis Damdegs (Turkey at the end of the 20th century and the end of the 20th century)*, Gamomcemloba, „Universali“, Tbilisi.
- Manchxashvili, M. Mak'aradze, M. (2014). *Kemalizmi da Demok'rat'izacia Turqetshi (Kemalism and Democratization in Turkey)*, Gamomcemloba, „Kartuli Elit'a“, Tbilisi.
- „Turketis Sagareo p'olit'ik'a 1990-2008“ („Turkey's foreign policy 1990-2008). (2014). Saxelmdzghvanelo, Targmani, TSU Gamomcemloba, Tbilisi.
- Mak'aradze, M. Gogit'idze, M. (2000). *K'vip'rosis Sak'itxi Aghmosavlur P'olit'ikashi XX Sauk'unis 60-80-ian Ts'lebshi (The issue of Cyprus in Eastern politics in the 60s-80s of the 20th century)*, Gamomcemloba „Batumis Universit'et'i“, Batumi.

- Turkey - EU Relations and problems of Identity*, Dış Politika. (2005). Nos. 1-2. ss. 25-36.
- Zalmay Khalilzad, Ian O. Lesser, F. Stephen Larrabee, *The Future of Turkish-Western Relations*, Center for Middle East Public Policy, National Security Research Division Prepared for the Smith Richardson Foundation, Published 2000 by RAND, [https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monograph\\_reports/2011/MR1241.pdf](https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monograph_reports/2011/MR1241.pdf)<https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/turkeyen>[https://www.ab.gov.tr/brief-history\\_111\\_en.html](https://www.ab.gov.tr/brief-history_111_en.html).
- EU-TURKEY RELATIONS, FEPS Policy Paper September 2019, [https://www.feps-europe.eu/attachments/publications/feps\\_eu\\_turkey\\_relations\\_soler.pdf](https://www.feps-europe.eu/attachments/publications/feps_eu_turkey_relations_soler.pdf).
- USAK Analysis: *Evaluation of the Referendum*, <http://www.usak.org.tr> 13.09.2010.
- PM Erdoğan discusses new constitution, elections with media representatives. <http://www.Turkishweekly.net>. 27.09.2010.

## The Issue of Turkey's Membership in European Union and its Importance for Georgia

**Maia Manchkhashvili**

Assis. Prof. of Georgian Technical University,  
Department of International Relations,  
Georgia, Tbilisi

### **Abstract.**

The European Union is an economic union of European states. The member states of this union have similar values and high standards of democratic norms.

The Republic of Turkey is the only country in the Muslim world that has openly stated its desire to have relations with the European Union and made an official application for membership in 1959.

The EU Charter does not restrict any country from becoming a member if it shares the values of the EU Member States and meets the standards set out in the "Copenhagen Criteria".

Whereas the Republic of Turkey has been waiting for the EU decision for several decades now, the fact of delaying the response for membership, is often perceived as a political rejection from Turkey's side and not a single issue is named as a reason, including religious differences. But it has to be said that there are a number of issues that actually hinder Turkey from joining the EU. These include the number of population, building democratic institutions, and human rights.

Turkey's opportunities of joining the European Union is quite low, but if the challenge is accepted by the EU and Turkey becomes a member state, it will only have a positive impact on its economic, social and political life.

And such a big step forward for the neighboring state will automatically have a positive impact on Georgia: Georgia will be a direct neighbor of the European Union. This will be a hopeful and drastic push for the young Georgian state to move steadily along the

path of development and to actually implement the reforms it has begun.

**Keywords:** Turkey; European Union; „Copenhagen criteria“; Georgia.

ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ თემურ-ლენგის  
ლაშქრობის შესახებ 1400-1401 წლებში

გიორგი ახალკაციშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
ისტორიკოსი / თურქოლოგი.  
თბილისი, საქართველო.

**აბსტრაქტი.**

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალიან მძიმე პერიოდად ითვლება XIV ს-ის ბოლო და XV საუკუნის დასაწყისი, როდესაც მთელი რიგი ძლიერი ისლამური სახელმწიფოები ცდილობენ ჰეგემონობის მოპოვებას. ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეთს, მათ შორის ეგვიპტის მამლუქებსაც, დიდი ზარალი მიაყენა თემურ-ლენგის (1370-1405) ლაშქრობებმა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის დეტალურად შესწავლილი თემურ-ლენგის მამლუქების წინააღმდეგ გალაშქრების ისტორია. ქართულად თარგმნილ ცნობებს სომეხი ისტორიკოსის თოვმა მეწოფეცის (1378-1446) ნაშრომში - „ისტორია თემურ - ლენგისა და მისი შთამომავლებისა“ (თოვმა მეწოფეცი, 1987) - და XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში - „საქართველოს ცხოვრება“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022) - ვხვდებით. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობებს აღმოსავლური წარმოშობის - სპარსელი და არაბი - ისტორიკოსების მეშვეობითაც ვიგებთ. სპარსელი ისტორიკოსებიდან გამოსარჩევია თემურის კარის ისტორიკოს ნიზამ ად-დინ შამის 1405 წლის, თემურის გარდაცვალებამდე შექმნილი, ნაშრომი – Zafar nama („გამარჯვების წიგნი“) (Nizam ad-Din Shami, 1937: 230-237) და შარაფ ად-დინ ალი იეზდის (-1454) 1424 წელს გამოცემული Zafar-name („გამარჯვების წიგნი“) (Şerrfeddin Ali Yezdi, 2019). რაც

შეეხება არაბ ისტორიკოსებს: კალკამანდის (1355-1418), მაკრიზს (1364-1442), იბნ კადი შუჰბას (1377-1448), იბნ ჰაჯარ ‘ალ-ასკალანის (1372/73 – 1449), იბნ არაბშაჰის (1389-1450), ‘ალ-აინის (-1451), იბნ თალრი ბერდის (1411-1469), ას-სახავის (-1497) და იბნ იასის (-1524) ნაშრომებშიც გვხვდება ცნობები სირიაში თემურის მამლუქების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ (A New Latin Source on Tamerlane’s Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 202). არაბი ისტორიკოსები აშკარად იცნობენ და იზიარებენ ნიჰამ ად-დინ შამის და შარაფ ად-დინ ალი ‘ალ-იაზდის ცნობებს დამასკოს აღებასთან დაკავშირებით, მაგრამ სპარსელი ისტორიკოსებისგან განსხვავებით, და საკუთარი წარმომავლობიდან გამომდინარე, ისინი თემურ-ლენგს „ტირანის“ და „დედამიწის უბედურების“ სახელით მოიხსენიებენ (A New Latin Source on Tamerlane’s Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 203).

უფრო შევსებული და დეტალური ინფორმაცია გვხვდება დამასკოში მცხოვრები იტალიელი ვაჭარი ბერტრანდო დე მიგნანელის გადმოცემებში, რომელიც პირადად იცნობდა მამლუქთა სულტან ბარკუკს (სულტანი 1382–1389 და 1390-1399) და არაბულ ენაზეც კარგადც საუბრობდა (D. Donald Sidney Richards; Chase F. Robinson, 2003: 258). ბერტრანდო იტალიაში დაბრუნების შემდეგ (1416 წ.) ლათინურად აქვეყნებს თავის ნაშრომს–„თემურ-ლენგის ცხოვრება“ („Vita Tamerlani“). ასევე საყურადღებოა ერთ-ერთი იტალიელი ვაჭარის ემანუელ პილოტის (1371 - დაახლ. 1441) ცნობა, რომლის სავაჭრო არეალი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ვრცელდებოდა. მან თითქმის ოცდაორი წელი გაატარა მამლუქთა ეგვიპტეში, რა დროსაც არაერთხელ მოუწია სულტან ფარაჯთან შეხვედრა და თემურის სირიაში ლაშქრობის შემსწრეც გახდა (E. Piloti, 1950: 119-121). ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურის გაცნობითა და გაანალიზებით შევეცადეთ, რომ ინფორმაცია გადმოგვეცა თემურ-ლენგის მამლუქთა სასულტნოზე გალაშქრების ზუსტი თარიღის და განხორციელებული მოვლენების შესახებ.

**საძიებო კითხვები:** თემურ-ლენგი; თემურიანთა იმპერია; ეგვიპტის მამლუქები; ახლო აღმოსავლეთი შუა საუკუნეებში.



## **მეთოდი.**

წინამდებარე სტატიაში კრიტიკულად გაანალიზებულია 1400-1401 წლებში თემურ-ლენგისა და მამლუქთა სასულთნოს დაპირისპირების ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე უცნობი საკითხები.

## **შედეგები.**

სტატიაში, ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნათლადაა განხილული თემურიანთა იმპერიის და მამლუქთა სასულთნოს დაპირისპირება, რომელიც 1400-1401 წლებში სირიასა და პალესტინაში განვითარდა. ჩვენ შევეცადეთ, რომ მოვლენათა ზუსტი ქრონოლოგია გადმოგვეცა, რაც ქართული ისტორიოგრაფიისთვის სიახლეს წარმოადგენს.

## **დისკუსია.**

თემურ-ლენგის, რომელმაც 1370 წელს ჩამოაყალიბა სახელმწიფო და დაიმორჩილა მთელი შუა აზია, აღმოსავლეთში გამოლაშქრებას თავისი მიზეზი ჰქონდა - ოქროს ურდოს გამგებელ თოხთამიშის განადგურების სურვილი. მისი მთავარი მისია მონღოლთა თავდაპირველი იმპერიის საზღვრების აღდგენა იყო (კაციტაძე, 2009: 333). ლენგის ლაშქრობების ათვლა 1381 წლიდან იწყება, როდესაც მან ხორასანი და ჰერათელი ქურთები დაიმორჩილა (კაციტაძე, 2009:333). 1384-1386 წლებში მიყოლებით დამარცხდნენ გურგანი, ამირა ველის სახელმწიფო (1384), ირანი დამდანიდან სულთანემდე (1385), აზერბაიჯანი და ქალაქი თავრიზი (1386) (კაციტაძე, 2009: 335). როგორც უკვე ვახსენეთ, ლენგის მთავარი მოწინააღმდეგე ოქროს ურდოს (ასევე ეწოდება ჯუჩის ულუსი - ფეოდალური მონღოლური სახელმწიფო, რომელიც დაარსდა ქვემო ვოლგაზე XIII საუკუნის 40-იან წლებში, ბათოყაენის (1227-1255) მმართველობის დროს.) გამგებელი თოხთამიში (1380-1396) იყო, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება სამხრეთ კავკასიის დამორჩილების შემდეგ დაგეგმა, სადაც საქართველოს სამეფო აღუდგა წინ. ეს უკანასკნელი თემურმა რვაჯერ დალაშქრა (1386-1403 წწ), მაგრამ ვერაფრით ვერ მოდრიკა ქართველები, რომლებსაც ბაგრატ V (1360-1393) და მისი ვაჟი გიორგი VII (1393-1407) ედგნენ სათავეში.

თემურ-ლენგს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა საქართველოს სამეფოში ლაშქრობებისას შეხვდა. არსებობს გადმოცემა, რომ ლენგს თავისივე ჯარის მხედართმთავრები შეეწინააღმდეგნენ სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობების გამო, იმდენად ბევრი მეომარი გაუწყდათ. თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსი ნიზამ ადდინ შამი - „გამარჯვების წიგნში“ (Zafar nama) გვიამბობს, რომ 1401 წელს თემურმა ბაღდადი დაიპყრო, ქურთისტანის გზით თავრიზში შევიდა, იქიდან კი მეშვიდედ გაილაშქრა საქართველოზე (კაციტაძე, 1975:150). სანამ თემური საქართველოში შემოიჭრებოდა, ის ნახიჭევანში, კოლის მინდორზე ორი თვის განმავლობაში იყო დაბანაკებული და მხედრობას სივასის დასამორჩილებლად ამზადებდა (ტაბატაძე, 1974:152). ის ლაშქრით შეიჭრა სივასში და როგორც ახალ ქართლის ცხოვრებაშია ნახსენები „შდრ : და დაიპყრო ქუეყანა სიასი და სხუანი ქუეყანანი მრავალნი“ (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959: პირველი ტექსტი 334, მეორე ტექსტი 466). სივასს ოსმალები და სომხები ერთად იცავდნენ. ბრძოლა საკმაოდ სასტიკი იყო, რის შედეგადაც ბევრი მეომარი დაეხოცა თემურს, მაგრამ მაინც მოახერხა მოწინააღმდეგეთა დამარცხება, ტყვედ ჩავარდნილი ოსმალები დახოცეს, ხოლო 4000 სომეხი ცოცხლად დამარხეს (საქართველოს ისტორია, 2020: 96). თოვმა მეწოფეცის გადმოცემით სივასის დაპყრობის შემდეგ თემური სირიისკენ დაიძრა - „850 (1401) წელს სამარყანდიდან (თემურ ლენგის იმპერიის დედაქალაქი. დღესდღეობით მდებარეობს უზბეკეთში) დაიძრა სიკვდილის მფრქვეველი ვეშაპი და ჩვენი ქვეყნის (სომხეთის. გ.ა) წინააღმდეგ გამოილაშქრა, შემდეგ წავიდა შამის მხარეში, ააოხრა ჰალეები (ალეპო, გ.ა) და ყველა მისი სახანო. იქიდან გაილაშქრა დამასკოზე [ანუ] დამიშუზე და ააოხრა მთელი ქვეყანა სამხრეთით [იქამდე], ვიდრე [მისი მეომრები] მიადგებოდნენ ქალაქ იერუსალიმის მიდამოებს. მთელი ზამთარი იგი დამასკოში დარჩა (თოვმა მეწოფეცი, 1987: 21). მეწოფეცის მიერ ამ ცნობის 1401 წლით დათარიღებას ეჭვის ქვეშ აყენებს ბერტრანდო დე მიგნანელი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამასკოს აღების დროს იქ იმყოფებოდა. ის პირდაპირ ასახელებს მოვლენის თარიღად 1400 წელს - „1400 წელს, ოქტომბრის თვეში, ძლიერამოსილი და

ბოროტი კაცი, და დიდი მბრძანებელი, სახელად ტომორლენგი, მეტსახელად ტომორბეი, მეტსახელად ტომორ, მსოფლიოს თავისი ნაწილიდან მოვიდა, ანუ რეგიონი ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შორის თათრების (ირანის. გა.) მიღმა, და დაიძრა სირიისა და ეგვიპტის სულთნის ტერიტორიისთვის“ (A New Latin Source on Tamerlane’s Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 209). უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული წყაროები თემურზე ყოველთვის დადებითად და აღმატებულად გადმოგვცემენ, რადგან ის, აღმოსავლეთში, ქრისტიანული სახელმწიფოებისთვის ოსმალებისა და მამლუქების წინააღმდეგ კარგი პოტენციური მოკავშირე იყო.

1399 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა მამლუქთა სულტანი საიფ ად-დინ ბარკუკი (1390-1399). ეს ამბავი, ისევე როგორც ბაღდადში, სირიაში, ეგვიპტეში და მცირე აზიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინდოეთში მყოფმა თემურ-ლენგმა უფლისწულ მირან-შაჰისგან გაიგო (Гиясаддин ‘Али, 1958: 175) და მაშინვე გადაწყვიტა, რომ ინდოეთიდან სირიაში გაელაშქრა (A New Latin Source on Tamerlane’s Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 201-202). ის, რომ თემური ინდოეთიდანვე გემავდა სირია-პალესტინა-ეგვიპტეში ლაშქრობას, და იქიდან წმინდა ქალაქების მექისა და მედინის მოსალოცად წასვლას, გადმოცემული აქვს დიას ად-დინ ალის. ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში - „თემურის ინდოეთში ლაშქრობის დღიური“ – წერს „*მაშინ სახელმწიფოს მემატანეები ათას ენაზე გვამცნობდნენ, რომ ეგვიპტის, სირიისა და დასავლეთის შორეული ქვეყნების ყველა რაიონი რაც შეიძლება მალე უნდა შევიდეს მისი უდიდებულესობის მიერ დაქვემდებარებულ მონათა სფეროში, რათა - ღმერთმა ენას! - ახდეს დიდი გონების [ამირ თემურის] სანუკვარი სურვილი და მისი გაბრწყინებული გულის გულწრფელი სურვილი - მომლოცველად მექას წმინდა ტაძარში წასვლა*“ (Гиясаддин ‘Али, 1958: 22). სირიის ქალაქების აოხრებამდე ლენგმა დამასკოში ჯერ ელჩი გაგზავნა, რომელიც მამლუქთა ახალი სულტნის - ნასირ ად-დინ ფარაჯის (1399-1405 / 1405-1412) - მიერ დანიშნულმა დამასკოს გამგებელმა, სუდუნმა, სიკვდილით დასაჯა.

მამლუქთა მთავრობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ლენგის ძალები. ამჯერად მათ საქმე გაცილებით ვერაგ და დაუნდობელ მტერთან ჰქონდათ, ვიდრე 1260 წელს აიუნ-ჯალუთთან (ბრძოლა მამლუქთა სულტან ბაიბარსის და მონღოლთა მხედართმთავარ კიტ-ბუღას შორის. ბრძოლაში დამარცხდნენ მონღლები), ან 1277 წელს ალბისტანთან (ბრძოლა მამლუქებსა და ილხანებს, მონღოლთა ირანულ დინასტიას, შორის. ამ უკანასკნელის ჯარში მონაწილეობდნენ ქართველები და რუმის სელჩუკიანები) ბრძოლებში.

1400 წელს ლენგმა ომი წამოიწყო მამლუქთა სულტანთან და სირიას საკუთარი ჯარი შეუსია, რომელმაც ნოემბერში ალეპო (ჰალაბი) დაიპყრო და იქ სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, 20 000 გარდაცვლილი ადამიანის თავის ქალისაგან ქალაქის კედლებთან კოშკები დადგეს. ლენგის გეგმებში მხოლოდ ალეპო არ შედიოდა, ამ უკანასკნელის დამორჩილების შემდეგ მისი მხედრობა დაიდრა სამხრეთით და დაიმორჩილა ჰამა, ჰომსი, ბაალბექი (Ucker, Spencer C. 2010: 140), სივასი, მალათია (1400 წლის სექტემბერში) (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 209) და გეზი დამასკოსკენ აიღო. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, ლენგი „...*შამის ქალაქში მივიდა, დ(ი)მიშს (დამასკო. გ.ა) საჯელათ თქმულსა, და მისრეთს კემწიფის ყმა ბატონობდა. თემი გაუშვა და მ(ი)სრეთს გარდობხვეწა და მისრეთის სულთანნი დიდის ლაშქრით წამოვიდა თემურს ზედა*“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022:251). როგორც გორგიჯანიძის ცნობაშია აღწერილი, მამლუქთა მხედრობას თავად სულტანი ნასირ ად-დინ ფარაჯი მეთაურობდა. თემურ-ლენგმა იცოდა სულტანის მის წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ და თავისი ჯარი მოაბილიზა „...*ლაშქარნი მზას და(ა)ხვედრა იელუსალემის ორი დღის სავალს ზედან*“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 251). თემური მამლუქთა მხედრობას დამასკოს გარეთ შეხვედრია, გამართულა ბრძოლა და სულტანი დამარცხებულა (Margaret Meserve, 2008: 207). ბრძოლის შესახებ ფარსადანი უფრო ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის „*სამს დღესა და სამს ღამეს იბრძოდეს; დღისით და ღამით გაიყრებოდიან. მისრეთის სულთანნი ისრით მოკლეს და მათნი ლაშქარნი ზოგნი გაიქნეს და ზოგნი*

დახოცეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 251). ჩვენთვის უცნობია თუ საიდან აქვს ფარსადანს ეს ცნობები, რადგან სულტანი თემურის ჯართან შეტაკებისას არ გარდაცვლილა, ის 1405 წლის შეთქმულებით ჩამოაგდეს ტახტიდან (სექტემბერში), რომელმაც ერთ თვეში ისევ დაიბრუნა ძალაუფლება და 1412 წლამდე განაგებდა სახელმწიფოს (Muir, William, 1896: 121-128).

ბერტრანდო დე მიგნანელი ალეპოს დაპყრობაზე და იქიდან თემურის დამასკოზე ლაშქრობის მოვლენას, ასევე ქალაქთან ბრძოლას, დეტალურად ასე გადმოგვცემს „აქ ჩაწერილია ყველაზე ბოროტი კაცი, თომორლენგის საქმეები სირიისა და თურქეთის მხარეში და ასევე გაპარტახება, აჰ, მწუხარებით!, ძალიან ცნობილი ქალაქის - დამასკოსი, რომელიც მდებარეობს სირიის პროვინციაში და ითვლება მესამე დიდებულ ქალაქად აზიის კონტინენტზე. ... მან (თემურმა - გ.ა) მდინარე ევფრატი გადაკვეთა და გაემართა სირიის წინააღმდეგ“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1965:209). აქვე არის ცნობა მამლუქთა სულტნის იმ რაზმის შესახებ, რომელსაც ალეპოს ამირა მუჰამად დიმურდაში მეთაურობდა - „იმდენად დიდი იყო მისი მიმართვა, რომ მაშინვე ოცდათხუთმეტი ათასი კაცი შეიკრიბა. ამ მცირე რაოდენობით ისინი ჯიუტად და თამამად შეუერთდნენ სასტიკ ბრძოლას თომორის არმიასთან, ფიქრობდნენ, რომ თომორის რაზმები წინააღმდეგობის გაწევას ვერ გაბედავდნენ“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 209). აშკარაა, რომ ბერტრანდო დე მიგნანელი თავად შეესწრო ბრძოლას, რადგან მას თემურ-ლენგის სამხედრო გეგმაც კარგად აქვს გადმოცემული თავის ნაშრომში „ჭკვიანურად და მოჩვენებითად თომორის (თემურის. გ.ა) ლაშქარებმა გზა გაუხსნეს სულთნის არმიას და ნება დართეს მათი რიგების შიგნით მოხვედრილიყვნენ. შემდეგ ისინი ერთდროულად ჩაკეტეს და სულთნის ჯარს დაეხსნენ თავს. მათ ისე სასტიკად დაარტყეს, რომ მცირე ხნის შემდეგ უკან დაიხიეს (ქალების მსგავსად) და მათი დიდი ნაწილის განადგურების შემდეგ ადვილად დაიჭირეს“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 209). როგორც უკვე სხვა ცნობებზე დაყრდნობით ვახსენეთ, ალეპოს დამორჩილების შემდეგ თემურ-ლენგი

დამასკოსკენ დაიდრა. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა ქრონოლოგია ყველა ზემოხსენებულ ისტორიკოსთა ცნობებში კარგად არის დაცული. დამასკოსთან ბრძოლა „თემურ-ლენგის ცხოვრებაში“ (Vita Tamerlani) ასეა გადმოცემული – „*ორივე მხარე შეიკრიბა დამასკოსთან, თომორი ჩრდილოეთიდან, სულთანი სამხრეთიდან და დამასკო იწვა მათ შუაში*“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus(1400/1401), 1956: 215). როგორც აღეპოსთან გამართული ბრძოლა, დამასკოსთან შეტაკებაც დეტალურად აქვს გადმოცემული იტალიელ ავტორს და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ მოვლენის დღედ ქრისტეშობას ასახელებს – „*სულთნის კაცები გამუდმებით იცავდნენ თავიანთ ღირსებას თომორის კაცებისგან. შობის დროს ჩვეულებრივზე უფრო სასტიკი ბრძოლა იყო. თომორი დამასკოდან დაახლოებით ხუთი მილის დაშორებით იყო, ხოლო სულთნის ლაშქარი მეორე მხარეს იყო, მაგრამ დამასკოსთან ბევრად უფრო ახლოს*“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 215). რაც შეეხება უშუალოდ ბრძოლის მიმდინარეობაზე, მიგნანელის გადმოცემით, პირველი შეტევა მამლუქებმა განახორციელეს, რა დროსაც თემურის მხედრობამ ჩვეულ მეთოდს მიმართა და მტერი ხაფანგში მოამწყვდია და დაამარცხა – „*ჯერ სულთნის კაცებმა გაიმარჯვეს და ზოგიერთი მტერის კაცი, რომლებიც სულთნის კაცებმა გაიქციეს, ბანაკისაკენ დაიდრა. როცა თითქმის თომორის კარვებამდე მივიდნენ, ისე მრავალრიცხოვანი გახდა მტრის ურდო სულთნის კაცების წინააღმდეგ, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო. დიდი ხმაურით, ყვირილით, ტირილით და საყვირებისა და სხვა საკრავების ყრიაშულით დაეცნენ მათ. ხოცვა დიდი იყო და ორივე მხრიდან უამრავი ადამიანი დაიღუპა. ბოლოს და ბოლოს, სულთნის კაცებმა, მტრის ამხელა რიცხოვნობის გამო, ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ*“ (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 215).

დამასკოსთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ თემურის ჯარმა ალყა შემოარტყა ქალაქს, რის გამოც დამარცხებულმა სულტანმა კაიროდან ბტრის ბანაკში ელჩად ისტორიკოსი და ფილოსოფოსი იბნ ხალდუნი (1332-1406) გააგზავნა, რომელმაც მტე-

როს უშედეგო სამშვიდობო მოლაპარაკებები აწარმოა. მისი ჩანაწერები, მიგნანელის მსგავსად, ყველაზე საყურადღებოა, რადგან იმ პერიოდში მოღვაწე სხვა ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ხალდუნი იქ განვითარებული მოვლენების თვითმხილველი იყო. ამიტომ მას განსაკუთრებული კვალიფიკაცია ენიჭება დამასკოს ალყის და დაპყრობის სურათის გადმოსაცემად (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 203).

მტერმა ჩვეულად ააწიოკა და დაარბია დამასკო, რის შედეგადაც, სხვა მრავალ ნაგებობასთან ერთად, ცნობილი ომაიანთა მეჩეთიც (მეჩეთი აშენებულია 715 წელს ხალიფა სულეიმან იბნ აბდ 'ალ-მალიქის (715-717) მმართველობის დროს) დაზიანდა. შეიკრიბნენ დამასკოელი იმამები, სხვა რელიგიური პირები და თემურთან მოწყალების სათხოვნელად მივიდნენ. ამ უკანასკნელმა ჩვეულ სისასტიკეს მიმართა, მოსახლეობას ოჯახებით მეჩეთებში თავის შეფარება უბრძანა და როდესაც 30 000 ადამიანი მოგროვდა, მეჩეთების კარები ჩაკეტეს, გარედან ცეცხლი წაუკიდეს და იქ მყოფნი ცოცხლად დაწვეს (Bent, Josephine van den, 2016: 171-186). თოვმა მეწოფეცი ლენგის მიერ დამასკოში დატრიალებულ სასტიკ ხოცვა-ჟლეტაზე სხვებთან შედარებით უფრო დიდ ინფორმაციას გადმოგვცემს – *„თემურმა თავის ლაშქარს უბრძანა: „შვიდასი ათასი კაცი ხართ ჩემთან, დღეს და ხვალ შვიდასი ათასი თავი მომიტანეთ და [მათგან] შვიდი კოშკი აღმართეთ. ვინც თავს არ მოიტანს, მას თავად მოჰკვეთენ თავს. მაგრამ, თუ ვინმე იტყვის, რომ მე იესოიანი ვარო, მას ხელს ნუ ახლებთ“. მრავალმა მეომარმა ხმალი იშიშვლა და მთელი ქალაქი ამოწყვეტიდა, მაგრამ მამაკაცები საკმარისად არ იყვნენ და თავებს ველარ შოულობდნენ. მაშინ ისინი ქალებს სჭრიდნენ თავებს და ყველა მეომარს [ისინი] ნაბრძანება ადგილას მიჰქონდა. აქ იხილავდით საყოველთაო სამსჯავროს, მოთქმის, გოდების, ვაებისა და გლოვის სურათს. ვინც ვერ ახერხებდა [კაცის] მოკვლას, იგი ერთ თავს ას თანგად ყიდულობდა და სათვალავში აძლევდა. ბევრი მეომარს არც მოკვლა შეეძლო, არც ყიდვა. ასეთებს თავებს ჰკვეთდნენ და მათ ხორცის საზარელ ბორცვებზე აწყობდნენ. ჩვენმა სულიერმა ძემ მხითარმა, ქალაქ ვანიდან რომ იყო, გვიამბო ამ*

საშინელებისა და მათი აღსასრულის შესახებ. ეს მოხდა დამასკოში“ (თოვმა მეწოფეცი, 1987: 46-47).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულმა ფარსადან გორგიჯანიძის ერთმა საინტერესო ცნობამაც, რომელიც დამასკოდან ლენგის იერუსალიმისკენ და იქიდან ეგვიპტეში გალაშქრებას გვამცნობს – *„მივიდა იელ(უ)სალემს, სოლომონის ტაძარ(ში) ილოცა. რაც დაქცეული მეჩიტები იყო, ა(ა)შენა და მრავალი შესაწირავი (მისცა). ქრისტიანთ სადღერები დ(ა)აქცია, მეჩიტები ააშენა* (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 251). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ წავაწყდით პროფ. ე. მამისთვალიშვილის მიერ საკუთარ მონოგრაფიაში მოყვანილ ერთ საინტერესო ცნობას, რომელიც ეხმაურება გორგიჯანიძის გადმოცემას წმინდა ტაძრებთან დაკავშირებით, სადაც მკვლევარი წერს, რომ 1400 წელს მუსლიმებმა წმ. ჯვრის მონასტერი ააოხრეს (მამისთვალიშვილი, 2016: 150). სამწუხაროდ პროფ. მამისთვალიშვილი ამ ინფორმაციის პირველწყაროს, და არც სხვა ლიტერატურას, არ იმოწმებს მონოგრაფიაში, სადაც, ასევე, დაზუსტებით არ არის ხსენებული თემურის სახელი. ფაქტია, რომ მკვლევარმა ეს ცნობა სადღაც ამოიკითხა და დაწერა მონოგრაფიაში. ჩნდება კითხვა, თუ ვის უნდა აეოხრებინა წმ. ჯვრის მონასტერი? ზემოთ მოყვანილი ბერტრანდო მიგნანელის და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს ლენგს უნდა ჩაედინა, რადგან იმ დროს იერუსალიმში სწორედ ის ლაშქრობდა.

შემდეგომ მოვლენებზეც ამახვილებს ყურადღებას ფარსადან გორგიჯანიძე. ის ამბობს, რომ თემურს იერუსალიმი აუღია, ქრისტიანული ტაძრები მეჩეთებად გადაუკეთებია, ხოლო იქიდან ეგვიპტეში გაულაშქრია. ეგვიპტის სულტანს ჯარი შეუკრებია, მისულა თემურთან და მორჩილება აღუთქვამს – *„მისრეთის ბატონის შვილი, რომ მამამისი თემურის ომში მოეკლათ, თავისის ჯარითა და მისრეთის მეფეებითა (იგულისხმებიან მამლუქი სახელმწიფო მოხელეები. გ.ა) და მთავარ თავადებით თემუ(რ) ჯემწიფეს წინ მოეგებნეს. რა ჯარნი განიცადეს, შორიდან დაუქვეითეს, ახლო რა მოვიდნეს, ჯემწიფეს თავყვანი სცეს და მის წინაშე მიწას დაეცნეს და მიწას ემთხვივნეს დიდის მონებითა და*



მორიდებითა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 252). აშკარაა, რომ ფარსადანს აქაც ეშლება, რადგან სულტან ნასირ ად-დინ ფარაჯს (1399-1405/1405-1412) ბრძოლაში გარდაცვლილ სულტანად მოიხსენიებს და მმართველად მის მემკვიდრეს ასახელებს. როგორც ჩანს, ბრძოლა არ გამართულა და წინა შეტაკების დროს მძიმედ დამარცხებულმა მამლუქებმა ამჯერად მტრის წინაშე მუხლი უბრძოლველად მოიდრიკეს. გამარჯვებულ თემურს წმინდა ქალაქები, მექა და მედინა, მოულოცავს – „...*იქიდან აიყარა და აბრაამის ტაძრის დღეობასა, რომ ჰაჯს ეძახიან, მექას მოვიდა. მრავალი მადლი და სახელი ქნა და იქიდან მ(უ)ჰ(ა)მ(ა)დ ფეილანზრის* (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022:430) *საფლავის სალოცავად მადინის ქალაქში მივიდა*“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 253). წმინდა ქალაქებიდან კი ბაღდადში, რომელიც სირიაში ლაშქრობამდე დაიპყრო, დაბრუნებულია და გამოუზამთრია – „*იქიდან ბაბილოვანის ქვეყანაში ქალაქსა ბაღდადისს მოვიდა. იქ იზამთრა*“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 253). სამწუხაროა რომ ჩვენ არ ვიცით საიდან ფლობს ფარსადანი იმ ინფორმაციებს, რომლებიც ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ, მაგრამ მსგავსი ცნობების გადმოცემას ნამდვილად მნიშვნელოვანი საფუძველი ექნება. რა თქმა უნდა, არის გარკვეული შეცდომები მის მონათხრობში, მაგრამ ცნობათა უმეტესი ნაწილი ემთხვევა ბერტრანდო დე მიგნანელის და სპარსელი ისტორიკოსების გადმოცემებს, რაც მოცემულ საკითხზე მსჯელობას გვიადვილებს.

ლენგის მიერ მამლუქთა დამარცხებამ ევროპის სახელმწიფოებში დიდი სიხარული გამოიწვია. გაჩნდა ევროპის ქვეყნების თემურ-ლენგთან ალიანსის ჩამოყალიბების სურვილი, რომელიც მამლუქებთან ერთობლივი ბრძოლით და წმინდა მიწაზე ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენით იყო განპირობებული (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 203-204). ეს ბუნებრივიც იყო, რადგან, 1291 წელს ქ. აკრის აღებით, სწორედ მამლუქებმა მოუღეს ბოლო წმინდა მიწაზე არსებულ იერუსალიმის სამეფოს და იმ ტერიტორიაზე გაბატონდნენ (Илюшина, Шайхисламов, 2014:736-741). განსაკუთრებული ურთიერთობები თემურმა საფრანგეთის მეფე შარლ VI ვალუასთან (1380-1422) დაამყარა და მასთან დამასკოში დატყვევებული ფრა-

ნცისკანელი ბერი გააგზავნა, რომელიც პარიზში 1403 წლის 15 ივნისს ჩავიდა (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 204).

მამლუქების დამარცხების შემდეგ თემურის იმპერია ოსმალეთს, ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთ ძლიერ ძალას, დაუპირისპირდა. ანატოლიის აღმოსავლეთ რეგიონში მდებარე ქალაქ ერზინჯანში, რომელიც ოსმალეთს მიზანში ჰყავდა ამოღებული და დასაპყრობად ძალ-ღონეს არ იშურებდა, გამგებლობდა თაჰერთანი. ეს უკანასკნელი თემურს ჯერ კიდევ სივასზე ლაშქრობის პერიოდში ეახლა და მორჩილება გამოუცხადა მას (კაციტაძე, 1975: 91). ამ მოვლენიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ოსმალთა მხირდან ქ. ერზინჯანზე თავდასხმა თემურის გამოწვევას ნიშნავდა. 1390-1393 წლებში ოსმალებმა მცირე აზიის თურქული საამიროები დაიმორჩილეს, ხოლო 1399 წელს ერზინჯანსა და მალათიას შორის არსებული ტერიტორიებიც მათ მფლობელობაში გადავიდა (კაციტაძე, 1975: 91). იმ დროს ოსმალეთს სულტანი ბაიაზიდ I „ილდირიმი“ (1389-1402. თურქ - Yıldırım ნიშნავს „მეხს“ / „ელვას“. სულტან ბაიაზიდს ეს სახელი სწრაფი და მოქნილი მანევრების გამო შეარქვეს) მართავდა, რომლის ძირითად გეგმებში ერზინჯანის და არზრუმის დამორჩილებაც შედიოდა, სადაც მისი და თემურის ინტერესები მძიმედ გადაიკვეთა. სულტანმა ძალიან კარგად იცოდა ომის გარდაუვალობა, ამიტომ წინასწარ დაიჭირა თადარიგი და ანატოლიის ბეილიქები თემურის შემოჭრისთვის მოამზადა (Ucker, Spencer C. 2010: 140). ბაიაზიდს თემურთან დაპირისპირება დიდ გეგმას უცვლიდა, რადგან მისი მთავარი სამიზნე ბიზანტიის დედა-ქალაქი, კონსტანტინოპოლი, იყო. ამ უკანასკნელის დასაპყრობად ოსმალეთს კარგი ნიადაგი ჰქონდა მომზადებული, რადგან მათ, სულტან ბაიაზიდის მეთაურობით, 1396 წელს, ქ. ნიკოპოლისთან, განადგურეს ჯვაროსნების მხედრობა (პოლონეთი, უნგრეთი, საფრანგეთი) და ერთი წლის შემდეგ შეიჭრნენ ბალკანეთის სამხრეთ ნაწილში – ატიკაში და პელოპონესში (ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, 1998: 515).

ფარსადანის ცნობას, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, თუ დავყვრდნობით 1401 წლის ზამთარში ლენგი ბაღდადში იმყოფ-

ება და იქიდან დასავლეთ საქართველოში გამოლაშქრებას გეგმავს, რათა დაიმორჩილოს ქართველთა ხელში მყოფი ალინჯის ციხე. ის ბალდადიდან თავრიზში გადადის, სადაც ჯარს ოთხი თვე დაასვენებს გამოლაშქრებამდე და გაზაფხულისთვის შემოდის საქართველოში, რასაც ადასტურებს ნიზამ ად-დინ შამი – „ადრბეჟანით ამბავი მოუვიდა : ათი წელიწადია ვიბ(რ)ძვითო და ალინჯის ციხე ვერ აგვიღიაო. ისრევე ქართველთ უჭირავსო. გაჯავრდა თემურ ჯემშიფე და აიყარა და ბალდადით თავრიზს მოვიდა და ოთხის თვის მოსვენება მისცა ლაშქართა საქართველოზედ წასვლისათვის“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 253). საბოლოოდ თემური საქართველოში ვერაფერს გახდა გიორგი VII-ის წინააღმდეგ და ზავი გააფორმა მასთან. ზავის თანახმად მეფეს თემურითვის უნდა გადაეხადა ხარკი – ე.წ. „ბაჯ ო ხარაჯი“ – და საჭიროების შემთხვევაში ლაშქრითაც უნდა მიხმარებოდა (კაციტაძე, 1975: 91). ნიზამ ად-დინ შამის გადმოცემით – „ჰიჯრის 804 წლის რაბი’ულ-ახერის 22-ს (1401 წლის 2 დეკემბერი) თემურ ლენგი ყარაბაღს მივიდა“ (კაციტაძე, 1975: 91). 1402 წლის მარტში, ჯერ კიდევ სანამ თემური ოსმალეთზე გაილაშქრებდა, ის საქართველოს კიდევ ერთხელ ესხმის თავს. სწორედ იმ დროს ოსმალებს კონსტანტინოპოლისთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული და მისი აღება ქრისტიანულ სამყაროს დიდი საფრთხის ქვეშ დააყენებდა, ამიტომ მათ ყველაზე მეტად აწყობდათ თემურის ანატოლიაში (მცირე აზია / დღევანდელი თურქეთი) შეჭრა, რათა სულტნის მზერა აღმოსავლეთისკენ მიეპყროთ. როგორც ზემოთ ვახსენეთ, თემურ-ლენგს დამყარებული ჰქონდა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან დიპლომატიური კავშირები. მან ევროპაში ელჩად გაგზავნა ქ. სულთანის ფრანცისკანელი ბერი, ანკარის ბრძოლაში ტყვედ აყვანილი იოანე ჰალიპონტელი (ის ბაიაზიდის მმართველობის პერიოდის ორი დიდი ბრძოლის მომსწრე გახდა - 1396 წელს ნიკოპოლისთან და 1402 წელს ანკარასთან), რომელმაც წერილი საფრანგეთის მეფე - შარლ VI ვალუას (1380-1422) გადასცა (Хенниг, 1962:403), შემდეგ კი, იგივე წერილით, ევროპის ყველა ძლიერ სახელმწიფოს მმართველს მიმართა (История Самарканда, 1969: 175-176). მეფე შარლმა თემურის სავაჭრო მოკავშირეობას დადებითად 1403 წლის 15 ივნისს უპასუხა. იო-

ანე ჰალიპონტელი საფრანგეთიდან პირდაპირ ინგლისში გადავიდა, ჰენრი IV-ის (1399-1413) კარზე, და მოლაპარაკებების შედეგად ამ უკანასკნელმაც მოისურვა თემურთან თანამშრომლობა (კაციტაძე, 1975: 516). ფაქტობრივად, ეს ყველაფერი, ლენგისთვისაც და ევროპელი მონარქებისთვისაც მხოლოდ ორი ძირითადი მიზეზით იყო განხორციელებული: ხელი შეეშალათ შავი ზღვის რეგიონში, ასევე ევროპაში, ოსმალთა გაძლიერებისთვის და მამულეებისაგან დაებრუნებინათ წმინდა მიწა. კოალიციის შექმნის იდეამ ისინი მოკავშირეებად აქცია (ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, 1998: 516). ამ ალიანსს, ასევე, შეუერთდნენ ბიზანტიის იმპერატორი მანუილ II პალეოლოგოსი (1391-1425), თემურისთვის ხარკის გადახდის პირობით, და ტრაპიზონის საკეისროს იმპერატორი – მანუილ III (1390-1417), რომელმაც თემურის უზენაესობა აღიარა (История Самарканда, 1969: 175-176). მოგვიანებით მათ გენუაც შეუერთდათ. ევროპელთათვის ოსმალების დასასუსტებლად ყველაზე ძლიერი ძალა თემურ-ლენგი იყო, რომელსაც აქეზებდნენ ანატოლიაზე თავდასხმისთვის. თემური ასეც მოიქცა, შეიჭრა და მოარბია აღმოსავლეთ ანატოლიის რამდენიმე ბეილიქი. სულტანმა ბაიაზიდ I-მა ბიზანტიის დედაქალაქს ალყა მოხსნა და 28 ივლისს ანკარასთან (ანგორასთან) შეებრძოლა „ხეიზარ“ თემურს. ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო სულტანი ბაიაზიდი ტყვედ ჩავარდა. დატყვევებული სულტანი თემურ ლენგს მიჰგვარეს, რომელმაც ბაიაზიდს დამცინავად მიმართა: „*დიდმა ალაჰმა, - თქვა მან -, ნახევარი მსოფლიო მიბოძა მე - კოჭლს და ნახევარიც შენ - ცალთვალას; კურთხეულ იყოს სახელი მისი*“ (სვანიძე, 2007: 28-29). სულტანმა დამამცირებელ დამარცხებას, დატყვევებისგან გამოწვეულ სირცხვილს, ვერ გაუძლო და თავი მოიწამლა (სვანიძე, 2007: 29). ბრძოლის ველზე თემურის ბანაკში იმყოფებოდნენ კასტილიის მეფის - ენრიკე III-ის (1390-1406) - ელჩები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს თემურიანთა იმპერიის ჯარის სიძლიერე და სისასტიკე. კასტილიის გეგმებშიც ჩაჯდა ლენგთან თანამშრომლობა, რასაც მეფე ენრიკეს ბრძანებით კიდევ ერთი ელჩობა მოჰყვა თემურის კარზე, რუი გონსალეს დე კლავიხოს ხელმძღვანელობით (რუი გონსალეს დე

კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, 1992:18). ოსმალებზე გამარჯვებულმა მონღოლმა ბაიაზიდის შვილებს დაუნაწილა იმპერიის ტერიტორია და მათ შორის დიდი შუღლი ჩამოაგდო, რამაც ოსმალეთის გაძლიერების ტემპი საგრძნობლად შენედა. მამლუქებმა, მიუხედავად თემურ-ლენგთან მიიმე მარცხისა, მალევე მოახერხეს ძალების მოკრება და კვლავ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ ახლო აღმოსავლეთში, სანამ 1516-1517 წწ. ოსმალთა ლაშქრობების შედეგად არ განადგურდა მათი სახელმწიფო.

### **დასკვნა.**

ნაშრომში განხილულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი ქრონოლოგიური დასკვნა:

- თემურ ლენგის მიერ მამლუქების წინააღმდეგ შეტევა, ქალაქ ალეპოს დამორჩილება, ასევე დამასკოსთან ბრძოლა და ამ უკანასკნელის დაპყრობა, ხოლო შემდგომ იერუსალიმში გადასვლა განხორციელდა 1400 წლის შემოდგომაზე და დასრულდა 1401 წლის ზამთარში;

- 1401 წლის ზამთარში თემურ-ლენგი, წმინდა ქალაქების მექა-მედინის მოლოცვის შემდეგ, ბაღდადში გადადის, იქ გამოიზამთრებს და თავრიზისკენ იწყებს გადაადგილებას, საიდანაც საქართველოში მეშვიდეჯერ შეიჭრება, მეფე გიორგი VII-სთან ზავს გააფორმებს და ოსმალთა წინააღმდეგ სალაშქროდ გაემზადება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ახალი ქართლის ცხოვრება.* (1959). ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თოვმა, მეწოფეცი. (1987). *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციაშვილმა. თბილისი. კაციტაძე, დ. (1975). *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*. თბილისი.
- კაციტაძე, დ. (2009). *ირანის ისტორია III-XVIII სს*. თბილისი.

- მამისთვალიშვილი, ე. (2016). *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*. (მესამე შეესებული გამოცემა). თბილისი.
- რუი გონსალეს დე კლავიხოსი, (1992). „*ცნობები საქართველოს შესახებ*“. ესპანურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბილისი.
- საქართველოს ისტორია*, (2020). (ოთხ ტომად - უმველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე. თბილისი.
- სვანიძე, მ. (2007). *თურქეთის ისტორია (1299-2000)*. თბილისი.
- ფარსადან, გორგიჯანიძე. (2022). „*საქართველოს ცხოვრება*“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი.
- ტაბატაძე, კ. (1974). *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე*. თბილისი.
- ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, (1998). ტ. I, თბილისი.
- A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400 /1401)*. (1956). (B. De Mignanelli's „Vita Tamerlani“ 1416). Translated into English with an Introduction and a Comme by Walter J. Fischel. Oriens, Vol. 9, No. 2.
- Bent, Josephine van den. (2016). „*None of the Kings on Earth is Their Equal in 'aşabiyya'*: The Mongols in Ibn Khaldūn's Works“. Al-Masāq. 28 (2).
- D. Donald Sidney Richards; Chase F. Robinson. (2003). *Texts, documents, and artefacts* [electronic resource]: Islamic studies in honour of D.S. Richards. BRILL.
- Piloti, E. (1950). L'Egypte au commencement du quinzieme sicle d'apres le Traite d'Emmanuel Piloti de Crete (Incipit 1420), ed. F. H. Dopp, Cairo.
- Muir, William. (1896). *The Mameluke; or, Slave dynasty of Egypt, 1260-1517*, A. D. Smith, Elder. Pp. 121–128. [https:// archive.org/details/in.ernet.dli.2015.54381/page/n169/mode/1up-წანა](https://archive.org/details/in.ernet.dli.2015.54381/page/n169/mode/1up-წანა) ბია. 20/08/2022.
- Margaret, Meserve. (2008). *Empires of Islam in Renaissance Historical Thought*. Harvard University Press.

- Nizam ad-Din Shami, (1937). *Histoire des Conquetes de Tamerlan intitulee Zafarndma*, ed. F. Tauer, Prague. სვევე ობოლგოთ : Шараф ад-Дин Али Йазди. Зараф-наме. Предисловие, перевод со староузбекского, комментарии, указатели и карта доктора исторических наук, профессора Ашрафа Ахмедова. Ташкент. 2008.
- Ucker, Spencer C. (2010). *Battles That Changed History: An Encyclopedia of World Conflict*. ABC-CLIO.
- ŞEREFEDDİN ALİ YEZDÎ. (2019). *Emir Timur (Zafername)*. Çeviri ve Notlar. D. Ahsen BATUR. İkinci Baskıç İstanbul. / სვევე ობოლგოთ : The Zafarndmah by Mauldn Sharfuddin Ali of Yazd, ed. Mawlawi Muhammad Iahdad, Bibliotheca Indica, 2 vols., Calcutta, 1887-1888; Vol. II, pp. 329-345; French translation by Petis de la Croix, L'Histoire du Timur Bec, Vol. III, Paris, 1722, esp. Pp. 286-347. See E. G. Browne, Persian Literature under Tatar Dominion, III, pp. 360-365; V. Barthold, Turkistan at the Time of the Mongolian Invasion, London, 1927, pp. 53-56; C. A. Storey, Persian Literature, A Bio-Bibliographical Survey, London, Section II, Fasc. 2 (1936), pp. 283-287.
- Гиясаддин, Али. (1958). *Дневник похода Тимура в Индию*. Перевод с персидского, предисловие и примечания А. А. СЕМЕНОВА.
- Илюшина, М.Ю. Шайхисламов, Т.Р. (2014). *Борьба мамлюков Египта с крестоносцами на Ближнем Востоке в XIII в.* Вестник Башкирского университета. Т. 19. №2.
- Муминов И.М.(1969). *История Самарканда*. (отв. Ред.), Ташкент;
- Хенниг, Р. (1962). *Неведомые земли*. Т. III, Москва.
- НИЗАМ АД-ДИН ШАМИ – *КНИГА ПОБЕД* (ЗАФАР-НАМЭ) – [https://www.vostlit.info/Texts/rus3/Nizamaddin /frametext.htm](https://www.vostlit.info/Texts/rus3/Nizamaddin/frametext.htm) - ბსბსბოს - 28/09/2021.

#### Referances:

- Axali Kartlis cxovreba (New Georgian History)*. (1959). T'ekst'i, dadgenilia qvela dziritadi xelnats'eris mixedvit S. Qaukhchishvilis mier.
- Tovma, Mets'opeci. (1987). *Ist'oria Temur-Lengisa da misi shtamomavlebisa (History of Tamerlane and His Successors)*. Dzveli somxuridan targmna, shesavali da k'oment'arebi daurto k'arlo k'uciam. Tbilisi.
- K'acit'adze, D. (1975). *Sakartvelo XIV-XV sauk'uneta mijnaze (Georgia at the turn of the XIV-XV centuries)*. Tbilisi.
- K'acit'adze, D. (2009). *Iranis Ist'oria III-XVIII ss. (History of Iran III-XVIII century)*. Tbilisi.
- Mamistvalishvili, E. (2016) *Jerusalimis Ts'minda Jvris Monast'ery (The Monastery of the Holy Cross in Jerusalem)*. (mesame shevsebuli gamocema). Tbilisi.
- Rui Gonsales de K'lavixos. (1992). *Cnobei Sakartvelos Shesaxeb (Record Concerning Georgia)*. Esp'anuridan Targmna, Shenishvnebi da Sadzieblebi Daurto Eldar Mamistvalishvilm. Tbilisi.
- Sakartvelos Ist'oria (History of Georgia)*. (2020). Otx T'omad – Udzvelesi Droidan XX sauk'unis Bolomde. Tbilisi.
- Svanidze, M. (2007). *Turketis Ist'oria (History of Turkey) (1299-2000)*. Tbilisi.
- Farsadan, Gorgijanidze. (2022). „*Sakart'velos Cxovreba*“ („*The Life of Georgia*“). T'ekst'i Gamosacemad Moamzada, Gamok'vleva, Shenishvnebi da Sadzieblebi Daurto Giuli Alasaniam. Tbilisi.
- T'abat'adze, K. (1974). *Kartveli Xalxis Brdzola Ucxoel Damp'qrobta Ts'inaaghmdog XIV-XV sauk'uneebis Mijnaze (The struggle of the Georgian people against foreign invaders at the turn of the 14<sup>th</sup> and 15<sup>th</sup> centuries)*. Tbilisi.
- Kartuli Dip'lomat'iis Ist'oriis Nark'vevebi (Essays on the history of Georgian Diplomacy)*. (1998). T. I, Mtavari Redakt'ori, Roin Met'reveli. Tbilisi.
- A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401)*. (1956). (B. de Mignanelli's "Vita Tamerlani" 1416). Translated into English with an Introduction and a Comme by Walter J. Fischel. Oriens, Vol. 9, No. 2.



- Bent, Josephine van den, (2016). *"None of the Kings on Earth is Their Equal in 'aşabiyya": The Mongols in Ibn Khaldūn's Works*". *Al-Masāq*. 28 (2).
- D. Donald Sidney Richards; Chase F. Robinson. (2003). *Texts, Documents, and Artefacts* (electronic resource): Islamic studies in honour of D.S. Richards. BRILL.
- Piloti, E. (1950). *L'Egypte au commencement du quinzieme sicle d'apres le Traite d'Emmanuel Piloti de Crete* (Incipit 1420), ed. F. H. Dopp, Cairo.
- Muir, William. (1896). *The Mameluke; or, Slave dynasty of Egypt, 1260-1517*, A. D. Smith, Elder.pp.121–128.<https://archive.org/details/in.ernet.dli.2015.54381/page/n169/mode/1> up – Nanaxia. 20/08/2022.
- Margaret, Meserve, (2008). *Empires of Islam in Renaissance Historical Thought*. Harvard University Press.
- Nizam ad-Din Shami. (1937). *Histoire des Conquetes de Tamerlan intitulee Zafarndma*, ed. F. Tauer, Prague. Aseve ixilet (See also): Sharaf ad-din Ali iazdi. Zafar-name. Predislovie, perevod so starouzbekskorgo, komentarii, ukazateli i karta doktora istoricheskix nauk, professora Ashrafa Axmedova. Tashkent. 2008. (in Russian).
- Ucker, Spencer C. (2010). *Battles That Changed History: An Encyclopedia of World Conflict*. ABC-CLIO.
- ŞEREFEDDİN ALİ YEZDÎ. (2019). - *Emir Timur (Zafername)*. Çeviri ve Notlar. D. Ahsen BATUR. İkinci Baskıç İstanbul./Aseve ixilet [See also]: The Zafarndmah by Mauldnd Sharfuddin Ali of Yazd, ed. Mawlawi Muhammad Ilahdad, Bibliotheca Indica, 2 vols., Calcutta, 1887-1888; Vol. II, pp. 329-345; French translation by Petis de la Croix, L'Histoire du Timur Bec, Vol. III, Paris, 1722, esp. pp. 286-347. See E. G. Browne, Persian Literature under Tatar Dominion, III, pp. 360-365; V. Barthold, Turkistan at the Time of the Mongolian Invasion, London, 1927, pp. 53-56; C. A. Storey, Persian Literature, A Bio-Bibliographical Survey, London, Section II, Fasc. 2 (1936), pp. 283-287.

- Giyasaddin, Ali. (1958). *Dnevnik Poxoda Timura v Indiyu. (Diary of Timur's campaign in India)*. Perevod s persidskovo, predislovie i primechaniya A. A. Semenova.
- Iliushina, M.YU. Shajxislamov, T. R. (2014) *Bor'ba Mamlyukov Egipta s Krestonoscami na Blizhnem Vostoke v XIII v. (The struggle of the Mamluks of Egypt with the crusaders in the Middle East in the XIII century)*. Vestnik Bashkirskogo Universiteta. T. 19. №2.
- Muminov, I. M. (1969). *Istoria Samarkanda (History of Samarkand)*, (Otv. Red.), Tashkent.
- Xenning, R. (1962). *Nevedomye Zemli (Unknown lands)*. T. III, Moskva.
- Nizam Ad-Din Shami - *Kniga Pobed (Book of Victories)* (Zafar-Name).  
<https://www.vostlit.info/Texts/rus3/Nizamaddin/frame1.htm>  
- has seen - 28/09/2021.

## On the campaign against the Egyptian Mamluks by Temur Lang in 1400-1401

George Akhalkatsishvili

Historyan / Orientalist,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, Georgia.

### Abstract.

The end of the 14th century and the beginning of the 15th century are considered a very difficult period in the Middle East region, when a number of powerful Islamic states tried to gain hegemony. During this period, the campaigns of Temur-Leng (1370-1405) caused great damage to the Middle East, including the Mamluks of Egypt. The history of Temur-Leng's campaigns against the Mamluks has not been studied in detail in Georgian historiography.

We find information translated into Georgian in the work of the Armenian historian Tovma Metsofets (1378-1446) – „History of Temur-Leng and his descendants“ (Thomas of Metsoph. 1987)- and in the work of the 17th century Georgian historian Parsadan Gorgijanidze - "Life of Georgia" (Parsadan Gorgijanidze. 2022: 251-253). We also get information about this matter through historians of non-Eastern origin - Persian and Arab. Among the Persian historians, the work Zafar nama ("The Book of Victory") (Nizam ad-Din Shami, 1937: 230-237) by Nizam ad-Din Shami, a historian of the court of Temur, created before Temur's death in 1405, and Zafername („The Book of Victory“) by Sharaf ad-Din Ali 'al-Yazd, published in 1424, are notable (Şerrfeddin Ali Yezdi, 2019). As for Arab historians: Kalkashandi (1355-1418), Makriz (1364-1442), Ibn Qadi Shuhba (1377-1448), Ibn Hajar 'al-Askalan (1372/73 - 1449), Ibn Arabshah (1389-1450), In the works of 'Al-Ain (1451), Ibn Taghri Berdi (1411-1469), As-Sakhavi (1497) and Ibn Yas (1524) there are reports about Temur's campaigns against the Mamluks in Syria (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 202). Arab historians are evidently familiar with and share the accounts of Nizam ad-Din Sham and Sharaf ad-Din Ali 'al-Yazd regarding the capture of Damascus.

But unlike the Persian historians, and because of their own background, they refer to Temur-Leng as „the tyrant“ and „the scourge of the earth“. (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 203).

More complete and detailed information can be found in the accounts of Bertrand de Mignanelli, an Italian merchant living in Damascus, who personally knew the Mamluk Sultan Barquq (Sultan 1382–1389 and 1390–1399) and spoke Arabic well (D. Donald Sidney Richards; Chase F. Robinson, 2003: 258). After Bertrand's return to Italy (1416), he publishes his work in Latin – „The Life of Temur-Leng“ („Vita Tamerlani“), which was translated into English, studied with notes and comments by Walter J. Fishel. Also noteworthy is the account of one of the Italian merchants, Emanuele Piloto (1371- ca. 1441), whose trading area extended to the Eastern Mediterranean region. He spent almost twenty-two years in Mamluk Egypt, during which time he had to meet with Sultan Faraj several times and witnessed Temur's campaign in Syria (E. Piloti, 1950: 119-121). By studying and analyzing the literature listed above, we tried to provide information about the exact date of Temur-Leng's raids on the Mamluk Sultanate and the events that took place.

On June 20, 1399, Mamluk Sultan Saif ad-Din Barquq (1390-1399) died. When Temur-Leng, who was in India, heard this news, he immediately decided to march to Syria (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 201-202). Before sacking the Syrian cities, Timur first sent an ambassador to Damascus, who was executed by the governor of Damascus, Sudun, appointed by the new Mamluk Sultan - Nasir ad-Din Faraj (1399-1405 /1405-1412)(<https://www.britannica.com/event/Battle-of-Aleppo-1400>) . Mamluk rule failed to properly assess Lang's forces. This time they had to deal with a much stronger and more ruthless enemy than in the battles with Ayun Jalut in 1260 or Albistan in 1277.

In 1400, Lang started a war with the Mamluk sultan and sent his own army to Syria, who captured Aleppo (Hallab) in November and carried out a brutal massacre there, erecting towers of 20,000 skulls near the city walls (<https://www.britannica.com/event/Battle-of->

Aleppo-1400). Lang's plans did not include Aleppo alone, after subduing the latter, his cavalry moved south and conquered Hama, Homs, Baalbek (ucker, Spencer C. 2010: 140), Sivas, Malatya (in September 1400) and made his way to Damascus (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 209).

After the victory over Damascus, Temur's army besieged the city, which is why the defeated sultan sent the great historian and philosopher Ibn Khaldun (1332-1406) as an ambassador from Cairo to the enemy's camp, who conducted unsuccessful peace negotiations with the enemy. His records, like Mignanelli's, are most noteworthy because, unlike other historians of the period, Khaldun was an eyewitness to the events unfolding there. He is therefore specially qualified to convey the picture of the siege and conquest of Damascus (A New Latin Source on Tamerlane's Conquest of Damascus (1400/1401), 1956: 203).

If we rely on the report of Farsadan, which we quoted above, in the winter of 1401, Lang is in Baghdad and from there he plans to march to western Georgia in order to subjugate the fortress of Alinji, which is in the hands of the Georgians (Parsadan Gorgijanidze, 2022: 253). He moves from Baghdad to Tabriz, where he rests his army for four months before the campaign and enters Georgia by spring, which is confirmed by Nizam ad-Din Shami.

Based on the sources and materials provided in the work, it is possible to draw the following chronological conclusion:

Temur Lang's attack against the Mamluks, the subjugation of the city of Aleppo, as well as the battle with the city of Damascus and the conquest of the latter were carried out in the fall and early winter of 1400;

Temur's campaign against the Mamluks and the big battles between them took place mainly in the territory of Syria, but the victory over Damascus pushed Temur's army to the south as well, as a result of which he took Jerusalem by 1400 and went from there to bless the holy cities of Mecca and Medina in 1401.

**Keywords :** Timur; Timurid Empire; Mamluks of Egypt; The Middle East in the Middle Ages.

ჩინური პოლიტიკური და ინტელექტუალური ჯგუფები  
გვიანდელ ცინგის დინასტიასა და რესპუბლიკურ ჩინეთში

**შალვა ჩიხლაძე**

პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტი, სინოლოგი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

**ნელი ახოზაძე**

სინოლოგი, ჩინეთის ისტორიის მკვლევარი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

**აბსტრაქტი.**

მეცხრამეტე საუკუნე გამორჩეული პერიოდია გლობალური ისტორიისთვის. იმ პერიოდში მომხდარმა ტექნოლოგიურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა სერიოზული კვალი დააჩინა მსოფლიოს ხალხთა განვითარებას. ეს პერიოდი ასევე მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად კრიტიკული გამოდგა ჩინეთის იმპერიისთვისაც. მსოფლიო წესრიგს მიღმა არსებულმა უზარმაზარმა სახელმწიფოს პოლიტიკურმა ელიტამ ზუსტად ვერ გაიაზრა გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებები, არ გახსნა რა საკუთარი ქვეყანა იმ დროინდელი წამყვან ქვეყნებთან სავაჭროდ, აღმოჩნდა მიმდინარე პროცესების მიღმა. ამასთან ერთად, დიდი ბრიტანეთის სურვილი ჩინურ ბაზარზე წვდომაზე იმდენად დიდი იყო რომ მათ ოპიუმის ვაჭრობის ხაზის დასაცავად ომიც კი დაიწყეს.

დასავლეთთან არსებულმა ანტაგონისტურმა და ზოგ შემთხვევაში მშვიდობიანმა ინტერაქციამ ჩინურ საზოგადოებაშიც გააჩინა რამდენიმე დასი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა, რომლებიც განსხვავდებოდნენ ხედვებით, ღირებულებ-

ბებით, სოციალური კლასითა და მოქმედების ტაქტიკით, თუმცა მათ აერთიანდათ ერთი რამ, ჩინური სახელმწიფოს მოდერნიზება და განვითარება ისე რომ საგარეო აქტორებს აღარ მისცემოდათ შესაძლებლობა არათანაბარ პირობებში ემყოფებინათ „ცენტრალური სამეფო“. ჩინელი ინტელექტუალების რამდენიმე დასად დაყოფა პირობითია და მიზნად ისახავს იმ განმასხვავებელი ნიშნების უკეთ გამოკვეთას რაც გვიანდელი ცინგის პერიოდისა და ადრეული რესპუბლიკისას ჩინურ პოლიტიკურ კლასს გააჩნდა. ოთხ დასად დაყოფა ერთი მხრივ ქრონოლოგიურ აღქმას აადვილებს, მეორე მხრივ თითოეული დასის წევრებს ჰქონდა მეტნაკლებად საერთო ხედვები, ღირებულებითი სისტემა და მოქმედების სტრატეგია.

პირველი დასი - ლინ წესუ, წენგ კუოფენი, მე-19 საუკუნის 40-იანი და 60-იანი წლები.

მეორე დასი - ქანგ იოვეი და ლიანგ ციჩაო. მე-19 საუკუნის 90-იანი და მეოცე საუკუნის 10-იანი წლები.

მესამე დასი - სუნ იატსენი და რესპუბლიკელი რევოლიციონერები. მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლები.

მეოთხე დასი - პირველი თაობის სოციალისტები (ჩენ ტუსიოუ, ლი ტაჭაო და ა.შ) მეოცე საუკუნის 20-იანი წლები.

ზემოთხსენებული ცალკეული ინდივიდები და მათი მიმდევრები ჩინური საზოგადოების ჭრელ პალიტრას აერთიანებდნენ. კვლევაში გამოყოფილია თითოეული დასის მახასიათებლები, ღირებულებითი სისტემის მიხედვით დააჯგუფებულია ისინი საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლის მიხედვით, რაც დაეხმარება ქართულენოვან აუდიტორიას უფრო სიღრმისეულად გაიაზროს ჩინური პოლიტიკური ისთებლიშმენტის იდეოლოგიურ-ღირებულებითი გრადაცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცეს დასაწყისში.

**საძიებო სიტყვები:** ჩაგვრის საუკუნე; სინხაის რევოლუცია; ჩინელი ინტელექტუალები; ნეო-კონფუციონიზმი; ცინგის დინასტია; ჩინეთის რესპუბლიკა.



## შესავალი.

მეცხრამეტე საუკუნე გამორჩეული პერიოდია გლობალური ისტორიისთვის. იმ პერიოდში მომხდარმა ტექნოლოგიურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა სერიოზული კვალი დააჩინა მსოფლიოს ხალხთა განვითარებას. ეს პერიოდი ასევე მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად კრიტიკული გამოდგა ჩინეთის იმპერიისთვისაც. მსოფლიო წესრიგს მიღმა არსებულმა უზარმაზარმა სახელმწიფოს პოლიტიკურმა ელიტამ ზუსტად ვერ გაიზრა გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებები, არ გახსნა რა საკუთარი ქვეყანა იმ დროინდელი წამყვან ქვეყნებთან სავაჭროდ, აღმოჩნდა მიმდინარე პროცესების მიღმა. ამასთან ერთად, დიდი ბრიტანეთის სურვილი ჩინურ ბაზარზე წვდომაზე იმდენად დიდი იყო რომ მათ ოპიუმის ვაჭრობის ხაზის დასაცავად ომიც კი დაიწყეს.

დასავლეთთან არსებულმა ანტაგონისტურმა და ზოგ შემთხვევაში მშვიდობიანმა ინტერაქციამ ჩინურ საზოგადოებაშიც გააჩინა რამდენიმე დასი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა, რომლებიც განსხვავდებოდნენ ხედვებით, ღირებულებებით, სოციალური კლასითა და მოქმედების ტაქტიკით, თუმცა მათ აერთიანებდათ ერთი რამ, ჩინური სახელმწიფოს მოდერნიზება და განვითარება ისე რომ საგარეო აქტორებს აღარ მისცემოდათ შესაძლებლობა არათანაბარ პირობებში ემყოფებინათ „ცენტრალური სამეფო“. ჩინელი ინტელექტუალების რამდენიმე დასად დაყოფა პირობითია და მიზნად ისახავს იმ განმასხვავებელი ნიშნების უკეთ გამოკვეთას რაც გვიანდელი ცინგის პერიოდისა და ადრეული რესპუბლიკისას ჩინურ პოლიტიკურ კლასს გააჩნდა. ოთხ დასად დაყოფა ერთი მხრივ ქრონოლოგიურ აღქმას აადვილებს, მეორე მხრივ თითოეული დასის წევრებს ჰქონდა მეტნაკლებად საერთო ხედვები, ღირებულებითი სისტემა და მოქმედების სტრატეგია.

## მეთოდი.

სტატია ეყრდნობა მეორეულ წყაროებს და შედარებითი ანალიზის მეშვეობით მიმოიხილავს ჩინეთში ინტელექტუალური და პოლიტიკური ჯგუფების შექმნასა და მათ ისტორიულ მემკვიდრეობას. დასავლელ და ჩინელ ავტორებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ის ძირითადი ისტორიოგრაფიული ნარატი-

ვები რაც ამა თუ იმ ჯგუფზე არსებობდა და არსებობს მეოცე საუკუნის აკადემიურ წრეებში, რაც საკითხის უფრო ფართო პრიზმიდან დანახვის საშუალებას იძლევა.

### **შედეგები.**

სტატია პირველი ქართულენოვანი ნაშრომია, რომელიც აღწერს „ჩაგვრის საუკუნეში“ ინტელექტუალური და პოლიტიკური ჯგუფების შექმნის წინაპირობებს, მათ ღირებულებით სისტემას და საზოგადოებრივ საქმიანობას. კვლევა ნათელს ფენს პოლიტიკური აზრის გრადაციის მიზეზებს პირველი ოპიუმის ომიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე.

### **დისკუსია.**

#### **პირველი დასი-რეაქცია ოპიუმის ომებსა და თაიფინგის აჯანყებაზე**

ინდუსტრიალიზაციის პირველ ეტაპზე, როდესაც ორთქლის ძრავები პლანეტის დასავლური ნაწილის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას ახდენდა, მანჯურიელთა დინასტია აგრძელებდა ცხოვრებას საკუთარი იზოლაციონისტური და განდევილი პოლიტიკური წესრიგით. იმ პერიოდის კოლონისტური ძალები, იაზრებდნენ რა პლანეტის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოსთან ვაჭრობის მომგებიანობას, თავდაპირველად ცდილობდნენ მანჯურიელთა იმპერია ვესტფალიურ წესრიგში მოექციათ. სწორედ ამას ეძღვნებოდა ბრიტანელი დესპანის დიპლომატიური ვიზიტი ჩინეთში, სადაც ლონდონი დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობებს მოითხოვდა ე.წ კანტონური<sup>2</sup> სისტემის მიღმა (Bose, 1961). ჩინური პოლიტიკური ელიტისთვის აბსოლუტურად უცხო აღმოჩნდა თანასწორუფლებიანი სავაჭრო ურთიერთობები, რადგან საუკუნეების განმავლობაში ისინი შეჩვეულნი იყვნენ ე.წ „ძღვენის სისტემას“<sup>3</sup> სადაც იმპერატორი „ზეციური მანდატის

---

<sup>2</sup> კანტონური სისტემა - სავაჭრო სისტემა ცინგის დინასტიაში, სადაც უცხოელთათვის გახსნილი იყო მხოლოდ კანტონის (გუანგჰოუს პორტი), ხოლო ვაჭრობა. მიმდინარეობდა ჩინური სავაჭრო გილდიის ქოპონგის ვაჭრებსა და ბრიტანეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას შორის.

<sup>3</sup> ძღვენის სისტემა - ანალოგი დასავლური ვასალური სისტემისა, სადაც ჩინეთის იმპერიის მეზობელი მმართველები აღიარებდნენ იმპერატორის უზენაესობას და საჩუქრებს უგზავნიდნენ მათ, თუმა არ ჰქონდათ სუვერენიტეტის დათმობის ან სხვა მგასვის ვალდებულება.

ლეგიტიმაციის“ მქონე მმართველია, შესაბამისად მსგავსი კავშირები უბრალოდ წარმოუდგენელი იყო მათთვის (Feirbank, 1941).

მანჯურიელთა უარის შემდგომ რამდენიმე ათეული წელი აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია ეტაპობრივად აგებდა კონტრაბანდის ქსელს კანტონის სისტემაში. ქსელში მონაწილეობდნენ ადგილობრივი კორუფციონერი მოხელეები და ბრიტანელი კომერსანტები, შედეგად მეცხრამეტე საუკუნის 20-30 წლებში ოპიუმით ვაჭრობა კომპანიის მთავარი პროფილი გახდა. მდგომარეობა იმდენად საგანგაშო იყო რომ იმპერატორმა სამხრეთში ჩინური პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ლინ წესუ მიავლინა, რათა მას აღეკვეთა ნარკოტიკით უკანონო ვაჭრობა (Derks, 2012).

სტატიის მთავარი მიზანი არ არის ოპიუმის ომების ანალიზი, თუმცა პირველი დასის ინტელექტუალების ასპარეზზე გამოსვლა სწორედ ამ პერიოდს ეხება. ფაქტობრივად ლინ წესუ პირველი ჩინელი სახელმწიფო მოხელე იყო, რომელიც სისტემურად დაუპირისპირდა კოლონიალიზმს, მიუხედავად იმისა რომ მისმა ხისტმა ნაბიჯებმა პირველი ოპიუმის ომი გამოიწვია, ის მაინც პოზიტიურ ფიგურად რჩება ჩინური ისტორიოგრაფიისთვის, როგორც კონტინენტურ ჩინეთში ასევე თაივანზეც. ღირებულებითი პრიზმიდან, ლინ წესუ კონფუციონისტური იდეების ერთგული, ხანლინის აკადემიის სკოლა გამოვლილი სახელმწიფო ბიუროკრატია. მან გაიარა ყველა საჭირო იერარქიული საფეხური და მიაღწია გუბერნატორის სტატუსს. ოპიუმის ომში განცდილი მარცხის პარალელურად და შემდეგაც ლინი ცდილობდა ბრიტანური ტექნოლოგიები და ცოდნა ჩინეთში გადმოეტანა (Swisher, 1958). მისი ხედვით ჩინეთს აქტიურად უნდა შეემეცნა სამყაროს შესახებ დაგროვილი ცოდნა და გამოეყენებინა საკუთარი სახელმწიფოებრიობის სამსახურში. ამ მიზნით მან შექმნა სამუშაო ჯგუფები დაიწყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის თარგმნა ჩინურად. მისი ავტორობით შექმნილი „მსოფლიოს გეოგრაფია“ და სხვა ნაწარმოებები სავალდებულო საკითხავი გახდა ჩინელი ავტორებისთვის. ამასთან ერთად ლინმა დაიქირავა უცხოელი სამხედრო-ინჟინრები რომ ჩინური ფლოტის ტრანსფორმაცია მოეხდინათ. ლინ წესუსთვის უცვლელი რჩებოდა უძველესი

ჩინური შეგონება “yi yi zhi yi 以夷制夷” გამოიყენე ბარბაროსები, ბარბაროსების წინააღმდეგ“. მან უძველესი ჩინური სენტენცია მოარგო იმ დროინდელ გამოწვევებს: „გამოიყენე ბარბაროსების ტექნოლოგიები, ბარბაროსების წინააღმდეგ“ (Swisher, 1958). ლინ წესუ აღმოჩნდა პირველი სახელმწიფო მოხელე, რომელმაც დავიანებით და მარცხის შემდგომ თუმცა მაინც დაიწყო დასავლური ტექნოლოგიების გადმოღება, ამასთან ერთად მისთვის მიუღებელი იყო ის იდეები და ღირებულებები რაც ბარბაროს უცხოელებს ჰქონდათ. ლინისთვის ჩინეთში არსებული ღირებულებითი სისტემა კონფუციონისტური ეთიკითა და კონსერვატივიზაციონისტური იდეებით სავსებით მისაღები იყო, თუმცა დამატებით ხაზს უსვამდა იმ დროინდელი ჩინური საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ ჩამორჩენას ბარბაროსებთან შედარებით. საბოლოო ჯამში პირველი დასის პირველი ინტელექტუალური სახელმწიფო მოხელე ლინ წესუა, რომელიც ღირებულებით და იდეოლოგიური კუთხით ერთგული რჩება ჩინურ-მანჯურიული სისტემის, თუმცა იაზრებს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, ცდილობს აქტიურად გამოიყენოს დასავლური ცოდნა ქვეყნის სასარგებლოდ.

პირველი დასის შემდეგი წარმომადგენელი წენგ კუოფენია (曾国藩 Zeng Guofan). წენგ კუოფენი წინააღმდეგობრივი ფიგურა იყო და არის ჩინეთის ისტორიისთვის. არა მხოლოდ თანამედროვე ან პოსტკომუნისტურ საზოგადოებაშია განსხვავებული ხედვები მის მიმართ, არამედ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეულ წელშიც კი იწვევდა დისკუსიას. სახელდობრ, ინტელექტუალების მეორე დასისთვის ის იყო კონფუციონისტი მოდერნისტი და მისი აქტივობები იყო ხსნა ეროვნული ერთიანობისთვის, მეორე დასის ნაციონალისტი რევოლუციონერები კი მას მანჯურიელთა სათამაშოსა და მტარვალს ადარებდნენ. ახალგაზრდა მაო ძე დუნი კი ხოტბას ასხამდა როგორც ერთადერთ და ეფექტურ სახელმწიფო მოხელეს მეცხრამეტე საუკუნის შუა წლების (Guo & He, 1999).

მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლები პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით დაიწყო. პირველი ოპიუმის ომის შემდგომ, გახშირდა შიდა დაპირისპირებები ეთნოსებს და სხვადასხვა

ინტერესს ჯგუფებს შორის, რომელიც სხვადასხვა დროს გადაიზარდა აჯანყებებსა და სამხედრო კონფლიქტში. ერთ-ერთი მსგავსი აჯანყება ისტორიაში ცნობილია როგორც „თაიფინგის აჯანყება 太平起义“. თაიფინგის აჯანყება რელიგიურ-ნაციონალისტური რეაქცია იყო მანჯურიელთა მმართველობაზე. თავდაპირველად აჯანყების ლიდერი ხონგ სუეცუენი ეგალიტარიზმის იდეით აერთიანებდა ათასობით მის მომხრეს, თუმცა ჟანრის კანონის მიხედვით ბოლოს ტირანიით დაასრულა. აჯანყების ქვაკუთხედად სოციალური და ეკონომიკური ეგალიტარიზმი იმდენად მომხიბვლელი ჩანდა დასავლური ინტელექტუალებისთვის რომ კარლ მარქსმაც 1853 წელს ცალკეული პუბლიკაცია „Revolution in China and In Europe“ მიუძღვნა, სადაც ის აჯანყებას რევოლუციას ადარებდა (Marx, 1853). თაიფინგის აჯანყება 15 წელიწადს გაგრძელდა და ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სამხედრო კონფლიქტი გამოდგა. 15 წლის განმავლობაში აჯანყებულები სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში აკონტროლებდნენ ანკლავს, რომელიც იყო სახელმწიფო სახელმწიფოში. სწორედ ეს უზარმაზარი გამოწვევა მოაცილა საიმპერატორო კარს წენგ კუოფენმა და მის მიერ შექმნილმა „სიანგის 湘軍“ არმიამ. განსხვავებით ლინ წესუსგან, წენგ კუოფენი ღარიბი ფერმერის ოჯახში დაიბადა, ის არ ყოფილა შთამომავლობით დიდგვაროვანი. თუმცა იმპერიაში არსებულმა ნაწილობივი მერიტოკრატიული სისტემით მოახერხა სამხედრო კარიერის გაკეთება. ის ადრეული ეტაპიდან ჩაუდგა ჩინელი ინტელექტუალების მოძრაობას „თვითგაძლიერება“, რომელიც გულისხმობდა ჩინური საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას თანამედროვე პროცესების შესაბამისად. თანადროულად, წენგი იყო იმ იშვიათ გამონაკლისებში რომლებიც ერთდროულად იყვნენ როგორც სამხედრო პირები ასევე მეცნიერ-რეფორმატორები. თაიფინგის აჯანყების დროს, სწორედ წენგ კუოფენის შექმნილმა საპოლიციო ძალებმა გამოიჩინა მაღალი ბრძოლისუნარიანობა, მეტიც საპოლიციო ძალებს ის დასავლელი ოფიცრების დახმარებით წვრთნიდა, ამასთან ერთად მისი სამეცნიერო ჯგუფი თარგმნიდა ლიტერატურას გამოყენებითი მეცნიერების, მათემატიკის და სხვა მიმართულებით. აჯანყების დროს არაერთხელ მიიღო რჩევა უცხოელთა

დაქირავებული ჯგუფების გამოყენების შესახებ თუმცა სასტიკ უარზე იყო (Swisher, 1958). სამხედრო მოდერნიზაციის მიღმა, საგულისხმოა წენგ კუოფენის საგანმანათლებლო რეფორმები, რომელიც 60-იანი წლების ჩინეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. რეფორმებს შორის საგულისხმოა:

ტექნიკური და გამოყენებითი მეცნიერების ლიტერატურის თარგმნა.

ჩინელ სტუდენტთა პირველი ჯგუფების გაგზავნა უცხოეთში სასწავლებლად.

რკინიგზის, გზებისა და ხიდების მშენებლობის დასავლური გამოცდილების აქტიურად დანერგვა ჩინეთში.

ღირებულებითი პრიზმიდან წენგ კუოფენი ტიპური ნეო კონფუციონისტია, რომელიც აზროვნებით დარწმუნებულია ტრადიციული კონფუციონისტური მორალისა და ეთიკის უპირატესობის დასავლურზე. მსგავსად ლინ წესუსა, ისიც იაზრებს დასავლური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უპირატესობას და ცდილობს ჩინეთში დანერგოს, თუმცა იდეოლოგიური კუთხით არ იზიარებს დასავლეთში არსებულ მმართველობით თუ სხვა ტიპის მიდგომებს. ამასთან ერთად წენგ კუოფენი ცდილობდა კონფუციონისტური კლასიკური ტექსტების თარგმნასა და უფრო ძლიერად დანერგვას მმართველობით სისტემაში. საგულისხმოა ჩინურ ისტორიოგრაფიაში კუოფენის წინააღმდეგობრივი შეფასება. ყველაზე მკაცრი მის შეფასებაში რესპუბლიკელი ნაციონალისტები (სუნ იატსენისა და ჩან კაიშის გუნდი) იყვნენ. ისინი წენგს მანჯურიელთა ლაქიად და ჩინელების ტირანად მიიჩნევდნენ. ცოტათი კომპლექსურია კომუნისტური ისტორიოგრაფია, ერთი მხრივ ისინი თითქოს უთანაგრძნობდნენ ჩაგრულ ჯგუფებს, რომლებიც სხვადასხვა დროს აჯანყდნენ იმპერატორის წინააღმდეგ, მეორე მხრივ ცდილობდნენ მარქსისტული პრიზმიდან ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც განსაკუთრებით გამოყოფდა ხანელების შევიწროებას როგორც ჩაეცხროთ. აქედან გამომდინარე კომუნისტების მხრიდან კუოფენის შეფასება მეტნაკლებად ნეიტრალურია (Guo & He, 1999).

**მეორე დასი - კონსტიტუციონალისტი რეფორმატორები; ქანგ იოვეი, ლიანგ ციჩაო**

პირველი და მეორე დასის წარმომადგენლების მცდელობის მიუხედავად ჩინეთის იმპერიაში სიღრმისეული ცვლილებები ვერ განხორციელდა. ტექნოლოგიების გადმოღების მცდელობა რაღაც ეტაპზე წარმატებული გამოდგა, თუმცა სრულფასოვანი მოდერნიზაციის გარეშე ლიმიტირებულმა რეფორმებმა რეალური პროგრესი ვერ გამოიწვია. მიდგომა რომლის მიხედვითაც მმართველობითი სისტემა ძველ ყაიდაზე რჩებოდა, ხოლო ჯარისკაცების დასავლური იარაღით აღჭურვა მოხდებოდა არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩინეთის იმდროინდელი საფრთხეებისთვის. სამხედრო კონფლიქტმა ჯერ საფრანგეთთან და შემდგომ უკვე იაპონიასთან დაადასტურა ზემოთხსენებული (Eastman, 1968).

მეცხრამეტე საუკუნის ჩინეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სისტემა ვერ უძლებდა კრიტიკას და უკვე ყველასთვის ცხადი ხდებოდა რომ ინდუსტრიალიზაციის ეპოქისთვის ქვეყნის მმართველობის მოდელი სრულიად შეუსაბამო და არაეფექტური იყო. უცხო ქვეყნების მხრიდან კი გრძელდებოდა ცინგის დინასტიის იძულება მოეწერათ ამა თუ იმ ხელშეკრულებაზე ხელი. თანადროულად იაპონიაში მიმდინარე მეიძის რესტავრაციამ კარგად აჩვენა ის სიკეთეები რაც გლობალურ პროცესებში ნებაყოფლობით ინტეგრაციას მოჰქონდა. ამ და კიდევ ბევრმა ფაქტორებმა საფუძველი დაუდო ზომიერი რეფორმატორების გუნდის გააქტიურებას, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის იდეებს, მმართველობითი ფორმის საფუძვლიან რეფორმასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას ემხრობოდნენ.

### **რეფორმატორთა მოძრაობა**

იაპონიის მეიძის რესტავრაცია აღმოსავლეთ აზიელი ხალხებისთვის პოლიტიკური შთაგონების წყარო გახდა. რეფორმებმა აჩვენა რომ შესაძლებელია საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაცია რევოლუციების, ომებისა და მასშტაბური სისტემური ქაოსის გარეშე. სწორედ ეს ხედვა გახდა დომინანტი ახალი თაობის ჩინელ ინტელექტუალებში, რომლებიც წინა თაობის ხედვას „გამოიყენე ბარბაროსების ტექნოლოგიები ბარბაროსების წინააღმდეგ“ მოძველებულად და არაადაქვბათუ-

რად მიიჩნევდნენ. მეიძის რესტავრაციასთან ერთად, კიდევ ერთი მოვლენა რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა ჩინელ ინტელექტუალებზე ჩინეთ-იაპონიის ომი და შიმონოსეკის ხელშეკრულება გახლდათ. სწორედ ტრადიციული ჩინური მმართველობის კრიზისი გახდა ახალი კატალიზატორი რეფორმების მოძრაობისა.

1885 წელს ქანგ იოვეიმ, რომელიც საჯარო მოხელე იყო მის ირგვლივ მოიკრიბა ახალგაზრდა საჯარო მოხელეების დიდი ჯგუფი. ახალგაზრდა ტექნოკრატები სამეფო კარს მიმართავდნენ და სახელმწიფო მმართველობისა და ბიუროკრატის საფუძვლიან რეფორმას მოითხოვდნენ. ქანგ იოვეიმ დაიწყო ახლებური, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია კონფუციონისტური ტექსტები, საფუძველი დაუდო ერთგვარ „ნეო კონფუციონიზმს“, სადაც ფილოსოფიის ამოსავალი ისევ კლასიკური ტექსტები იყო, თუმცა გააზრებული სრულიად ახალი პრიზმიდან (Wong, 1992). ქანგი ევალიტარიზმის კონფუციონისტურ იდეას პროპაგანდირებდა, რომელიც სათავეს „ლი ძი“<sup>4</sup>-დან იღებს. ლი ძის ერთ-ერთ თავში „ლი იუნ“ საუბარია ტა თონგის კონცეფციაზე (大同), რომელიც შესაძლოა ითარგმნოს როგორც დიდი ერთიანობა, ხალხთა დიდი გაერთიანება, დიდი თანამეგობრობა და ა.შ. ტა თონგი არის ერთგვარი მდგომარეობა ევალიტარული და ჰარმონიული საზოგადოების, რომელიც იმართება ხალხის მიერ გამორჩეული მმართველით. მმართველი, რომელიც დაჯილდოვებულია უმაღლესი მორალური ღირსებითა და სათნოებით. დიდი ერთიანობის საზოგადოება დაცლილია ყოფიერი ბოროტებისგან, იქ ზრუნავენ არა მხოლოდ საკუთარ ოჯახის წევრებზე, არამედ უცხოებზე და მოწყვლად ჯგუფებზეც კი (Greel, 1949).

ქანგ იოვეის ინტერპრეტაციით, რომელსაც იმ დროინდელი საზოგადოების ნაწილი იმთავითვე უტოპიურად მიიჩნევდა; მმართველობის ისეთი ტიპის ტრანსფორმაცია უნდა მომხდარიყო, სადაც არ იქნებოდა სქესის, რასის, ეთნიკური თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნით დისკრიმინაცია. იოვეის ევალიტარიზმი ერთი

---

<sup>4</sup> ლი ძი, 礼记 -ანუ "რიტუალების წიგნი" - კონფუციანური კანონიკური ხუთწიგნეულიდან ერთ-ერთი, რომელშიც აღწერილია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რელიგიური წეს-ჩვეულებები, სხვადასხვა რიტუალები და ა.შ.



მხრივ მოდერნული იყო, მეორე მხრივ არ კარგავდა მჭიდრო კავშირს წარსულთან. მისი ნეოკონფუციონისტური იტერპრეტაციები უახლოვდება სოციალისტურ იდეებს, რომელიც სულ უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. სწორედ ამის გამო ახალგაზრდა მათ დედუნი ხოტბას ასხამდა „ტათონგშუს“- წიგნს დიდი გაერთიანების შესახებ (Wong, 1992).

ნეო კონფუციონისტურ იდეოლოგიურ ბაზისთან ერთად ქანგ იოვეი აქტიურად ლობირებდა ზემოდან ქვემოთ რეფორმას. 1880-იანი წლების ჰონგ-კონგის მონახულების შემდგომ მისთვის ნათელი გახდა რომ ჩინური საზოგადოება პოლიტიკური ელიტის მეთაურობით აცდენილი იყო გარესამყაროს, ის ვერ გადარჩებოდა თუ არ დაიწყებდა საფუძვლიან გარდაქმნას. გამომდინარე იქედან რომ ქანგი უბრალოდ მოქალაქე არ იყო, მას ხელი მიუწვდებოდა საიმპერატორო კართან, მიუხედავად მანდარინთა ცენზურისა ის პეტიციას პეტიციაზე აგზავნიდა და ახალგაზრდა იმპერატორ კუანგსუს მის ხედვებს სთავაზობდა. საგულისხმოა რომ ქანგ იოვეის მოდერნისტული ხედვები არ მოიცავდა მხოლოდ ადმინისტრაციულ რეფორმებს, ის იმ კულტურულ ტრადიციებსაც უპირისპირდებოდა რომელიც უკვე ყავლგასულად და არქაულად მიაჩნდა. ერთ-ერთი მსგავსი ტრადიცია გოგონების ფეხების მომტვრევის ტრადიცია გახლდათ, რომელიც ჩინურ კულტურაში სილამაზის სტანდარტად ითვლებოდა და მილიონობით ბავშვს ფეხს უმტვრევდნენ, რათა ძვალს ზრდა შეეწყვიტა. იოვეიმ არამხოლოდ საკუთარ ქალიშვილზე არ დაუშვა მსგავსი ტრადიცია, არამედ თანამოაზრეებთან ერთად ცდილობდა ჩინური საზოგადოება დაერწმუნებინა მეთოდის სისასტიკეში (Wong, 1992). 80-იან წლებშიც და მანამდეც არაერთი ჩინელი ინტელექტუალი გამოსულა რეფორმების იდეით, თუმცა მათი იდეა საიმპერატორო საბჭოზე არასდროს გასულა, ქანგის წერილები ვენგ თონგხეს ყურადღების ცენტრში მოექცა, რომელიც იმპერატორის პირადი პედაგოგი და საიმპერატორო საბჭოს გავლენიანი წევრი იყო. სწორედ ვენგ თონგხეს გავლით გაეცნო ახალგაზრდა კუანგსუს მოდერნულ იდეებს, რომელმაც მალე მთელი გუნდი შემოიკრიბა და განიზრახა ჩინეთის იმპერიის საფუძვლიანი გარდაქმნა ზემოდან ქვემოთ.

1894-1895 წლებში იაპონიასთან ომის შემდგომ სამეფო კარზე გაჩნდა ორი ფრაქცია: იმპერატორის ფრაქცია და დედოფალ ცისის ფრაქცია (ე.წ. კონსერვატორი ქორები). ხედვები კონსერვატორ და რეფორმატორ პოლიტიკოსებს შორის სულ უფრო ანტაგონისტური ხდებოდა 1898 წელს იმპერატორის მიერ გაცხადებული რადიკალური ადმინისტრაციული რეფორმების გამოცხადებით დაგვირგვინდა. იმპერატორის ფრაქციაში ქანგ იოვეისთან ერთად შედიოდნენ უფროსი თაობის პოლიტიკოსებიც, ისეთები როგორც იყო შანსის გენერალ-გუბერნატორი ჭანგ ჭიტონგი. ჭანგი გახდა მთავარი დამფინანსებელი ქანგ იოვეის მოძრაობისა.

ქანგ იოვეის რეფორმების პაკეტში თავდაპირველად პარლამენტის მსგავსი სათათბიროს მოწყობაც შედიოდა, თუმცა მოგვიანებით მან თავი შეიკავა პარლამენტარიზმის აქტიური ლობისგან, რადგან შიშობდა რომ კონსერვატორები მოახერხებდნენ უმრავლესობის მოპოვებას და დაასუსტებდნენ იმპერატორის გავლენას. მიუხედავად იმისა რომ რეფორმატორთა გუნდი ყოველდღიურად იზრდებოდა, ისინი მაინც უმცირესობაში იყვნენ ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ მიუხედავად ქანგის აქტიურობისა მასთან ერთად ბევრი საჯარო მოხელე იყო რეფორმატორთა მოძრაობაში, მათ შორის უმაღლესი რანგის კონფუციონისტი მოხელეებიც (თონგ ხე, ჭანგ ჭიტონგი და ა.შ).

რეფორმატორთა ფრაქციისგან შეგულიანებულმა იმპერატორმა რეფორმების აქტიური გატარება დაიწყო. ადმინისტრაციულ-მმართველობითი პოლიტიკა ფაქტობრივად შეეხო საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს, გეგმის მიხედვით:

- ❖ უნდა გაუქმებულიყო ტრადიციული საგამოცდო სისტემა.
- ❖ დაარსებულიყო პეკინის უნივერსიტეტი, სადაც კონფუციონისტურ კლასიკურ ტექსტებთან ერთად ისწავლებოდა დასავლური თავისუფალი მეცნიერებები.
- ❖ პროვინციებში სასოფლო სასწავლებლების დაარსება, რომელიც მოამზადებდა ახალგაზრდა პროფესიონალებს და გაზრდიდა მოსავლიანობას.

- ❖ ახალგაზრდების მასობრივად გაგზავნა დასავლურ სასწავლებლებში, მათემატიკისა და გამოყენებითი მეცნიერების სწავლების გაძლიერება.
- ❖ სავაჭრო სასწავლებლების დაარსება ჩინეთის მასშტაბით, სადაც ისწავლებოდა თანამედროვე ეკონომიკის პრინციპები.
- ❖ საზღვაო აკადემიის შექმნა, რომელიც დასაბამი გახდებოდა ძლიერი ჩინური ფლოტის.
- ❖ აბსოლუტური მონარქია ეტაპობრივად უნდა გარდაქმნილიყო კონსტიტუციურ მონარქიად (თუმცა ეს საკითხი საკამათოა, რადგან არ არსებობდა ზუსტი ხედვა ამის მიღწევის თვით რეფორმატორებშიც კი).

რეფორმების განხორციელება უმტკივნეულოდ ვერ მოხდებოდა, საჭირო იყო სამხედრო ძალით იმპერატორის დაცვა კონსერვატორი ქორებისგან, რისთვისაც დედოფალ ცისის დაპატიმრება ან სულაც ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო. რეფორმატორები გენერალ იუენ შიქაიზე აკეთებდნენ აქცენტს, რომლის შეიარაღებულ ძალებს საიმპერატორო სასახლე უნდა დაეკავებინათ, ცისი და მისი მომხრეები გაენეიტრალებინათ. პროცესები სულ სხვაგვარ წარიმართა, იუენმა შეთქმულება დედოფალს გაუმხილა, რომელსაც დედოფლის მხრიდან კონტრ ზომები მოჰყვა. „ქორებმა“ იუენ შიქაის დახმარებით იმპერატორი შიდა პატიმრობაში აიყვანეს შეთქმულების ნაწილი კი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. მიუხედავად 100 დღიანი რეფორმების ჩავარდნისა, კონსტიტუციონალისტი რეფორმატორები ემიგრაციაშიც აგრძელებდნენ მუშაობას.

### **ლიანგ ციჩაო-ჩინეთის პირველი დემოკრატი**

ქანგ იოვეისთან ერთად იმ პერიოდის გამორჩეული საჯარო ინტელექტუალი ლიანგ ციჩაო გახლდათ, რომელიც სწორედ ქანგის მოსწავლე იყო. ლიანგი აქტიურად მონაწილეობდა რეფორმატორთა მოძრაობაში და იზიარებდა კონფუციონიზმის ახლებურ ინტერპრეტაციას, თანადროულად ჰქონდა საკუთარი უნიკალური ხედვები სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობის შესახებ. რეფორმების ჩავარდნისა და სახელმწიფო გადატრიალ-

ების შემდგომ ლიანგმა თავი იაპონიას შეაფარა. იაპონიაში ემიგრაცია აისახა მის ჟურნალისტურ და პოლიტიკურ საქმიანობაზე. იაპონური და დასავლური პოლიტიკური ცხოვრების უკეთ გაცნობით კიდევ უფრო დაიხვეწა მისი ხედვები სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობის გაუმჯობესების კუთხით. ის პირადად იცნობდა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ინუკაი ცუიოშის, ამერიკის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტსა და ბევრ უცხოელ გავლენიან სახელმწიფო მოხელეს.

თავისი პედაგოგისგან განსხვავებით ლიანგის ხედვები და შრომები თეორიულ დონეზე განუხორციელებელი არ დარჩენილა. სინხაის რევოლუციის შემდგომ ის რესპუბლიკურ მთავრობაში გაწევრიანდა და აქტიურ საპარლამენტო საქმიანობას ეწეოდა. საპარლამენტო დონეზე უპირისპირდებოდა და კომოიტინაგის ჯგუფს.

ლიანგ ციხაოს საზოგადოებრივი მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს ქრონოლოგიურად, რამეთუ ის სხვადასხვა დროს ფოკუსირებული იყო სახელმწიფო თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი და განმანათლებელი ჟურნალისტის. შესაბამისად მის ხედვებს როგორც წესი ინტერდისციპლინარულ ჭრილში განიხილავენ ხოლმე. ლიანგისთვის ისე როგორც ბევრი იმდროინდელი ჩინელისთვის იაპონური მედიის რესტავრაცია განვითარების ყველაზე მისაღები მოდელი იყო, მისთვის დასავლურ-იაპონური კონსტიტუციური მონარქია იყო ერთგვარი ხიდი წარსულსა და მოდერნულობას შორის. სინხაის რევოლუციის შემდგომ მონარქიის იდეა მიუღებელი იყო ჩინური საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ეს ცხადი გახდა ლიანგისთვისაც შესაბამისად მან პეიანგის მთავრობაში გაწევრიანება და მინისტრის რანგში მოღვაწეობა გააგრძელა. მისი ევოლუციონისტური და სტეიტისტური გეგმებით ლიანგი იყო მთავარი ინტელექტუალური მოპაექრე სუნ იატსენისა და რესპუბლიკელი ნაციონალისტების. მისი ხედვით პეიანგის მთავრობას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა ემართა სრულიად ჩინეთი ყოველგვარი სამხედრო წინააღმდეგობის გარეშე, თუმცა იუენ შიქაის იმპერატორობის სურვილის შემდგომ ლიანგ ეტაპობრივად ჩამოშორდა პეიანგის მთავრობას და დამოუკიდებელი ინტელექტუალური მოღვაწეობა გააგრძელა.

მოქალაქეობის ახლებური აღქმა-ლიანგ ციჩაოს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პუბლიკაციებს მოქალაქეობის ახლებური გააზრების შესახებ. მოქალაქეობის შესახებ. მისთვის ამოსავალი გახდა სოციალური დარვინიზმის საერთაშორისო პოლიტიკაში დომინირება, რომელმაც შთააგონა ლიანგი რომ ევროპული სახელმწიფოების გაძლიერება კავშირში იყო ერთ სახელმწიფოსთან და ევროპულ სახელმწიფოებში ნაციონალიზმის პრინციპის გაძლიერებასთან, შესაბამისად ის ჩინეთის მოქალაქეობის ახლებურ გადააზრებას ლობირებდა (Lee, 2007).

ახალი მოქალაქის იგივე „xin min, სინ მინ“ გაგებაში, ლიანგი მოაზრებდა ყველა იმ ინდივიდის სამართლებრივ თანასწორობას ვინც ქვეყნის შიგნით იყო დაბადებული. მისი მიხედვით ოთხი მთავარი თავისუფლება უნდა დაცულიყო: პოლიტიკური, რელიგიური, ეროვნული და ეკონომიკური. ჩინელ მოქალაქეებს უნდა მისცემოდათ თვითმმართველობის და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება (Lee, 2007).

მისივე ხედვით, დასავლური ქვეყნების განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა დემოკრატია და ერთი სახელმწიფოს პრინციპში იყო, სახელდობრ მოქალაქეობის თანამედროვე გაგება დასავლეთში, რომელიც ეროვნული ენერჯის აკუმულაციას ახდენდა და სახელმწიფოებრივ წარმატებაში იზრდებოდა ხოლმე. ჩინეთის შემთხვევაში კი არქაული პოლიტიკური მოწყობა მოდერნიზაციას ხელს უშლიდა (Schel, 2010).

ჟურნალისტური პერიოდი-კარგად იცნობდა რა გლობალურ პროცესებს, ლიანგ ციჩაო აქტიურად პროპაგანდირებდა „მელნის რევოლუციას“ და ეწინააღმდეგებოდა „სისხლიან რევოლუციას“, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისონანსი შეჰქონდა. პრესას ლიანგის შემოქმედებაში აქტიური როლი ჰქონდა, ის არა უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ საგანმანათლებლო ინსტრუმენტიც იყო. იაპონიაში პოლიტიკური დისიდენტობის პერიოდში ლინგ ციჩაო რამდენიმე ჟურნალს აარსებს მათ შორისაა „xinmin congbao“ და „qing yi bao“. ხსენებული გამოცემები ხდება მნიშვნელოვანი გარღვევა ჩინეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. სწორედ ჟურნალებით ხდებოდა ე.წ „ახალი კულტურული მოძრაობის“ იდეების პროპაგანდირება,

რაც თავის მხრივ 1919 წლის 4 მაისის მოვლენების კატალიზატორი გახდა (Yang, 1999). მიუხედავად აქტიური საგამომცემლო საქმიანობისა, მასობრივ დონეზე მასშტაბური ცვლილებები არ გამოუწვევია, თუმცა დიდი როლი შეარულა ახალგაზრდული მობილიზაციის საკითხში.

ჟურნალისტურ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ლიანგ ციჩაო ისტორიოგრაფიული ნამუშევრებითაც გამოირჩეოდა, დარად იმ დროინდელი ინტელექტუალური დისკურსისა ლიანგი იწონებდა „დიდი ადამიანის თეორიას“<sup>5</sup>, რომლის მიხედვითაც გლობალური ცვლილებები დიდწილად დამოკიდებულია დიდი ადამიანების, გამორჩეული ლიდერების არსებობაზე, მის ჰეროიზმსა და მაღალ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, შესაბამისად მსოფლიო ისტორიაში მთელი რიგი ცვლილებები სწორედ დიდი ადამიანების შედეგად იყო განპირობებული (Borgatta, Bales and etc, 1954) ამ იდეებით შთაგონებულმა ჩინურ ენაზე შექმნა ნაშრომები ბისმარკის, ნელსონის, კრომველის, ჰენგ ხეს, კამილო კავურის, ჯუზეპე მადინისა და სხვათა შესახებ. დამატებით ლიანგი აქტიურად ლობირებდა ჩინეთის ისტორიის გლობალურ პრიზმაში ანალიზს და არა უბრალოდ დინასტიების აღწერას (Li, 2015).

### **მესამე დასი სუნ იატსენი და რესპუბლიკელი რევოლუციონერები**

ზემოთ ხსენებული ინტელექტუალების მცდელობების მიუხედავად, ჩინეთი კვლავ მონარქიულ სახელმწიფოდ რჩებოდა. ხოლო მესამე დასის გამოჩენით და მათი ბრძოლით ჩინეთში ახალი ერა იწყება: ემხოზა ჩინეთის უკანასკნელი ცინგის დინასტია, არსდება ჩინეთის რესპუბლიკა, რეფორმები ტარდება არა მხოლოდ პოლიტიკასა და განათლებაში, არამედ ხდება მთელი რიგი ტრადიციების გადააზრება, მათი გაუქმება თუ აკრძალვა, მათ შორის იკრძალება ქალებისთვის ფეხის მომტკრევა, კაცებს ეძლევათ მანჯურიული ნაწნავის მოჭრის თავისუფლება და სხვა.

სუნ იატსენისა და რევოლუციონერი რესპუბლიკელების მიერ წამოწყებულ მოძრაობას თავის მხრივ ხელი შეუწყო ცინგის დინასტიის მმართველობის ბოლო წლებში არსებულმა აუტან-

---

<sup>5</sup> „დიდი ადამიანის თეორია“ - მეცხრამეტე საუკუნეში გაჩენილი ხედავ შექმნილი შოტლანდიელი ფილოსოფოსის ტომას კარლაილის მიერ.

ელმა მდგომარეობამ. იმ დროინდელ ჩინეთში ახალ-ახალ მკაცრ კანონებთან ერთად იზრდებოდა გადასახადები, უსამართლო გადასახადების გასაპროტესტებლად მხოლოდ 1910 წელს მოქალაქეების 109 საპროტესტო მოძრაობა გაიმართა. დიდი დამაბულობა იყო ჩინელებსა და უცხოელებს შორის. დაპირისპირებების ერთ-ერთი მიზეზი იყო რელიგია. სარწმუნოების გამო, დაპირისპირებებს ადგილი ჰქონდა ჩინეთის ყველა პროვინციაში ყოველ წელს, ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმე. ქვეყნის შიგნით მსგავსს მდგომარეობას აპროტესტებდნენ და უფლებებისთვის იბრძოდნენ არა მხოლოდ ჩინეთის ხანის მოსახლეობა, არამედ ეთნიკური უმცირესობებიც, მათ შორის მანჯურიელები, უიღურები, მონღოლები, ტიბეტელები, ხუეიები, მიაოები და სხვები.

### **სუნ იატსენი და მისი იდეები**

ჩინელ ისტორიკოსებზე დაყრდნობით, სუნ იატსენი ბავშვობაში ხშირად ისმენდა ამბებს თაიფინგის რევოლუციის შესახებ და მათ იდეებს. 12 წლის ასაკში ძმასთან სამუშაოდ წავიდა ჰონოლულუზე. იქ მუშაობის პარალელურად მიღებულია განათლებამ დიდი გავლენა იქონია მის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაზე. სამშობლოში დაბრუნებულმა განათლების მიღება კვლავ დასავლურ კოლეჯებში გააგრძელა და ნელ-ნელა თანამოაზრეების შექმნა დაიწყო.

სუნ იატსენის და ზოგადად, რესპუბლიკელი რევოლუციონერების ყველაზე დიდი საერთო ნიშანი იყო ის, რომ ისინი დაუპირისპირდნენ მონარქიულ მმართველობას და სურდათ დასავლური სტილის რესპუბლიკის შექმნა. თუმცა სუნ იატსენი დასაწყისში რევოლუციური განწყობით არ იყო, რასაც ადასტურებს მისი და მისი პირველი თანამოაზრის ლუ ხაოტუნგის მცდელობა დაკავშირებოდნენ ცინგის დინასტიას. მან 1894 წლის ივნისში ლი ხუნგჰანს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყო ჩინეთის მაშინდელ ხელისუფლებაში, წერილი მისწერა, რომელშიც წერდა რომ დასავლური ქვეყნების მსგავსად საკუთარ მიწასა და ხალხს უნდა დაყრდნობოდნენ და არა სხვა ქვეყნის გემებსა და ვაჭრობას, თუმცა ლი ხუნგჰანმა მის წერილს ყურადღება არ მიაქცია (Jin, 2011).

ამის შემდეგ კი სუნ იატსენი რევოლუციაზე ფიქრს იწყებს. 1895 წელს პირველი აჯანყების ჩაშლის შემდეგ ის და თავისი თანამოაზრეები იაპონიაში გაიქცნენ, ხოლო ლუ ხაოტუნგი დააკავეს. იაპონიიდან კი იწყება მისი პიროვნების და მიზნების სიღრმისეული ცვლილება. აქ სუნი პროტესტის ნიშნად იჭრის მანჯურიულ ნაწნავს და იხდის ტრადიციულ სამოსს, მან და მისმა თანამოაზრეებმა იაპონიაშივე უწოდეს საკუთარ თავებს პირველად რევოლუციონერები. მოგვიანებით, იაპონიაშივე დაარსეს ჩინელ რევოლუციონერთა ლიგა და დაიწყეს ცინგის დინასტიის ჩამოგდების დაგეგმვა. ამ ეტაპზე უკვე ყველა მათგანი ფიქრობდა რომ ჩინეთის ხსნა, მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციით შეიძლებოდა. გარდა ამისა, სუნ იატსენი და სხვა რევოლუციონერები გამოსცემდნენ თავიანთ გაზეთებს, ეწეოდნენ რევოლუციის პროპაგანდას. თავად სუნ იატსენი კი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტების ჩართულობას რევოლუციაში, აფინანსებდა მათ გაზეთებს და მართავდა მათთან შეხვედრებს.

ნელ-ნელა სუნ იატსენის რესპუბლიკის იდეა მომწიფდა, ხოლო თავისი რევოლუციის ძირითადი იდეა გახდა „ხალხის სამი პრინციპი“. რაც გულისხმობდა - ეროვნულობას, დემოკრატიასა და ხალხის სიცოცხლის არსს. ეროვნულობა - მოუწოდებდა ხალხს ერთიანად დაემხოთ ცინგის მმართველობა და მოემორებინათ უცხოელი იმპერიალისტების ბორკილები; დემოკრატია - მიუთითებდა ხალხისთვის ინიციატივის, რეფერენდუმის, არჩევნის თავისუფლებაზე; ხალხის არსებობის წყარო კი მიანიშნებდა კაპიტალის კონტროლსა და მიწის თანაბრად გადანაწილების აუცილებლობაზე (Ma, 2011).

1911 წლის 10 ოქტომბერს დაწყებული უჩანგის აჯანყება წარმატებით დასრულდა. ნანძინგის დროებითმა მთავრობამ სუნის ხელმძღვანელობით დაიწყო რეფორმების გატარება. მათ შორის გამოცხადდა ნაწნავის მოჭრის თავისუფლება; ქალისა და კაცის თანასწორობა და ა.შ. სუნ იატსენი პრეზიდენტობის დროსაც ჩვეულებრივ მოქალაქედ გრძნობდა თავს, თუმცა მისი პრეზიდენტობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ის იძულებულ იქნა ჩინეთის გაერთიანებისა და დასავლური დახმარების მიღების



იმედით თანამდებობა იუენ შიქაისთვის დაეთმო, ამ უკანასკნელს დასავლური ქვეყნები მეტად უჭერდნენ მხარს, ვიდრე სუნ იატსენს.

ხაზგასასმელია, რომ სუნ იატსენი იყო ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე ყველა მეთოდი გამოიყენა ჩინეთში რესპუბლიკური მმართველობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. თუ თავიდან მან ცინგის დინასტიასთან ურთიერთობის დალაგება სცადა, შემდეგ რევოლუციით დაამარცხა ის, დასავლეთისგან უარყოფილმა კი პრეზიდენტობა იუენ შიქაის დაუთმო, ბოლოს მან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დალაგება და საბჭოელებთან თანამშრომლობაც სცადა. 1912 წლიდან 1923 წლამდე სუნ იატსენი მუდმივად ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა. ამ რამდენიმე წლის მანძილზე ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ ამა თუ იმ მხედართმთავართან გაერთიანებული ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია პეიიანგის ხელისუფლებისთვის და ქვეყანა დემოკრატიულ გზაზე დაეყენებინა, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ბოლშევიკური ოქტობრის რევოლუციის შემდეგ სუნ ჭუნგშანმა მიმოწერა დაიწყო ლენინთან და საერთაშორისო კომუნიზმის სხვა ლიდერებთან. რთული სათქმელია, რამდენად იზიარებდა ის რუსი კომუნისტების იდეებს, მისი მათთან თანამშრომლობა მეტად განპირობებული იყო იმით, რომ დასავლეთისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო ჩინეთის დასავლურივე სტილის რესპუბლიკად ქცევაში.

### **სხვა რესპუბლიკელი რევოლუციონერები**

რესპუბლიკელი რევოლუციების დასში სუნ იატსენტან ერთად აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ლუ ხაოტუნგი, ხუანგ სინგი, სუნგ ძიაოჟენი, ჩენ თიენხუა და სხვები. მათ უმეტესობას განათლება იაპონიაში ჰქონდათ მიღებული, ზოგი საკუთარი ხარჯით, ზოგიც ცინგის დინასტიის დაფინანსებით სწავლობდა იქ, საიდანაც მათი მსოფლმხედველობის ცვლილება და ქვეყნის მდგომარეობის შეცვლაზე ფიქრი იწყება. ლუ ხაოტუნგი და ჭანგ შილიენი ყველაზე ადრინდელი პერიოდიდან იწყებენ სუნ იატსენტან თანამშრომლობას, მეტიც, როგორც ზემოთ ვახსენე, ლუ ხაოტუნგი და სუნ იატსენი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს

გახდნენ თანამოაზრეები და თავიდან ორივე ცდილობდა ქვეყნის ცვლილება ცინგის დიანსტიასთან დაკავშირებით დაეწყოთ, თუმცა ის პირველივე აჯანყების დროს დააკავა ცინგის მთავრობამ. ჭანგ შილიენი კი სუნ იატსენთან ერთად იაპონიაში გაიქცა.

ხუანგ სინგი 1903 წლიდან აქტიურად ჩაერთო ანტი რუსულ მოძრაობაში, რის გამოც იძულებულ იქნა იაპონიაში გაქცეულიყო. ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, ახალ არმიელებსა და მოსწავლე-სტუდენტებს შორის რევოლუციის პროპაგანდას ეწეოდა. სუნ იატსენის გაცნობის შემდეგ ხდება მეორე პიროვნება რესპუბლიკელ რევოლუციონერებში. მისი პრინციპები, განსაკუთრებით 1912 წლამდე ყველაზე ახლოსაა სუნ იატსენთან და ისიც სუნ იატსენის „ხალხის სამ პრინციპს“ ხედავდა ქვეყნის მართვის ამოსავალ წერტილად. იუენ შიქაის გაპრეზიდენტების შემდეგ ის გარკვეულწილად ჩამოშორდა პოლიტიკას და ქვეყნის სხვა სფეროების განვითარებას ფიქრობდა, სუნგ ძიაოჟენის მკვლელობის შემდეგ კი კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ ასპარეზს, ამ ეტაპზე, სუნ იატსენისგან განსხვავებით, ქვეყნის პრობლემების მოგვარებას კანონის გზით ფიქრობს და რევოლუციის მომხრე აღარ არის, თუმცა იუენ შიქაის იმპერატორად თავის გამოცხადების შემდეგ ის და სუნ იატსენი კვლავ თანამოაზრეები ხდებიან.

სუნგ ძიაოჟენი იაპონიაში პარლამენტის პრინციპებს იკვლევდა, იქვე გაიცნო და მოიპოვა ხუანგ სინგისა და სხვა რევოლუციონერების მხარდაჭერა. სუნგ ძიაოჟენი იყო ერთ-ერთი, ვინც სუნ იატსენის პრეზიდენტობის დროსაც კი კაბინეტის (პარლამენტის) იდეით პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვას ემხრობოდა. სინხაის რევოლუციის შემდეგ მან შეიმუშავა დროებითი მთავრობის ორგანიზაციის კანონი და პროტოკოლი. ასევე ის იყო ერთ-ერთი, ვინც იუენ შიქაის გაპრეზიდენტების შემდეგაც, აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და იუენის ძალაუფლების შეზღუდვას ცდილობდა. სუნგ ძიაოჟენის ინიციატივით 1912 წლის დეკემბერში ჩინელი რევოლუციონერების ლიგა რეორგანიზდა შეიერთა 4 პატარა პარტია და შექმნა კუომინტანგი (国民党, რაც ქართულად ნაციონალურ პარტიას ნიშნავს, მისი რეალური ლიდერი კი თავად სუნგ ძიაოჟენი გახდა. კუომინტანგის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სუნგ ძიაოჟენი უნდა

გამხდარიყო კაბინეტის პრემიერ-მინისტრი. სუნგის გეგმა იყო ჩინეთს ჰყოლოდა დემოკრატიული კონსტიტუციური მთავრობა, თუმცა მალევე ის მოკლეს. სიკვდილამდე კი იუენ შიქაის მისწერა შეენარჩუნებინა დემოკრატია (Zhang, 2014). საინტერესო ფაქტია რომ სუნგ ძიაოჟენი თავადვე იყო მომხრე პოლიტიკური მკვლევლობების და ამ გზით ბევრი მოწინააღმდეგე მოუშორებია მას.

ჩენ თიენხუამაც იაპონიაში განათლების მისაღებად წასვლის შემდეგ დაიწყო განსხვავებულად აზროვნება და მოქმედება. მისი მოქმედების მთავარი სფერო წერა და მთარგმნელობითი საქმიანობა იყო, ის ამა თუ იმ ნაწარმოებით ცდილობდა გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება მაშინდელი ჩინეთის მდგომარეობასთან მიმართებაში და ხალხში პროტესტის გრძნობა გაედვიძებინა. ჩენ თიენხუა სუნგ ძიაოჟენტან ერთად გამოსცემდა გაზეთს. 1905 წლის აგვისტოში ჩინელი რევოლუციონერების ლიგის დაარსების შემდეგ, ხუანგ სინგთან, სუნგ ძიაოჟენტან ერთად პასუხისმგებელი იყო სხდომების დოკუმენტების შემუშავებაზე. მას ეკუთვნის სიტყვები: „ყველანი ამ უცხოელების ცხოველები, ცხვარი და ძროხა ვართ, ქვაბში ჩაგდებული თევზის ხორცი ვართ, მას თუ უნდა მოგვკლავს, თუ უნდა მოგვხარშავს, ვერც კი გავინძრევით“ (Chen, 1904).

### **მეოთხე დასი-პირველი თაობის სოციალისტები**

ჩინეთში სოციალიზმის შესახებ ცნობები, ძირითადად, მაინც იაპონიიდან შევიდა და მის შესახებ ინფორმაციის გამავრცელებლები საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ჩინელები იყვნენ, რომლებიც თარგმნიდნენ და გაზეთების მეშვეობით აცნობდნენ თანამემამულეებს მსოფლიოში მიმდინარე ამბებს. 1903 წელს შანხაიში გამოჩნდა „სოციალიზმის“ წიგნის თარგმანი. კარლ მარქსს კი ჩინელები პირველად 1905 წელს გაზეთიდან გაეცნენ, 1908 წლის დასაწყისში სხვა არასამთავრობო გაზეთიდან გაეცნენ ფრიდრიხ ენგელსს. თუმცა ჩინელებზე მათი იდეების გავლენა უფრო 10-20-იან წლებში დაიწყო.

1919 წელს პარიზის კონფერენციის შედეგებით უკმაყოფილო ჩინელების ნაწილი მიდის იმ აზრამდე რომ არც დასავლური სტილის რესპუბლიკის იდეამ არ გაამართლა ჩინეთში და საჭიროა რაღაც ახალი. სიახლის ძიებამ კი მათი ყურადღება რუსეთში

მიმდინარე ცვლილებებსა და მარქს-ენგელსის იდეაზე გადაიტანა. სწორედ, ამ პერიოდში ლი ტაჭაომ საჯაროდ აღიარა, რომ მოსწონდა მარქსიზმი და ბოლშევიკების რევოლუცია საფრანგეთის დიდ რევოლუციას შეადარა, ამავე წელს მან და მისმა თანამოაზრეებმა დაიწყეს მარქსიზმის კვლევა.

### **ლი ტაჭაო და ჩენ ტუსიოუ პირველი მარქსისტები ჩინეთში**

ჩინეთში სოციალიზმსა და კომუნიზმზე საუბრის დროს, პირველ რიგში, ყველას მათ წეტუნგი (მაო ძედუნი) ახსენდება, შემდეგ ჭოუ ენლაი ან ტენგ სიაოფინი, იშვიათად ვინმემ ახსენოს პირველი მარქსისტი ჩინელები, რომლებმაც ჩინეთის კომუნისტური პარტია დაარსეს, ესენი არიან - ლი ტაჭაო და ჩენ ტუსიოუ. მათ შემდეგ კი არიან ჩენ იენნიენი, მაო წეტუნგი (მაო ძედუნი), ჭოუ ენლაი და სხვები.

ლი ტაჭაო, რომელიც ჩინელი რევოლუციონერების ლიგის წევრი იყო, მოგვიანებით იქცა მარქსიზმის ერთ-ერთ პირველ მხარდამჭერად და გამავრცელებლად ჩინეთში. მან განათლება იაპონიაში მიიღო და სამშობლოში დაბრუნებულმა, განსაკუთრებით პარიზის კონფერენციის შემდეგ, აქტიურად დაიწყო რუსეთის ოქტომბრის რევოლუციისა და მარქსიზმის კვლევა და ჩინელ ხალხში გავრცელება. ის, გაზეთებისა და უნივერსიტეტში ლექციების მეშვეობით, ავრცელებდა მარქსიზმსა და მის შთაბეჭდილებებს მასზე. მისივე გავლენის ქვეშ მოექცა მისი თანაშემწე მაო წეტუნგიც (მაო ძედუნი), ლი ტაჭაო გარკვეული პერიოდი პეკინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი იყო, მათ კი მისი თანაშემწე. 1919 წლის 5 მაისს, კარლ მარქსის დაბადების 101-ე წლისთავზე, ლი ტაჭაოს ხელმძღვანელობით გაზეთებში გამოქვეყნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და სხვა სტატიები (Zhu, 2007).

მარქსიზმის მეორე მიმდევარი იყო ჩენ ტუსიოუ. თავიდან მისთვის ქანგ იოუვეისა და ლიანგ ციჩაოს იდეები საინტერესო იყო, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, სწორედ მათი იდეების გავლენის გამო გადაწყვიტა ჩენ ტუსიოუმ იაპონიაში სწავლის გაგრძელება (Orville & John, 2013). იაპონიაში წასვლიდან მალევე დაიწყო ღია პროტესტი ცინგის დინასტიის წინააღმდეგ. თუ თავიდან ჩენ ტუსიოუზე გარკვეულწილად ქანგ იოუვეისა და ლიანგ

ციჩაოს იდეოლოგიამ იმოქმედა, მოგვიანებით ჩენი უფრო მეტად ემხრობა სუნ იატსენის იდეებს, განსაკუთრებით იმას, რომ ჩინეთს სჭირდებოდა ძლიერი რევოლუციონერები, რომლებიც აღზრდიდნენ ახალი თაობის ლიდერებს. ის არ გაწევრიანებულა ჩინელი რევოლუციონერების ლიგაში, თუმცა 1910 წელს დაბრუნდა სამშობლოში და რევოლუციაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ „მეორად რევოლუციაში“, რის გამოც იაპონიაში მოუწია გაქცევა (Shi J, 2011). 1915 წლიდან ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების მეშვეობით აცნობდა ხალხს მის დამოკიდებულებას მაშინდელ ვითარებაზე და მოუწოდებდა ცვლილებებისკენ. მისი გაზეთი „ახალი ახალგაზრდები“ იქცა ყველაზე წაკითხვად პუბლიკაციად ჩინელ ახალგაზრდებში. ამ გაზეთისთვის კი ერთად მუშაობდნენ ჩენ ტუსიოუ, ლი ტაჭაო, ხუ ში, ლუ სუნი, ცაი იუენფეი და სხვა ჩინელები, რომელებმაც ჩინეთში მარქსიზმის, კომუნისტიზმისა და სოციალიზმის გავრცელებას დაუდეს სათავე.

ჩენ ტუსიოუს იდეოლოგიაზე საუბრისას ხაზი უნდა გავუსვათ მის რამდენიმე პრინციპს: თავისუფლება და არა მონობა, პროგრესი და არა კონსერვატულობა, ინიციატივა და არა სიჩუმე, მსოფლიო და არა ჩაკეტილი ქვეყნა, რეალური და არა აბსურდული, მეცნიერული და არა წარმოდგენითი. ის ფიქრობდა, რომ აღარ იყო საჭირო ქვეყნის კონფუცისტური იდეებით მართვა, რადგან ის აზრკოლებდა ჩინეთს თანამედროვე გარესამყაროსთან ბრძოლაში. ჩენის აზრით, კონფუცის მიხედვით, არ არსებობდა ცალკეული პერსონა, ყველაფერი ოჯახით და ოჯახზე იყო დამოკიდებული, გადმოსცემდა ტრადიციულ აზროვნებას და ხელს უშლიდა ადამიანების თავისუფალ იდეებს (Shi, 2011). შესაბამისად, ის იყო ერთ-ერთი წამომწყები „ახალი კულტურული მოძრაობისა“, რაც მიანიშნებდა ძველის დავიწყებასა და სიახლის შემოტანაზე.

ამ ორის თაოსნობით 1919 წელს ჩინეთში დაიწყო „ოთხი მაისის მოძრაობა“, რომლითაც პარიზის კონფერენციის შედეგებსა და შანტუნგის პროვინციის იაპონიაზე გადაცემას აპროტესტებდნენ ჩინელები. ამ მოძრაობაში ჩაერთვნენ ახალგაზრდები მთელი ქვეყნიდან, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიალიზმს, უცხო ქვეყნების, განსაკუთრებით იაპონიის გავლენას ჩინეთში

და მხედართმთავრების იგივე პეიანგის ხელისუფლებას. ლი ტაჭაო ამ მოძრაობას აფასებდა არა მარტო როგორც პატრიოტულ გამოვლინებას, არამედ ხალხის გათავისუფლების ნაწილადაც. ამავე პერიოდიდან ლი ტაჭაოსა და ჩენ ტუსიოუს მეთაურობით აქტიურად დაიწყო მარქსიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის თარგმნა და გამოცემა, ამ ყველაფერში აქტიურად მონაწილეობდნენ იაპონიიდან დაბრუნებული სტუდენტები. მოგვიანებით, ჩენ ტუსიოუ იძულებულ იქნა პეკინის უნივერსიტეტი დაეტოვებინა და შანხაიში დაიწყო მარქსიზმის ღია პროპაგანდა (Jin, 2011). ფაქტია, რომ ლი ტაჭაოზეც, ჩენ ტუსიოუზეც და სხვა მათ თანამოაზრეებზე გადამწყვეტი როლი ითამაშა პარიზის კონფერენციამ, თუ მანამდე ისინი უბრალოდ აკვირდებოდნენ რუსეთში მიმდინარე ცვლილებებსა და იკვლევდნენ კარლ მაქსის იდეებს, კონფერენციის შემდეგ ისინი მიდიან დასკვნამდე, რომ რესპუბლიკის ევროპული მოდელი არ მუშაობდა ჩინეთში და საჭირო იყო რაღაც ახალი მეთოდის მოძებნა, მისი ჩინურ რელობაზე მორგება და ქვეყნის მდგომარეობის ისე გაუმჯობესება, რომ ჩინელ მოქალაქეებს გადაეწყვიტათ საკუთარი ქვეყნის ბედობალი და არა გარეშე ძალებს.

მოკლედ, ლი ტაჭაოს შემდეგ ჩენ ტუსიოუ გახდა მარქსიზმის მეორე მნიშვნელოვანი მიმდევარი ჩინეთში, 1920 წელს ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც იქცა ჩინეთის კომუნისტური პარტიის საფუძვლად. 1920 წელს მათი თაოსნობით ითარგმნა და გამოიცა წიგნი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ეს იყო მარქსიზმის პირველი მთლიანი წიგნი, რომელიც ჩინურად ითარგმნა (Jin, 2011). 1921 წლის 23 ივლისს კი დააარსეს ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც ორი ლიდერი ჰყავდა - ლი ტაჭაო და ჩენ ტუსიოუ. 1921 წლის მეორე ნახევრიდან კი ჩინური კომუნისტური პარტია აორგანიზებდა მუშების გაფიცვებს, გლეხების საპროტესტო გამოსვლებს და სხვა აქტივობებს ამა თუ იმ პროვინციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩენიც და ლიც ორივე ჩინეთის კომუნისტური პარტიის უპირობო ლიდერები იყვნენ, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაც იყო. კონკრეტულად კი ჩენ ტუსიოუ უფრო მუშების ძალაზე იყო ორიენტირებული, ხოლო ლი ტაჭაო

გლეხების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს, ის ამბობდა, რომ გლეხები ჩინეთის მოსახლეობის 90%-ია და სოფლის მეურნეობა იყო ჩინეთის ეკონომიკის ფუძე, ის სოფლის მოსახლეობაში ხედავდა ჩინეთის ხსნას. ამ საკითხზე დავა მოგვიანებითაც გაგრძელდა, მაც გლეხების წინ წამოწევას ემხრობოდა რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი 1927 წელს ჩენ ტუსიოუს გადარჩევისა (ჩიხლაძე & ჭილაძე, 2021). მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო კომინტანგში გაწევრიანებასთან დაკავშირებითაც, ლი ამის მომხრე იყო, ჩენი კი წინააღმდეგი. თუმცა, მოგვიანებით, ჩენ ტუსიოუს დამოკიდებულებაც შეიცვალა. ის ამბობდა, რომ მიუხედავად ნაკლულოვანებისა, კომინტანგი იყო ჩინეთის ერთადერთი დემოკრატიული რევოლუციური ფრაქცია, იმპერიალისტების მოწინააღმდეგე, მუშათა კლასსა და თავისუფლებაზე ორიენტირებული.

1922 წლის ივლისში, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება სხვა პარტიებთან ერთად ებრძოლა ჩრდილოელი მხედართმთავრების, მთავრობისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩენ ტუსიოუ, ლი ტაჭაო შეხვდნენ სუნ იატსენს და გააცნეს თავიანთი იდეა კომინტანგში ინდივიდუალურად გაწევრიანების შესახებ. ასე დაიწყო ორი პარტიის თანამშრომლობა და კომინტანგის, იგივე ნაციონალური პარტიის რეორგანიზაცია. კომუნისტებთან ამ თანამშრომლობის დაწყებისას სუნ იატსენმა ინტერპრეტაცია მოახდინა მისი „სამი ხალხის პრინციპისა“ - ეროვნულობა, დემოკრატია და ხალხის კეთილდღეობა და ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთთან ალიანსის პოლიტიკა (Ma, 2011).

1927 წელს ლი ტაჭაო და სხვა რევოლუციონერები ჭანგ წუოლინის მთავრობამ დააპატიმრა. ლი ტაჭაო სიკვდილით დასაჯეს, მისი ბოლო სიტყვები კი იყო, რომ მისი სიკვდილით კომუნისტების გავრცელება არ შეწყდებოდა, პირიქით, ის ტოვებდა თავის მიმდევრებს და სჯეროდა, რომ ჩინეთში კომუნისტები გაიმარჯვებდა.

რაც შეეხება ჩენ ტუსიოუს, მან ლი ტაჭაოზე დიდხანს იცოცხლა, თუმცა დიდი მსხვერპლით. ის მოგვიანებით სტალინისთვის მიუღებელ ფიგურად იქცა, ჩენმაც ღიად დაიწყო მისი

კრიტიკა და 1927 წელს ის პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ტროცკის მომხრეობის მიზეზით, ამავე წელს დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს მისი ორი ვაჟი, რომლებიც მამის მსგავსად კომუნისტანგში გაწევრიანებული კომუნისტები იყვნენ. 1932 წელ ჩან კაიშის მთავრობამ დააპატიმრა ჩენ ტუსიოუც. მოგვიანებით, ჩინეთის მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ჭოუ ენლაიმ მასთან შერიგება სცადა, მაგრამ ჩენს სთხოვა ხელი მოეწერა თვითკრიტიკის დოკუმენტზე, რომელიც აღიარებდა მის დანაშაულს, რაზეც ჩენმა უარი განაცხადა (Orville & John, 2013).

### **დასკვნა.**

მეცხრამეტე საუკუნეში პირველი ოპიუმის ომის შემდგომ განვითარებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ჩინურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი და საგულისხმო კვალი დატოვა. მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული გარე ძალებთან მუდმივი კონფრონტაციისას გაჩნდა კონსერვატული, ნეო კონსერვატული, ანტი-მონარქისტული და სოციალისტური ჯგუფები. გამოიკვეთა საერთო და განმასხვავებელი იდეები, რითითაც შეგვიძლია ჩინური ინტელექტუალური ჯგუფები დავაჯგუფოდ. ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი რაც ამ ჯგუფებს გააჩნდათ ჩინური სახელმწიფო გაძლიერება და უცხოელთა გავლენების შესუსტება იყო, თუმცა სახელმწიფოს აღქმაც კი განსხვავებული ჰქონდათ. სახელდობრ, პირველი დასისთვის ჩინური სახელმწიფო მანჯურიელთა დინასტიასთან და ზეციურ მანდატთან შესისხლორცებული იყო. ისინი აღიარებდნენ ბარბაროების ტექნოლოგიურ პროგრესს და ისწრაფოდნენ დასავლური იარაღის ასათვისებლად, ამასთან ერთად ჰქონდა ღირებულებითი ანტაგონიზმი იმ იდეებთან რაც იმ დროინდელ მსოფლიოში თანდათანობით ფეხს იკიდებდა. მეორე დასისთვის მონარქია და ზეციური მანდატის მმართველობა სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, თუმცა ისინი მონარქის უფლებების რაღაც დოზით შეზუდვასაც უშვებდნენ. მეორე დასელებისთვის, ჩინეთის გარდაქმნისთვის მხოლოდ დასავლური იარაღი არ კმაროდა, აუცილებელი იყო სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუცია და აზროვნების სისტემის სისტემური ცვლი-



ლება, ერთი მკაცრი პირობით-ბმა არ უნდა დაკარგულიყო კონფუციონისტურ ღირებულებებთან. მესამე დასელები ტიპური რევოლუციონერები იყვნენ, რომლებიც ეთნიკური ნაციონალიზმისა და ანტი-მონარქისტული იდეებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რევოლუციურ გარდაქმნას ემხრობოდნენ. თუ შედეგიანობის მიხედვით გავზომავთ, ზემოთხსენებულ ოთხ დასში ყველაზე წარმატებული სუნ იატსენის გუნდი გამოდგა, რომელთაც დინასტიის დამხობა მოახერხეს. მეოთხე დასის სოციალისტური იდეები, რომელიც ძირითადად კლასიკურ მარქსიზმს ეფუძნებოდა ახალი სიტყვა იყო ჩინურ საზოგადოებაში, საკუთრივ ჩენ ტუსიოსა და ლი ტაჭაოს რევოლუციური ცვლილებები არ გამოუწვევიათ, თუმცა მათი დაარსებული კომუნისტური პარტია პლანეტის ყველაზე დიდი და გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია გახდება, რომელიც სახელმწიფოს მმართვეის სადავეებს 70 წელზე მეტი ხანია სტაბილურად ინარჩუნებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ჩიხლაძე, შ., ჭილაძე, ო.(2021). ქართველები ჩინეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, 4, 92–115. <https://doi.org/10.48614/hos.4.2021.92-115>.
- Borgatta, E. F., Bales, R. F., & Couch, A. S. (1954). *Some Findings Relevant to the Great Man Theory of Leadership*. *American Sociological Review*, 19(6), 755–759. <https://doi.org/10.2307/2087923>.
- Bose, S. K. (1961). *NOTES ON THE CAUSES OF THE FAILURE OF THE MACARTNEY MISSION TO CHINA*. *Proceedings of the Indian History Congress*, 24, 206–208. <http://www.jstor.org/stable/44140752>.
- Chen, T. (1904). *Jingshizhong*, 2.
- Creel, H. G.(1949). *Confucius and the Chinese Way*. New York: Harper & Row, Publishers.

- Derks, H. (2012). *THE WEST AND ITS OPIUM IMPORT IN CHINA*. In *History of the Opium Problem: The Assault on the East, ca. 1600-1950* (Vol. 105, pp. 627–642). Brill. <http://www.jstor.org/stable/10.1163/j.ctv4cbhdf.36>.
- Eastman, L. E. (1968). *Political Reformism in China Before the Sino-Japanese War*. *The Journal of Asian Studies*, 27(4), 695–710. <https://doi.org/10.2307/2051574>.
- Fairbank, J. K., Têng, S. Y. (1941). *On The Ch'ing Tributary System*. *Harvard Journal of Asiatic Studies*, 6 (2), 135–246. <https://doi.org/10.2307/2718006>.
- Guo, Y., He, B. (1999). *Reimagining the Chinese Nation: The “Zeng Guofan Phenomenon.”* *Modern China*, 25(2), 142–170. <http://www.jstor.org/stable/189452>.
- Wangfang, Y. (2021). May 20). *Chen Duxiu: The Missing Name in China's Party History Campaign*. Bitter Winter. <https://bitterwinter.org/chen-duxiu-the-missing-name-in-chinas-party-history-campaign/.2021>. May 20.
- Jin, C. (2011). *Xinhai geming de qianqian houhou [Before and After the 1911 Revolution]*. Shanghai: Cishu chubanshe, 42, 56-57, 254-256, 269-270.
- Lee, T. M. L. (2007). *LIANG QICHAO AND THE MEANING OF CITIZENSHIP: THEN AND NOW*. *History of Political Thought*, 28(2), 305–327. <http://www.jstor.org/stable/26222453>.
- Lengerer, H. (2019). *A Pre-History of the Sino-Japanese War 1894-1895: Introduction and Summary*. *Warship International*, 56(1), 47–54. <https://www.jstor.org/stable/26864210>.
- Ma, M. (2011). *Xinhai geming shihua [The History of the 1911 Revolution]*. *Zhongguo chubanjituan*, 86-87, 245-246.
- Orville, S., John, D. (2013). *Wealth and Power: China's long march to the twenty-first century*.
- Schell, O. (2010). *Discos and democracy: China in the throes of reform*. Anchor.
- Shi, J. (2011). *Zhonghua mingushi: 1912-1949 [A History of the Republic of China: 1912-1949]*. Jiuzhou chubanshe, 73-74.

- Swisher, E. (1958). *Chinese Intellectuals and the Western Impact, 1838-1900*. Comparative Studies in Society and History, 1(1), 26–37. <http://www.jstor.org/stable/177856>;
- Taiping rebellion-karl marx* <https://www.marxists.org/archiv/e/marx/works/1853/06/14.htm>.
- Wong, Y.T. (1992). *Revisionism Reconsidered: Kang Youwei and the Reform Movement of 1898*. The Journal of Asian Studies, 51(3), 513–544. <https://doi.org/10.2307/2057948>.
- YE, W. (2021). *Chen Duxiu: The Missing Name in China's Party History Campaign*. BITTER WINTER.
- Zhang, X. (2014). *1913 Geming de fangeming [1913 The Counter-Revolution of the Revolution]*. Beijing: Zhonghua shuju chubanshe, 13.
- Zhu, W. (2007). *Li Dazhao shehuizhuyi sixiang fazhang lichen xintan [A New study on the development process of Li Dazhao's socialist Thought]*. School of History and Culture, Hebei Normal University, 118-119.
- Li, zh. (2015). *Liángqǐchāo lishǐ rénwù yánjiū de lìlùn yǔ fāngfǎ*. (The Theory and Method of Liang Qichao's Research on Historic Figures) (Doctoral dissertation, 安徽大学).
- Yáng, jùncái. (1999). *Liángqǐchāo lishǐ rénwù zhuànjì lüè lùn*. Lìshǔ shīfān zhuānkē xuéxiào xuébào, 21-24. [Original source: <https://studycrumb.com/alphabetizer>].
- 陈天华《警世钟》 - 爱问文库. (n.d.). <https://m.ishare.iask.sina.com.cn/f/1QJJ5FAd7B81.html>.

### Referances:

- Chikhladze, Sh., Ch'ighladze, O. (2021). *Kartvelebi Chinetsi XX Sauk'umis P'irvel Naxevarshi (Georgians in China in the first half of the 20th century)*. Aghmosavletmcdoneobis Macne, 4, 92–115. <https://doi.org/10.48614/hos.4.2021.92-115>.

- Borgatta, E. F., Bales, R. F., & Couch, A. S. (1954). *Some Findings Relevant to the Great Man Theory of Leadership*. *American Sociological Review*, 19(6), 755–759. <https://doi.org/10.2307/2087923>.
- Bose, S. K. (1961). *NOTES ON THE CAUSES OF THE FAILURE OF THE MACARTNEY MISSION TO CHINA*. *Proceedings of the Indian History Congress*, 24, 206–208. <http://www.jstor.org/stable/44140752>.
- Chen, T. (1904). *Jingshizhong*, 2.
- Creel, H. G. (1949). *Confucius and the Chinese Way*. New York: Harper & Row, Publishers.
- Derks, H. (2012). *THE WEST AND ITS OPIUM IMPORT IN CHINA*. In *History of the Opium Problem: The Assault on the East, ca. 1600-1950* (Vol. 105, pp. 627-642). Brill. <http://www.jstor.org/stable/10.1163/j.ctv4cbhdf.36>.
- Eastman, L. E. (1968). *Political Reformism in China Before the Sino-Japanese War*. *The Journal of Asian Studies*, 27 (4), 695–710. <https://doi.org/10.2307/2051574>.
- Fairbank, J. K., Têng, S. Y. (1941). *On The Ch'ing Tributary System*. *Harvard Journal of Asiatic Studies*, 6 (2), 135–246. <https://doi.org/10.2307/2718006>.
- Guo, Y., He, B. (1999). *Reimagining the Chinese Nation: The „Zeng Guofan Phenomenon“*. *Modern China*, 25(2), 142–170. <http://www.jstor.org/stable/189452>.
- Wangfang, Y. (2021). May 20). *Chen Duxiu: The Missing Name in China's Party History Campaign*. Bitter Winter. <https://bitterwinter.org/chen-duxiu-the-missing-name-in-chinas-party-history-campaign/>. 2021. May 20.
- Jin, C. (2011). *Xinhai geming de qianqian houhou [Before and After the 1911 Revolution]*. Shanghai: Cishu chubanshe, 42, 56-57, 254-256, 269-270.
- Lee, T. M. L. (2007). *LIANG QICHAO AND THE MEANING OF CITIZENSHIP: THEN AND NOW*. *History of Political Thought*, 28(2), 305–327. <http://www.jstor.org/stable/26222453>.

- Lengerer, H. (2019). *A Pre-History of the Sino-Japanese War 1894-1895: Introduction and Summary*. Warship International, 56(1), 47-54. <https://www.jstor.org/stable/26864210>.
- Ma, M. (2011). *Xinhai geming shihua (The History of the 1911 Revolution)*. Zhongguo chubanjituan, 86-87, 245-246.
- Orville, S., John, D. (2013). Wealth and Power: China's long march to the twenty-first century.
- Schell, O. (2010). Discos and democracy: China in the throes of reform. Anchor.
- Shi, J. (2011). *Zhonghua mingguoshi: 1912-1949 (A History of the Republic of China: 1912-1949)*. Jiuzhou chubanshe, 73-74.
- Swisher, E. (1958). *Chinese Intellectuals and the Western Impact, 1838-1900*. Comparative Studies in Society and History, 1(1), 26-37. <http://www.jstor.org/stable/177856>.
- Taiping rebellion-karl marx* .<https://www.marxists.org/archive/marx/works/1853/06/14.htm>.
- Wong, Y.T. (1992). *Revisionism Reconsidered: Kang Youwei and the Reform Movement of 1898*. The Journal of Asian Studies, 51(3), 513-544. <https://doi.org/10.2307/2057948>.
- YE, W. (2021). *Chen Duxiu: The Missing Name in China's Party History Campaign*. BITTER WINTER.
- Zhang, X. (2014). *1913 Geming de fangeming (1913 The Counter-Revolution of the Revolution)*. Beijing: Zhonghua shuju chubanshe, 13,;
- Zhu, W. (2007). *Li Dazhao shehuizhuyi sixiang fazhang lichen xintan (A New study on the development process of Li Dazhao's socialist Thought)*. School of History and Culture, Hebei Normal University, 118-119.
- Li, zh. (2015). *Liángqǐchāo lishǐ rénwù yánjiū de lìlùn yǔ fāngfǎ* . (The Theory and Method of Liang Qichao's Research on Historic Figures) (Doctoral dissertation, 安徽大学).
- Yáng, jùncái. (1999). *Liángqǐchāo lishǐ rénwù zhuànjì lüè lùn*. Lìshǔ shìfān zhuānkē xuéxiào xuébào, 21-24. (Original source: ).
- 陈天华《警世钟》 - 爱问文库. (n.d.). <https://m.ishare. iask.sina.com.cn/f/1QJJ5FAd7B81.html>.

**Chinese political and intellectual elites in the late Qing dynasty  
and the beginning of republican era**

**Shalva Chikhladze**

Political Scientist & Sinologist

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, Georgia

**Neli Akhobadze**

Sinologist & researcher of Chinese history

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, Georgia

**Abstract.**

The nineteenth century is a remarkable period in global history. The technological and ideological changes that took place during that period left a serious mark on the development of the peoples of the world. This period has big importance and also somewhat critical significance for the Chinese Empire. The political elite of the Qing dynasty did not understand exactly the changes taking place in the outside world, they did not open their own country for trade with the global actors of that time and let the empire stay behind the industrialization and other global processes. At the same time, Great Britain's desire to gain access to the Chinese market was so great that they even went to war to protect the opium trade line.

Antagonistic and in some cases peaceful interactions with the Western society have also created intellectual groups in Chinese political elite with different visions, values, resistance tactics and etc. However, they were united in their desire to modernize and develop Chinese state in such a way that foreign actors no longer had the opportunity to humiliate and disgrace the central kingdom. The division of Chinese intellectuals into several groups is conditional and aims to better highlight the distinguishing features of the Chinese political class in the late Qing period and the early Republic. Dividing

into four groups on the one hand makes chronological perception easier, on the other hand highlights the common values and visions from each group. Study clarified following groups with the same ideological and political views:

First generation- Lin Zexu & Zeng Guofan, 1840s-1860s.

Second generation- Kang youwei & Liang Qichao. The end of 19<sup>th</sup> century and beginning of 20<sup>th</sup> century.

Third generations- Sun Yatsen and republican revolutionists. The beginning of 20<sup>th</sup> century.

The fourth generations- early socialists, Chen Duxiu & Li Dazhao. 1920s.

The above-mentioned individuals and their followers combined the motley palette of Chinese society. The purpose of the study is to highlight the characteristics of each fraction, to group them according to the value system, which will make it easier for the Georgian-speaking audience to more deeply understand the ideological-value gradation of the Chinese political establishment at the end of the nineteenth and the beginning of the twentieth century.

**Keywords:** Century of Humiliation; Xinhai Revolution; Chinese intellectuals; Neo-Confucianism; Qing Dynasty; Republic of China.

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი და ფინეთ-  
შვედეთის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში

მაია კაპანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
კავკასიის საეთაშორისო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ქ.თბილისი, საქართველო

**ნინო კოპალიანი**

კავკასიის საეთაშორისო უნივერსიტეტის  
პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორანტი,  
ქ.უთაისი, საქართველო

**აბსტრაქტი.**

თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ნატოს ერთადერთი წევრი ქვეყანაა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მის ყველა მისიაში. რუსეთ-უკრაინის ომმა ნატოს დღის წესრიგში მკაფიოდ დააყენა უსაფრთხოების უფრო მეტად გაძლიერებისათვის სათანადო ზომების მიღება. ამ მიმდინარე ომის პირობებში დაისვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების საკითხი. ორმა ქვეყანამ, ფინეთმა და შვედეთმა, რომლებიც აქამდე სამხედრო ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ, ნატოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს. ამისი წინააღმდეგი იყო თურქეთი.

ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ თურქეთის პრეზიდენტი არგუმენტად იყენებდა იმას, რომ ამ ქვეყნებს ბრალს ტერორიზმის ხელის შეწყობაში სდებდა. მაგრამ თურქეთმა პოზიცია მალე შეცვალა, ფინეთის და შვედეთის ნატოს წევრობას მხარდაჭერა გამოუცხადა და ამ ქვეყნებთან ხელშეკრულებაც კი გააფორმა.



**საძიებო სიტყვები:** თურქეთი; ნატო; ომი; უსაფრთხოება; ქვეყნები; ფინეთი; შვედეთი.

### **შესავალი.**

თურქეთი 1952 წლიდან ნატოს წევრი ქვეყანაა და უკვე შვიდი ათეული წელია, ის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენს ალიანსში. თურქეთი წარმატებით მონაწილეობს ნატოს სამხედრო ოპერაციებსა, თუ მისიებში. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს დიდი ყურადღება ეთმობა ალიანსის წევრი 30 ქვეყნიდან თითოეულის თანხმობას, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გადაწყვეტილებებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებს, რადგან მნიშვნელოვანია ნატოს გაფართოებაზე თითოეული წევრი ქვეყნის პოზიცია.

### **მეთოდი.**

სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის იმ მეთოდებს, როგორცაა: შედარებით-ისტორიული, ემპირიული ანალიზი, კონტენტ ანალიზი, აბსტრაქცია, სისტემური ანალიზი.

### **შედეგები.**

თურქეთი მართალია ეწინააღმდეგებოდა ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ ამ მხრივ სიტუაცია მალე შეიცვალა. ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ეს პრობლემა საკმაოდ პრაგმატულად გადაჭრა. ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის სანაცვლოდ ფინეთის და შვედეთის ხელისუფლებები მისთვის მისაღებ პირობებზე დაითანხმა, რაც ნათლად ჩანს მათთან გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმიდან.

### **დისკუსია.**

ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

რუსეთის მიერ წარმოებულმა ომებმა 2008 წელს ჯერ საქართველოს, ხოლო ამჟამად უკრაინის წინააღმდეგ, მისმა აგრესიულმა პოლიტიკურმა კურსმა აიძულა საერთაშორისო საზოგადოება, გადაეხედათ საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკისათვის. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ სამ-

ხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადებით ვერ ხერხდება საყოველთაო მშვიდობის დამყარება. სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის 18 მაისს ფინეთმა და შვედეთმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ საერთაშორისო ომიანობაში სამხედრო ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე (შვედეთი უკვე ორ საუკუნეზე მეტია, ხოლო ფინეთი XX საუკუნის შუახანებიდან სამხედრო თვალსაზრისით ნეიტრალურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ) და ისტორიული განაცხადი გააკეთეს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით (ჩიჩუა, 2022: 1).

ამ ორი სკანდინავიური ქვეყნის ნატოსაკენ მიმავალი გზა თავდაპირველად საკმაოდ რთული ჩანდა. საქმე იმაშია, რომ თურქეთმა, რომელიც ჩრდილოანტლანტიკური ალიანსის საკმაოდ წონადი წევრია და აშშ-ის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავს ნატოში და რომელიც არასოდეს ყოფილა ნატოს გაფართოების წინააღმდეგი და მიაჩნდა, რომ ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო განამტკიცებდა ევროპის უსაფრთხოებას, შვედეთთან და ფინეთთან დაკავშირებით ვეტო დაადო ალიანსში ახალი წევრების მიღებას (ერდოღანი, 2022: 1). ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით თურქეთის ამ პოზიციის ცვლილება დამოკიდებული იყო ალიანსში შესვლის მსურველი ქვეყნების კეთილ ნებაზე - იყვნენ თუ არა შვედეთი და ფინეთი მზად, საფრთხე არ შეექმნათ მოკავშირე ქვეყნების უსაფრთხოებისათვის და ამავდროულად, დაეცვათ საერთაშორისო მშვიდობა (მენადარიშვილ, 2022: 1-2). ისმის კითხვა, რას მოითხოვდა თურქეთი? პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ სკანდინავიის ქვეყნები ტერორისტული ორგანიზაციების საოჯახო სასტუმროებია (ერდოღანი, 2022: 2). იგი ორივე ქვეყანას ბრალს სდებდა, რომ მათ მფარველობა გაუწიეს მისი პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეებს და თურქეთში ქურთების ეთნიკური სახელმწიფოს შექმნის მომხრეებს. ამ ადამიანებს, თუ ცალკეულ დაჯგუფებებს თურქეთის მმართველი პარტია, ისევე როგორც აშშ და ევროკავშირი ტერორისტებს უწოდებს და აცხადებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ნატოს უფრო ძლიერს, ხოლო ალიანსის წევრ ქვეყნებს უფრო უსაფრთხოს გახდის, რომ ნატოში წევრობის მსურველები ზედმეტად ლოიალურები არიან იმ ორგანიზაციების

წარმომადგენლების მიმართ, რომლებსაც ოფიციალური ანკარა ტერორისტად მიიჩნევს და თუ ასეა, ისინი არ დათანხმდებოდნენ ამ აქამდე ნეიტრალური ქვეყნების ალიანსში შესვლას. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ანკარის ოფიციალურ პოზიციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თურქეთის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილები ლეგიტიმურია, თუმცა იგი მიესალმება ამ ორი განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებას და წინააღმდეგობების მიუხედავად, ალიანსი შეძლებს დისკუსიისა და განხილვების შედეგად თურქეთთან საერთო ენის გამონახვას და შეთანხმებას (Amaro, 2022: 1.; სტოლტენბერგი, 2022: 1).

თურქეთის „ახალი სულთანი“, როგორც მას უწოდებს სონერ ჩაღაპტაი, რომელიც ვაშინგტონის ინსტიტუტში თურქეთის შესახებ კვლევებს ხელმძღვანელობს, ყოველ ჯერზე ცდილობს გაბედული და გაწონასწორებული ნაბიჯებით საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ძვრები თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მიმართული საფრთხეების აღმოსაფხვრელად გამოიყენოს. გარდა ამისა, დღეს თურქეთის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკის რიგი მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგებასთან მჭიდრო კავშირშია თავად ერდოღანის პოლიტიკური ბედიც: ეკონომიკა მისი აქილევსის ქუსლია, დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებას, რომლის მაქინაციების წინაშე ბრძოლა არ გახლავთ მარტივი საქმე და აქვე უნდა ვთქვათ ქურთი ნაციონალისტების შესახებაც.

ამჟამად ნატო-რუსეთის საზღვარი 1200 კილომეტრია. თუ შევდეთი და ფინეთი მოახერხებენ ალიანსში შესვლას, ნატოს აღმოსავლეთი საზღვარი რუსეთთან კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ბუნებრივია, საფრთხეს შეუქმნის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას და სტაბილურობას. ამიტომაც კუტინი სასტიკი წინააღმდეგობა ქვეყნის დასავლეთ საზღვრებთან ნატოს მოახლოებისა. აქედან გამომდინარე, ამ მოცემულობაში თურქეთის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, რადგანაც ალია-

ნსში გაწევრიანება ხდება თითოეული წევრი ქვეყნის თანხმობის შემთხვევაში.

რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის მომხრე პოლიტოლოგები აქტიურად იყენებდნენ ამ შემთხვევას, როგორც ნატოში არსებული მზარდი უთანხმოების დამადასტურებელ მაგალითს. თურქეთის ვეტოს და ასევე მის პოზიციას, არ შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს. ბუნებრივია, რუსეთსა რუსეთსათვის თურქეთის პრეზიდენტის ასეთი პოზიცია ხელსაყრელია მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო რაც შეეხება თურქეთს, თავის მხრივ ქვეყნის ეს პოზიცია მმართველ პარტიას კრემლთან ურთიერთობის მოწესრიგების შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ უკიდურესად რთული გახადა მიღებულ გადაწყვეტილებებში რუსეთისთვის რაიმე სასიხარულო ამბის დანახვა - მადრიდში ჰელსინკიმ, სტოკჰოლმმა და ანკარამ მაინც გააფორმეს უსაფრთხოების შეთანხმება და ამით დაიწყო ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების პროცესი.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა Associated Press-თან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ვაშინგტონმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ მოლაპარაკებების ორგანიზებაში (Хоменко, 2022: 1).

ფინეთის პრეზიდენტიც დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ თურქეთთან შეთანხმება შესაძლებელი იყო და ის დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოახდენდა ნატოში ფინეთის გაწევრიანების რატიფიცირებას (Турция, 2022: 2). მართლაც, ორივე ქვეყნის დიპლომატიურმა კორპუსმა კარგად იმუშავა და 2022 წლის ივნისში მადრიდში ხელმოწერილი მემორანდუმით ანკარას, ჰელსინკსა და სტოკჰოლმს შორის თურქეთმა ის პირობები დაასახელა, რომელთა შესრულების შემთხვევაში ის თანახმა იქნებოდა მხარი დაეჭირა ორი სკანდინავიური ქვეყნის ხარჯზე ნატოს გაფართოებისათვის (კობეშავიძე, 2022: 2).

გავრცელებული ინფორმაციით, ორი სკანდინავიური ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების თაობაზე 2022 წლის 28 ივნისს, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან

ერთად მადრიდში შეხვდა თავის კოლეგას ფინეთიდან საული ნიინისტოსა და შვედეთის პრემიერ-მინისტრ მაგდალენა ანდერსონს (Джафрли, 2022: 1). როგორც AZERTAC-ი იუწყება, შეხვედრის შედეგი იყო თურქეთის ვეტოს მოხსნა ფინეთისა და შვედეთის ნატოში შესვლაზე და სამხრეთ მემორანდუმზე ხელმოწერა. ახლა განვიხილავთ იმას, თუ რაზეა საუბარი ამ დოკუმენტში.

ხელმოწერილი მემორანდუმი არის მოკლე, მაგრამ იგი საკმაოდ ნათლად არის გაწერილი. დოკუმენტის ძირითადი პუნქტებია: ტერორიზმთან ბრძოლა (რაც გულისხმობს, შეუწყდეს ყოველგვარი მხარდაჭერა ქურთისტანის მუშათა პარტიას (PKK), რევოლუციურ სახალხო განმათავისუფლებელ პარტია-ფრონტს, მუსლიმი მქადაგებლის ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციას (FETÖ) და მათ ფილიალებს), უსაფრთხოების პოლიტიკა და იარაღის ემზარგოს მოხსნა.

მესამე პუნქტი ითვალისწინებს „დიალოგისა და თანამშრომლობის ერთობლივი და სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნას ხელისუფლების ყველა დონეზე, მათ შორის სამართალდამცავ და სადაზვერვო სააგენტოებს შორის, რათა გაუმჯობესდეს თანამშრომლობა ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულებთან და სხვა საერთო გამოწვევებთან ბრძოლაში“ (კობეშავიძე, 2022:2).

მეოთხე პუნქტის მიხედვით როგორც ნატოს პერსპექტიული მოკავშირეები, ფინეთი და შვედეთი სრულ მხარდაჭერას უცხადებენ თურქეთს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საქმეში. ამ მიზნით, ფინეთი და შვედეთი არ დაუჭერენ მხარს YPG /PYD-ს და ორგანიზაციას, რომელსაც თურქეთი FETO (ფეთულა გიულენის მომხრეთა ტერორისტული ორგანიზაცია) უწოდებს. თურქეთი თავის მხრივ, სრულ მხარდაჭერას უცხადებს ფინეთსა და შვედეთს მათი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კუთხით. გარდა ამისა ფინეთი და შვედეთი ცალსახად გმობენ ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას, რომლებიც ახორციელებენ თავდასხმებს თურქეთზე და გამოხატავენ ღრმა სოლიდარობას თურქეთისა და დადუპულთა ოჯახების მიმართ.

შეთანხმების მეხუთე მუხლში ფინეთი და შვედეთი ადასტურებენ, რომ ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK) არის აკრძალული ტერორისტული ორგანიზაცია და იღებენ ვალდებულებას, გააძლიერონ თანამშრომლობა ამ ტერორისტული ჯგუფების საქმიანობის აღსაკვეთად.

სამხრეთ მემორანდუმში დაფიქსირდა რეჟიმ თაივ ერდოღანის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა: შეთანხმების მეშვიდე მუხლის შესაბამისად ჰელსინკი და სტოკჰოლმი გააუქმებენ იარაღის ემბარგოს ნატოს წევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

ასევე, დოკუმენტის მეორე მუხლში ნათქვამია, რომ „მხარეები განიხილავენ ექვმიტანილი ტერორისტების დეპორტაციის, ან ექსტრადიციის პირობებს მოწოდებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით და დაადგენენ აუცილებელ ორმხრივ სამართლებრივ ჩარჩოს ექსტრადიციის გასაადვილებლად და თურქეთთან ქვეყნის შემდგომი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით თანამშრომლობას“ (კობეშავიძე, 2022: 2). გარდა ამისა, ჰელსინკი და სტოკჰოლმი „გამოიძიებენ და აკრძალავენ PKK-ის და ყველა სხვა ტერორისტული ორგანიზაციის და მათი შტოების დაფინანსებას. ამავდროულად, ალიანსის ახალი მოკავშირეები „გამართავენ ბრძოლას ტერორიზმთან ნატოს დოკუმენტებისა და დებულებების შესაბამისად და მიიღებენ ყველა საჭირო ზომას ამ მიმართულებით ეროვნული კანონმდებლობის გასაძლიერებლად“ (კობეშავიძე, 2022: 2).

და ბოლოს, ფინეთი და შვედეთი იღებენ ვალდებულებას, მხარი დაუჭირონ თურქეთისა და სხვა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მაქსიმალურად ფართო მონაწილეობას საერთო უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროკავშირის მიმდინარე და მომავალ ინიციატივებში. მათ შორის თურქეთის მონაწილეობას PES CO-ს (ევროკავშირის მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობა) სამხედრო მობილობის პროექტში (Trilateral Memorandum, 2022: 2-3).

თურქეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა აკარ ჰულუსიმ სამ ქვეყანას შორის გაფორმებული მემორანდუმს „კარგი დასაწყისი“ უწოდა თავის ლატვიელ კოლეგასთან შეხვედრისას (Ozer, 2022: 1-2). ფაქტობრივად, ამ შეთანხმებით დაკმაყოფილდა

თურქეთის მთავარი პრეტენზია - ორი ქვეყანა აღარ ითვლებოდეს „ტერორისტების უსაფრთხო თავშესაფრად“.

### **დასკვნა.**

ახლა, ფინეთისა და შვედეთის ნატოში ფორმალური შესვლის საკითხი უკვე ტექნიკურ ხასიათს იძენს - საჭირო დოკუმენტები ალიანსის მოქმედი წევრი 30 ქვეყნის პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ნატოს წევრობა იქნება მკვეთრი შემობრუნება მათ პოლიტიკაში, თუ გავითვალისწინებთ კრემლის მიმართ წლების განმავლობაში მათ ნეიტრალურ პოზიციას.

ევროპისათვის ამ ორი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება ფუნდამენტური გადაწყვეტილებაა. რადგანაც ორი ძალიან ძლიერი სახელმწიფო თავისი დიდი ისტორიითა და ასევე ძალიან სერიოზული სამხედრო რესურსით პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის საზღვარი რუსეთთან რამდენიმე ასეულ კმ-ზე მეტით გახანგრძლივდება და თუ დღეს რუსეთი მაინც გადაწყვეტს შეტევას ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე რომელიმე სახელმწიფოზე, პასუხი ასეთ შეტევაზე იქნება შესაბამისი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

*ერდოღანის თქმით, თურქეთი შვედეთისა და ფინეთის NATO-ში გაწევრიანებას მხარს არ დაუჭერს*, <https://tabula.ge/ge/news/686133-erdoghanis-tkmit-turketi-shvedetisa-pinetis-nato> (ბოლოს გადამოწმებულია 22.08.2022).

*ერდოღანი: სკანდინავიის ქვეყნები ტერორისტული ორგანიზაციების საოჯახო სასტუმროებია*, <https://tabula.ge/ge/news/685991-erdoghani-skandinaviis-kveqnebi-terroristuli> (ბოლოს გადამოწმებულია 23.08.2022).

*კობეშავიძე, ლ. (2022). NATO-ს სკანდინავიური გაფართოება რუსეთ-უკრაინის ომის დროს*, <https://tabula.ge/ge/news/686253-nato-s-skandinaviuri-gapartoeba-ruset-ukrainis> (ბოლოს გადამოწმებულია 25.08.2022).

- მენაღარიშვილი, ზ. (2022). *რის სანაცვლოდ დათანხმდა თურქეთი ფინეთისა და შვედეთის ნატოში მიღებას*, <https://netgazeti.ge/news/618566/> (ბოლოს გადამოწმებულია 12.09.2022).
- სტოლტენბერგი: *ფინეთისა და შვედეთის NATO-ში გაწევრიანებაზე კონსენსუსს მივალწევთ*, <https://tabula.ge/ge/news/686053-stoltenbergi-pinetisa-shvedetis-nato-shi> (ბოლოს გადამოწმებულია 17.09.2022).
- ჩავუშოღლუ: თურქი ხალხი ფინეთისა და შვედეთის NATO-ში გაწევრიანების დაბლოკვას გვთხოვს*, <https://tabula.ge/ge/news/686037-chavushoghlu-turki-khalkhi-pinetisa-shvedetis> (ბოლოს გადამოწმებულია 17.09.2022).
- ჩიჩუა, ნ. (2022). *ფინეთი და შვედეთი ნატო-ში გაწევრიანებას სავარაუდოდ ზაფხულში დაიწყებენ*, <https://netgazeti.ge/news/604619/> (ბოლოს გადამოწმებულია 16.09.2022).
- Amaro S, Finland.(2022). *Sweden need to move now on NATO while Putin is preoccupied with Ukraine, former secretary general says*, <https://www.cnbc.com/2022/05/07/nato-finland-sweden-need-to-move-now-as-putin-worries-about-ukraine.html>(ბოლოს გადამოწმებულია 17. 09.2022).
- Ozer, S, Asgarli, A.(2022). *Акар назвал «хорошим началом» мадридский меморандум с Хельсинки и Стокгольмом*, <https://www.aa.com.tr/ru/%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0%D0%B0%D0%BA%D0%B0%D1%80-%D0%BD%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B0%D0%BB-%D1%85%D0%BE%D1%80%D0%BE%D1%88%D0%B8%D0%BC-%D0%BD%D0%B0%D1%87%D0%B0%D0%BB%D0%BE%D0%BC-%D0%BC%D0%B0%D0%B4%D1%80%D0%B8%D0%B4%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9-%D0%BC%D0%B5%D0%BC%D0%BE%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B4%D1%83%D0%BC-%D1%81-%D1%85%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%81%D0%B8%D0%BD%D0%BA%D0%B8-%D0%B%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA%D0%B3%D0%BE%D0%BB%D1%8C%D0%BC%D0%BE%D0%BC/2647858> (ბოლოს გადამოწმებულია 11.09.2022).



*Trilateral Memorandum between Turkey, Finland and Sweden*, <https://www.europarl.europa.eu/doceo/document/E-9-2022-002563EN.html> (ბოლოს გადამოწმებულია 12.09.2022).

Джафарли, Н. (2022). *О чем говорится в трехстороннем меморандуме, подписанном в Мадриде между Турцией, Финляндией и Швецией*, [https://azertag.az/ru/xeber/OchemgovoritisyavtrehsitoronnemmemorandumepodpisannomvMadridemezhdu\\_TurcieiFinlyandieiiSHveciei-2197550](https://azertag.az/ru/xeber/OchemgovoritisyavtrehsitoronnemmemorandumepodpisannomvMadridemezhdu_TurcieiFinlyandieiiSHveciei-2197550) (ბოლოს გადამოწმებულია 13.09.2022).

*Турция пригрозила заморозить заявки Финляндии и Швеции на членство в НАТО*, <http://www.frontnews.ge/ru/news/detail/s/36288> (ბოლოს გადამოწმებულია 12.09.2022).

Хоменко, С. ; Ившина, О. (2022). *Россия как угроза, и Украина за открытой дверью. Что решил Мадридский саммит НАТО*, <https://www.bbc.com/russian/features-62000613> (ბოლოს გადამოწმებულია 12.09.2022).

#### Referances:

*Erdoghanis Tkmit, Turketi Svedetisa da Finetis NATO-shi Gats'evrianebas Mxars ar Dauch' ers (According to Erdogan, Turkey will not support Sweden and Finland joining NATO)*, <https://tabula.ge/ge/news/686133-erdoghanis-tkmit-turketi-shvedetisa-pinetis-nato> (Bolos Gadamots'mebulia 22.08.2022).

*Erdoghani: Sk'andinaviis Kveqnebi T'erorist'uli Organizaciebis Saojaxo Sast'umroebia (Scandinavian Countries are Family Hotels of Terrorist Organizations)*, <https://tabula.ge/ge/news/685991-erdoghani-skandinaviis-kveqnebi-teroristuli> (Bolos Gadamots'mebulia 23.08.2022).

K'obeshavidze, L. (2022). *NATO-s Sk'andinaviuri Gafartoeba Ruset-Uk'rainis Omis Dros (NATO's Scandinavian Expansion During the Russia-Ukraine War)*, <https://tabula.ge/ge/news/686253-nato-s-skandinaviuri-gapartoeba-ruset-ukrainis> (Bolos Gadamots'mebulia 25.08.2022).

- Menagharishvili, Z. (2022). *Ris Sanacvlod Datanxmda Turketi Finetisa da Shvedetis Nat'oshi Mighebas (In Exchange For Which, Turkey Agreed to Accept Finland and Sweden in NATO)*, <https://netgazeti.ge/news/618566/> (Bolos Gadamots'mebulia 12. 09. 2022).
- St'olt'enbergi: Finetisa da Svedetis NATO-shi Gats'evrianebaze K'onsensuss Mivaghts'evt (*Stoltenberg: We Will Reach a Consensus on Finland and Sweden joining NATO*), <https://tabula.ge/ge/news/686053-stoltenbergi-pinetisa-shvedetis-nato-shi> (Bolos Gadamots'mebulia 17.09.2022).
- Chavushoghlu: Turki Xalxi Finetisa da Shvedetis NATO-shi Gats'evrianebis Dablok'vas Gvtxovs (*Çavuşoğlu: Turkish people ask us to block Finland and Sweden joining NATO*), <https://tabula.ge/ge/news/686037-chavushoghlu-turki-khalkhi-pinetisa-shvedetis> (Bolos Gadamots'mebulia 17.09.2022).
- Chichua, N. (2022). *Fineti da Shvedeti NAT'O-shi Gahs'evrianebas Savaraudod Zafxulshi Dait'syeben (Finland and Sweden are Expected to join NATO in the Summer)*, <https://netgazeti.Ge/news/604619/> ( Bolos Gadamots'mebulia 16.09.2022).
- Amaro S, Finland.(2022). *Sweden Need to Move Now on NATO While Putin is Preoccupied With Ukraine, Former Secretary General Says*, <https://www.cnn.com/2022/05/07/nato-finland-sweden-need-to-move-now-as-putin-worries-about-ukraine.html> (Bolos Gadamots'mebulia 17. 09.2022).
- Ozer, S, Asgarli, A. (2022). *Akap Nazval „ Xoposhim Nachalom“ Madridskij Memopandum s Hel'sinki I Stokgol'mom (Akar called the Madrid memorandum with Helsinki and Stockholm a "good start")*, <https://www.aa.com.tr/ru/%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0%D0%B0%D0%BA%D0%B0%D1%80-%D0%BD%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B0%D0%BB-%D1%85%D0%BE%D1%80%D0%BE%D1%88%D0%B8%D0%BC-%D0%BD%D0%B0%D1%87%D0%B0%D0%BB%D0%BE%D0%BC-%D0%BC%D0%B0%D0%B4%D1%80%D0%B8%D0%B4%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9-%D0%BC%D0%B5%D0%BC%D0%BE%D1%80%D>

0%B0%D0%BD%D0%B4%D1%83%D0%BC-%D1%81-%D1%85%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%81%D0%B8%D0%BD%D0%BA%D0%B8-%D0%B%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA%D0%B3%D0%BE%D0%BB%D1%8C%D0%BC%D0%BE%D0%BC/2647858 ( Bolos Gadamots'mebulia 11.09.2022).

*Trilateral Memorandum between Turkey, Finland and Sweden*, <https://www.europarl.europa.eu/doceo/document/E-9-2022-002563EN.html> (Bolos Gadamots'mebulia 12.09.2022).

Dzhafapli, H. (2022). *O Chem Govopitsya v Trexstoronnem Memorandume, Podpisannom v Madride Mezhdur Turciej, Finlyandiej I Shveciej (What is stated in the tripartite memorandum signed in Madrid between Turkey, Finland and Sweden)*, <https://azertag.az/ru/xeber/OchemgovoritsyavtrehstoronnemmemorandumepodpisannomvMadridemezhdurTurcieiFinlyandieiSHveciei-2197550> ( Bolos Gadamots'mebulia 13.09.2022).

*Turciya Prigrozila Zamorozut' Zayavki Finlyandii I Shvecii na Chlenstvo v NATO (Turkey Threatens to Freeze Finland and Sweden's NATO membership Bids)*, <http://www.frontnews.ge/ru/news/details/36288> (Bolos Gadamots'mebulia 12.09.2022).

Homenko, S. ; Ivshina, O.(2022). *Rossiya kak ugrozam I Ukraina za Otkrytoj Dver'yu. Chto Reshil Madridskij Sammit NATO (Russia as a threat, and Ukraine behind an open door. What did the NATO summit in Madrid decide)*, <https://www.bbc.com/russian/features-62000613> (Bolos Gadamots'mebulia 12.09.2022).

## **The issue of Turkey's national security and Finland-Sweden's accession to the North Atlantic Alliance**

**Maia Kapanadze**

Doctor of History,  
Associate Professor, Caucasus International University,  
Tbilisi, Georgia.

**Nino Kopaliani**

Caucasus International University Political Science PHD.  
Kutaisi, Georgia.

### **Abstract.**

Turkey is the only NATO member country in the Middle East region that actively participates in all its missions. The Russia-Ukraine war has clearly put the adoption of appropriate measures to further strengthen security on NATO's agenda. In the conditions of this ongoing war, the question of expanding the Transatlantic Alliance was raised. Two countries, Finland and Sweden, which have maintained military neutrality until now, have expressed their desire to join NATO.

Turkey was against it. The Turkish president used as an argument against Finland and Sweden joining NATO that he accused these countries of supporting terrorism. But Turkey soon changed its position, supported the membership of Finland and Sweden in NATO and even signed an agreement with these countries.

**Keywords:** Turkey; NATO; War; Security; Countries; Finland; Sweden.

## ნატოს სამშვიდობო მისია კოსოვოში

გიორგი დობორჯგინიძე  
ისტორიის დოქტორანტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო.

### აბსტრაქტი.

დღესდღეობით მსოფლიოში სახელმწიფოთა უსაფრთხოების ცნება აღარ არის შემოსაზღვრული მხოლოდ ერთი სახელმწიფოს საზღვრებით, სახელმწიფოში სტაბილური მდგომარეობა დამოკიდებულია რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციის პროცესებზე. მსოფლიოში არსებულ მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO). პასუხი კითხვაზე თუ რა არის ამ ორგანიზაციის წარმატების ძირითადი მიზეზები პირველ რიგში უნდა ვეძიოთ მის პრინციპებსა და ფასეულობებში. 1949 წელს დაარსებულმა ჩრდილოატლანტიკურმა ხელშეკრულებამ (NATO), შეძლო თავისი ძირითადი მოვალეობების შესრულება, კერძოდ დაიცვა მისი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კი როდესაც აქტიური გახდა მისი ყოფნა არყოფნის საკითხი ნატომ შეძლო ტრანსფორმაცია და წარმატებულად ფუნქციონირებს დღემდე. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი არსებობის ისტორიაში არაერთი ცვლილება განიცადა, ერთ-ერთი ასეთი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებსა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

ალიანსი აღიარებს, რომ დღესდღეობით საფრთხე აღარ არის შემოსაზღვრული ცალკეული კონკრეტული ადგილმდებარეობით და გლობალიზაციის პირობებში საფრთხე განიხილება ერთ მთლიან პრობლემად. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატომ პირველად განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები, კერძოდ ბალკანეთში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 1995 წელს, კოსოვოში 1999 წელს, მაკედონიაში კი 2001 წელს, სადაც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის დაშლის სისხლიანმა კონფლიქტმა სერიოზული საშიშროება წარმოშვა არა მხოლოდ რეგიონული არამედ საერთო ევროპული უსაფრთხოებისათვის.

**საძიებო სიტყვები:** ნატო; სამშვიდობო ოპერაცია; აშშ; გაერო; კოსოვო; კონფლიქტი.

### **შესავალი.**

1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ - ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“, რომელიც მიზნად ისახავდა მჭიდრო თანამშრომლობასა და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზნებს წინ აღუდგებოდა, სწორედ „ბრიუსელის პაქტი“ გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსების საფუძველი. ამ პაქტის ქვეყნები ერთიან თავდაცვის სისტემაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აშშ-სთან, კანადასთან, დანიასთან, ისლანდიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი წევრი ქვეყნების თანამშრომლობას ეფუძნებოდა. ხელშეკრულება 14 პუნქტისაგან შედგებოდა, თუმცა მეხუთე პუნქტი ხელშეკრულების ქვაკუთხედიცაა, რომლის თანახმადაც თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთლიანად ალიანსზე.

მოგვიანებით, 1952 წელს ამ ხელშეკრულებას თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდა. 1955 წელს გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკა, 1982 წელს ესპანეთი, 1990 წელს გერმანიის გაერთიანების შედეგად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ცივი ომის დასრულების შემდგომ აქტიურად დადგა საკითხი ნატოს შემდგომი არსებობის საჭიროებაზე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ნატოს გაფართოება შეუქცევადი გახდა და 1999 წელს უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა გახდნენ ნატოს წევრები, 2007 წელს ნატოში გაწევრიანდა ევროპის შვიდი სახელმწიფო: ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. ალბანეთი და ხორვატია 2009 წლის 1 აპრილს გახდნენ ნატოს წევრები. 2017 წლის 5 ივნისს კი მონტენეგრო ალიანსის 29-ე წევრი გახდა. 2020 წლის 27 მარტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 30-ე წევრი გახდა ჩრდილოეთ მაკედონია, მას შემდეგ, რაც ათენსა და სკოპიეს შორის ისტორიული შეთანხმება მოხდა და სახელწოდებასთან დაკავშირებული დავა მოგვარდა (<https://old.infocenter.gov.ge>).

### **მეთოდი.**

მოცემულ სტატიაში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგია: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზი, სინთეზი, შედარება, ისტორიული წყაროების მოძიება და დამუშავება, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი.

### **შედეგები.**

„ცივი ომის“ დასრულება, საბჭოთა კავშირის დაშლა და ბიპოლარული სისტემის მსხვრევა არ ნიშნავდა ევროპის კონტინენტზე სტაბილური წესრიგის დამყარებას. პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, ამერიკელი პროფესორი ჯ. მეარშაიმერის თქმით ბიპოლარული სისტემა შეიცვალა მსოფლიოს ანარქიული მოწყობით, კერძოდ-საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა, სასაზღვრო დავებმა და კონფლიქტებმა მეზობელ სახელმწიფოებს შორის და ა.შ. (Mearsheimer, 1990), ამ კონფლიქტებს შორისაა სპარსეთის ყურის კრიზისი და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტი, ამ კონფლიქტებმა ნათლად ცხადყო, რომ დასავლეთი დადგა ევროპაში სიტუაციის დესტაბილიზაციის წინაშე, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა მის სამომავლო

ინტერესებს, ეს კონფლიქტები ნატოს ჩარევის შედეგად გადაწყდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ომში ნატოს გამარჯვება ნიშნავდა მისი პოზიციის უფრო მეტად განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დასავლეთისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა, მან უფრო წარმატებით დაიწყო თავისი ინტერესების დაცვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვის რეგიონშიც. სპარსეთის ყურის კრიზისმა, სადაც ალიანსის რესურსები ირიბად იყო ჩართული, აჩვენა მისი სამხედრო ძალა. ნატოს ყურადღების ზრდა ზონალურ პრობლემებზე მოწმობდა ამ ორგანიზაციის ტრანსფორმაციის აუცილებლობაზე, ეს განსაკუთრებით ხაზგასმული იყო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ღონისძიებების დროს.

1991 წლის ნოემბერში რომში ალიანსის სამიტზე მიღებულ იქნა „ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია“, რომელშიც ასახული იყო ალიანსის სამომავლო ამოცანები. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღებამ დაასრულა დებატები მკვლევარებს შორის ნატოს არსებობაზე და გამოკვეთა მისი არსებობის აუცილებლობა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც უპირველეს ყოვლისა თავისი ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში, დაიწყო ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს, მოგვიანებით კი შემუშავებულ იქნა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის ადაპტირებული ვერსია და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1999 წელს გამართულ ვაშინგტონის სამიტზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის, რომლის მთავარ მიზანს მისი დაარსების დღიდან წარმოადგენდა მოსალოდნელი საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავება და დასავლური დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო გარკვეულ მნიშვნელოვან სირთულეებთან. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ყოფილ მოწინააღმდეგ-



ესთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მოითხოვდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონფორტაციულ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებისა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

### **დისკუსია.**

„ცივი ომის“ დასრულების შემდგომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი - NATO დადგა ახალი გამოწვევების წინაშე, უპირველეს ყოვლისა ეს დაკავშირებული იყო ნატოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული კონფლიქტების გადაწყვეტასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ალიანსის ჩართვა ყოფილი იუგოსლავიის სხვადასხვა რესპუბლიკაში არსებულ დაპირისპირებებში.

შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, ნატომ დაუყოვნებლივ გაიარა ადაპტაციის პროცესი, როდესაც მისი ელექტორატის საკითხი დადგა. 1990 წლის ლონდონის დეკლარაციამ და, უფრო მეტად, რომის სამიტზე გამოქვეყნებულმა 1991 წლის „ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ“ აღიარა, რომ მოკავშირეთა უსაფრთხოებისთვის ამ „ახალ სტრატეგიულ გარემოში“ უფრო რთული იქნებოდა რისკების პროგნოზირება და წვდომა. ვარაუდობდნენ, რომ ახალი საფრთხეები მომდინარეობს „არასტაბილურობის უარყოფითი შედეგებიდან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სირთულეებისგან, მათ შორის ეთნიკური მეტოქეობისა და ტერორისტული დავეების გამო, რომელსაც აწყდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა. ამგვარად, თუ როგორ მოერგებოდა ნატო ვრიზისის მართვისა და კონფლიქტების პრევენციის ახალ ამოცანას, გადამწყვეტი გახდა მისი, როგორც სიცოცხლისუნარიანი და მნიშვნელოვანი ორგანიზაციის შესანარჩუნებლად ცივი ომის შემდგომ ეპოქაში.

1992 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში ნატომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ესენი იყო სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციები, რომელთა მიზანი იყო ბოსნია ჰერცეგოვინაში აკრძალული საჰაერო ზონის რეჟიმის უზრუნველყოფა, ასევე ალიანსი საავიაციო მხარდაჭერას უწევდა გაეროს ძალებს.

1993 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა მოსამზადებელი სამუშაოები უფრო რადიკალური სამხედრო ქმედებების მისაღებად, რაც გულსხმობდა საავიაციო დარტყმების განხორციელებას. ნატოს სამხედრო კომიტეტის რეკომენდაციით, მიღებული იქნა დოკუმენტი „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საავიაციო დარტყმების ოპერატიული ვარიანტები“. ნატოს მხრიდან ეს ქმედებები გამოწვეული იყო იმით, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე არ წყდებოდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებები (ჩიტაძე, 2008: 105).

1994 წლის იანვარში, ნატოს სამიტზე ბრიუსელში ალიანსმა გამოთქვა მზადყოფნა განეხორციელებინა საჰაერო დარტყმები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოსთვის ალყის მოხსნის მიზნით, რათა ამ ქალაქში უზრუნველყოთ ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. 1994 წლის 28 თებერვალს ნატომ თავის არსებობის ისტორიაში პირველად განახორციელა სამხედრო ოპერაცია, რომლის დროს ნატოს ძალების მიერ ჩამოგდებულ იქნა ოთხი სამხედრო თვითმფრინავი, რომლებმაც დაარღვიეს აკრძალული ზონა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში. 1994 წლის აპრილში ბოსნიელი სერბების სამხედრო ფორმირებები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ ბოსნიის ქ. გორაჟდედან, რამაც საშუალება მისცა სხვადასხვა ჰუმანიტარულ მისიებს ქალაქში შეეყვანათ ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული კოლონები (ჩიტაძე, 2008: 105)

1994 წლის 5 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა მიიტანეს საჰაერო დარტყმები სამხედრო ობიექტზე სარაევოს მახლობლად. ბოსნიელი სერბების პოზიციებზე პრევენციული დარტყმები მომავალშიც გაგრძელდა, საბოლოოდ სერბები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ განხილვა ნატოსა და გაეროს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმის. 1995 წლის 2 ნოემბერს დეიტონში (აშშ ოჰაიოს შტატი), პარაფირებულ იქნა სამშვიდობო შეთანხმება ბოსნია ჰერცეგოვინას, ხორვატიასა და იუგოსლავიას შორის. 1995 წლის 14 დეკემბერს პარიზში ხელი მოეწერა ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამოიყენა თავისი სამხედრო პოტენციალი - სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირსპირების მოგვარებას ნატო ცდილობდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით პროცესის მოგვარებას და სამი წლის განმავლობაში ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ ნატოს წევრი ცალკეული ქვეყნები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ბოსნიის ომის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ გაერო რომელსაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ეკისრებოდა მთავარი პასუხისმგებლობა შეეჩერებინა კონფლიქტი ვერ აღმოჩნდა ქმედუნარიანი განეხორციელებინა ღონისძიებები მშვიდობის დასამყარებლად. შესაბამისად ბოსნიის კონფლიქტის მოგვარება ალიანსის პრიორიტეტად იქცა, მისი უმოქმედობა გამოიწვევდა ნატოს ავტორიტეტის შელახვას, რადგანაც სწორედ ეს ორგანიზაცია განიხილებოდა ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად.

ბოსნიაში ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციების შედეგად შეიქმნა პრეცედენტი და დაგროვდა სხვა სახის ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო სამხედრო-პოლიტიკური გამოცდილება, როგორც კი ბოსნიაში კრიზისი ჩაცხრა, საყოველთაოდ მოსალოდნელი იყო, რომ კოსოვო იქნებოდა „შემდეგი გამოცდა“ ალიანსისთვის, რომელმაც გაფართოების პროცესთან ერთად გარკვეული ტრანსფორმაცია გაიარა. „უძველესი სიძულვილი (ხანგრძლივი მტრობა)“, რეგიონში ხანგრძლივი ისტორიული წყენა, რომელიც მომდინარეობდა სადავო შეხედულებებიდან კოსოვოს ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, განიხილებოდა კონფლიქტის მთავარ მიზეზად. კოსოვოს, პროვინციას 11000 კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები ფართობით, ჰყავდა ორი მილიონიანი მოსახლეობა, რომელთა 90% ალბანელი იყო. მაგრამ როგორც ალბანური, ასევე სერბული ეროვნული თემები ამას საკუთარ ტერიტორიად აცხადებდნენ. სერბების მიერ ხაზგასმული ძირითადი აქტუალობა ეხებოდა რწმენას, რომ კოსოვო იყო სერბეთის ისტორიული და სულიერი ცენტრალური ადგილი. მეორე მხრივ, ალბანელები დაჟინებით

ამტკიცებდნენ, რომ სერბული ტომების კოსოვოში ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, მათი წინაპრები იქ უკვე დასახლდნენ ჩვ. წ. მე-6 საუკუნიდან. შედეგად, საკუთარ დასაბუთებაზე დაყრდნობით, როგორც ალბანელებს, ასევე სერბებს ჰქონდათ ღრმად ფესვგადგმული ვალდებულება, მოეთხოვათ კოსოვო საკუთარ ტერიტორიად თაობიდან თაობამდე. მეორე მსოფლიო ომის მოვლენები კოსოვოელების მზარდი აღშფოთების მიზეზი გახდა, როდესაც თავიანთი სამშობლო, თუმცა ტერიტორიული ფართობით მცირე, იხილეს დანაწილებულ-დაყოფილი გერმანელებს, იტალიელებსა და ბულგარელებს შორის. ტიტოს კომუნისტური აგენტები დაჰპირდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ ყველა ალბანელის გაერთიანებას: „ომის შემდეგ ერთიანი ალბანეთი - კოსოვო გახდებოდა იუგოსლავიის ნაწილი, ან თუნდაც ზოგადად უფრო დიდი ბალკანეთის ფედერაცია“. თუმცა, როგორც გაირკვა, 1945 წლის შემდგომ იუგოსლავიის სახელმწიფომ არა მხოლოდ სერბებს, არამედ ალბანელებსაც გაუცრუა იმედი (Rogel, 2004: 73).

სერბეთი გახდა ექვსი ფედერაციული რესპუბლიკიდან ერთ-ერთი, სადაც მრავალი სერბი გაფანტული აღმოჩნდა მეზობელ იუგოსლავიის რესპუბლიკებში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სახელმწიფო სტრუქტურა თავდაპირველად შეიქმნა ფედერალურ ერთეულებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, სერბებს სჯეროდათ, რომ მიზანი იყო სერბეთის უფრო მეტად დასუსტება. მეორეს მხრივ, კოსოვო, მიუხედავად იმისა, რომ მიენიჭა "ავტონომიური რეგიონის" სტატუსი მისი დიდი ალბანური მოსახლეობის გამო, გახდა სერბეთის ნაწილი, და არა ალბანეთისა, ვისთან ინტეგრაციაც მას სურდა. სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა იმით, რომ იუგოსლავიის კონსტიტუცია, რომელიც გამოქვეყნდა 1946 წელს, ალბანელებს „ეროვნებად“ და არა „ერად“ ასახელებდა, რაც გულისხმობდა, რომ ალბანელები ვერასოდეს დააფუძნებდნენ საკუთარ რესპუბლიკას. ამდენად, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერც სერბებმა და ვერც ალბანელებმა ვერ მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა (Rogel, 2004: 73). კოსოვოელებისათვის სასიკეთოდ ბედი მხოლოდ 1960-იან წლებში შემოტრიალდა.

1963 წელს იუგოსლავიის მთავრობამ კოსოვო „პროვინციის“ სტატუსამდე აიყვანა; 1965 წელს კოსოვოს გამოეყო ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენდა ე.წ. სპეციალური ფედერალური ფონდის 40%-ს, რომელიც შეიქმნა განუვითარებელი რეგიონების ეკონომიკური გაუმჯობესებისთვის; 1967 წელს ტიტომ მნიშვნელოვანი ვიზიტი განახორციელა პროვინციაში; 1968 წელს „მეტოჰია“, დიდი აუზი, რომელიც მოიცავს კოსოვოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, ამოიღეს პროვინციის სახელიდან; ხოლო 1969 წელს კოსოვომ შეადგინა ახალი კონსტიტუცია და დააარსა ახალი უზენაესი სასამართლო (Rogel, 2003: 167-182).

ერთი ნაბიჯით წინ წაწევის მიზნით, 1974 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ მისცა კოსოვოს უფლება, ჰქონოდა თანაბარი ხმები ეროვნულ სამთავრობო ორგანოებში, რითიც მოხდა კოსოვოს იდენტიფიცირება, როგორც იუგოსლავიის ფედერაციის რვა ერთეულთაგანისა. მეორე მხრივ, ალბანელების გამარჯვებით წახალისებულმა ან სტიმულირებულმა სერბებმა დაიწყეს სერბების გაერთიანებისკენ სწრაფვა. „სერბული ნაციონალიზმის“ აღზევებასთან ერთად, კოსოვო მალევე განიხილებოდა, როგორც ყველაზე შესაფერისი ადგილი სერბების გეგმის დასაწყებად, რადგან კოსოვო არსებითად „სერბეთის ისტორიული და სულიერი ცენტრი“ იყო (Silber, Little, 1997: 31-36).

ფაქტობრივად, ეთნიკური დაძაბულობა მკვეთრად არ გაზრდილა მანამ, სანამ სლობოდან მილოშევიჩი, რომელმაც კოსოვოს ავტონომია ჩამოართვა, 1987 წელს სერბეთის პრეზიდენტი არ გახდა. მომდევნო წლებში, ნაციონალისტური კურსის შესანარჩუნებლად, მილოშევიჩმა მიატოვა პარტიული იდეოლოგია და ყურადღება გაამახვილა კომუნისტური პარტიების ლიგის (LCY) გაწმენდაზე კოსოვოში, ვოევოდინასა და მონტენეგროში. ის ცდილობდა შეენარჩუნებინა „წინა კონფედერაციის ნარჩენები კოსოვოსა და მონტენეგროზე პოლიტიკური და სამხედრო კონტროლის გამკაცრებით“ (Petras, 1999: 1414).

კონკრეტულად, კოსოვოს შემთხვევაში, რაც მილოშევიჩს უპირველეს ყოვლისა უნდა გადაეღაზა თავისი მიზნის მისაღწევად, იყო 1973 წლის კონსტიტუციით შექმნილი დაბრკოლება, რომელმაც კოსოვოს ავტონომია მისცა. ამასთან დაკავშირებით,

1989 წლის 23 მარტს კოსოვოს ავტონომიური სტატუსი გაუქმებულ იქნა პარლამენტის მიერ. ცოტა ხნის შემდეგ სერბებმა სერბეთი კვლავ ერთიან სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ამრიგად, 1989 წელს სერბეთმა უპრეცედენტო გამარჯვება მოიპოვა, რომელმაც საბოლოოდ მოიპოვა კონტროლი იუგოსლავიის ფედერაციის რვა ერთეულიდან ოთხზე. ხმების ნახევარის მფლობელი სერბეთი გახდა იუგოსლავიის პოლიტიკის ნამდვილი დომინანტი.

საპასუხოდ, კოსოვოელებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ბელგრადის მხრიდან მკაცრი პოლიციური და სამხედრო შეზღუდვების შემოღებას მიაღწიეს. ალბანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერების სასტიკმა დაპატიმრებამ და უსამართლო სასამართლო პროცესებმა საბოლოოდ გაამძაფრა დაძაბულობა ალბანელებსა და სერბებს შორის და შემფოთება გამოიწვია იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებშიც. სერბების ზეწოლის ფონზე, ალბანელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა მაინც გამოსცეს კოსოვოს სუვერენიტეტის დეკლარაცია მას შემდეგ, რაც კოსოვომ ავტონომია დაკარგა 1989 წლის მარტში. იმავე წლის ბოლოს, ალბანელმა ლიდერებმა წარმატებით დააარსეს კოსოვოს დემოკრატიული ლიგა (LDK), როგორც მათი ლეგიტიმური პოლიტიკური პარტია, რომელმაც 1991 წლისთვის გააერთიანა 700 000 წევრი. იბრაჰიმ რუგოვამ, LDK-ის ლიდერმა, კოსოვოელებისთვის პოლიტიკური პროგრამა შექმნა, რაც მის მიერ პაციფიზმისადმი რწმენას ეფუძნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ კოსოვო ღარიბი იყო, მის ხალხს იარაღი არ ჰქონდა და სერბებს სურდათ ეპოვათ საბაზი კოსოვოში ლაშქრობისთვის, რუგოვამ ამჯობინა პოლიტიკა „იყავი მშვიდად და დაელოდე“. მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ რუგოვა დათანხმდა საბოლოო მიზნად დაესახა „კოსოვოს რესპუბლიკა“, ის მუდმივად უჭერდა მხარს სერბების მიმართ პაციფიზმის ძირითად პრინციპს (Rogel, 2003: 167-182).

შემდეგი ნაბიჯი კოსოვოელების გამარჯვების გამოცხადებამდე იყო რეფერენდუმის ჩატარება საკუთარი რესპუბლიკის დაარსების შესახებ, რომელმაც ამომრჩეველთა უზარმაზარი მხარდაჭერა მიიღო 1991 წლის 22 სექტემბერს. თუმცა, არც ერთი ეს ცვლილება არ იქნა აღიარებული სერბების მიერ. ალბანეთის

ლიდერის იბრაჰიმ რუგოვას მიერ მიღებული სტრატეგია იყო „პასიური წინააღმდეგობა“, რომელიც ვარაუდობდა, რომ ომი არ იქნებოდა საჭირო, თუ ალბანელები შეძლებდნენ დემოკრატიული ინსტიტუტების აშენებას კოსოვოს შიგნით. ამდენად, მკვეთრი ყნოსვის არქონის გამო, კოსოვომ ხელიდან გაუშვა ერთადერთი შანსი ორჯერ, რომლითაც დასავლეთის ყურადღების მიპყრობა შეეძლო, სანამ კონფლიქტი მოულოდნელად გამწვავდებოდა. პირველი შანსი 1992 წლის დეკემბერში გაჩნდა, როდესაც პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ. ბუშმა გაგზავნა „საშობაო გაფრთხილება“, რომელიც შედგენილი იყო მისი სახელმწიფო მდივნის, ლოურენს იგლბურგერის მიერ. მილოშევიჩისთვის გაგზავნილი მესიჯი იყო, რომ „კოსოვოში სერბეთის ქმედებით გამოწვეული კონფლიქტის შემთხვევაში, შეერთებული შტატები მზად იქნება გამოიყენოს სამხედრო ძალა სერბების წინააღმდეგ კოსოვოში და სერბეთში“ (Binder, 1992: 6).

კოსოვოელებს უნდა გამოეყენებინათ ეს შესაძლებლობა და წამოეყენებინათ კოსოვოს საკითხი, რომელიც შესაძლოა უფრო ადრე დადებულყო საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში და ამით თავიდან აეცილებინათ ომის დაწყება. მეორე შანსი ეხებოდა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების მიღებას 1995 წლის ნოემბერში, რომელმაც ბოლო მოუღო სამწელნახევრიან სისხლიან ეთნიკურ დაპირისპირებას ბოსნიაში. მილოშევიჩი მიიწვიეს დეიტონში და ექცეოდნენ, როგორც საპატიო სტუმარს და სახელმწიფოს ლეგიტიმურ მეთაურს, რადგან კლინტონის ადმინისტრაცია ეძებდა კონფლიქტის სამშვიდობო გზით გადაწყვეტის გზებს.

კოსოვოელმა ალბანელებმა მხოლოდ დეიტონის შეთანხმების შემდეგ გააცნობიერეს, თუ რამდენად „უმნიშვნელონნი“ იყვნენ ისინი დასავლეთისთვის: მათი პროვინციის სტატუსი გადაუჭრელი დარჩა, მაგრამ მილოშევიჩი გახდა რეგიონის ხელისუფლების შუამავალი. მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ ჰოლბრუკმა ხაზგასმით აღნიშნა კოსოვოში სიტუაციის სირთულე და მილოშევიჩის მიერ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების დაცვის უზრუნველყოფა, გაერო-მ მხოლოდ ის გააკეთა, რომ ყურადღება მხოლოდ ბელგრადის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას

ებას დაუთმო მანამ, სანამ სერბეთი არ დაიწყებდა პოზიტიურ და პირდაპირ ურთიერთობას კოსოვოელებთან, რის შედეგადაც კოსოვო განზრახ განზე დატოვა (Rogel, 2003: 175).

ამრიგად, ჩათვალეს რა მხოლოდ სერბეთის შიდა/საშინაო საკითხად, კოსოვო მოხსნილი იქნა მოლაპარაკების მაგიდიდან. ამან კოსოვოელები იმედგაცრუებული დატოვა საერთაშორისო საზოგადოებისგან უყურადღებო ქცევით. იმედგაცრუება კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც სერბეთი და მონტენეგრო ოფიციალურად აღიარებულ იქნა ევროკავშირის მიერ იუგოსლავიის სახელმწიფოებად 1996 წლის აპრილში. ამის საპირისპიროდ, კოსოვო, როგორც 1996 წლის ივნისში განაცხადა პრიშტინაში ახლად შექმნილი აშშ-ს საინფორმაციო ოფისის ხელმძღვანელმა, კვლავ განიხილებოდა იუგოსლავიის ნაწილად და ასე უნდა დარჩენილიყო (Rogel, 2004: 77).

რაც კოსოვოელებმა ისწავლეს დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად იყო ის, რომ რუგოვას პაციფიზმს არსად მიჰყავდა ისინი. პაციფისტური პოლიტიკის უარყოფის შემდეგ, კოსოვოელები შეიცვალნენ უფრო სამხედრო მიდგომის სასარგებლოდ. ფაქტობრივად, კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია (KLA), კოსოვოს ალბანური გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა კოსოვოს გამოყოფას იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისგან, უკვე ჩამოყალიბდა 1990 წელს, მაგრამ შედარებით პასიური დარჩა 1995 წლამდე. სამხედრო ფრთად დაარსებულმა KLA-მ 1996 წელს დაიწყო პარტიზანული მოქმედებების სერია სერბეთის წინააღმდეგ, მათ შორის თავდასხმები პოლიციის განყოფილებებსა და იუგოსლავიის სამთავრობო ოფისებზე. იმის დაბრალებით, რომ სერბებმა მოკლეს ალბანელი მშვიდობიანი მოსახლეობა ეთნიკური წმენდის კამპანიის ფარგლებში, KLA-მ წარმატებით მოახერხა გზა გახსნოდა სერბების წინააღმდეგ ოპერაციებისთვის (Allan Zelinzer, 2004: 112).

საპასუხოდ, სერბეთის ხელისუფლებამ დაგმო KLA, როგორც ტერორისტული ჯგუფი და გააძლიერა პოლიციის მმართველობა რეგიონში მისი უსაფრთხოების ძალების გაზრდით. სერბეთის მცდელობამ მოეხდინა KLA-ს იზოლაცია ტერორიზმის იარლიყის მიწებებით, გამოიწვია კონტრპროდუქტიული ეფექტი, რამაც ხელი



შეუწყო KLA-ს სანდოობის ამღლებას კოსოვოს ალბანელებში. სერბები ცდილობდნენ კოსოვოს ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობისგან გაწმენდას, ხაზგასმული იყო 1997 წლის ოქტომბერში და ნოემბერში სერბების მიერ მოკლული KLA-ს რაზმის მებრძოლების დაკრძალვებით, რომლებსაც ესწრებოდნენ შესაბამისად 13,000 და 20,000 მგლოვიარე მონაწილეები. ამგვარად, მკვლევლობები გაგრძელდა, KLA-ს შურისძიებამ იმატა და გაიზარდა KLA-ს მხარდაჭერაც (Rogel, 2003: 175).

კოსოვოში ძალადობის გაუარესებამ უდავოდ შეაშფოთა დასავლეთი. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გაეკრიტიკებინა სამხედრო ინტერვენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მილოშევიჩი და სერბი მილიციები კოსოვოში, რამაც ხელი შეუწყო „კოსოვოს ალბანელების ქვეყნიდან აყრას და ლტოლვილთა კრიზისის“, რობერტ გელბარტი, აშშ-ს წარმომადგენელი პრიშტინაში, ცდილობდა ალბანელებისთვის ლექციები წაეკითხა მათი ძალადობის პროცესში ჩართვის მიზნით. მან საჯაროდ უწოდა KLA-ს „ყოველგვარი ეჭვის გარეშე ტერორისტული ჯგუფი“, რადგან „KLA ჩართული იყო თავდასხმებში სერბ ნაციონალისტებთან კოსოვოში, რეპრესიებში ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ, რომლებიც „თანამშრომლობდნენ“ სერბეთის მთავრობასთან“. ამას თბილად მიესალმნენ სერბები, რომლებმაც გაიგეს ეს, როგორც „ტერორისტების“ აკრძალვის (მკაცრი ზომების გატარების) გზა „მათსავე“ პროვინციაში“. უფრო მეტიც, მაისში, რიჩარდ ჰოლბრუკი, „მილოშევიჩის ჭიქის მეგობარი დეიტონიდან“, აირჩიეს ლობისტად, რათა დაერწმუნებინა მილოშევიჩი რუგოვასთან სასაუბროდ. ამის შემდეგ, 15 მაისს, მილოშევიჩისა და რუგოვას პირველი შეხვედრა დროულად გაიმართა, თუმცა დიალოგი სწრაფად ჩაიშალა. რუგოვა, რომელსაც არ სურდა დანებება, კვლავაც არ იშურებდა ძალისხმევას მშვიდობიანი შეთანხმების მისაღწევად. 1998 წლის მაისში რუგოვა და კოსოვოს ალბანეთის სხვა ოფიციალური პირები გაემგზავრნენ ვაშინგტონში პრეზიდენტ კლინტონთან, ვიცე პრეზიდენტ გორთან და სახელმწიფო მდივან ოლბრაიტთან შესახვედრად. ოვალურ კაბინეტში გამართულმა შეხვედრამ საბოლოოდ მისცა კლინტონს უფლება შეეთავაზებინა მხარდაჭერა კოსოვოს ალბანელებისთვის. მომდ-

ევრო თვის დასაწყისში რუგოვა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს შეხვდა და მოითხოვა გაეროს ან ნატოს დაუყოვნებლივ ჩარევა.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა პირობა დადო „ბოსნიას არ გაიმეორებდნენ“, მას მაინც არ სურდა ჩართვა, როდესაც სერბეთის ეროვნულმა რეფერენდუმმა 1998 წლის 23 აპრილს აჩვენა, რომ სერბების 95%-მა უარყო საგარეო მედიაცია კოსოვოს კრიზისის მოსაგვარებლად.

აშშ-ს უფრო მკაცრი და მტკიცე პოზიცია გამოიკვეთა და ნათელი გახდა მხოლოდ ნატოს მინისტრიალის შემდეგ. უილიამ კოენმა, აშშ-ს თავდაცვის მდივანმა, მოუწოდა ნატოს თავდაცვის მინისტრებს, „განიხილონ ყველა სამხედრო ვარიანტი... არ შემოიფარგლონ ჰაერით, ხმელეთით ან ზღვით ან ამ სამის კომბინაციით.

ნატოს 85 სამხედრო თვითმფრინავი გაიგზავნა ალბანეთისა და მაკედონიის თავზე „ბალკანეთის საჰაერო შოუში“ საფრენად, რაც წინასწარ აფრთხილებდა მილოშევიჩის ნატოს შესაძლებლობის შესახებ, სწრაფად აელო ძალაუფლება რეგიონში. გარდა ამისა, რიჩარდ ჰოლბრუკი კვლავ გაგზავნეს მილოშევიჩთან მოსალაპარაკებლად, რომელიც დათანხმდა კოსოვოს მონიტორინგის ძალებს, კოსოვოს დიპლომატიურ დამკვირვებელთა მისიას (KDOM). თუმცა, სერბეთის თანამშრომლობითი ქესტი დიდხანს არ გაგრძელებულა. KDOM-ის მონიტორინგის ოპერაციების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, სერბეთის ძალებმა გაამლიერეს ზაფხულის შეტევა დრენიცას რეგიონში KLA-სა და კოსოვოს ალბანურ სოფლებზე თავდასხმით, რამაც დიდწილად შეცვალა ალბანეთის მიღწევები (Elsie, 2004: 98).

მეორე მხრივ, სულ მცირე 34 ადამიანის ცხედარი, რომლებიც სერბი პოლიციის მტკიცებით მოკლული იქნა KLA-ს მიერ, აღმოაჩინეს არხში სოფელ გოლჯიანეს მახლობლად, რამაც გამოიწვია სერიოზული ბრალდებები KLA-ს წინააღმდეგ (Krieger, 2001: 108). ძალადობის შესაჩერებლად გაეროს უშიშროების საბჭომ 23 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია 1199, რომელიც მოითხოვდა სერბების გაყვანას და ლტოლვილების დაბრუნებას. მიხვდა რა, რომ სერბებიც და ალბანელებიც უარს იტყოდნენ რეზო-

ლუციის სრულად შესრულებაზე, ნატომ დაიწყო სამხედრო ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის განხილვა. აქტივაციის გაფრთხილების გაცემის ნებართვა (ACTWARN) საბოლოოდ მიეცა ნატოს უზენაეს მეთაურს ნატოს თავდაცვის მინისტრების შემდეგ შეხვედრაზე ვილამურაში, პორტუგალია. იმავე თვის ბოლოს, სერბეთის წინააღმდეგ საჰაერო თავდასხმების მომხრე ოლბრაიტმა ადმინისტრაციას სთხოვა ეცნობებინა კაპიტოლიუმისთვის გეგმის შესახებ.

თუმცა, ოლბრაიტის წინადადებას შეხვდა კონგრესის მხრიდან წინააღმდეგობა, რის გამოც ადმინისტრაციას არ დაუტოვეს შანსი კოსოვოში სახმელეთო ჯარების გაგზავნის, თუნდაც სამშვიდობოების სახით. ბედის ირონიით, საბოლოო გადაწყვეტილებისკენ მოქმედების შესახებ რუსეთმა უბიძგა, რომელმაც 8 ოქტომბერს ლონდონის ჰითროუს აეროპორტში შეხვედრისას საკონტაქტო ჯგუფის ლიდერებს „არაპირდაპირი ნებართვა“ მისცა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა უთხრა ჯგუფს, რომ „თუ გაეროს სერბეთში ინტერვენციას შესთავაზებენ, რუსეთი (და მასთან ერთად, ჩინეთიც) მას ვეტოს დაადებს; თუმცა, თუ ნატო ჩაერევა, რუსეთი მხოლოდ გააპროტესტებს ამ ქმედებას“ (Rogel, 2003:176).

კოსოვოში სასაზღვრო შეტაკებები და შებრძოლებები უკან დაბრუნდა, რადგან სერბეთი უკმაყოფილო იყო მაკედონელების მიმართ, რომლებმაც ნატო-ს თავის ტერიტორიაზე ჯარების განლაგების უფლება მისცეს. სერბეთის გამოწვევის მოსაგვარებლად და კოსოვოში სამშვიდობოების დასაცავად, ნატომ მაკედონიაში განათავსა „ექსტრაქციის ძალები“ (XFOR). სერბებმა, შეჩერების ნაცვლად, 15 იანვარს ალბანურ სოფელ რაჩაკში 45 მოსახლე დახოცეს სერბეთის ოთხი პოლიციელზე KLA-ს თავდასხმის საპასუხოდ. ამ ტრაგედიამ კიდევ უფრო დაარწმუნა საკონტაქტო ჯგუფი და ნატო, რომ პირდაპირი ინტერვენცია სერბეთის წინააღმდეგ აუცილებელი იყო. რაჩაკის ხოცვა-ჟლეტის ფონზე, ოლბრაიტის ულტიმატუმი საბოლოოდ გამარჯვებული აღმოჩნდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის უმაღლესი მრჩეველების შეხვედრაზე. აშშ-ს განცხადებიდან ათი დღის შემდეგ, საკონტაქტო ჯგუფმა ულტიმატუმი წაუყენა კოსოვოს ალბანელებსა და სერბებს და მოუწ-

ოდა მათ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ საფრანგეთში, რამბუიეში 6 თებერვალს. ყველა დაინტერესებულისთვის ცხადი იყო, რომ ეს იქნებოდა პრობლემის სრულყოფილად მოგვარების ბოლო შესაძლებლობა.

აქამდე, ყველა დიპლომატიური მცდელობა კოსოვოში მშვიდობის მისაღწევად წარუმატებელი აღმოჩნდა. ამან, როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰუმბერტ ვედრინმა თქვა, კიდევ უფრო დაარწმუნა დასავლეთი, რომ იუგოსლავიაზე ნატოს საჭაერო თავდასხმების თავიდან აცილების ძალიან მცირე პერსპექტივა არსებობდა.

ამერიკელების პერსპექტივიდან, რომლებმაც ნატოს გაფართოების გეგმა ერთი ნაბიჯით წინ წასწიეს პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის ნატოში მოწვევით, მათ სურდათ ძალ-ღონე არ დაეშურებინათ თავიანთი ძნელად მოპოვებული გამარჯვების დასაცავად. ნატოს გაფართოებისთვის აშშ-ის ძალისხმევამ არა მხოლოდ აჩვენა აშშ-ს ფუნდამენტური ერთგულება ნატოსადმი, არამედ ასევე დაადასტურა რწმენა, რომ აშშ უნდა დარჩეს ევროპის ნებისმიერი განვითარებადი უსაფრთხოების არქიტექტურის ცენტრში. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა დაივალდებულა ნატოს მიმართ მონაწილეობა მიეღო კოსოვოს კრიზისში და იწინასწარმეტყველა, რომ კოსოვოში წარმატება ხელს შეუწყობს აშშ-ს ლიდერობის კონსოლიდაციას ევროპაში და ალიანსის გაერთიანებას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სხვა ოფიციალურ პირს სურდა უფრო სწრაფი გადაწყვეტა ბოსნიის გაკვეთილის შესაბამისად, პრეზიდენტმა კლინტონმა თავის სატელევიზიო მიმართვაში გამორიცხა კოსოვოში სახმელეთო ჯარების გამოყენება, მსხვერპლის შექმნის შიშით, რაც შეარყევდა საზოგადოების მხარდაჭერას და ნატოს წევრების ერთიანობას.

ამ მიზნით, ნატო-ს თავიდანვე გათვალისწინებული ქმედება იყო ისეთი მოქმედება, რომელიც შემოიფარგლებოდა ბელგრადის გარეუბანში მსუბუქი დაბომბვით, სერბეთის საჭაერო თავდაცვის სისტემების გატეხვით და სერბეთის სარდლობისა და კონტროლის შესაძლებლობების შემცირებით, რაც მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა. თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის ჩამოყალიბდა ოპერაციების კიდევ ორი თანმიმდევრული

ეტაპი, თუმცა სერბეთზე საჰაერო უპირატესობის დამყარების პირველი ეტაპი საკმარისი იყო ნატოს მიზნების მისაღწევად. მეორე და მესამე ფაზები ეხებოდა „შეტევას სამხედრო ობიექტებზე კოსოვოს შიგნით და სერბეთის გაძლიერებაზე იუგოსლავიაში 44-ე პარალელის სამხრეთით და საჰაერო ოპერაციების გაფართოებას, რათა დაფაროს სამხედრო სამიზნეების ფართო სპექტრი მთელს იუგოსლავიაში ცალ-ცალკე.

იუგოსლავიამ უკომპრომისო დამოკიდებულებით მაშინ უშიშრად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან, რითაც გამოხატა ომისთვის მზადყოფნა. მეორე მხრივ, კოსოვოს ალბანელები ზოგადად მიესალმნენ ნატოს ჩართულობას, მაგრამ დაბომბვის დაწყებისთანავე მათ სხვა გზა არ ჰქონდათ პროვინციის დატოვების გარდა სპეციალური „ლტოლვილთა მატარებლებით“. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ პირველ კვირაში დაახლოებით 300 000 კოსოვოელი გაიქცა; და 848 000-ზე მეტმა კოსოველმა გადაკვეთა კოსოვოს საზღვრები მაკედონიაში, ალბანეთსა და მონტენეგროში მთელი ომის განმავლობაში (Rogel, 2003: 178).

სერბეთის ხელისუფლებამ ალბანელების წასვლა დიდ შესაძლებლობად მიიჩნია სერბებისთვის პირადი ქონების საკუთრების დოკუმენტების ჩამორთმევისთვის, რაც მიზნად ისახავდა ალბანელების დაბრუნების გართულებას. ბედის ირონიით, ამ უნებლიე ჯაჭვურმა რეაქციამ ვერაფერი უზრუნველყო, გარდა იმისა, რომ ნატოს დაბომბვას სერბეთში დაბრალდა ლტოლვილთა ნაკადების წარმოშობა. ნატო კიდევ უფრო გააკრიტიკეს იმის გამო, რომ სერბებს საშუალება მისცა განეხორციელებინათ ოცნება კოსოვო ალბანელებისგან გაწმენდის შესახებ, რომლის ბრალდებამაც აიძულა ნატო დახმარებოდა ლტოლვილებს გამოკვებასა და დასახლებაში.

1998 წლის 24 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ განიხილა კოსოვოსში შექმნილი ვითარება და გამოაცხადა, რომ ალიანსი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში საჰაერო კამპანიის დასაწყებად. იმავე წლის 9 ოქტომბერს ნატო-რუსეთის ერთობლივი საბჭოს სხდომაზე ორივე მხარემ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერებას კოსოვოს კრიზისის მოგ-

ვარების მიზნით. კოსოვოსა და მთლიანად რეგიონში არსებული დამაბული პოლიტიკური ვითარება აიძულებდა ალიანსს მიეღო რადიკალური ზომები, რადგან რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკებების მიუხედავად 1999 წლის დასაწყისიდან იუგოსლავიის ხელისუფლებამ განახლებული ძალებით მიმართა რეპრესიებს კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რაც თავისთავად იწვევდა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის (KLA) წინააღმდეგობას. მიმდინარე დაპირისპირებების ფონზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სულ უფრო ერიოზულად განიხილებოდა ძალის გამოყენებით კონფლიქტის მოგვარება, რისთვისაც ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული სამხედრო მზადება დაიწყო. თუმცა ნატოს სამშვიდობო ოპერაციის დაწყებამდე კოსოვოში ნატო აქცენტს მაინც აკეთებდა კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაზე და მისი დაჟინებული მოთხოვნით 1996 წლის 6 თებერვალს საფრანგეთის ქ. რამბიუეში განახლდა მოლაპარაკებები ბელგრადის ხელისუფლებასა და კოსოვოელ ალბანელებს შორის, მაგრამ ამ მოლაპარაკებებშიც საკუთარი პოზიციების დათმობას არჩერთი მხარე არ აპირებდა და მარტის თვეში მოლაპარაკებები ჩაიშალა (ჩიტაძე, 2008: 112).

1999 წლის 24 მარტს ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების“ დაწყების შესახებ, რის შემდეგ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ საჰაერო რეიდების განხორციელება დაიწყო. ოპერაცია მიზანდასახავდა მხოლოდ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის განადგურებას, რათა შეესუსტებინა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალი და შემცირებულიყო კოსოვოში ძალადობა და ჰუმანიტარული კატასტროფა აღმოფხვრილიყო.

თუმცა სამშვიდობო ოპერაციის დროს ნატოს მხრიდან დაშვებულ იქნა არაერთი შეცდომა კერძოდ პრობლემები წარმოიქმნა კოორდინაციის მხრივ. გავრცელებული ინფორმაციით, ნატოს ბომბები ხშირად ცდებოდა სამიზნეებს მაგალითად, ნატოს პირველი შეცდომა ამ ბრძოლაში, 6 აპრილს ქალაქ ალექსინაცში სამი რაკეტა მოხვდა საცხოვრებელ უბანში სახლებს და

დაილუპა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე. ერთი კვირის შემდეგ, ნატოს ძალებმა შეცდომით დაარტყეს კოსოვოელ ალბანელ ლტოლვილებს და დაილუპა მინიმუმ 60 ადამიანი. ხიდების დაბომბვის ბრძანების შემდეგ, პრიშტინასთან ხიდზე მყოფი სამოქალაქო ავტობუსი შემთხვევით განადგურდა. გარდა ამისა, ნისის მახლობლად ბაზარი და საავადმყოფო შემთხვევით იქნა სამიზნე, როდესაც ნატო ცდილობდა აეროდრომზე კლასტერული ბომბით დაერტყა. 7 მაისის კი ნატომ დაუშვა ყველაზე დიდი შეცდომა, როდესაც დაიბომბა ჩინეთის საელჩო ბელგრადში. უბედური შემთხვევის, დროს სამი ადამიანი დაილუპა და 20 დაიჭრა (Rogel, 2003 : 179).

გაეროს უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ მოიწვია შეხვედრა ვაშინგტონის „სამხნელი შეცდომის“ განსახილველად, რამაც სერიოზული დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია აშშ-სა და ჩინეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეშფოთებულნი იყვნენ ჩინეთის რეაქციით, შეერთებულმა შტატებმა სწრაფი იგნორირება გაუკეთა თავის შეცდომებს და დაუფიქრებლად დაბომბა კორისა, როდესაც სერბებმა 87 კოსოვო ალბანელი გამოიყენეს ცოცხალ ფარად. ასევე მაისში, KLA-ს პოზიცია კოსარეში შემთხვევით დაიბომბა, რის შედეგადაც 67 დაილუპა; ვარვარინის ხიდი განადგურდა, რის შედეგადაც 11 მშვიდობიანი მოქალაქე დაილუპა, ხოლო სურდულიცაში საცხოვრებელი ფართი შეცდომით დაზიანდა, როდესაც ნატოს რაკეტა კურსს აცდა, რის შედეგადაც სულ მცირე 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაილუპა. ზემოთაღნიშნული სამხედრო შეცდომების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ ნატოს სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობდა რიგი შეცდომების ფონზე, რითაც უამრავი მშვიდობიანი მოსახლეობა დაილუპა, მიუხედავად ამისა ალიანსმა შეძლო ბოლომდე მიეყვანა სამხედრო ოპერაცია და იუგოსლავიის ხელიფლებისათვის ეიპულებინა კოსოვოში შეეწყვიტა სისხლისღვრა.

1999 წლის 10 ივნისს, ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციის განხორციელებისას, რომელიც გრძელდებოდა 78 დღის განმავლობაში, ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მისცა განკარგულება ნატოს ავიაციის სამხედრო მოქმედებების შეჩერების

შესახებ და დაიწყო იუგოსლავიის ჯარების გაყვანა კოსოვოდან (ჩიტაძე, 2008: 113).

იუგოსლავიის ძალების კოსოვოდან გამოსვლა დაიწყო სამხედრო-ტექნიკური ხასიათის შეთანხმების შედეგად, რომელსაც ხელ მოეწერა ნატოსა და იუგოსლავიას შორის 1999 9 ივნისს. 1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია, სადაც მიესალმა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის მიერ კოსოვოს კრიზისის დარეგულირებას, რომელიც მიმართული იყო ძალადობის შეწყვეტისა და კოსოვოს ტერიტორიიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანისაკენ. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოში გაეროს ეგიდით გამგზავრებულიყო სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლები. კოსოვოში პირველი დანაყოფები შევიდნენ 1999 წლის 12 ივნისს, კოსოვოს ძალები (KFOR) შეადგენდა 50 ათას სამხედრო მოსამსახურეს. თავდაპირველად კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში ჩაერთო ნატოს წევრი 18 სახელმწიფოს სამხედრო კონტიგენტი. ნატოს აქტიურობის შედეგად თავიანთ სახლებში დაბრუნება შეძლო 1 მილიონ 300 ათასამდე ლტოლვილმა. 2007 წლის მონაცემებით კოსოვოსში განლაგებულია ნატოს დაახლოებით 16 ათასიანი სამხედრო კონტიგენტი.

### **დასკვნა.**

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოში არსებული დამაბული ვითარების მიმართ ჩარდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულება ხასიათდებოდა გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. ამ პრობლემამ უდიდესი გავლენა მოახდინა ნატოში შემდგომში განხორციელებულ დადებით ცვლილებებზე. კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ოპერაცია იყო პრეცედენტი იმისა, რომ ნატომ ალიანსის ფარგლებს გარეთ განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება და ძალადობის შეჩერება. ალიანსი დადგა რთული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე, როდესაც მისმა ყოველგვარმა მცდელობებმა კოსოვოში არსებული კონფლიქტი მოგვარებულიყო მშვიდობიანი გზებით შედეგი არ გამოიღო, ნატო იძულებული გახდა განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოს-



ლავიის ფადერაციული რესპუბლიკის) წინააღმდეგ, რის მიზეზიც როგორც ცნობილია იყო მანამდე არსებული მამტაბური ეთნიკური დაპირისპირება სერბებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ჩიტაძე, ნ. (2008). *ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი*, თბილისი.
- Allan, S.& Zelizer, B. (2004). *Reporting War: Journalism in Wartime*, London: Routledge.
- Binder, D. (1992). „*Bush Warns Serbs Not to Widen War*“, The New York Times, 28 December.
- Elsie, R. (2004). *Historical Dictionary of Kosovo*, Lanham: Scarecrow Press, p. 98.
- Krieger, H. (2001). *The Kosovo Conflict and International Law: An Analytical Documentation 1974-1999*, Cambridge: Cambridge University Press, p. 108.
- Ludsin, S. (2005). „*Kosovo, Genocide and the Dayton Agreement*“, The Wall Street Journal, 1 December.
- Mearsheimer, J. (1990). *Back to the Future: Instability in Europe after the „Cold War“*, International Security, Vol. 15, No. 4.
- Petras, J. (1999). „*NATO: Saving Kosovo by Destroying It*“, Economic and Political Weekly, 5 June.
- Rogel, C. (2004). *The Breakup of Yugoslavia and Its Aftermath*, Westport: Greenwood Press.
- Rogel, C. (2003). „*Kosovo: Where It All Began*“, International Journal of Politics, Culture, and Society, Vol. 17, No.1.
- Silber, L. & Little, A. (1997). *Yugoslavia: Death of a Nation*, New York: Penguin Books.

### Referances:

- Chit'adze, N. (2008). *Crdiloat'lant'ik'uri Aliansi Msoflioshi Mshvidobisa da S'abilurobis Garant'I (The North Atlantic Alliance is a guarantor of peace and stability in the world)*, Tbilisi.
- Allan, S.& Zelizer, B. (2004). *Reporting War: Journalism in Wartime*, London: Routledge.
- Binder, D. (1992). „*Bush Warns Serbs Not to Widen War*“, The New York Times, 28 December.
- Elsie, R. (2004). *Historical Dictionary of Kosovo*, Lanham: Scarecrow Press, p. 98.
- Krieger, H. (2001). *The Kosovo Conflict and International Law: An Analytical Documentation 1974-1999*, Cambridge: Cambridge University Press, p. 108.
- Ludsin, S. (2005). „*Kosovo, Genocide and the Dayton Agreement*“, The Wall Street Journal, 1 December.
- Mearsheimer, J. (1990). *Back to the Future: Instability in Europe after the „Cold War*“, International Security, Vol. 15, No. 4.
- Petras, J. (1999). „*NATO: Saving Kosovo by Destroying It*“, Economic and Political Weekly, 5 June.
- Rogel, C. (2004). *The Breakup of Yugoslavia and Its Aftermath*, Westport: Greenwood Press.
- Rogel, C. (2003). „*Kosovo: Where It All Began*“, International Journal of Politics, Culture, and Society, Vol. 17, No.1.
- Silber, L. & Little, A. (1997). *Yugoslavia: Death of a Nation*, New York: Penguin Books.

## NATO peacekeeping mission in Kosovo

**Giorgi Doborjginidze**

PhD of History,  
Batumi Shota Rustaveli State University,  
Georgia.

### **Abstract.**

Nowadays, the concept of the security of states in the world is no longer limited by the borders of one state, the stable situation in the state depends on the integration processes developed at the regional and global level. Among the numerous organizations in the world, the North Atlantic Treaty Organization (NATO) occupies a central place. The answer to the question of what are the main reasons for the success of this organization must first be found in its principles and values. The North Atlantic Treaty Organization (NATO), established in 1949, was able to fulfill its main duties, namely to protect the sovereignty and territorial integrity of its member states.

After the end of the "Cold War", when the issue of its absence became active, NATO was able to transform itself and continues to function successfully to this day. The North Atlantic Alliance has undergone a number of changes in the history of its existence, one of these changes is the decision to engage in peacekeeping operations and crisis management, regardless of the geographical location of the conflict.

The Alliance recognizes that today threats are no longer confined to a single specific location, and in the context of globalization, threats are seen as a holistic problem. In the 90s of the 20<sup>th</sup> century, NATO carried out peace operations for the first time, namely in the Balkans (Bosnia-Herzegovina) in 1995, in Kosovo in 1999, and in Macedonia in 2001, where the bloody conflict of the breakup of the former Yugoslav Republic posed a serious threat not only to regional but also to common European security.

**Keywords:** NATO; Peacekeeping Operation; USA; United Nations Kosovo; Conflict.

**ულუჩ ალი ფაშა - ტყვეობიდან ქაფუდან ფაშამდე  
(იტალიური და თურქული წყაროების მიხედვით)**

**ლევან ჯანჯღავა**

ისტორიის მაგისტრი, თბილისის ივანე  
ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი,  
ქ. თბილისი, საქართველო.

**აბსტრაქტი.**

XVI საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში არა მხოლოდ სახმელეთო ძალებს ენიჭებოდა უპირატესობა, არამედ - საზღვაოსაც. ჭაბუკობაში გატაცებული ყმაწვილები, რომლებიც ისლამს იღებდნენ და ოსმალეთის სამხედრო რიგებში ირიცხებოდნენ, მაღალ სამხედრო საზღვაო თანამდებამდეც აღწევდნენ. მათ შორის იყო, ჩვენი კვლევის ობიექტი, ულუჩ ალი, რომელმაც ძალიან საინტერესო და მძიმე გზა გაიარა იმისათვის, რომ ოსმალეთის ფლოტის უმაღლესი თანამდებობისთვის - ქაფუდანობისთვის - მიეღწია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაწვრილებით შესწავლილი არ არის ულუჩ ალის, როგორც გამორჩეული ოსმალე მეზღვაურის ცხოვრების ისტორია. ამ ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენ, შეძლებისდაგვარად, ვითვალისწინებდით დასავლურ და აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში დასახელებულ პიროვნებაზე არსებულ წყაროებს. დასავლური ლიტერატურიდან ვიხელმძღვანელებთ იტალიელი ისტორიკოსების მიერ გამოკვლეული XVI საუკუნიდან მოყოლებული იტალიური წყაროები, რომელთა გამოყენებაც ამ სტატიას შინაარსობრივად ამყარებს. ასევე, ყურადღება გავამახვილებთ ვალენტინა ძეკას, ვიტო ტეტის, ჯინო ბენძონის, გუსტავო ვალენტე (რომელსაც ეკუთვნის ულუჩ ალიზე დაწერილი ერთადერთი ბიოგრაფიული ნაშრომი) და ჯონ უოლფი. რაც შეეხება

აღმოსავლურ ლიტერატურას, ჩვენ გავეცანით იდრის ბოსთანის, ისმაილ ჰაქი უზუნჩარშილის და იოჰან ვილჰელმ ცინკეისენის ნაშრომებს.

აღსანიშნავია, რომ, იტალიური წყაროები უმეტესწილად ეყრდნობიან როგორც XIX და XX საუკუნის წყაროებს, ასევე ულუჩ ალის თანამედროვეთა გადმოცემებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ თურქულ წყაროებზეც. ყველაზე დიდი შრომა მოითხოვა ამ წყაროების შედარებამ და სინთეზმა, რაც ხშირ შემთხვევაში ერთი კონკრეტული მოვლენის დადგენას გვართულებდა. ამ ყველაფრის მიზეზი იყო ის, რომ წყაროებში აღწერილი მოვლენები ხშირად არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. აქვე, გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ჩვენ ვერ ვანიჭებთ უპორატესობას რომელიმე მათგანს.

**საძიებო სიტყვები:** ულუჩ ალი; ლეპანტოს ბრძოლა; ოსმალეთი XVI საუკუნეში; ზღვაოსნობა ოსმალეთში.

### **შესავალი.**

წინამდებარე სტატიაში, იტალიურ და თურქულ ლიტერატურაზე დაყრდნობით განვიხილეთ ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი წარჩინებული, ყოფილი ქრისტიანის, ულუჩ ალის მოღვაწეობა. ზემოთ ჩამოთვლილ მასალაზე დაყრდნობით, ჩვენ შევეცადეთ ობიექტურად გადმოგვეცა საკითხის ძირითადი შინაარსი. გვიდა აღვნიშნოთ, რომ სტატია არ აცხადებს პრეტენზიას შინაარსის საბოლოო ხასიათზე და მომავალშიც შესაძლოა გარკვეულმა სიახლეებმა გამოიჩინოს თავი ამ საკითხთან დაკავშირებით.

### **მეთოდი.**

ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზებულია XVI საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე მეზღვაურის, კაპერის, ულუჩ ალის ისტორია, რაც ქართული ისტორიოგრაფიისთვის სიახლეს წარმოადგენს.

### **დისკუსია.**

ბირნო გალენისა და პიპა დე ჩიკოს ვაჟი, ჯოვანი დონიგი გალენი, დაიბადა სამხრეთ იტალიაში, კალაბრიის რეგიონში,

რომელიც არაგონის სამეფოს ეკუთვნოდა, სავარაუდოდ 1519 წელს. ჯოვანის წარსული მეტწილად ბუნდოვანია. უფრო მეტიც, ერთი კონკრეტული აზრი კიდევ არ არსებობს იმის შესახებ, რომ მისი სახელი ჯოვანი ბატისტა თუ ლუკა იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, მომავალი „ქაფუდან-ი დერისა“ ყოფილი სახელის დადგენა ჩვენი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოვანის, ისევე როგორც მამამისის, მეთევზის, ზღვასთან ურთიერთობა ადრე დაიწყო, მისი ცხოვრებისეული მოტივაცია სასულიერო მოღვაწეობის დაწყებით და საბოლოოდ მღვდლობით შემოიფარგლებოდა. მისი რელიგიური აღრზდა დომინიკელთა ორდენის წევრად გახდომით იწყება. მაგრამ, ჯოვანის (სავარაუდოდ 17 ან 20 წლის) სწავლება დასასრულს 1536 წლის აპრილში<sup>6</sup> მიუახლოვდა, როდესაც იგი თურქი მეკობრის, ალი აჰმეთ რეისის, მიერ იქნა გატაცებული. აღსანიშნავია, რომ ალი აჰმეთ რეისი, ჰაირედინ ბარბაროსას ფლოტის ერთ-ერთი კაპიტანი იყო. კალაბრიისთვის და სკვილაჩეს ყურისთვის, ბარბაროსას თუ სხვა თურქი კაპერების სტუმრობა იშვიათი მოვლენა არ იყო, ჯოვანის მოტაცება თურქთა თარეშის სტანდარტული პროტოკოლი იყო. თუ სად მოხდა ჯოვანის მოტაცება ზუსტად უცნობია. წყაროები, კერძოდ პროფესორი იდრის ზოსთანი, მიგვითითებენ, რომ ჯოვანი ნეაპოლისკენ მიემგზავრებოდა, სადაც ის რელიგიური სწავლების გაგრძელებას აპირებდა. ეს ბადებს კითხვას, ზუსტად სად გადაიკვეთა ჯოვანის და ალი აჰმეთ რეისის გზები?

აქვე აღსანიშნავია წყარო, რომელიც მოკლედ აღწერს, რომ კალაბრიის ნაპირებს არა თუ ალი აჰმეთ რეისი, არამედ თვით ჰაირედინ ბარბაროსა 30 გალეონით მოადგა. მან ჯოვანი არა მხოლოდ მოიტაცა, არამედ მამამისი, ბირნო, მოკლა (იგულისხმება ბარბაროსას ეკიპაჟი და არა თვით ბარბაროსა). ეს მოსაზრება,

---

<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ ჯოვანის ასაკი და გატაცების ზუსტი თარიღი უცნობია, ზემოაღნიშნული წყაროებიდან არაერთი მიუთითებს ჯოვანის მოტაცების წელს ანუ 1536 (ამ წელს განსაკუთრებით ვხვდებით დომენიკო მარტირეს აღწერაში). ასევე ცნობილია, რომ ჯოვანი, ალი აჰმეთ ფაშას ქვეშევრდომებმა მისი მოზარდობის ბოლო წლებში მოიტაცეს. მის ასაკობრივ ჰიპოთეზას, სავარაუდოდ ისიც ამყარებს, რომ ჯოვანი სასულიერო განათლების მისაღებად ემზადებოდა, რაც გამორიცხავს მის მცირეწლოვნებას.

კოზენციელ მღვდელს დომენიკო მარტირეს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი ამ მოვლენას მის ნამუშევარში La Calabria Sacra e Profana-ში აღწერს. დასახელებულ ნამუშევარში მარტირემ, კალაბრიელი რელიგიური მოღვაწეების ცხოვრების აღწერას დაუთმო. მიზანშეწონილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტირეს ჯოვანის გატაცების მოკლე აღწერა შესაძლოა მხატვრულად დრამატიზირებული იყოს. როგორც ვიტო ტეტი მის არტიკლში მარტირეს მოიხსენიებს: პიროვნება, რომელიც კარგად იცნობდა მისი პერიოდის მთავარ შრომებს და ასევე ზეპირად გადმოცემულ ამბებს, ფაქტებსა და ლეგენდებს.

ტყვედ ჩავარდნილი ჯოვანის ჰაირედდინ ბარბაროსას ფლოტის ერთ-ერთ გალეონის მენიჩბედ ამუშავებდნენ. მისი ტყვედ ჩავარდნიდან ორ წელიწადში, 1538 წელს, მან პრევეზას ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც ბარბაროსას უდიდესი გამარჯვებისა და ანდრეა დორიას უმძიმეს დამარცხების თვითმხილველი გახდა.

პრევეზას ბრძოლიდან რამოდენიმე წელიწადში, ჯოვანი რჯულს იცვლის და მუსულმანი ხდება. რჯულის ცვლილებასთან ერთად, ჯოვანის ახალი სახელი ულუჩ ალი მიენიჭა. პირველ რიგში განვიხილოთ მისი რჯულის შეცვლის მოვლენა. უცნობია თუ ზუსტად როდის და კერძოდ რატომ იცვალა ჯოვანი რჯული. მაგრამ წყაროები მიგვითითებენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების უკან, ჯოვანის თვითგადარჩენის სურვილი იყო. წყაროები მოგვითხრობენ კონფლიქტზე, სადაც უცხო პიროვნება ჯოვანის ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს და სახეში სილას ურტყავს. ჯოვანი შეურაცხყოფას ვერ იტანს და ერთი მუშტის მოქმევით მის მოქიშპეს კლავს. ზუსტად აქ იყოფა წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაცია, არა სიუჟეტში, არამედ მოკლული პიროვნების ეროვნებაში. გუსტავო ვალენტე, ისევე როგორც დომენიკო მარტირე აღნიშნავენ, რომ ჯოვანის მოქიშპე ნეაპოლელი ტყვე იყო, რომელმაც ჯოვანი შურის ნიადაგზე შეურაცხყო<sup>7</sup>. ბარ-

---

<sup>7</sup> ამ ვერსიის თანახმად, ჯოვანის მისი გალეონის კაპიტანი, ჯაფარი, დაუახლოვდა რის შედეგადაც მან ჯოვანი თავისთან სახლში წაიყვანა. ჯოვანი არამარტო მის ახალ ბატონთან, არამედ მის მეუღლესთანაც დაახლოვდა. ეს სიახლოვე განსაკუთრებით ორ ტყვეს, სიცილიელს და ნეაპოლელს არ ესიამოვნათ. ეს იყო ჯოვანისა და ნეაპოლ-



თლომე ბენასარის აზრით კი მოქიშპე ეროვნებით თურქი იყო. წყაროები თანხმდებიან, რომ ჯოვანი რჯულს სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ იცვლის, მათი თქმით, ჯოვანის ეშინოდა, რომ მკველობის გამო მას სიკვდილით დასჯიდნენ. ეს დამაჯერებელია ნეაპოლელი ტყვის შემთხვევაში, რადგან ოსმალეთში ტყვის მიერ მეორე ტყვის მოკვლა სიკვდილით ისჯებოდა<sup>8</sup>. იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო, მან რჯული იცვალა და მუსულმანი გახდა. ამერიდან ჯოვანი, ულუჩ ალის სახელით იყო ცნობილი. ამ ვერსიის თანახმად, აშკარად ჩანს, რომ ჯოვანი გალენის ულუჩ ალიდ ტრანსფორმაცია არა თუ ნებაყოფლობითი, არამედ გარემოების მიერ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდს ყველაზე ადრე დომენიკო მარტირე აღწერს. შესაძლებელია თუ არა, რომ აქაც გამოყენებული იყოს მოვლენების მხატვრული დრამატიზირება? სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ბოლომდე არ არის გამორიცხული ის, რომ მარტირეს ყურამდე ეს ისტორია მცდარი ფორმით მივიდა, გამოგონილი იმ ადამიანების მიერ ვინც უკვე შემდგარი ქაფუდან ფაშას მიმართ ცუდად იყვნენ განწყობილნი. ამ უკანასკნელის მიმართ მათი უარყოფითი დამოკიდებულება კი შესაძლოა მისი ევროპული და ქრისტიანული წარსულიდან გამომდინარეობდეს. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, საკმარისია გამოვიყენოთ ნუსრეთ გედიქის სტატია, სადაც ულუჩს ვინმე უსახელო მეზღვაური აკრიტიკებს და დასცინის, წარმოვიდგინოთ არა უსახელო მეზღვაური არამედ ნამდვილი პოლიტიკური ოპონენტი, ის რას იზავდა.

რაც შეეხება ჯოვანის ახალ სახელს - ულუჩ ალი. მიგელ სერვანტესი მის შედევერში, დონ კიხოტში, ჩინებულად ხსნის თუ როგორ იძენდნენ თურქები სახელებს. სერვანტესის დაკვირვებით, თურქებში გავრცელებული იყო იმ ზედსართავი და არსე-

---

ელი ტყვის შორის ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი. ტრეკანის ენციკლოპედიის თანახმად, ჯოვანი თავდაპირველად უარზე იყო რჯული ეცვალა, რაც ლოგიკურია, ის ხომ ოდესღაც მღვდლობას აპირებდა. მაგრამ, მისი ბატონისა და ბატონის მეუღლის დაჟინებით მიიღო ისლამი.

<sup>8</sup> თურქს ისევე როგორც „ნეო-თურქს“ გათურქებულ (ასე მოიხსენიებს გათურქებულებს ტრეკანი) პიროვნებას ჯოვანის ქმედება, ანუ თავისივე ტყვის მკვლელობის გამო არ დასჯიდნენ.

ბიტი სახელების გამოყენება, რომლებიც პიროვნებას აღწერდნენ. ჯოვანის ზედსართავი *ულუჩ* ერგო. ულუჩ, არაბული „ილჩ“-იდან მოდიოდა, რაც უხცოს ან ურჯულოს ნიშნავდა, ტერმინი რომელსაც ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ ბერბერთა სახელმწიფოებში მათთვის არასასურველი ქრისტიანების მიმართ იყენებდნენ<sup>9</sup>. ხშირად ვხვდებით ულუჩ ალის სხვადასხვა ინტერპრეტირებულ ვარიაციებს, როგორც არის: Ulucali, Uluj, Euldj, Lucalli (რაც ბადებს ზემოთხსენებულ კითხვას, თუ მას მართლა ჯოვანი ან ლუკა ერქვა), Locchiali, Occhiali<sup>10</sup> და სხვა. უმეტესწილად, ულუჩ ალის სხვაგვარად ინტერპრეტირებული სახელები ვეროპიდან, კერძოდ იტალიიდან მოდიოდა.

ულუჩ ალის შემთხვევაში, მისი სახელი ასევე იტალიურ ენაზე, მის რელიგიურ სტატუსს ქვს წარმოადგენდა. მას, ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, იტალიაში მოიხსენიებდნენ როგორც „ილ რინეგატო“ (il rinnegato). აღსანიშნავია, რომ „რინეგატო“ (rinnegato) გამცემს ნიშნავს, მაგრამ რელიგიურ კონტექსტში იგი უფრო რჯულგანდგომილს/ურჯულოს ნიშნავს, რაც XVI საუკუნეში იდენტურ კონტექსტს ატარებდა. მაგრამ როდი იყო ულუჩ ალი ერთადერთი რინეგატო? იტალიურ წყაროებში, *რინეგატო* ეხება ყველა იტალიელს, რომელმაც რჯული შეიცვალა. ეს ტერმინი, კერძოდ ოსმალეთში მოღვაწე იტალიელების კონტექტში არის გამოყენებული.

ულუჩ ალის, როგორც ახალგაზრდა *რინეგატოს* ცხოვრებაზე, ზუსტი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროები მეტწილად ულუჩ ალის ახალგაზრდობის განხილვისას აღწერენ იტორიას, როდესაც ის ოსმალთა მეკობრეების რიგს შეუერთდა. თუ დავეყრდნობით წყაროებს შორის გავრცელებულ ვერსიას, რომლის თანახმადაც ახალგაზრდა

---

<sup>9</sup> აშკარად, სიტყვა „ულუჩ“-ს სხვა ენებში მეტი სინონიმი აქვს. თუ რომელ ზედსართავ სახელს იყენებდნენ ულუჩ ალის შემთხვევაში, უცხოს თუ ურჯულოს (და თუ იყო ამ ორს შორის რაიმე ფილოსოფიური განსხვავება), ზუსტად ვერ ვიტყვით. სჯობს ამ თემას პატივისცემით მოვეპყროთ და ეტიმოლოგიური კვლევები კომპეტენტურ პირებს დავუტოვოთ.

<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ სიტყვა Occhiali იტალიურად სათვალეს ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ეს ტერმინი და ულუჩ ალის სახელის ერთ-ერთი იტალიური ვარიანტი.

ულუქ ალი (როდესაც ის ჯერ კიდევ ჯოვანი დონიგის სახელს ატარებდა) კალაბრიიდან მოტაცებისთანვე მიჰყიდეს ვინმე მალაჩინოსან მეკობრეს, ჯაფარს. ეს აღსანიშნავია, რადგან ჯოვანი დონიგი, ზუსტად ჯაფარის ქვეშემრდომობისას იცვლის რჯულს და ხდება ულუქ ალი. ულუქ ალი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მუსლიმი, ჯაფარის ყურადღების ცენტრში მოქცეულა. ამ ფაქტორიტიზმის დამსახურება იყო ულუქ ალის დაქორწინება ჯაფარის ქალიშვილზე ბრაკადუნაზე. ამიერიდან, ულუქ ალი არა მხოლოდ ჯაფარის სიმე, არამედ მისი გალეონის მენიჩბეთა ზედამხედველი ხდება.

დომენიკო მარტირე, ისევე როგორც ტრეკანი, აღნიშნავს, რომ ჯაფარმა, მისი სიმე ულუქ ალი და მისი შვილი ალი თურგუთ რეისს, ოსმალეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დამსახურებულ მეზღვაურს და ალჟირის მომავალ ბეის, მიაბარა. როგორც ტრეკანი გვამცნობს, ჯაფარმა მისი შვილი ალი კერძოდ ულუქ ალის მიაბარა, რათა ეს უკანასნელი პირველის ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყო. სამწუხაროდ აქ სრულდება ჩვენი წყაროების მიერ წარმოდგენილი ისტორიოგრაფია ჯაფარის, მისი შვილის ალის და ულუქ ალის მეუღლის, ჯაფარის ასულის, ბრაკადუნას შესახებ.

საინტერესოდ მიგვაჩნია ის, რომ ტრეკანის თანახმად ულუქ ალი თურგუთ რეისს 1541 წელს უერთდება. ეს წინააღმდეგობაში მოდის პროფესორ იდრის ბოსთანის მოსაზრებასთან, რომლის ჩანაწერები არ აღწერს არც ულუქ ალის გათურქებას და არც ულუქ ალისა და ჯაფარის ოჯახურ ურთიერთობას. პროფესორი ბოსთანის თანახმად, ულუქ ალიმ თურგუთ რეისს ერთგულება 1548 წელს აღუთქვა.

ულუქ ალის ბიოგრაფია, მისი თურგუთ რეისთან შეერთების შემდეგ ნაკლებად ბუნდოვანია, რამეთუ აქედან იწყება ულუქ ალის ლეგენდის ჩამოყალიბება.

ულუქ ალი, რომელიც უკვე თურგუთ რეისის ფლოტის ნაწილს ხელმძღვანელობდა, თურგუთ რეისისთან ერთად არაერთ საზღვაო ლაშქარში თუ სანაპირო თარეშში მიიღო მონაწილეობა. წყაროების გადამოწმებისას შევამჩნიეთ, რომ მხოლოდ იდრის ბოსთან ალწერს 1549 წლის მაჰდიას დაცვას (თუნისი).

ექვი არ გვეპარება, რომ ბოსთანი არა 1549 წლის, არამედ 1550 წლის მაჰდიის დაცემას აღწერს, სადაც ანდრეა დორიას ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა გაერთიანებულმა ესპანურმა და მალტის ორდენის ფლოტმა საზღვაო ქალაქში გამაგრებული თურგუთ რეისი ალყაში მოაქციეს. ბოსთანის თქმით, ამ დროს ულუჩ ალიც თურგუთ რეისთან იმყოფებოდა. საბოლოოდ, თურგუთ რეისი ალყას გაექცა და თავი ჯარბას კუნძულს შეაფარა.

ზუსტად ერთ წელიწადში, 1551 წელს, ულუჩ ალიმ თურგუთ რეისთან და ოსმალეთის ქაფუდან ფაშასთან, სინან ფაშასთან, ერთად ტრიპოლი აიღო. ტრიპოლი ამ დროს ესპანეთს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი 1530 წელს კარლოს I-მა (საღვთო რომის იმპერატორი: კარლ V) მალტის ორდენს გადასცა. თუნისის აღება ოსმალებს არ გასჭირვებიათ, მათ ეს მხოლოდ ექვს დღეში მოახერხეს. თუ პროფესორ ბოსთანს დავეთანხმებით, რომ ულუჩ ალი ტრიპოლის აღებაშიც ფიგურირებდა, მაშინ თავდაჯერებულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან ასევე მონაწილეობა მიიღო 1551 წლის მალტის გოზოს კუნძულის და 1553 წელს, საფრანგეთის დახმარებით, კორსიკის აღებაში. უფრო მეტიც, დარწმუნებით ვიცით, რომ ულუჩ ალიმ თურგუთ რეისთან და ფიალე ფაშასთან 1560 წელს ჯარბას ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ჯოვანი ანდრეა დორიას (ანდრეა დორიას ძმის შვილის-შვილი) მეთაურობის ქვეშ მყოფი ესპანური ფლოტი დაამარცხა.

ულუჩ ალის ფლოტში აქტიურმა მსახურობამ არა მარტო თურგუთ რეისთან, არამედ ქაფუდან ფაშა, ასევე ევროპული წარმოშობის (სავარაუდოდ უნგრელი) ფიალე ფაშასთან დაახლოვა. ულუჩ ალის წარმატებებმა, რა თქმა უნდა, ყურადღება მიიქციეს, რის შედეგადაც 1562 წელს ულუჩ ალის ალექსანდრიის გვარდიის კაპიტნის ტიტული ენიჭება. საინტერესო არის ის, რომ იტალიურ წყაროებში ულუჩ ალის 1562 წელს მოიხსენიებენ როგორც ალექსანდრიის გვარდიის უფროსს/კაპიტანს, მაგრამ არაერთ თურქულ წყაროებში მითითებულია, რომ იგი 1562 წელს ალექსანდრიის არა თუ გვარდიის კაპიტანი, არამედ ბეილერბეი გახდა, რაც რეალობას აშკარად არ ასახავს. მაგრამ მართალია, რომ ულუჩ ალის ეგეოსის ძღვის მცირე ტერიტორიის, კერძოდ

კუნძული სამოსის და იზმირის პროვინციის მიმდებარე ზღვის სანაპიროების მეთვალყურეობა დაევალა.

1565 წელს, დაზუსტებით ვიცით, რომ ულუჩ ალი მალტის ალყაში იღებდა მონაწილეობას. მის გვერდით არაერთი მისი თანამებრძოლი იბრძოდა: თურგუთ რეისი, ფიალე ფაშა, სალიჰ რეისი და ჰაირედდინ ბარბაროსას ვაჟი ჰასან ფაშა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ფლოტს ძალზედ კომპეტენტური პირები მართავდნენ, ოსმალეთი ესპანეთის და მალტის ორდენის გაერთიანებულმა ძალებმა გაანადგურეს. ამ ბრძოლას თვით თურგუთ რეისიც კი შეეწირა. მისი გვამი კი თვით ულუჩ ალიმ ტრიპოლიში დაასვენა. წყაროების თანახმად, თურგუთ რეისი ტრიპოლის ბეილერბეი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კი ეს ტიტული ულუჩ ალის ერგო წილად.

აღსანიშნავია, რომ ულუჩ ალი, როგორც ყველა სხვა ოსმალო კაპერი, სამხრეთ იტალიის სანაპირო ქალაქებს არაერთხელ დაესხა თავს. წყაროებში ზუსტად არ არის მითითებული თუ კერძოდ ვის და როდის დაესხა იგი თავს მაგრამ ვიცით, რომ მის რისხვას ვერც მისი მშობლიური მხარე, კალაბრია, ვერ გადაურჩა. შეიძლება ეს ზედმეტად პოეტურად ჟღერდეს, მაგრამ, კალაბრიაში შესვლით, ულუჩ ალიმ საბოლოოდ დაასამარა მისი წარსული, როგორც ჯოვანი გალენი. ამასთან ერთად, ულუჩ ალიმ განაგრძო ჰაირედდინ ბარბაროსას გზა გაენთავისუფლებინა ათასობით მორისკოები იბერიის ნახევარკუნძულიდან.

როგორც ჩანს, ულუჩ ალის სახელი ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტად თუნისს უკავშირდება. თურქული წყაროების თანახმად, ულუჩ ალის თუნისში ჩართულობა ძალზედ იგრძნობოდა. მეტიც, აშკარად ჩანს მისი გავლენა, როდესაც იგი თავის თავზე იღებს თუნისის ადმინისტრაციულ პოზიციებზე ბეი-ების დანიშვნას. 1568 წელს სულთან სელიმ II-მ (1566-1574) ულუჩ ალი ალჟირის ბეილერბეის თანამდებობაზე დანიშნა, რამაც მას ჩრდილოეთ აფრიკაში გავლენა და პრესტიჟი მოუმატა<sup>11</sup>. ამასობაში, მოახლოვდა 1571 წელი - ლეპანტოს ბრძ-

---

<sup>11</sup> ალჟირის სანჯაყი სხვა სანჯაყებისგან განსხვავებით უფრო მაღალი დონის ავტონომიით სარგებლობდა. ალჟირს მეტწილად, ოსმალეთის დროშის ქვეს მოცურავე კაპერები და მეკობრეები განაგებდნენ.

ოლა. ასევე თურქული წყაროების თანახმად, საბრძოლო კონსილიუმის მიმდინარეობისას, ულუქ ალი დაჟინებით ითხოვდა, რომ ოსმალეთის ფლოტს დაცვითი სტრატეგიით ემოქმედა და არა პატრასის ყურეში არამედ უფრო ღრმად, კორინთოს ყურეში შეეტყუებინათ „საღვთო ლიგის“ (ესპანეთის, ვენეციის, გენუის, მალტის ორდენის და წმინდა საყდრის ალიანსი ოსმალების წინააღმდეგ) გაერთიანებული ფლოტი და იქ დაემარცხებინათ. იმ დროს მოქმედი ქაფუდან ფაშა, მუეძინზადე ალი, რომელიც ოსმალეთის მთლიან ფლოტს მეთაურობდა, ულუქ ალის გეგმას კატეგორიულად უარყოფდა. იტალიურ წყაროებში ულუქ ალისა და ალი ფაშას დაპირისპირების ეპიზოდი ვერ მოიძებნა. ეს შეგვიძლია დავაბრალოთ იმას, რომ აღნიშნული გაუგებრობა პირადად ოსმალურ ფლოტში მეთაურთა შორის მოხდა, რასაც მხოლოდ ოსმალური (და შემდეგ თურქული) წყაროები გადმოგვცემენ.

საბოლოოდ, ოსმალეთის ფლოტი „საღვთო ლიგასთან“ უმძიმესად დამარცხდა. ირონიულად, ბრძოლას თვით მუეძინზადე ალი ფაშა ემსხვერპლა, ულუქ ალი კი ორმოციოდე ხომალდით გადარჩა და უაკნ დაიხია. როგორც ჩანს, მიუხედავად ალი ფაშას სიჯიუტისა, ულუქ ალიმ თვითონ მიმართა თავისივე სტრატეგიას, და ბოლოს მისივე ზარბაზნების კვამლში დაუსხლტა მტერს ხელიდან. სტამბოლში დაბრუნებისას, ულუქ ალიმ ცხოვრების ახალ ეტაპში შეაბიჯა. იგი სულთან სელიმ II-მ ახალი სახელით, ქილიჩ-ით (Kiliç - ხმალი) შეამკო. ახალ წოდებასთან ერთად, სულთანმა ულუქ ალის სიმბოლურად ხმალი უბოძა და ამით, 1571 წლის 29 ოქტომბერს, ქილიჩ ალი, ოსმალეთის იმპერიის დიდი ადმირალის, ქაფუდან ფაშას თანამდებობაზე, დაინიშნა<sup>12</sup>.

ულუქ ალიმ, რომელსაც ამიერიდან ქილიჩ ფაშას სახელით მოვიხსენიებთ, განაგრძო მისი კაპერული, ისევე როგორც სახელმწიფოებრივი, მოღვაწეობა, როგორც ქაფუდანი. მან განაგრძო

---

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ, სტამბოლში ცასვლისას, ულუქ ალიმ სულთა სელიმ II-ს მალტის ორდენის საფლაგმანო ხომალდის დროშა ჩამოუტანა. ასევე ირონიულად, უნდა აღინიშნოს, რომ ლეპანტოს ბრძოლაში დაღუპულ ჯიუტ მიემინ ალი ქაფუდან ფაშას საფლაგმანო დროშა დღესაც იტალიაში, ქალაქ პიზაში არის გამოფენილი.

ესპანელების წინააღმდეგ თუნისისთვი ბრძოლა. ეს უკანასკნელი მან 1574 წელს დაიკავა და უფრო მეტიც, ესპანეთის ფლოტის ადმირალი გაბრიო სერბელონი ტყვედ აიყვანა.

### **დასკვნა.**

თურქული წყაროები მიგვანიშნებენ, რომ იგი სტაბოლში არაერთხელ იქნა შემჩნეული ნამაზის დროს. ალბათ ურიგო არ იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ ოსმალეთის დროშის ქვეშ ცურვის შედეგად, ქილიჩ ალი ფაშამ მართლაც რომ ძირფესვიანად მიიღო ისლამი. მაგრამ, მაინც ვერ გამოვრიცხავთ იმ ჰიპოთეზას, რომელიც ბადებს კითხვას, რამდენად უარყო მან ქრისტიანობა.

ქილიჩ ალი სტამბოლში 1587 წელს გარდაიცვალა. ლეგიტიმური შთამომავლის არყოლის გამო, მისი ხაზინა ოსმალეთის სახელმწიფოს გადაეცა. გარდაცვალებამდე ცხრა წლით ადრე, ქილიჩ ფაშამ სახელგანთქმულ ოსმალე არქიტექტორს სინანს (-1588) მეჩეთის დაპროექტება და აშენება დაუკვეთა. ლეგენდის თანახმად სინანმა ქილიჩ ფაშას გაკვირვებით მიმართა, რომ მისი, როგორც უდიდესი მეზღვაურის, მეჩეთს იგი ხმელეთზე ვერ ააშენებდა. პასუხად ქილიჩ ფაშამ, სინანს ანატოლიის სხვადასხვა კუთხიდან სამშენებლო მასალა - ქვა ჩამოუტანა. მეჩეთის მშენებლობისას ბოსფორის სრუტის განაპირა ტერიტორია ამოაშრეს, რათა იქ ქილიჩ ფაშას მეჩეთი აეშენებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ბეიოღლუს უბანში დღემდე დგას ეს გრანდიოზული მეჩეთი, რომელიც მართლა ქმნიდა ილუზიას, რომ იგი ზღვაზე იდგა, რაც ქილიჩ ფაშას საზღვაო ცხოვრებას გადმოსცემდა.

დაიბადა როგორც ჯოვანი, ალიზარდა როგორც ულუჩ ალი და გარდაიცვალა როგორც ქილიჩ ფაშა და დღეს იგი მისივე სახელობის მეჩეთში განისვენებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა/ Referances:**

- Bennassar, B. (1991). *I cristiani di Allah. La straordinaria epopea dei convertiti all'islamismo nei secoli XVI e XVII*. Milano: Rizzoli.
- Benzoni, G. (1998). *Dizionario Biografico degli Italiani (Vol. 51, GAL-ENI, Gian Dionigi)*. Enciclopedia Italiana di Scienze, Lettere e Arti.
- Gaborieau, M. and Krämer, Gudrun. (2014). *The encyclopaedia of Islam: Three (Kiliç Ali Paşa by Idris Bostan)*. Leiden: Brill.
- Gedik, N. (2017). “*Gemici dili ile Kiliç Ali Paşa HİCVİYYESİ*,” *Türk Kültürü İncelemeleri Dergisi*, 02(37), pp. 131–176. Available at: <https://doi.org/10.24058/tki.2020.355>.
- Kiliç Ali Paşa (no date) *TDV İslâm Ansiklopedisi*. Available at: <https://islamansiklopedisi.org.tr/kilic-ali-pasa> (Accessed: November 22, 2022).
- Teti, V. (2008). “*Gian Giacomo Martini e Uluciali alias Kiliç Ali Pasha: aspetti della costruzione dell'identità calabrese tra XVI e XVII secolo*,” *La Calabria del vicereame spagnolo: storia, arte, architettura e urbanistica*.
- Uzunçarşılı İsmail Hakkı and Karal, E. Z. (2019). *Osmanlı Tarihi (Cilt 2)*. Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
- Valente, G. (1960). *Vita di Occhiali*. S.l.: Centro bibliografico calabrese.
- Wolf, J. B. (1979). *The Barbary Coast: Algiers under the Turks 1500 to 1830*. New York: W. W. Norton & Company.
- Zecca, V. (2017). “*Una pagina delle relazioni tra Calabria e Nord Africa. Occhiali e il fenomeno dei rinnegati nel XVI e XVII secolo*,” *Occhiali Rivista Sul Mediterraneo Islamico*, 1(1).
- Zinkeisen, J.W. (2011). *Osmanlı imparatorluğu Tarihi (Cilt 3)*. Istanbul: Yeditepe Yayınevi.



**Uluç Ali Pasha – From Slave to Kapudan Pasha**  
**(According to Italian and Turkish Sources)**

**Levan Janjgava**

M.A History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Department of Modern and Contemporary History,  
Tbilisi, Georgia.

**Abstract.**

In the Ottoman Empire of the 16th century, the maritime naval forces were as prioritized as the ground forces. Among the thousands of kidnapped youths, who were converted to Islam joined the ranks of the Ottoman army. Some reached high military and naval positions. Among the latter, was the person of our research, Uluç Ali, who lived a very interesting yet difficult life. Yet, to this day he remains to be one of the most influential Kapudan Pasha in the history of the Ottoman navy.

The life story of Uluç Ali as an outstanding Ottoman sailor has not been studied in detail in Georgian historiography. By working on this paper, we have taken into account the sources at hand that deal with Uluç Ali in both Eastern and Western historiography. From Western literature, we are guided by Italian sources from the 16th century, additionally researched by Italian historians and historiographers. We also highlighted Valentina Zecca, Vito Teti, Gino Benzoni, Gustavo Valente (author of the only biographical work written on Uluç Ali) and John Wolf. As for the oriental literature, we are acquainted with the works of Idris Bostan, Ismail Hakki Uzunçalış and Johann Wilhelm Zinkeisen.

It should be noted that the Italian sources mostly rely on the sources of the 19th and 20th centuries, as well as those of Uluç Ali's contemporaries of the 16<sup>th</sup> century.

The same can be said about Turkish sources. The greatest work was required by the process of comparison and synthesis of these sources, which in many cases made it difficult to determine the authenticity of one specific “occurred” event. The reason for all this was that the events described in the sources often did not match each other. Yet it has to be said that, due to the differing of source materials, we are not able to. Prioritize one over the other.

**Keywords:** Uluç Ali; Battle of Lepanto; Ottoman Empire in the XVI Century; Ottoman Maritime.

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები საწყის ეტაპზე (XVII  
საუკუნე)

დავით ანდლულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის  
მიმართულების დოქტორანტი.  
საქართველო, თბილისი.

**აბსტრაქტი.**

ჩინურ-რუსული ურთიერთობები დღეს არსებითად ახალ ფაზაში შევიდა. რამდენიმე საუკუნის წინ რეალობა განსხვავებული იყო. აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის გადანაწილებისათვის ბრძოლამ თითქმის მთელი მეჭვიდმეტე საუკუნე გასტანა. რუსულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული „შორეული აღმოსავლეთის მშვიდობიანი შემოერთების“ ნარატივის მიუხედავად, ჩინური წყაროები სხვა რეალობაზე მეტყველებენ.

სასაზღვრო შეტაკებებისა და ომების ფონზე, რუსეთი იძულებული გახდა რიგ ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო. ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება მაშინაც კი ძალიან მნიშვნელოვანი საგარეო-ეკონომიკური ფაქტორი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ცინგის იმპერია ძლიერ სამხედრო ძალასაც წარმოადგენდა და ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის პოლიტიკური და კულტურული დამინანტი იყო.

**საძიებო სიტყვები:** ჩინეთი; რუსეთი; PAX SINICA; ქოუთოუ; ლუოჩა.

## შესავალი.

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობების ისტორია დაახლოებით ოთხას წელს ითვლის და თანამედროვე მსოფლიოში მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება „ოქროს ხანად“ შეფასდეს - მათ არასოდეს ჰქონიათ ასეთი მჭიდრო კავშირი. უკრაინაში შეჭრისა და მისი ტერიტორიების ანექსიისა და ოკუპაციის გამო საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეული რუსეთი, სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ჩინეთზე, სწორედ ეს არის ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ინტენსიფიკაციის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართულ ლიტერატურაში ფაქტობრივად არ მოგვეპოვება ცნობები ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების არათუ ადრეულ, არამედ თანამედროვე ეტაპზეც კი. მაშინ როდესაც რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტი, ხოლო ჩინეთი არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, მათ შორის არსებული ურთიერთობების ისტორიისა და აწმყოს არცოდნამ შესაძლოა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ოთხი საუკუნის განმავლობაში, ურთიერთობების დინამიკა განსხვავებული იყო. ისტორიას ახსოვს როგორც პარტნიორობის, ისე კონფრონტაციის ეპიზოდები. ჩინეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ წარსულს, ზოგადად, ჩინური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია წარსულის იდეალიზაცია. კონფუცი მიიჩნევდა, რომ აუცილებელია წარსულთან ჰარმონიის მიღწევა, ძველი იდეალებისა და სტანდარტების აღდგენა, რათა დამყარდეს ძველად არსებული იდეალური წესრიგი. შესაბამისად, წარსულ გამოცდილებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ეს გარემოება განსაკუთრებით საინტერესოდ აქცევს ორ დიდ იმპერიას შორის ურთიერთობების პირველ ეტაპს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩინეთი საკუთარ თავს მოიაზრებდა „ცისქვეშეთად“ (天下), ხოლო, საკუთარ იმპერატორს ცის შვილად (天子), რომელსაც გააჩნდა ცის მანდატი (天命) ქვეყნიერების სამართავად. ჩინეთის მეორე სახელწოდება არის - 中国 - შუა, ცენტრალური ქვეყანა, რაც გულისხმობს იმას, რომ

ჩინეთი სამყაროს ცენტრშია, ხოლო მის გარშემო კი ბარბაროსები არიან, რომლებიც ჩინეთმა, როგორც აღმატებული ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ქვეყანამ, უნდა გაანათლოს და ცივილიზაციას აზიაროს. ჩინეთთან კულტურული კავშირის სიმძლავრის მიხედვით<sup>13</sup>, ქვეყნები იყოფოდა ახლო და შორეულ ბარბაროსებად. სწორედ ასეთ „შორეულ ბარბაროსებად“ მიიჩნეოდნენ რუსებიც.

წინამდებარე სტატიაში სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ჩინეთსა და რუსეთს შორის მეჩვიდმეტე საუკუნეში არსებული რთული და კომპლექსური ურთიერთობების დინამიკას, დიპლომატიური ურთიერთობების თავისებურებებსა და სასაზღვრო ზოლის ჩამოყალიბების საკვანძო საკითხებს.

### **მეთოდი.**

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები საწყის ეტაპზე.

### **შედეგები.**

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობების საწყისი ეტაპის კვლევამ დაგვანახა ცივილიზაციური ასპექტის მნიშვნელობა დიპლომატიურ ურთიერთობებში.

გამოიკვეთა, რომ რუსული ნარატივი აღმოსავლეთის მშვიდობიანი მიერთების შესახებ არ დასტურდება ისტორიული წყაროებით.

### **დისკუსია.**

რუსეთსა და ჩინეთს შორის პირველი ურთიერთობა მონღოლების შემოსევებთან ერთად უნდა დაწყებულიყო. მონღოლებმა ერთსა და იმავე პერიოდში დაიპყრეს სუნგის ჩინეთი (1231-1235 წწ.) და რიაზანი (1237 წელი) და პირველი დადასტურებული კონტაქტი რუსებსა და ჩინელებს შორის სწორედ „ოქროს ურდოს“ დაარსების პერიოდში უნდა მომხდარიყო. მონღოლებს თან ახლდათ ჩინელი სამხედრო ექიმები და მომღერალ-მოცეკვავეები, ხოლო ბევრი ტყვედ ჩავარდნილი რუსი წაასხეს ჩინე-

---

<sup>13</sup> ეს იზომებოდა ჩინური კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევების - კალენდრის, იეროგლიფების, ლიტერატურის და ა.შ. - ცოდნისა და გამოყენების მიხედვით.

თში, მათგან შეიქმნა პოლკი, რომელიც, ზოგიერთი მონაცემით რამდენიმე ათას ადამიანს ითვლიდა (Su, 94).

პირველი კონტაქტი არ ყოფილა არც ხანგრძლივი და არც რაიმე სერიოზული შედეგის მომტანი. სახელმწიფო დონეზე ვერანაირი ურთიერთობების ჩამოყალიბება ვერ მოხერხდებოდა, იმდენად, რამდენადაც იმდროინდელი რუსეთიც და ჩინეთიც დაპყრობილი იყო მონღოლების მიერ. მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ<sup>14</sup> (მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარი) კი ურთიერთობები საერთოდ გაწყდა, ხოლო, ჩინეთში მცხოვრები რუსების დიდი ნაწილი გადაასახლეს ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებში და, ზოგიერთი ვერსიით, მათი შთამომავლები XVI-XVII საუკუნეში შექმნილ პირველ კათოლიკურ სამრევლოებს შეურთდნენ (Дачышев, 2007: 47).

იუენის მონღოლური დინასტია (1271-1368 წწ.) შეცვალა მინგის ჩინურმა დინასტიამ (1368-1644 წწ.), რომლის მმართველობის პერიოდშიც დასავლეთის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ჩინეთით დაინტერესება. ჩინეთთან ვაჭრობისა და სახმელეთო სავაჭრო გზების აღმოჩენის სურვილი ბევრ ევროპულ ქვეყანას ჰქონდა და ისინი მიმართავდნენ კიდევ რუსეთს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის თხოვნით, თუმცა რუსეთში ჩინეთით დაინტერესება ცოტა გვიან დაიწყეს, როცა აღმოსავლური ექსპანსია ჩინეთის საზღვრებს მიუახლოვდა.

პირველი ოფიციალური ელჩობის გაგზავნის მცდელობა ჰქონდა რუსეთის მეფე ვასილი შუსისკის<sup>15</sup> (1606-1610 წწ.), თუმცა ელჩებმა პეკინამდე ვერ ჩააღწიეს. რეალური ურთიერთობები

---

<sup>14</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩინური ისტორიოგრაფია ამ ფაქტს რადიკალურად განსხვავებულად უყურებს. მონღოლებმა დაარსეს ჩინეთში იუენის დინასტია, რომელიც, ჩინური წარმოდგენის მიხედვით, იყო აბსოლუტურად ლეგიტიმური და ჰქონდა „ცის მანდატი“. ოგიენიარად არის გააზრებული ჩინეთის უკანასკნელი სამი-მპერატორო დინასტია - ცინგი, რომელიც დამპყრობელმა მანჯურებმა დაარსეს. საქმე ის არის, რომ ჩინეთის კულტურული დომინანტობა რეგიონში იმდენად ძლიერი იყო, რომ დამპყრობლები იძულებულნი ხდებოდნენ გადასულიყვნენ ჩინურ ყაიდაზე, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებდა ჩინელების რწმენას საკუთარ კულტურულ და ცივილიზაციურ უპირატესობაში.

<sup>15</sup> რუსულ და ჩინურ წყაროებში არსებობდა მოსაზრება, რომ პირველი ელჩობა ივანე მრისხანის მეფობისას უნდა გაგზავნილიყო, თუმცა არცერთი მხარის ოფიციალურ დოკუმენტაციაში ეს ასახული არ არის და სადღეისოდ ეს მოსაზრება უარყოფილია.

უკვე რომანოვების დინასტიის ზეობისას დაიწყო. კერძოდ, მეფე მიხეილ თეოდორეს ძის (1613-1645 წწ.) მეფობისას პეკინში ტოლსკიდან ჩავიდა დელეგაცია კაზაკ ივანე პეტლინის მეთაურობით, რომელმაც მონღოლეთის გავლით შეაღწია მინგის ჩინეთში და სამ თვეში პეკინში ჩავიდა. იმპერატორმა მინგ შენწუნგმა არ მიიღო პეტლინი იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა „ცის შვილის“ საკადრისი ძღვენი. ელჩობა ოთხ დღეში უკან გააბრუნეს ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე და თან გაატანეს იმპერატორის გზავნილი, რომელიც რუსეთში ჩინური ენის არცოდნის გამო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ვერაფერს ვერ წაიკითხა.

მიუხედავად იმისა, რომ პეტლინის ელჩობას სასურველი შედეგი არ მოუტანია, მან ჩამოიტანა რუსეთში (და რუსეთის გავლით ევროპაშიც) მნიშვნელოვანი ცნობები იმდროინდელი ჩინეთის შესახებ, რაც მალევე ითარგმნა სხვადასხვა ევროპულ ენაზე (Самойлов, 2013: 17).

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთმა გააგრძელა ექსპანსია აღმოსავლეთით და შეიერთა მთელი ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი. ეროფეი ხაბაროვმა კი მთელი ამურისპირეთი შემოუერთა რუსეთს. აღსანიშნავია, რომ რუსულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში რუსეთის გაფართოება აღმოსავლეთით მხოლოდ მშვიდობიან პროცესად არის აღწერილი, სადაც რუსები იერთებდნენ ან სრულიად ცარიელ მიწებს, ან იქ არსებული მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა რუს „განმანათლებლებს“, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

ამ მხრივ, დიამეტრულად განსხვავებული პოზიციას ჩინურ წყაროებში. მაგალითად, კულტივირებული ხაბაროვი აქ შეფასებულია, როგორც „ჩინეთში შეჭრის მოთავე. მსახურობდა მეფის რუსეთის მიერ ჩინეთში შეჭრის ქორ-ძალადად<sup>16</sup>, რომელიც დიდი ხანი აწუხებდა მდინარე ხეილუნგძიანგის (ამურის) აუზს ჩინეთში და შექცა „ხეილუნგძიანგის რუკა“. ჩინეთში შეჭრაში წარმატებისათვის ებოძა ბოიარობა“ (近代来华外国人名辞典, 1981, 页 225).

---

<sup>16</sup> ორიგინალში აქ გამოყენებულია „鷹犬“ – „მიმინოები და ძაღლები“, რაც ნადირობისათვის განკუთვნილ ცხოველებს აღნიშნავს.

ხაზაროვის ეს დახასიათება არ უნდა იყოს გადაჭარბებული, მითუმეტეს, რომ ზოგიერთი რუსი მეცნიერიც კი აღნიშნავს, რომ მისმა საქმიანობამ ამურის „ათვისების“ კუთხით უფრო მეტი ზიანი მოუტანა რუსეთს, ვიდრე სარგებელი. ის საბოლოოდ გასაამართლეს კიდეც (Крекер).

ჩინურ ისტორიოგრაფიაში რუსი „მშვიდობიანი“ პირველადმომჩენებისა და „განმანათლებლების“ მიმართ ასევე გამოყენებულია ტერმინი „罗刹 Luocha“, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „კაციჭამია“, ხოლო პირდაპირი გაგებით აღნიშნავს დემონს, რომელიც ადამიანის სისხლითა და ხორციით იკვებება (沈, 1994, 页 9).

სიტუაცია კიდეც უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც მიწის დინასტია დაეცა, და ხელისუფლებაში დამპყრობლური მანჯურიული ცინგის დინასტია მოვიდა (1644–1911 წწ.). მანჯურები დღევანდელი ჩინეთის ჩრდილოეთიდან იყვნენ და ჩინეთში განმტკიცების შემდეგ მათ გააგრძელეს ექსპანსია ყველა მიმართულებით, მათ შორის, ჩრდილოეთითაც. სწორედ აქ მოხდა პირველი შეტაკებები რუსეთსა და ცინგის ჩინეთს შორის.

1650–1660 წლებში მოხდა ოთხი დიდი შეტაკება რუსებსა და ცინგის იმპერიას შორის<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ წმინდად სამხედრო შეიარაღებისა და ჯარისკაცების მზადყოფნის თვალსაზრისით უპირატესობა რუსული კაზაკური კორპუსის მხარეს იყო, ჩინური სტრატეგია არ ემყარებოდა მხოლოდ შეიარაღებულ დაპირისპირებას. მათ ადგილობრივ მოსახლეობას დაატოვებინეს ამურისპირეთი, რითიც რუსებს არსებობის წყარო გამოაცალეს ხელიდან. საბოლოოდ, ბრძოლების შედეგად რუსებს მოუწიათ ამურისპირეთის დროებით დატოვება (Тянь, 2017: 39–47).

1666 წელს, მოსახლეობს დაბრუნების შემდეგ, რუსებიც დაბრუნდნენ და აღადგინეს ალბაზინი, რომელიც ამურისპირეთში რუსეთის ფორპოსტად მიიჩნეოდა. 1670 წელს ცინგის

---

<sup>17</sup> პირველი შეტაკება მოხდა 1652 წელს, აჩანსკთან. რუსულ ძალებს ხაზაროვი ხელმძღვანელობდა. ჩინური არტილერიის წარმატებების მიუხედავად, ამ ბრძოლაში რუსებმა გაიმარჯვეს. საქმე ისაა, რომ ჩინელმა სარდალმა გასცა ბრძანება, რომ კაზაკები არ დაეხცათ, რამაც დიდად შეზღუდა ჯარის ქმედუნარიანობა. ამით ისარგებლა ხაზაროვმა და არტილერისტებს ჩინური ჯარის მასებში სროლა უბრძანა.



იმპერიის ძალებმა პირველად სცადეს ალბაზინის იერიში, მაგრამ უშედეგოდ.

საბრძოლო მოქმედებების მიუხედავად, არ წყდებოდა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობები. 1854 წელს პეკინში ჩავიდა სავაჭრო ქარავანი ვაჭარ პეტრე იარიშკინის მეთაურობით, რომელსაც, მართალია, არ ჰქონდა რწმუნების სიგელები რუსეთის მეფისაგან, მაგრამ ის მაინც ოფიციალურ დონეზე მიიღეს. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ვაჭარი იარიშკინი ცინგის ჩინოსნებმა მარტივად დაიყოლიეს ყველა ოფიციალური რიტუალის შესრულებაზე. იარიშკინმა შეასრულა ქოუთოუც (叩头), რასაც, სხვა ელჩები, როგორც წესი, არ კადრულობდნენ ხოლმე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთის იმპერატორი მიიჩნეოდა ზეცის შვილად, ანუ ქვეყნიერების მზრძანებლად. საიმპერატორო კარი შორეული და ახლო ქვეყნებიდან მოსულ ელჩობას და შესაბამის დიპლომატიურ საჩუქრებს ვასალების მიერ მორთმეულ ხარკად განიხილავდა. იმპერატორის, მისი სახლისა და ძალაუფლების აღმნიშვნელი სიმბოლიკის წინაშე დესპანს ქოუთოუ უნდა შეესრულებინა. ქოუთოუ არის რიტუალური მუხლმოდრეკა, როდესაც ადამიანი სამჯერ იყრის მუხლს და ცხრაგზის ეხება შუბლით იატაკს იმპერატორის ან მისი სიმბოლიკის (ტახტი, სახელი და ა.შ.) პატივისცემის ნიშნად. ამ ცერემონიის შესრულების მიზანი იყო ის, რომ ელჩს და მისი სახით მის წარმომავლინებელს გამოეხატა მორჩილება ცისქვეშეთის იმპერატორის მიმართ. ასევე, „ამ ე.წ. „სახარკო სისტემის“ ფორმალობები აყალიბებდა მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც, ჩინეთის საზღვრებს გარეთ არსებულ ყოფილ ბარბაროსულ რეგიონებს ენიჭებოდათ საკუთარი ადგილი ყოვლისმომცველ ჩინეთოცენტრულ სამყაროში“ (Fairbank, 1941: 133) (ამერიკელი: 133), ანუ PAX SINICA-ში.

ბუნებრივია, დასავლელი ელჩები არ თანხმდებოდნენ ამ რიტუალს, თუმცა, ეს არ უშლიდა ხელს ჩინეთის საიმპერატორო კარს მათ ვასალად მიჩნევაში. მაგრამ, როგორც აღინიშნა, იარიშკინი არ იყო ოფიციალური დესპანი, მას მოგების მიღება აღეშვებდა, რასაც მიაღწია კიდევ. იარიშკინის ხელით რუსეთის მეფისათვის გაგზავნილ წერილში იმპერატორი მოითხოვდა მეფისგ-

ან „მარადიულ ერთგულებასა და მორჩილებას“ (Самойлов, 2013: 23).

გასაკვირი არ არის ის, რომ რუსეთის მეფის მიერ გამოგზავნილ შემდგომ ელჩობებს ძალიან უჭირდა რაიმეგვარი წარმატების მიღწევა ცინგის საიმპერატორო კარზე. ისინი უარს ამბობდნენ რიტუალების შესრულებაზე, შესაბამისად, იმპერატორი უარს ამბობდა მათი მოთხოვნების განხილვაზე. ამას ემატებოდა შეტაკებები ამურისპირეთში, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ვითარებას.

იმპერატორმა ქანგსიმ (1662-1722 წწ.) საბოლოოდ განამტკიცა საკუთარი ხელისუფლება სამხრეთ ჩინეთში, და მთელი ყურადღება ჩრდილოეთს მიაპყრო. ის პირადად ჩავიდა მანჯურიასში და ხელმძღვანელობდა ალბაზინის ალყის დაგეგმვას. 1685 წლის 8 ოქტომბერს იმპერატორმა გამოსცა „დემონების დაშოშმინების სტრატეგიული გეგმა“ (平定罗刹方略), რომლის მეორევე პუნქტში წერია, რომ რუსეთის დემონები შეიჭრნენ ხეილუნგძიანგის (ამურის) ოლქში და ზიანს აყენებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასევე დეტალურად იყო აღწერილი ჯარის შენახვისა და განალაგების საკითხები (平定罗刹方略).

შედეგად, 1685 და 1686-1687 წლებში ცინგის იმპერიის ჯარებმა ორჯერ შემოარტყეს ალყა ალბაზინს. 1685 წელს გარნიზონი დანებდა, ხოლო მეორედ ალყა იმდენად გაჭიანურდა, რომ ორივე მხარე თანახმა იყო მოლაპარაკებებზე, თუმცა, უპირატესობა ჩინეთის მხარეს იყო.

საბოლოოდ, პროცესი დასრულდა იმით, რომ 1689 წლის 7 სექტემბერს (27 აგვისტოს) ხელი მოეწერა ნერჩინსკის ხელშეკრულებას. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო. აქამდე ჩინეთს არასოდეს არ გაუფორმებია არავითარი ხელშეკრულება დასავლურ სახელმწიფოსთან. ხელშეკრულების პირობების თანახმად, რუსეთი უარს ამბობდა ალბაზინზე, ნერჩინსკზე და მდინარეების ამურისა და უსურის აუზზე, თუმცა რუსეთს რჩებოდა ბაიკალისპირეთი. რუსულმა დიპლომატიამ მიაღწია იმას, რომ ხელშეკრულებაში შევიდა პუნქტი ვაჭრობის შესახებ, რაც მოსკოვისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ნერჩინსკის ხელშეკრულების შეფასება ჩინეთსა და რუსეთში რადიკალურად განსხვავებულია. ჩინეთში თვლიან, რომ ეს იყო აბსოლუტურად სამართლიანი დოკუმენტი, ხოლო რუსი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს დოკუმენტი არათანასწორ პირობებში დაიდო, რადგანაც რუსულ დელეგაციას გარკვეული საფრთხე ემუქრებოდა და, თანაც, ამ დოკუმენტით სტატუს კვო რუსეთისთვის არასასარგებლოდ შეიცვალა არსებული.

### **დასკვნა.**

მეჩვიდმეტე საუკუნეში მსოფლიოში გაიზარდა ჩინეთის მიმართ ინტერესი, მათ შორის რუსეთის იმპერიაში, რომელმაც მოახერხა ჩინეთთან სახმელეთო ვაჭრობის დამყარება. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის პირველი ეტაპი წინააღმდეგობრივი იყო - ჩინური და დასავლურ-რუსული კულტურების შეჯახება ცივილიზაციათაშორისი დიალოგის საინტერესო ნიმუშია.

მითი რუსეთის მიერ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მშვიდობიანი შემოერთების შესახებ ცალსახად ბათილდება ჩინური და კონკრეტული რუსული წყაროების მეშვეობით.

უნდა ითქვას, რომ ალბაზინის და სხვა ბრძოლების შედეგად ტყვედ ჩავარდნილი რუსი ჯარისკაცებისაგან შეიქმნა მართლმადიდებლური დასახლებები ჩინეთში. მათ გამოეყოთ სამლოცველო, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს კაზაკებთან ერთად პეკინში ჩავიდა მღვდელი მაკსიმ ლეონტიევი, რომელმაც 1696 წელს აკურთხა აია სოფიის პირველი მართლმადიდებლური ტაძარი პეკინში<sup>18</sup> (Дацышен, 2007: 49).

ნერჩინსკის ხელშეკრულებამ დიდი ხნით დაარეგულირა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და ხელი შეუწყო დიპლომატიური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. რუსეთი პირველი და, დიდი ხნის განმავლობაში, ერთადერთი დასავლური სახელმწიფო იყო, სადაც სისტემურად იგზავნებოდა ჩინეთის ელჩობა (Su, 100-101) თუმცა, მეჩვიდმეტე საუკუნეში არსებული უთანხმოებები დროდადრო თავს იჩენდა და იჩენს მიმდინარე პროცესებშიც, რამაც შეიძლება

---

<sup>18</sup> ჩინელები ამ ტაძარს „ლუოჩამიაო“-ს (罗刹庙), ანუ დემონების (ე.ი. რუსების) ტაძარს უწოდებდნენ.

გარკვეული გავლენა მოახდინოს ჩვენს თანამედროვე რეალობაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

J. K. Fairbank, S. Y. (June 1941 г.). *On The Ch'ing Tributary System. Harvard Journal of Asiatic Studies, VI(2), p. 135-246.*  
<https://www.jstor.org/stable/2718006?origin=crossref>.

Su,F.[https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no16\\_2\\_ses/04\\_su.pdf](https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no16_2_ses/04_su.pdf).

Дацышен, В. (2007). *Христианство в Китае: история и современность*. Москва: Научно-образовательный форум по международным отношениям.

Крекер, В. (б.д.). *Колонизация Сибири Московским Царством*. Получено из [http://viktor-wind.narod.ru/colonization\\_syberia.html](http://viktor-wind.narod.ru/colonization_syberia.html).

Самойлов, Н. (2013). *От баланса к колониализму. Российско-китайские отношения от их зарождения до 1917 г. В А. Лукин (Ред.), Россия и Китай: четыре века взаимодействия История, современное состояние и перспективы развития российско-китайских отношений (стр. 15-118)*. Москва: Весь Мир.

Тянь, Ч. (2017). *Русско-китайские отношения в XVII веке (проблемы пограничного размежевания)*. Санкт-Петербург.

平 定 罗 刹 方 略 .  
<https://ctext.org/wiki.pl?if=gb&chapter=796285&remap=gb>.

沈, 胡. 忠. (1994). *从尼布楚条约到叶利钦访华-中俄中苏关系 300 年*. 福州: 福建人民出版社.

近代来华外国人名辞典. (1981). 北京: 中国社会科学出版社.

## Referances:

- J. K. Fairbank, S. Y. (June 1941 г.). *On The Ch'ing Tributary System. Harvard Journal of Asiatic Studies, VI(2), p. 135-246.*<https://www.jstor.org/stable/2718006?origin=crossref>.
- Su, F. [https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no16\\_2\\_ses/04\\_su.pdf](https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no16_2_ses/04_su.pdf).
- Dacyshen, V. (2007). *Hristianstvo v Kitae: Istoriya I Sovremennost' (Christianity in China: History and Modernity)*. Moskva: Nau-chho- Obrazovatel'nyj Forum po Mezhdunarodnym Otnoshe-niyam.
- Kreker, V. (b.d.). *Kolonizaciya Sibiri Moskovskim Carstvom (Colonization of Siberia by the Moscow Kingdom)*. Polu#eno iz [http://victor-wind.narod.ru/colonization\\_syberia.html](http://victor-wind.narod.ru/colonization_syberia.html).
- Samojlov, N. (2013). *Ot Balansa k Kolonializmu. Rossijsko-Kitajskie Otnosheniya ot ix Zarozhdeniya do 1917 g. (From balance to colonialism. Russian-Chinese relations from their inception to 1917)*. V.A. Lukin (red.), Rossiya I Kitaj: #etyre veka vzai-modejstviya Istoriya, Sovremennoe Sostoyanie I Perspektivy Razvitiya Rossijsko-Kitajskie Otnosheniy(str.15-118). Moskva: Ves' Mir.
- Tyan', Ch.(2017). *Russko-kitajskie Otnosheniya v XVII veka (Problemy Pogranichnogo Razmezhevaniya) (Russian-Chinese relations in the 17th century (problems of border demarcation))*. Sankt – Peterburg.
- 平定罗刹方略. <https://ctext.org/wiki.pl?if=gb&chapter=796285&re-map=gb>.
- 沈, 胡. 忠. (1994). *从尼布楚条约到叶利钦访华-中俄中苏关系 300 年*. 福州: 福建人民出版社.
- 近代来华外国人名辞典. (1981). 北京: 中国社会科学出版社.

## RELATIONS BETWEEN CHINA AND RUSSIA AT THE INITIAL STAGE (XVII CENTURY)

**Davit Andguladze**

PhD student in History

Faculty of Humanities

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi.

### **Abstract.**

Sino-Russian relations have entered a new phase recently. A few centuries ago, the reality was different. The fighting for the division of the northeastern region of Asia lasted almost the entire seventeenth century. Despite the narrative of the "peaceful annexation of the Far East" prevalent in Russian historiography, Chinese sources talk about different reality.

Due to border skirmishes and wars, Russia was forced to make several territorial concessions. Establishing trade relations with China turned out to be a very important foreign-economic factor even then. In addition, the young Qing Empire was also a powerful military force and was the political and cultural dominant of Central and East Asia.

**Keywords:** China; Russia; PAX SINICA; Koutou; Luocha.

ისლამური ფაქტორი კოსოვოს კრიზისში

ლევან ტარიელაძე

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,  
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ბათუმი.

**აბსტრაქტი.**

„ცივი ომის“ დასრულებამ, საფუძველი დაუდო მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. განსაკუთრებით კი ევროპაში, სადაც ბევრმა ქვეყანამ განიცადა ტერიტორიული ცვლილებები, ზოგიც კი საერთოდ ახალად ჩამოყალიბდა. აღნიშნული პროცესებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები, სადაც დეზინტეგრაციული პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არნახული სისასტიკითა და ტრაგედიებით განვითარდა. ექვსი რესპუბლიკის და ორი ავტონომიური პროვინციისგან (კოსოვო და ვოევოდინა - სერბეთის შემადგენლობაში) შემდგომ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური განსხვავებების ნიადაგზე, ევროპის შუაგულში განვითარებულმა ჰუმანიტარულმა კატასტროფამ შეძრა მთელი ევროპა და მსოფლიო.

იუგოსლავიის ომებიდან, თავისი სისასტიკით, მასშტაბურობითა და საერთაშორისო ჩართულობით, გამორჩეულია კოსოვოს მოვლენები, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას ყველაზე რეზონანსული მოვლენაა, რომლის განვითარებასა და შინაარსზე მრავალი ფაქტორი ახდენდა გავლენას. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი გახლდათ ისლამური ფაქტორი, ვინაიდან კოსოვოს

მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენდნენ ეთნიკურად ალბანელი მუსლიმები. ისლამი ფართოდაა გავრცელებული ბალკანეთში, ამ რეგიონში ყოველთვის იყო გამორჩეულად რთული ეთნო-რელიგიური სურათი. კრიზისის ესკალაციამ კოსოვოში აიძულა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოები გაეტარებინათ ფორსირებული საგარეო პოლიტიკა რეგიონში. სპარსეთის ყურის ქვეყნებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადების მიმართვა ბალკანეთში. ამოქმედდნენ საქველმოქმედო ფონდები და ორგანიზაციები. ისეთი როგორებიცაა „ალ ჰარამეინი“, „კოსოვოს და ჩეჩნეთის დახმარების კომიტეტი“, „კოსოვოს დახმარების კომიტეტი“ და სხვა. შედეგად ისლამი ბალკანეთში გახდა სერიოზული პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე.

**სადიებო სიტყვები:** ბალკანეთი; კოსოვოს კრიზისი; პოლიტიკური ისლამი; ისლამური ფაქტორი.

### **შესავალი.**

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაში, ისლამური სამყარო წარმოდგენილია განსხვავებული სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი აქტორებით. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტრანსფორმაციის ფონზე, ასევე მუსლიმურ ქვეყნებსა და რეგიონებში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური წყობის პირობებში, იქმნება საერთაშორისო და რეგიონულ პროცესებზე ისლამური ფაქტორის ზემოქმედების წინააღმდეგობრივი გამოვლინებები. ამ გამოვლინებების გააზრებისა და თეორიული შესწავლის გარეშე, შეუძლებელია ადეკვატური წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური პროცესების თავისებურებებზე და დავსახოთ კონსტრუქციული ურთიერთობები დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის, რომელთა წინააღმდეგობაც თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

მუსულმანური სამყარო, მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილია როგორც ერთიანი ცივილიზაციური და სოციოკულტურული სისტემა, მაინც მოიცავს ისლამის დონეებისა და როლ-



ების მრავალფეროვნებას, რაც განპირობებულია თავად ისლამის რთული სტრუქტურითა და იმ ფუნქციითა სიმრავლით, რომლებსაც ის ასრულებს, ამასთანავე, ეს რელიგია სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ გამოიყენება, როგორც ისლამური ცივილიზაციის პოზიციების გასამყარებლად საერთაშორისო არენაზე, ასევე კონკრეტული პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

ისლამური ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში გამოიკვეთა 1970-1980-ანი წლების მიჯნაზე, რაც დაკავშირებული იყო ისლამურ რევოლუციასთან ირანში და ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის საწინააღმდეგო მოძრაობასთან. მანამდე ისლამური სამყარო, როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორი და მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტი არ არსებობდა. კოლონიალურ ეპოქაში, ისლამური სახელმწიფოების უმეტესობას გააჩნდა თავისი მეტროპოლიები, ან წარმოადგენდა რომელიმე ზესახელმწიფოს გავლენის სფეროს.

1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო სერბეთის ერთ-ერთ მხარეზე, კოსოვოზე. კოსოვოს მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ ეთნიკურად ალბანელი მუსლიმები, რომელთა უკმაყოფილება, სერბეთის ნაციონალისტური მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, სულ უფრო იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ 1989 წლამდე, კოსოვოს მხარეს გააჩნდა ფართო ავტონომია სერბეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ, 1989 წელს, სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, ალბანელების მზარდი სეპარატისტული განწყობის გამო, გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი და დაუქვემდებარა იგი ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობრივი ალბანელების აღშფოთება გამოიწვია. ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირებამ კოსოვოში პიკს მიაღწია 1998 წლის თებერვალში და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. კოსოვოს მოვლენები „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას ყველაზე რეზონანსული მოვლენაა, რომლის განვითარებასა და შინაარსზე მრავალი ფაქტორი

ახდენდა გავლენას. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი გახლდათ ისლამური ფაქტორი.

### **მეთოდები.**

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად იქნა გაანალიზებული საკვლევ თემასთან შეხებაში არსებული მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შედარება და ანალიზი მნიშვნელოვანია მოვლენათა სიზუსტისა და ობიექტური შეფასებისათვის.

### **შედეგები.**

სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ისლამური ფაქტორის როლი და გავლენა კოსოვოს კრიზისზე, რის შემდგომაც ისლამი ბალკანეთში გახდა სერიოზული პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე.

სტატიაში ობიექტურადაა განხილული ბალკანეთის ისლამიზაციის მიმართულებები და დაინტერესებულ მხარეთა პოლიტიკური ინტერესები.

### **დისკუსია.**

ისლამი ფართოდაა გავრცელებული ბალკანეთში, ამ რეგიონში ყოველთვის იყო გამორჩეულად რთული ეთნო-რელიგიური სურათი. მაღალი შობადობა მუსლიმებში, კრიზისი ტრადიციულ ევროპულ საზოგადოებაში და ქრისტიანული სამყაროს ფრაგმენტაცია, განაპირობებს რეგიონის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს. ევროპაში, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად დღესაც რჩება ევროპული ღირებულებებისა და პოლიტიკური ისლამის თავსებადობა. არსებობს ორი შეხედულება. პირველი: ფოკუსურ ზონებში, ისეთში როგორც ბალკანეთია, ხდება ცივილიზაციათა შეჯახება; მეორე კი აქცენტს აკეთებს ტოლერანტობისა და მულტიკულტურალიზმის იდეების გავრცელებაზე, რაც ხელს უწყობს ცივილიზაციების დაახლოებას. ამას კატეგორიულად არ ეთანხმება სამუელ ჰანტინგტონი, რომელიც ამტკიცებს, რომ კონფლიქტი ისლამსა და ქრისტიანობას შორის

გარდაუვალია (Huntington, 1996: 35-39) უდავოა, რომ რეგიონში სამხედრო კონფლიქტების შედეგად, ევროპელ მუსლიმებს შორის რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდამ, შესაფერისი პირობები შექმნა ევროპაში ისლამის პოლიტიზებისთვის. ახლა ევროპის მომავალი უკვე დიდწილად არის დამოკიდებული, ბალკანეთში ისლამის განვითარების ტენდენციებზე, რადგან ისლამი აქ სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ბალკანეთში პოლიტიკური ისლამის განვითარებაში ახალი ვექტორების კვლევა იძლევა იმ მნიშვნელოვან ცვლილებებზე ლაპარაკის საშუალებას, რომლებიც ხდება სიღრმეში ისლამური ცივილიზაციისა, რომლის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს ბალკანეთი.

მოცემულ მომენტში არსებობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ისლამიზაციის სამი მიმართულება. ერთი მხრივ, თურქეთი, რომელიც ბალკანელი მუსლიმების სულიერ სამშობლოდ ითვლება, აძლიერებს თავის გავლენას ბალკანეთზე ეგრეთ წოდებული ნეოსმანიზმის პოლიტიკის დახმარებით. მეორე მხრივ, თანდათან ძლიერდებიან გასამხედროებული დაჯგუფებები, ჩნდება უამრავი თეოლოგი მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომლებიც პროპაგანდას ეწევიან ბალკანეთის ნახევარკუნძულის მუსლიმურ მოსახლეობაში. გავლენის მესამე ვექტორს წარმოადგენს ისლამის რადიკალური მოძრაობების დაფინანსება ძირითადად საუდის არაბეთის და სხვა მუსლიმური სახელმწიფოების, აგრეთვე საერთაშორისო ფონდების მიერ. მოცემული მიმართულება სტიმულს აძლევს ნაკადებს მისიონერებისა, რომლებიც მხარს უჭერენ გაცილებით უფრო რადიკალური ტიპის ისლამს, ვიდრე დღეს წარმოდგენილია ბალკანეთში.

მნიშვნელოვანი რეზონანსი მიიღო იმ ფაქტმა, რომ კოსოვოში შეიქმნა ახალი ისლამური პარტია სახელწოდებით „ბაშკოხუ“, ან ისლამური მოძრაობა „შემოერთება“ ფაულ რამიკის და არსიმ კრასნიკის ხელმძღვანელობით. ერთი მხრივ, სებ ბიტიჩი, ბალკანეთის პოლიტიკური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ამბობს, რომ „პარტია არ შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ

თავისი იდეოლოგიის გამო“. მეორე მხრივ, კოსოვოს ომბუდსმენი, სამი კურტეში, აცხადებს, რომ „თუ ეს მოძრაობა იქნება დარეგისტრირებული, როგორც პოლიტიკური პარტია, ეს იქნება კონსტიტუციის და რიგი კანონების წინააღმდეგ“. „Weekly Standard“, თავის მხრივ, აცხადებს, რომ საუდის არაბეთის და „ძმები-მუსლიმების“ მიერ დაფინანსებული ისლამური დაჯგუფებების წევრებს უკავიათ კოსოვოში პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყველაზე მაღალი დონეები, რაც იწვევს ადგილობრივი მუსლიმების უკმაყოფილებას. კოსოვოში, ყველა მუსლიმი არ მიესალმება მხარეში რელიგიური ფუნდამენტალიზმის პროპაგანდას. ბევრი ისლამს თავის ეროვნულ იდეოლოგიად თვლის, მაგრამ ამასთან, არ იცავს ყველა რელიგიურ ტრადიციას.

„ბალკანური ისლამი“, პრაქტიკაში შემოტანილი ალბანელთა მიერ, ახალ ნიშნებს იძენს კოსოვოს უკანასკნელი მოვლენების კვალდაკვალ (Евтич. 2004: 34-39). რელიგიური გაერთიანებების საქმიანობამ კოსოვოში, მაკედონიასა და ალბანეთში, საქმე შეიძლება მიიყვანოს ბალკანეთში სხვადასხვა სეპარატისტული მოძრაობების აქტიურობის გაზრდისკენ. ალბანური ისლამი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ისლამისგან, რომელიც გავრცელებულია მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, მიუხედავად ამისა, ისლამის პოლიტიზაცია ბალკანეთში 90-იან წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან სწორედ ამ დროს იქნა შექმნილი მთელი რიგი პარტიები, რომლებიც მუსლიმთა ინტერესებს ლობირებდა. მათგან ყველაზე გავლენიანი გახდნენ კოსოვოელი ალბანელების „კოსოვოს დემოკრატიული ლიგა“, ბულგარელი თურქების „მოძრაობა უფლებების და თავისუფლებისათვის“, ბოსნიელ მუსლიმთა „დემოკრატიული მოქმედების პარტია“ და მაკედონიის ალბანელთა „დემოკრატიული კეთილდღეობის პარტია“.

რაც შეეხება თურქეთს, დღეს პანთურქიზმი, რომელმაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფციიდან პოლიტიკურ პროგრამებამდე, ერთერთი გავლენიანი იდეოლოგიური და პოლიტიკური ინსტრუმენტია ბალკანეთის თურქულენოვან და მუსლიმურ ხალხებზე ზემოქმედებისთვის. მიუხედავად ამისა, ისლამი თურქეთში

არის ეროვნული თვითიდენტიფიკაციის და ისტორიული ტრადიციების სიმბოლო, ამიტომ მის საგარეო კურსს აქვს რამდენიმე მიმართულება: ევროკავშირში შესვლა და ოსმალეთის იმპერიის პოზიციების აღდგენა, რაც არის უთანხმოებების მიზეზი თურქულ საზოგადოებაში.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ თავის გამოკვლევაში სახელწოდებით „სტრატეგიული სიღრმე: თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა“ (Гаджиев, 2010), განსაზღვრა თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები ბალკანეთში. ბალკანეთში თურქეთის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა არის ძალთა ბალანსის შენარჩუნება, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას შეინარჩუნოს თავისი პოზიციები რეგიონში. ნეოსმანიზმის პროექტი გვთავაზობს თურქეთის გავლენის ორბიტაში ბევრი ქვეყნის ჩართვას, მათ შორის არა თურქულენოვანი, არა ისლამური და არა სულიერად ახლო ხალხებისა. თურქეთი ცდილობს მოახდინოს თავისი სტრატეგიული ინტერესების ტრანსფორმირება, ატარებს რა ფორსირებულ საგარეო პოლიტიკას ბალკანეთის მიმართულებით, გამოდის რა შუამავლად ისლამურ თანამეგობრობას და სხვა ცივილიზაციების წარმომადგენლებს შორის, იმავდროულად იყენებს მათ პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიისთვის.

იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ბალკანეთის მუსლიმებს სჭირდებოდათ ახალი გეოპოლიტიკური ლიდერი, რომელიც კიდევ გახდა თურქეთი, რომელიც მუდმივად ავლენდა თავის რეგიონულ ამბიციებს, სადაც შეხამებული იყო ეროვნული, რელიგიური თუ პოლიტიკური ხასიათის ელემენტები, რამაც თურქეთი გაიყვანა ბალკანეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების სრულიად ახალ დონეზე. 1998 წლის ეგრეთ წოდებულმა „სტამბულის კლუბის“ შეხვედრამ განსაზღვრა შემდგომი განვითარება თურქეთის საგარეო პოლიტიკისა (Милошевич, 2010), რომლის საფუძველი გახდა ისეთი ტერმინი, როგორცაა „ოსმალური ეთნოსები“.

თვით ბალკანელ მუსლიმებს არ გააჩნიათ ერთიანი შეხედულება ისლამური სამყაროს ინიციატივებზე ბალკანეთში

(Наумкин, 2006: 1-4). ბევრი მუსლიმი არ განიხილავს თურქეთს როგორც ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორს საგარეო პოლიტიკაში, რადგან ევროკავშირის გაფართოება ბალკანეთზე წარმოადგენს ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანას. ბალკანელ მუსლიმთა შეხედულებით, თურქეთმა შეასრულა თავისი როლი მოცემულ ტერიტორიაზე მომხდარ კონფლიქტებში მუსლიმთა მონაწილეობით, მაგრამ ბევრ მათგანს ახლა სურს ორიენტაციის აღება ევროპულ ცივილიზაციაზე.

რაც შეეხება მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, საუდის არაბეთი, რომლის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მხარდაჭერის გაწევა მთელი მსოფლიოს მუსლიმთათვის, ვერ შეძლებდა გვერდზე დარჩენას, როდესაც წყდებოდა კოსოვოელ ალბანელებთან დაკავშირებული საკითხი (Наумкин, 2006: 1-4). გარდა საუდის არაბეთისა, ბალკანეთში მსგავს პოლიტიკურ ხაზს ატარებდნენ მახლობელი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებიც. რეგიონის ისლამიზაციით დაკავებული იყვნენ ისეთი ქვეყნებიც, როგორებიცაა ეგვიპტე და არაბთა გაერთიანებული ემირატები. რომლებიც არა მარტო უწევდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას, არამედ ხელს უწყობდნენ რადიკალური იდეოლოგიების გავრცელებასაც. ირანი მნიშვნელოვნად დაეხმარა ბოსნიელ მუსლიმებს, აწვდიდა რა იარაღს, უწევდა ლტოლვილებს ჰუმანიტარულ დახმარებას და აღადგენდა მეჩეთებს. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მუშაობდნენ ირანელი ინსტრუქტორები და მრჩეველები, შემავალი „ისლამური რევოლუციის დამცველთა“ კორპუსში (Ушаков, 1999: 26).

კრიზისის ესკალაციამ კოსოვოში აიძულა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოები გაეტარებინათ ფორსირებული საგარეო პოლიტიკა რეგიონში. სპარსეთის ყურის ქვეყნებმა, კუვიტმა და არაბთა გაერთიანებულმა ემირატებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადების მიმართვა ბალკანეთში. შემდგომში ბევრი მუსლიმური რეგიონი აღმოჩნდა ირანის და მუსლიმური სამყაროს სხვა ქვეყნების მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, განსაკუთრებით მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებზე, მოქმედებენ მრავალრიც-

ხოვანი საქველმოქმედო ფონდები და ორგანიზაციები. ისეთი ფონდები, როგორებიცაა „ალ ჰარამეინი“, „კოსოვოს და ჩეჩნეთის დახმარების კომიტეტი“, „კოსოვოს დახმარების კომიტეტი“, ფონდი „ალ ვახ ალ ისლამი“, ყურანის შესწავლაზე მიმართული რელიგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის საფარქვეშ, ხელს უწყობდნენ რელიგიური აუტანლობის იდეების გავრცელებას. იყენებენ რა ზომიერი ისლამის და რელიგიური ტოლერანტობის იდეებს, ფონდების აგიტატორები ცდილობენ შეცვალონ ადგილობრივი ისლამური თემის მსოფლმხედველობა.

### **დასკვნა.**

გამომდინარე ყველაფერ ზემოთქმულიდან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დღეს ისლამი ბალკანეთში გახდა სერიოზული პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე. ისლამური ცივილიზაციის ერთგვაროვნებას, უთანხმოებას მის შიგნით, არ შეუშლია ხელი ისლამური სახელმწიფოების შექმნისთვის ბალკანეთში, პირიქით, ბალკანელმა მუსლიმებმა მიიღეს მთელი ისლამური თანამეგობრობის მხარდაჭერა. ბალკანეთში პოლიტიკური ისლამი იქცა მუსლიმური თანამეგობრობის მისწრაფებების რეალიზაციის საკვანძო ინსტრუმენტად, ამასთან ის უკვე არ წარმოადგენს რელიგიას მისი კლასიკური გაგებით და დღეს გამოიყენება როგორც პოლიტიკური იდეოლოგია გარკვეულ რეგიონებზე კონტროლის მიღების მიზნით.

ისლამის აღორძინებას ბალკანეთში დიდად შეუწყო ხელი გარე ფაქტორებმა, რადგან სიახლეები ბალკანელი მუსლიმების რელიგიურ ცხოვრებაში რეგიონში შემოდიოდა ისლამური სამყაროს ქვეყნებიდან, პირველ რიგში, საუდის არაბეთიდან, იორდანიიდან, ირანიდან და თურქეთიდან. თავის მხრივ, საუდის არაბეთი დაინტერესებული იყო ისლამის გავრცელების არეალის გაფართოებით და თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების ორბიტაში ყველა ისლამური გაერთიანების ჩართვით, მათ შორის იმათისაც, რომლებიც განლაგებული იყო ბალკანეთში. სწორედ ამიტომ გარე ფაქტორები თამაშობენ წამყვან როლს რეგიონის ისლამიზაციაში. თურქეთი ბალკანეთში ატარებს ფორსირებულ საგარეო პოლიტიკას, ამასთან იყენებს ეგრეთ წოდებულ „ოსმა-

ლურ ეთნოსებს“ რეგიონში თავისი გავლების გაზრდისთვის. ისლამური ფაქტორი თავის ასახვას პოულობს თურქეთის სტრატეგიულ ინტერესებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და საჭიროებისას გამოიყენება იმ საკვანძო საკითხების გადაჭრისას, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ტერიტორიაზე ეთნოკონფესიურ კონფლიქტებთან.

ნახევარკუნძულის მოსახლეობის ცხოვრებაში პერმანენტულად მონაწილეობენ რელიგიური ორგანიზაციები და ფონდები, რომლებიც ავრცელებენ თავის იდეოლოგიას ბალკანეთის ქვეყნებში, იზიდავენ რა მუსლიმთა მნიშვნელოვან რაოდენობას თავის რიგებში. ამა თუ იმ ტენდენციების განვითარებას ისლამურ სამყაროში შეუძლია მოახდინოს გავლენა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების მომავალზე, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია ისლამური ცივილიზაციის მონაწილეობაზე მოცემული რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Huntington, Samuel P. (1996). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order/ Samuel P. Huntington*. New York, Simon & Schuster.
- Graham E. Fuller. (2003). *The future of political islam* (New York: Palgrave Macmillan).
- Евтич, М. (2004). *Ислам необходимо знать // Свободная мысль – XXI. – № 12.*
- Наумкин, В. (2006). *Ислам как коллективный игрок? // Международные процессы – № 1.*
- Ушаков, В. (1999). *Иран и конфликты на Балканах. Ближний Восток и современность*, вып.8, ИИИИБВ. Москва.
- Гаджиев, А. (2022). *К вопросу о роли НАТО в формировании региональной политики Турции на Балканах*. Институт Ближнего Востока - <http://www.iimes.ru/?p=11042> (უკანასკნელად ნანახია 20.11.2022).



Милошевич, З. (2022). *Неооттоманство – новая внешняя политика Турции*. <https://www.srpska.ru/article.php?nid=13307> (უკანს სკნელად ნანახია 15.11.2022).

#### REFERENCES:

- Huntington, Samuel P. (1996). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order/Samuel P. Huntington*. New York, Simon & Schuster.
- Graham E. Fuller. (2003). *The future of political islam* (New York: Palgrave Macmillan).
- Evtich, M. (2004). *Islam Heobxodimo Znat (Islam you need to know)* //Svobodnaya Mysl' – XXI. – № 12.
- Naumkin, V. (2006). *Islam Kak Kollektivnyj Igrok? (Islam as a collective player?)* // Mezhdunarodnye Processy – № 1.
- Ushakov, V. (1999). *Iran I Konflikty na Balkanax (Iran and conflicts in the Balkans)*. Blizhni Vostok I Sovremennost', vyp.8, IIIIV. Moskva.
- Gadzhiev, A. (2022). *K Voprosu o Role NATO v Formirovanii Pegoinal'noj Politiki Turcii na Balkanax (To the question of NATO's role in shaping Turkey's regional policy in the Balkans)*. Institut Blizhnego Vostoka. <http://www.iimes.ru/?p=11042> (Uk'anask'nelad Nanaxia 20.11.2022).
- Miloshevi#, Z. (2022). *Neoottomanstvo – Novaya Vneshnyaya Politika Turcii (Neo-Ottomanism is the new foreign policy of Turkey)*.<https://www.srpska.ru/article.php?nid=13307> (Uk'anask'nelad Nanaxia 15.11.2022).

# THE ISLAMIC FACTOR IN THE KOSOVO CRISIS

**Levan Tarieladze**

Ph.D in History

Assistant Professor

Batumi Shota Rustaveli State University,

Georgia, Batumi.

## **Abstract**

The end of the "Cold War" laid the foundation for important political processes around the world. Especially in Europe, where many countries have experienced territorial changes, some have even been formed anew. Among the most outstanding of the mentioned processes are the events developed on the Balkan Peninsula, in the territory of the former Yugoslavia, where the disintegration processes developed with unprecedented cruelty and tragedies after the World War II. On the basis of ethnic, linguistic and religious differences in the Socialist Federal Republic of Yugoslavia consisting of six republics and two autonomous provinces (Kosovo and Vojvodina - Serbia), the humanitarian disaster that developed in the heart of Europe shook whole Europe and the world in general.

From the wars of Yugoslavia, with its cruelty, scope and international involvement, the events of Kosovo stand out, which is a special and arguably the most resonant event of the post-Cold War world politics, the development and content of which were influenced by many factors. One of the main ones was the Islamic factor, since 90 % of Kosovo population was made up of ethnically Albanian Muslims. Islam is widespread in the Balkans, a region that has always had an exceptionally complex ethno-religious picture. The escalation of the crisis in Kosovo forced the Islamic states of the Middle East to pursue a forced foreign policy in the region. The Persian Gulf countries began to direct significant financial flows to the Balkans. Charitable

foundations and organizations were launched, such as "Al Haremein", "Kosovo and Chechnya Aid Committee", "Kosovo Aid Committee" and others. As a result, Islam in the Balkans has become a serious political factor that affects the contemporary international relations of the region.

**Keywords:** Balkans, Kosovo crisis, political Islam, Islamic factor.

თურქულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმთა  
შეპირისპირებითი ანალიზი

ქრისტინე ცინცაბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი,  
საქართველო, ბათუმი.

**აბსტრაქტი.**

ნაშრომში მოყვანილი ფრაზეოლოგიური ერთეულები აღებულია თურქულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონებიდან (Türkçe Deyimler Sözlüğü). თურქეთისა და საქართველოს მეზობლობამ და მრავალმხრივ კავშირმა, თავისთავად გავლენა იქონია და კვალი დატოვა, როგორც ისტორიაში, ასევე ენაში, ამის დამადასტურებელია ნაშრომში მოყვანილი მაგალითების ჩამონათვალიც. ვინაიდან როგორც ქართულ ასევე თურქულ ენასაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რათქმაუნდა ამდენად მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესოა ფრაზეოლოგიზმებიც, რადგან ერთ ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ენაში. ამ ორ ენას შორის არსებული მსგავსება ენობრივი კვლევისათვის ძალზედ საინტერესო და შრომატევადია, თანამედროვე ეპოქაში მეტად გავრცელებულია ლინგვოკულტურული კვლევები, რომელთაგანაც ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ ფრაზეოლოგიური ერთეულებია. საკითხის ინტერესს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მიღებული იდენტურობა ქმნის.

ფრაზეოლოგიზმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის მხრივ, ვინაიდან თითოეული ფრაზეოლოგიზმის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას მისი ისტორია აქვს, ამასთანავე ხშირად ვხვდებით ისეთ ერთეულებს, რომელთა შემადგენელი სიტ-

ყვათა წყობა რელიგიურ და კონკრეტული ეთნოსის ტერმინოლოგიას შეიცავს.

თურქულ ქართული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითა და მათი ანალიზით იკვეთება სამი სხვადასხვა ვარიანტი, ესენია: პირველი, იდენტური ფრაზეოლოგიზმები: რომელთა მნიშვნელობაც და სტრუქტურაც ერთმანეთის იდენტურია, მეორე, შესატყვისი ფრაზეოლოგიზმები: რომლებიც სტრუქტურულად და სიტყვათა მნიშვნელობებით ერთმანეთისაგაგ განსხვავდებიან თუმცა შესატყვისი მოგვეპოვება ქართულ ენაში და მესამე „უთარგმნელი“ ფრაზეოლოგიზმები: რომლის იდენტური და შესატყვისი ერთეულები არ მოგვეპოვება ჩვენს ენაში, ასეთ ერთეულებს ძირითადად რელიგიურ და ადათ-წესებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ.

**სადიებო სიტყვები:** ფრაზეოლოგიზმი; თურქული ენა; ქართული ენა; იდენტური; შესატყვისი; უთარგმნელი.

### **შესავალი.**

ენის კულტურული თავისებურებები მკაფიოდ ჩანს მის კულტურულ ძეგლებში, ლიტერატურაში, კინოსა და სამოსშიც კი. კულტურული მენტალიტეტის შენახვა და გამოყენება სხვადასხვა დარგში არის შესაძლებელი, რაც შეეხება ჩვენს კვლევას, კულტურული თვისებების გამოვლინება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ვცადეთ. ფრაზეოლოგია მუდმივად ყურადღებისა და კვლევის ობიექტია, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე ძალიან ბევრი კვლევა არსებობს და დღემდე გრძელდება, ამოუწურავი და მეტად საინტერესოა მისი სხვადასხვა კუთხით კვლევა.

### **მეთოდი.**

ემპირიული მასალისა და ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონების ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ თურქული და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირება, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნა მათი მსგავსება-განსხვავებულობა. ასევე კვლევის საფუძველზე განვსაზღვრეთ, ფრაზეოლოგიზმის როლი და მისი მნიშვნელობა თურქულსა და ქართულ ენებში.

## **შედეგები.**

აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა, სხვა მრავალ მსგავსებასთან ერთად, მოგვეძიებია და გაგვეანალიზებინა თურქული და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსება და განსხვავებულობა ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე, თუ რა დოზითაა ამ ორ ენას შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იდენტურობა და შესატყვისობა. ანალიზის ფონზე მოცემული შედეგის მიზეზი ამ ორ ქვეყანასა და შესაბამისად ენებს შორის კულტურული ურთიერთობა შეიძლება დასახელდეს, რომელიც დღემდე აქტიურად გრძელდება.

## **დისკუსია.**

კულტურათშორისმა ურთიერთობებმა, მეტად ხშირმა დამთხვევებმა და იდენტურობამ, მიმიყვანა ნაშრომში აღნიშნულ კვლევამდე, რათა შემეპირისპირებინა, თურქულ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა ქართულ ფრაზეოლოგიზმებთან, განმესაზღვრა მათი მსგავსება განსხვავებულობა და გამოყენების არეალი. ინფორმაცია რომელიც გადმოცემულია ფრაზეოლოგიზმებში, მნიშვნელოვანია მსოფლიოს ენობრივ სურათში ლინგვოკულტურული გაერთიანებების, ნაციონალური თავისებურებების, მათი კულტურული სტერეოტიპების შესასწავლად.

ქართულ და თურქულ ენებზე არსებული კვლევების შედეგად, არ იკარგება მათი მრავალწლიანი ურთიერთობის კვალი, ეს ფაქტი გამოხატულია, როგორც სალექსიკონო მასალის ასევე მათი შეპირისპირების შედეგად მიღებული შედეგებით, სადაც ნათლად ჩანს ამ ორ ენის ძველი დროიდან მოყოლებული როგორც ისტორიული ასევე ენობრივი თავისებურებების მსგავსებები, ამ შემთხვევაში იგულისხმება ფრაზეოლოგიური ერთეულები. ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების ანალიზის შედეგად (მაგ: ე. მამულია 2006 წლის თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი) მსგავსება დაახლოებით 50% აღწევს. ფრაზეოლოგიზმებში ნათლად ჩანს ამ კონკრეტული ეთნოსების ძველი კულტურა, ყოფა, კაცობრიობის აზრი და დამოკიდებულება ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე.

თურქულ ენაში ფრაზეოლოგიზმები გამოხატულია ტერმინ „Deyim“-ით, ხოლო ქართულ ენაში, ზოგან ფრაზეოლოგიზმი, ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური შენაზარდი ან სულაც იდიომის სახელითაა მოცემული.

ენათმეცნიერი ოზბაი (Özbay, 2009), ფრაზეოლოგიზმს სოც-იუმის მხრიდან გათავისებულ ციტატებს უწოდებს, რომელსაც იყენებენ არა ძირითადი მნიშვნელობით, არამედ სილამაზისა და ხალისის გრძნობების გასამაფრებლად.

ფეიზა ჰეფილინგერის (Heçilingirler, 2018), მოსაზრებით, ფრაზეოლოგიზმი მინიმუმ ორი სიტყვის ერთმანეთთან შეკავშირებაა, რომელიც კარგავს ძირითად მნიშვნელობას და ქმნის აბსტრაქტულ კონცეფციას.

„ფრაზეოლოგიზმები ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, არამარტო ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპრესიულობის მისაღწევი საშუალებაა, არამედ ამაღლებს მეტყველების კულტურასაც“ (ცეცხლაძე, 2018: 5).

„ფრაზეოლოგიური ერთეულის განმასხვავებელი სხვა სიტყვათშეერთებისაგან ისაა, რომ პირველში შეიძლება ერთი სიტყვის მეორით შეცვლა. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს კონტექსტი. იდიომის ამოსავალი კი მაინც სემანტიკური ბუნდოვნებაა“ (შიოშვილი, 2006:134).

თურქულსა და ქართულ ენებს მეტად საინტერესო ენის განვითარების ეტაპების საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს, ვინაიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა და თანამედროვე დროშიც ეთმობა, ენის განვითარებასა და მის სხვადასხვა მხრივ კვლევს.

როგორც აღვნიშნეთ თურქული და ქართული ფრაზეოლოგიზმებისას შეპირისპირებისას მივიღეთ სამი სხვადასხვა ვარიანტის ერთეულები:

იდენტური ფრაზეოლოგიზმები (მნიშვნელობაც და სტრუქტურაც ერთნაირია)

(ჩამონათვალი არ მოიცავს სრულ ვერსიას)

*კაცად აქცია- Adam etti;*

*ფეხები უკან უკან რჩება- Ayakları geri geri gider;*

*თავის მოსაფხანად არ სცალოა- Başını kaşımaya vakti yok;*

ენა გადაყლაპა- *Dilini yuttu;*  
 ენის წვერზე ადგას- *Dilinin ucundan oluyor;*  
 ხელიდან წავიდა- *elden gitti;*  
 ხელ- ფეხი შეკრული აქვს- *Elı ayağı bağlıdır;*  
 გულიდან ამოღება- *Gönlünden çıkarmak;*  
 ყურებამდე გაწითლება- *Kulaklarına kadar kızarmak;*  
 გონების მოკრება- *Zihnini toplamak;*  
 გასაგებ ენაზე საუბარი-*anladığı dille konuşmak;*  
 ცხვირის წინ-*burnunun dibinde;*  
 დანა პირს არ უხსნის-*bıçak açmamak;*  
 ზურგის ქცევა-*sırt çevirmek;*  
 ჭკუა დააკარგვინა-*Aklını başından almak;*  
 ვირზე უკულმა შეჯდომა-*eşeğe ters bindirmek;*  
 შვილო მენ გეუბნები,რძალო მენ გაიგონე-*kızım sana söylüyorum,gelinim sen anla;*  
 კვლებზე ყოფნა-*diken üstünde durmak;*  
 სულის მიცემა-*can vermek;*  
 გულში შევიდა/ გულში ჩაუვარდა- *kalbine girdi/ kalbine düştü;*  
 ბედი გაეხსნა/ ბედი ფეხთან მოვიდა- *kısmeti açıldı/ kısmeti ayağına geldi;*  
 მარცხნიდან ადგა/ მარცხენა მხრიდან ადგა- *Solundan kalktı /Sol tarafından kalktı;*  
 წაღმა უკულმა ლაპარაკი- *geri ileri konuşmak;*  
 ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჩამონათვალი რათქმაუნდა არ წარმოადგენს სრულ ვერსიას, რეალურად ამ ორ ენას შორის არსებული მსგავსი ერთეულების, რაოდენობა გაცილებით მეტია და რაც ყველაზე მთავარია დღემდე შემორჩენილია და გამოიყენება როგორც თურქულ ასევე ქართულ ენაში.  
 რაც შეეხება შესატყვის ფრაზეოლოგიზმებს, მათი ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:  
*Cehenneme kadar yolu var-* *ჯოჯოხეთამდე აქვს გზა; ქართული-ჯანდაბამდე გზა ჰქონია;*  
*Devede kulak-* *აქლემზე ყური; ქართული-ზღვაში წვეთი;*  
*Gözde kaş arasında-* *თვალსა და წარბს შორის; ქართული-თვალს და ხელს შუა ;*



*Ak mı kara mı, önüne düşünce görürsün*-თეთრია თუ შავი, მაგას შემდეგში დაინახავ; ქართული-ურემი რომ გადატრიალდება, ვზა მერე გამოჩნდება;

*Tası tarafı topladı*-თასი და სავარცხელი აალაგა ქართული-გულა-ნაზადი აიკრა;

*Çorbada tuzu bulunur* -წვნიანში მისი მარილია; ქართული-საქმეში მისი ხელი ურევია;

*Çukura düştü* -ორმოში ჩავარდა; ქართული- მახეში გაება.

შესატყვისი ერთეულებს, ამ ორ ენას შორის მთარგმნელობით საქმიანობაში მნიშვნელოვან როლი აკისრია, ვინაიდან შესატყვისი ერთეულის არსებობა ხელს უწყობს ფრაზეოლოგიზმის სწორი ფორმით მნიშვნელობის გაგებასა და გამოყენებას. როგორც ვიცით ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის მის მნიშვნელობას, აქედან გამომდინარე თურქული ენის მცოდნე ადამიანმა შეიძლება იცოდეს აღნიშნული ფრაზეოლოგიზმების ცალკეული სიტყვების მნიშვნელობები, მაგრამ არა თვით ფრაზეოლოგიზმის, ასეთ ვითარებაში შესატყვისი ერთეულებით ახსნა, მასში ჩადებული აზრის სწორი მნიშვნელობის გაგებამდე მიგვიყვანს.

რაც შეეხება შეპირისპირების შედეგად მიღებულ მესამე ვარიანტს ფრაზეოლოგიზმებისა, რომელსაც პირობითად „უთარგმნელი“ ფრაზეოლოგიზმები ვუწოდეთ, ძირითადად რელიგიური, ეროვნული და კულტურული ტერმინებისაგან ჩამოყალიბებული ერთეულებია, მათი თარგმანი, იდენტური ან შესატყვისის პოვნა სხვა ენაში შეუძლებელია, ასეთი ერთეულების თარგმნისას კულტურათშორისმა მედიატორმა თან უნდა დაურთოს განმარტება, კონკრეტული ფრაზეოლოგიზმის ჩამოყალიბებისა და მნიშვნელობის შესახებ.

*მის სულზე ეხანს კითხულობს* - (*Onun ruhuna ezan okuyor*) (მამულია, 2006:73). ეს ფრაზეოლოგიზმი, თურქი ხალხისათვის დამახასიათებელი ,რელიგიის, ისლამის ელემენტებითაა შედგენილი და ნიშნავს, საქმეს აფუჭებს, აზარალებს;

*აბდესის მოშლა* (*Abdesti bozmak*) რაც არასასიამოვნო სიტუაციაში საწყენი ამბების მოსმენას ნიშნავს. (აბდესი, ლოცვის დაწყებამდე, განბანვის რიტუალია);

შენ დარდი მარკო ფაშას უამბე (*Sen derdini Marko Paşaya anlat*), იგივეა რაც არავის ედარდები, შენი დარდი არავის აინტერესებს. (მარკო ფაშა ძველი დროის ცნობილი ექიმი ყოფილა, რომელიც პციენტების მკურნალობასთან ერთად, დიდი მოთმინებით გამოირჩეოდა, შეეძლო საათობით ესმინა, მათი გასაჭირის შესახებ და ყოველთვის ცდილობდა ყველას დახმარებას, აქედან დამკვირდა ეს ფრაზეოლოგიზმიც, თუ შენი გასაჭირი არავის ადარდებს, იტყვიან რომ მას მხოლოდ მარკო ფაშა მოისმენს);

აჰვეშის თხასავით თავს იქნევს (*Ahpeş keçi gibi kafasını sallıyor*), არაფერი გაეგება და ისე ეთანხმება (გადმოცემის თანახმად აჰვეში არაბი ენათმეცნიერი იყო, რომელმაც „თხას წერაკითხვა ასწავლა“.

ყადირის ღამეს დაბადებული (*Kadir gecesinde doğmuş*) (მამულია, 2006:179), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (ცნობების თანახმად, ყადირის ღამე ყველაზე ძვირფასი ღამეა მუსლიმთა სამყაროში, ამ დროს 4 ანგელოზი ჩამოდის დედამიწაზე და ყველანაირი კარგი და დადებითი ხდება);

მეჩეთი დანგრეულია, მაგრამ მიჰრაბი ადგილზეა (*Camî yıkılmış, fakat Mihrabi yerinde*), რაც არ უნდა დრო გავიდეს ისევ ისეთია, დრო ვერაფერს აკლებს, არ იცვლება (იტყვიან ისეთ ქალზეც, რომლის სილამაზე ასაკთან ერთად არ იცვლება და ისევ ისეთი ლამაზი რჩება);

ყვითელჩექმებიანი მეჰმეთ ალა (*sarı çizmeli mehmet ağa*), ვინაობა გაურკვეველი, უცნობ ადამიანზე ითქმის;

ჩაპანოღლუს აბდესის წყლის მსგავსი (*Çapanoğlunun abdest suyu gibi*) უგემური, შესახადავად ცუდი, არასწორად მომზადებული დასალევი;

(ჩაპანოღლუ ძველი დროის მხატვარი ყოფილა, რომელსაც ხელები ყოველთვის საღებავით ან მელანით ჰქონდა დასერილი, აბდესის ალების დროს (საჭიროა, ხელების, ფეხების და პირის დაბანა) მის თასში დარჩენილი წყალი ყოველთვის ამღვრეული ან შავი იყო, აქედან დაედო დასაბამი აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმსაც);

ედენი იპოვის (*Eden bulur ...*) ადრე თუ გვიან ჩადენილი ცუდი საქციელი არავის არ შერჩება დაუსჯელი;

(მონადირეობის მოყვარული, რამოდენიმე მონადირე შეკრებილან და წასულან სანადიროდ, მათგან ახალბედა ახალგაზრდა მონადირეს, სიჩქარეში შემთხვევით მეორე მონადირესთვის უსვრია. სხვა მონადირეებმა ბიჭი განზრახ გასროლაში დაადანაშაულეს და მისი დასჯა მოითხოვეს. სიკვდილისპირას მყოფ კაცს კი უთქვა: შეჩერდით! ეს ღმერთის სასჯელიაო, თავის დროზე მე მამამისი მოვკალი და მაშინ დამნაშავე ვერ იპოვეს, მაგრამ მოვიდა დრო და „ედენმა იპოვა სამყარო“).

*ხელი ყურზე (Eli kulağında)* - ახლო მომავალში მოსახვედრი რაიმე ამბავი, წუთი წუთზე მოსახვედრი რაიმე;

ძველი დროიდან, კარგი ხმის პატრონი ბილალის ეხანის კითხვას რომ დაიწყებდა, იქვე მყოფი ბავშვები, ხმაურობდნენ, ყველანაირი გზით ცდილობდნენ რომ გადაეფარათ ეხანის ხმა, ამ დროს ბილალს ხელები ყურებთან მიუტანია და ისე დაუმთავრებია ეხანის კითხვა. იმ დროიდან მოყოლებული დღესაც ლოცვის დაწყებამდე ხელებს ყურებთან მიიტანენ და რამოდენიმე წამში ეხანიც იწყება;

*ელიფი დაინახოს მერტეკი (საყრდენი ბოძი) ეგონება (Elifi görse, mertek sanmak)* წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანზე გამოიყენება;

ელიფი არაბული ანბანის პირველი ასობგერაა, იწერება როგორც ჩვეულებრივი სწორი ხაზი, ხოლო მერტეკი(დირელი) ძველი სახლების, ქოხების ძირითად საყრდენ ბოძს ეწოდება, რომელიც ასევე სწორი ფორმისაა, წერა - კითხვის უცოდინარ ადამიანზე სწორად ამ ფრაზეოლოგიზმს გამოიყენებენ;

*სახლი ახალი, კედელი ახალი, ჩემო საცერო შენ სად ჩამოგკიდო? (Ev yeni, duvar yeni, eleğim seni nerelere asayım?)* ახალ გარემოში ახალი რაიმე ნივთის შეუთავსებლობა, წყობის შეცვლა;

მთელი ცხოვრების მანძილზე ქირაში მცხოვრებ ბებიას ბოლოს და ბოლოს ბინა უყიდია და იქ გადასულა საცხოვრებლად თავისივე ნივთებით, ყველაფერი რომ დააღაგა, ძველი საცერი შემორჩა ხელში, რომლის ჩამოსაკვიდად ახალი კედლის გახვერეტა დაენანა: სახლი ახალი, კედელი ახალი, ჩემო საცერო შენ სად ჩამოგკიდო;

*ჰელვის თემაც ვიცი და ჰალვისაც (helva demesini de bilirim halva demesini de).*

ერთი ადამიანი ჰელვას „ჰალვას“ ეძახდა, ერთი მეგობარი გაბრაზებულა და უთქვამს, უცხოელი ხომ არ ხარ, სხვების წინაშეც არასწორად იტყვი და იტყვიან რომ თურქი არ ხარო. გაბრაზებულა ეს კაცი და უთქვია, გააჩნია სიტუაციას ჰელვაც ვიცი და ჰალვაც როდის უნდა ვთქვაო;

განსხვავებულ ფრაზეოლოგიზმთა რიგს მეკუთვნება ქვემოთ მოცემული ფრაზეოლოგიზმებიც, რომელიც ისევ და ისევ კულტურის სხვაობის მანიშნებელია, გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა, ხასიათი და ჩვეულება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად ამ ენისათვის იყოს ამ მნიშვნელობით გასაგები;

*თვალეზი სამკითხაო ქვასავით გაეხსნა (Gözleri fal taşı gibi açıldı)* - გაცდა, თვალეზი შუბლზე აუვიდა (მამულია, 2006:249)

*ისე უსმენს, როგორც ცხვარი სალამურს (Koyunun kaval dinlediği gibi dinliyor)* - არაფერი ესმის, არაფერი გაეგება (მამულია, 2006: 205);

*მეფურნის ნიჩაბივით ენა აქვს (Fırıncının küreği gibi uzun dili var)*- გრძელი ენა აქვს (მამულია, 2006: 123);

*თუთანაჭამ ბულბულს დაემსგავსა (Dut yemiş bülbüle dönme)* - გაჩუმება, დადუმება (მამულია, 2006: 100);

რელიგიური და ეროვნული ტერმინებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაშიც გაგვაჩნია, რომელიც მხოლოდ ჩვენი კულტურისა და ეთნოსისათვისაა გასაგები და მისახვედრი, მაგალითად როგორიცაა:

*ადამის ჟამიდან - უხსოვარი დროიდან;*

*ადამის ჟამის - ძველის-ძველი;*

*ადამის შვილი - ადამიანი, ძე ხორციელი;*

*ადამის ხნის - დიდი ხნის, ძალზე მოხუცი; ძველებური;*

*აკვნის დარწვევა (რისამე) - წარმოშობა, ჩასახვა, აღმოცენება (რისამე);*

*ალილო და ხვალაო - ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება, (ალილო ძველისძველი სიმღერაა, რომელსაც შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ სიარულის დროს ასრულებდნენ);*

*ამინ და კირიე-ელეისონ!* - მორჩა და გათავდა! მეტი რაღა გინდათ?! (ბერძნულად კირიე-ელეისონ ნიშნავს: უფალო, შეგვიწყალებს);

*ანგელოზმა ჩამოიარა* - სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმეა, ხმას არავინ იღებს. ხალხის რწმენით ანგელოზები ამქვეყნად ღმერთის სხვადასხვა დავალების შესასრულებლად ჩამოდიან ზეციდან. სახლებს მაშინ ჩამოივლიან, როცა იქ სრული სიჩუმეა. ამიტომ, როცა სახლში ყველა უცებ დაჩუმდება, იტყვიან, ანგელოზმა ჩამოიარაო;

*არც მწვადი დაწვა, არც შამფური* - ისე მოხერხებულად (ემმაკურად) გააკეთა საქმე, რომ არც ერთ მხარეს ავნო, არც მეორეს, არავის აწყენინა;

*არც ღვინო, არც წყალი* - უხეირო, უგერგილო. მაგ., უმცროსი რძლები ხომ არც წყალი იყვნენ და არც ღვინო (ბანოვანი);

*აღდგომის გათენება/აღდგომის დღის მოსვლა/აღდგომის დღის გათენება* - ძლიერ გახარება, აღფრთოვანება, შვების გრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო);

*სამოთხის კარი გაეღო- ბედნიერი დღე გაუთენდა;*

*მამა აბრამის ბატკანი-უდანაშაულო, უბრალო;*

*განტევების ვაცი-თავდასხმის (ან თავდაცვის) ფორმა*, როდესაც საკუთარი პრობლემები, ან უსიამოვნებანი სხვა რომელიმე ისეთ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს ბრალდება, რომელთაც არ შეუძლიათ შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც ადამიანთა რომელიმე ჯგუფი გრძნობს ხიფათს, მაგრამ არ შეუძლია მუქარის წყაროს მიმართ რეაგირება. ამიტომ ისინი სხვა, სუსტ, ან საზოგადოების მიერ ათვალისწინებულ, არაპოპულარულ ჯგუფს იღებენ სამიზნედ;

*ოცდაათი ვერცხლი-ღალატისთვის გადახდილი გასამრჯელო;*

*პური ჩვენი არსობისა-არსებობისათვის აუცილებელი;*

*ბზობის ყვავივით გაქრა-უცებ გაქრა;*

*წითელ კვერცხს უგორებს - ყველაფერს უთმობს, ცდილობს ასიამოვნოს;*

*ნოეს კიდობანი* - უზარმაზარი სათავსო შენობა (ნოეს კიდობანი - ხსნის სიმბოლოა. ანალოგიური თქმულებებით მდიდარია

ძველი აღმოსავლეთი. ნოე კეთილი პატრიარქი, ქალთა მოდგმის მხსნელი ბერიკაცი, იმედის სიმბოლო);

### **დასკვნა.**

აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თურქეთისა და საქართველოს მრავალწლიანი ურთიერთობის კვალს, რაც ყველაზე ნათლად ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იკვეთება. იდენტური ერთეულების რაოდენობა, ადასტურებს ამ ორი ენის მსგავსებას, ვინაიდან აღნიშნული მსგავსი ფრაზეოლოგიზმები ორივე ენაში ძველი დროიდან დღემდე გამოიყენება და დროთა სვლამ ვერ შეძლო მათი მივიწყება და ლექსიკონებიდან გაქრობა.

მიუხედავ იდენტური და შესატყვისი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლის დახმარებითაც, როგორც აღვნიშნეთ იოლდება თარგმნითი საქმიანობა, მრავლადაა განსხვავებული ფრაზეოლოგიზმებიც, რომელთა ჩამოყალიბებისა და ენაში დამკვიდრების საფუძველს კონკრეტული ეთნოსის რელიგია, კულტურა და ადათ-წესები განაპირობებს.

ენა მუდმივად მოძრავი ფენომენია, ფრაზეოლოგიზმების წარმოშობაც მუდმივი პროცესია, ეს დამოკიდებულია ქვეყნის ვითარებაზე, ცვლილებებზე, ვიცით რომ თითოეულ ფრაზეოლოგიზმს წარმოშობის და დამკვიდრების ისტორია აქვს, თუ რა სიტყვა კოდი და მნიშვნელობაა მასში ჩადებული. ენის განვითარების პროცესი დროსთან ერთად მომდინარეობს, მუდმივ ცვლილებებსა და სიახლეებს მოიცავს, აქედან გამომდინარე დროის დინებასთან ერთად მოცემული კვლევის შედეგები შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ცეცხლაძე, ნ. (2018). *ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები*. თბილისი.
- მამულია, ე. (2006). *თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი.
- შიომვილი, თ. (2006). *პირი ხისკენ მიქნია... ქართული ხალხური წყევლა*. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა*. თბილისი.

- Aksoy,Ö.A.(1988). *Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2*. İnkılâp Kitabevi. İstanbul.
- Aksoy,Ö.A. (2020). *Deyimler Sözlüğü 2*. İnkılap kitapevi yayınları. İstanbul.
- Hepçilingirler, F. (2018). *Türkçe Dilbilgisi. Kırmızı Kedi Yayınevi*. İstanbul.
- Parlatır, İ. (2008). *Deyimler. Yargı Yayınevi*. Ankara.
- Püsküllüoğlu, A. (2004). *Türkçe Deyimler Sözlüğü*. Beşinci Baskı. Ankara.
- Püsküllüoğlu, A. (2006). *Türkçe Deyimler Sözlüğü*. Ankara.
- TDK, TÜRKÇE SÖZLÜK. (2011). TDK Yayınları. Ankara.
- Özbay, M. Melanlıoğlu, D. (2009). *Türkçe Eğitiminde Deyimlerin Öğretme ve Öğrenme Süreci Bakımından Değerlendirilmesi*. Milli Eğitim Dergisi, S. 181 . s. (8-20).MEB Yayınları. Ankara.

#### REFERENCES:

- Tsetskhladze, N. (2018). *Frazeologizmta k'vlevis asp'ekt'ebi (Research aspects of phraseology)*, Tbilisi.
- Mamulia, E. (2006). *Turkul-Kartuli Frazeologiuri leksik'oni (Turkish-Georgian phraseological dictionary)*, Tbilisi.
- Shioshvili, T. (2006). *P'iri khisk'en miknia... Kartuli khalkhuri ts'qevla (Georgian folk curse)*, Tbilisi.
- Jorbenadze, B. (1997). *Ena da K'ult'ura (language and culture)*, Tbilisi;
- Aksoy,Ö.A.(1988). *Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2*, İnkılâp Kitabevi, İstanbul.
- Aksoy,Ö.A.(2020). *Deyimler Sözlüğü 2*. İnkılap kitapevi yayınları. İstanbul.
- Hepçilingirler, F. (2018). *Türkçe Dilbilgisi. Kırmızı Kedi Yayınevi*. İstanbul.
- Parlatır, İ. (2008). *Deyimler. Yargı Yayınevi*. Ankara.
- Püsküllüoğlu, A. (2004). *Türkçe Deyimler Sözlüğü*. Beşinci Baskı. Ankara.
- Püsküllüoğlu, A. (2006). *Türkçe Deyimler Sözlüğü*. Ankara.
- TDK, TÜRKÇE SÖZLÜK. (2011). TDK Yayınları. Ankara;

Özby, M. Melanlıođlu, D. (2009). *Türkçe Eđitiminde Deyimlerin Öđretme ve Öđrenme Süreci Bakımından Deđerlendirilmesi*. Milli Eđitim Dergisi, S. 181 . s. (8-20).MEB Yayınları.Ankara.



## Comparative analysis of Turkish and Georgian phraseology

**Kristine Tsintsabadze**

PhD student, The department of Georgian Philology,  
Department of Georgian Philology,  
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia.

### **Abstract.**

Phraseological units given in the scientific work are taken from dictionaries of Turkish phraseology. In both history and language, Turkey-Georgia's neighborhood and the multifaceted relationship had an impact and left a mark itself, which is confirmed by the list of examples given in the scientific work. Since Georgian and Turkish languages have a long history, of course, the phraseologies are also so rich and interesting in many ways, because they hold one of the special places in the language. The similarity between these two languages is very interesting and time-consuming for linguistic research, in the modern era, linguistic and cultural studies are very widespread, and one of the important issues of which is phraseological units. The interest of the issue is the identity obtained based on the comparative analysis of phraseological units.

Phraseologies are of great importance in terms of culture, because the formation and establishment of each phraseology has its history. At the same time, we often come across such units whose composition of words contains religious and specific ethnic terminology.

By comparing Turkish-Georgian phraseology and their analysis, three different options are distinguished: First, identical phraseology: whose meaning and structure are identical to each other. Second, matching phraseologies: which are different from each other structurally and with the meanings of the words, but matching can be found in the Georgian language and the third, „Untranslated“ phraseologies: whose identical and matching units cannot be found in

our language, Such units are mainly represented by phraseological units based on religious and customs.

**Keywords:** phraseology; Turkish language; Georgian language; identical; matching; untranslated.

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

**ჰურუფიზმი - ასტრაბადელი დერვიშის ბათინური მოძღვრება**

**ალკაზარ კაშია**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის  
დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი,  
საქართველო, ბათუმი

**აბსტრაქტი.**

საერთოდ რელიგიის ისტორიაში და, საკუთრივ, აღმოსავლეთში არსებობდა ორი გზა განვითარებისა: გარეგანი (ეგზოთერიული - ზაჰერი) და შინაგანი (ეზოთერიული - ბათინი). ამ მიმართულებათა შორის წარმოიქმნებოდა ხოლმე განხეთქილება და აზრთა სხვაობა, რომელიც ხშირად მწვავე კონფლიქტებში გადადიოდა. ეს განსაკუთრებით ცხადად არის გამოკვეთილი აღმოსავლეთის სინამდვილეში, სადაც უკიდურესი „ბათინური“ მიმართულებანი იღვევებოდა და მათ წარმომადგენლებს ცეცხლით და მახვილით უმასპინძლებოდნენ. ჰურუფიზმი დააარსა ასტრაბადელმა დერვიშმა ფაზლულაჰ აბუ მუჰამედმა. ის არ წარმოადგენს ახალ მოძღვრებას და მჭიდრო კავშირს ამყარებს სუფიზმთან, მაგრამ რიგ საკითხთა მოაზრებაში ძირეულად განსხვავდება ამ უკანასკნელისგან. ჰურუფიული მოძღვრების მიხედვით სამყაროს განსხეულების პირველ მიზეზად ღვთიური სიტყვა-ლოგოსი უნდა მივიჩნიოთ. ამიტომაც სიტყვა არის შემოქმედების არსი, ხოლო ასო - ხილვადი სამყაროს არსებობის საფუძველი (საერთოდ, ტერმინი „ჰურუფიზმი“ არაბულია და ნიშნავს ასოებს, ანბანს).

ღვთიური სიტყვის ასოების მეტამორფოზა ყოველ საგანში და მოვლენაში უნდა ვეძებოთ, რადგანაც მუჰამედი არაბული ენით ქადაგებდა (ე.ი. 28 ასოთი), ხოლო ფაზლულაჰი სპარსულით (ე.ი. 32 ასოთი), ამ 28 და 32 ასოს რიცხვითი ჯამი მოც-

ემულია პოტენციალურად ყველაფერში და საჭიროა მისი აღმოჩენა, რის მეოხებითაც ჩვენ შევიმეცნებთ ღვთიურ არსს. ეს არის ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა ჭეშმარიეიტების ძიებისა. ამიტომაც ამ 28 და 32 ასოს ჯამს ეძებენ ისინი ყველგან, ყველაფერს მას უკავშირებენ და მათი ლოგიკური მსჯელობა ამ რიცხვთა მისტიკური სიმბოლოზმით არის გაბუნდოვანებული და გაუგებრობამდე დაყვანილი. ჰურუფიზმმა თავისი შემეცნების და თავყანისცემის ობიექტად გაიხადა ადამიანი, რომელიც ჰურუფისტების მოძღვრებით წარმოადგენს ღმერთის მიკროკოსმოსს ღმერთის შემოქმედების საბოლოო მიზანს.

**სადიებო სიტყვები:** ჰურუფიზმი; ასტრაბადი; ეზოთერული.

### **შესავალი.**

ისტორიულ - კულტუროლოგიური პროცესებით განპირობებული ევოლუციის გზით, აღმოსავლეთის შემოქმედებითი აზრის რეგიონებში გრძნობადი აქტი ეთიკურ-ესთეტიკურმა აქტმა შეცვალა, რამაც შემოქმედებითი აზროვნების სფეროში, სიყვარულის არისის გააზრება ახალ გაგებამდე აიყვანა და ადამიანი, როგორც ღმერთის ადექვეტური ასლი, აბსოლუტის მიკროკოსმოსურ მოდელად აქცია. ჰურუფიზმა კი, როგორც სუფიური მოძღვრების ლოგიკურმა განვითარებამ ადამიანი, როგორც ანთროპოცენტრული ფიგურა, ათროპომორფულ არსებად აქცია. ამ მოძღვრებით ადამიანი კი არ მალდებდა ღმერთამდე, არამედ ღმერთი დადის ადამიანამდე და ყოველგვარ მატერიალურში და უმცირეს ატომებშიც კი ღმერთის ემანაცია ამოიკითხება. ამ კვლევაში განხილულია ყოველივე არსებულის ინვოლუციისა და ევოლუციის, აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებისა და აღქმის გზები და წარმოდგენილია სუფიური და ჰურუფიული დოქტრინების განსხვავებები.

### **მეთოდი.**

ემპირიული მასალისა და ორიენტალისტთა კვლევების ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ ორი აღმოსავლური რელიგიურ - ფილოსოფიური მიმდინარეობის - სუფიზმისა და ჰურ-

უფიზმის დოქტრინების შედარება, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნა მათი მსგავსება-განსხვავებულობა. ასევე კვლევის საფუძველზე განვსაზღვრეთ, ამ მიდინარეობების როლი და მნიშვნელობა მახლობელი აღმოსავლეთის კულტუროლოგიაში და კერძოდ, პოეტურ აზროვნებაში.

### **შედეგები.**

აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა, სხვა მრავალ მსგავსებასთან ერთად, მოგვეძიებია და გავვეანალიზებინა ისლამურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა დოქტრინებში არსებული მკაფიო თუ ქვეტექსტური განსხვავებულობები და მათი ეტიკურ-ესტეტიკური მნიშვნელობა მახლობელი აღმოსავლეთის ფილოსოფიურ თუ მხატვრულ აზროვნებაში. ანალიზის ფონზე მოცემული შედეგის მიზეზი ამ კულტურული რეგიონის სიღრმისეული კვლევაა, რომელიც პასუხს გასცემს ქრთულ კულტუროლოგისთან, როგორც მეზობელი კულტურასთან ურთიერთგავლენის იდეოლოგიურ მსგავსებებსა თუ განსხვავებულობებს, რომლებიც დღემდე აქტუალურია.

### **დისკუსია.**

შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებრივ-ყოფით და მხატვრული აზროვნების სივრცეში სიყვარულმა, როგორც ინდივიდუალურ განცდებთან დაკავშირებულმა ფსიქოლოგიურმა მოვლენამ თუ ბრმა ფიზიკურმა მოთხოვნებამ, დაკარგა თავისი პირველადი, მიწიერი, ქვენაბუნებით ნაკარნახევი, ადამიანური გრძნობის გაგება და იგი იქცა ახალი საზოგადოებრივი ყოფის აუცილებელ პირობათ, რომელსაც შეეძლო ადამიანის ეთიკური აღზრდა და მორალური სრულყოფა. ეს კულტურული რეგიონი პოეზიის, როგორც შემოქმედებითი აზროვნების პირდაპირი გამოვლინების ძირითად დანიშნულებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების ძალაში ხედავდა. ამგვარად, ისტორიულ - კულტუროლოგიური პროცესებით განპირობებული ევოლუციის გზით, აღმოსავლეთის შემოქმედებითი აზრის რეგიონებში გრძნობადი აქტი ეთიკურ-ესთეტიკურმა აქტმა შეცვალა, რამაც შემოქმედებითი აზროვნების სფეროში, სიყვარულის არისის გააზრების ხაზი ახალ გაგებამდე აიყვანა. ამან კი მანამდე არსებულ მხატვრულ აზროვნებას ახალი ქვე-

ტექსტური ბუნება მიანიჭა და „რეალური“, სადა, ლალი და მოკვდავკაცური სატრფიალო ლირიკა კოსმიური, მისტიკურ-აბსტრაქტული ბურუსით მოიცვა და მისი ენიგმური არსის გაგება მხოლოდ ლიტერატურის ადეპტებისათვის გახდა შესაძლებელი და ისიც მეტაფორების ორნამენტებში, ლაბირინთული თარგმანებით

გრძნობადი აქტის ეთიკურ-ესტეტიკურ აქტად გადაქცევის მომენტი მახლობელი აღმოსავლეთის პოეტური აზროვნების განვითარების უღელტეხილად უნდა მივიჩნიოთ, რადგან აქედან იწყება აღქმის ობიექტის გაიდებების პროცესი და სადა, გულწრფელი სატრფიალო ტექსტის მთავარი სენსუალური ფიგურა ათროპოცენტრულ არსებად გარდაიქმნება. მშვენიერი იდეალურში გადადის და აქ წყდება მისი შემხებლობა წარმავლობასთან. ტრფობის ობიექტი სუბიექტის იდეალურისაკენ სწრაფვის მთავარ მიზეზად იქცევა და იწყება მისი გასქემატურების ხატოვანება. იგი კარგავს ანთროპომორფულ ნიშნებს და ზოგადად მშვენიერის სახებით წარმოგვიდგება. ყალიბდება იდეალურად მშვენიერის სახე, რომელსაც სქესური გამოკვეთილება და სიცხადე, თითქმის სრულიად, დაკარგული აქვს. განცდის ობიექტის ამგვარმა გააბსტრაქტულების იდეამ, ბუნებრივია შეცვალა აღქმელისა და აღქმულის ურთიერთობის გაგებაც და სიყვარული როგორც ცხოვრებისეული მოვლენა „სიყვარულის ხელოვნებად“ აქცია.

საშუალო საუკუნეებში, კერძოდ XIII-XIV საუკუნეებში, როცა სუფიზმი, როგორც ისლამის ნეოპლტონიზმი, მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და რელიგიურ სფეროში აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიება საზოგადოებრიობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად იქცა, ეთიკურ-ესთეტიკური აქტი შეიცვალა რელიგიური აქტით, რასაც მოჰყვა აღქმის ობიექტის ახლებური გააზრება: იდალური იდეაში გადაიზარდა, ხოლო იდეალურად მშვენიერი-აბსოლუტურ მშვენიერებაში. სუფიზმი-რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საშუალო საუკუნეების თითქმის ყველა პოეტის აზროვნებაზე, სიყვარული კოსმიურ ძალად მიიჩნია, კოსმოსის შექმნის პირველმიზეზად, მის ლოგოსად და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსად. სუფიური დოქტრინით სიყვარ-

ული არის სურვილი უკვდავებისა და სიკეთის მარადიული ფლობისა, რომლის წყალობით ერთი გარდაიქცევა მრავლად და „ყოველივე სიმრავლე ეზიარების რაითავე ერთს“.

ყოველივე იმით დაიწყო რომ, როცა არსებულად არსებულმა და საფუძვლდდადებულმა ალემი ქეთამაშში (უხილავი სამყარო) თავისი თავი საკუთარი ცოდნის წყალობით შეიცნო, რომ იგი ერთადერთი არსებულია და უხილავია, აღედრა სურვილი თავი გამოეჩინა და ამგვარად სიყვარულის მიზეზი გამხდარიყო, რადგან აბსოლუტურად მშვენიერი არ შეიძლება იყოს დაფარული და სიყვარულის სწრაფვის გარეშე. ამიტომ მან თავისი თავი ორ ასპექტში გამოაჩინა, რათა შეექმნა თავისი სიყვარულის ობიექტი, რომელიც ამავე დროს სიყვარულის სუბიექტიც იქნებოდა და თვით მას, აბსოლუტურ მშვენიერებას, აღიქვამდა როგორც სიყვარულის ობიექტს. ამ მიზეზით მარადიული ქმნადობა (პერპენტუუმ მობილე) იწყებს გამოსხივებას, ისე, რომ არც არფერს გასცემს და არც არფერი აკლდება - მსგავსად უკვდავი მზისა. ინვოლუციის პროცესით (სერი-ნუზულ) წარმოიშვება ხილული სამყარო თავდაპირველად კრისტალის ფორმით, შემდეგ ფლორა, ფაუნა და ბოლოს - ადამიანი, სადაც მარადიული ქმნადობა ასრულებს თავისი გამოსხივების ინვოლუციის პროცესს.

ადამიანი სუფიურ კოსმოგონიაში არის გზაჯვარედინი, მისგან იწყება უკვე ევოლუციური განვითარება (სეირი-ურუჩ), ამალღება აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ. სწორედ ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი, უნდა ამალღდეს საფეხურებრივ და დაუბრუნდეს თავის უმაღლეს ყოფიერებას, აბსოლუტურ შეჭმარიტებას. ეს „სეირი-ნუზულ“ და „სეირი-ურუჩ“ სუფიური მსოფლმხედველობის მიხედვით, არის მარად უწყვეტი, უნივერსალური წრიული მოძრაობა, რომელიც დიალექტიკური პრინციპით, საწინააღმდეგო მოვლენათა გადალახვის გზით მიედინება და ამ პერპენტუუმ მობილეს მათავრი მიზეზი სიყვარულია, რომელიც აპირობებს სამყაროს მარადიულ არსებობას. ამ მარადიულ წრებრუნვაში ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული რეალობა მხოლოდ ღმერთია და დანარჩენი ყოველივე ილუზია. ყოველი ფორმა ანარეკლის მსგავსად მხოლოდ შედარებით არსებობს

და მხოლოდ წარმოდგენაა და ამიტომ, მიწიერი სამყაროს მშვენიერება ღმერთის არსის ადეკვატური ასლია, მშვენიერების ესთეტიკური განცდის საწყისი სათავე სწორედ რეალურ, ხილვად სამყაროში იწყება, თანდათან ვითარდება და განზოგადოებულ სახეს იღებს, საბოლოოდ კი აბსოლუტური მშვენიერების ჭკრეტაში გადადის.

მშვენიერების აღქმის ასეთი გზა სავსებით ესიტყვება სუფიზმის მსოფლმხედველობას და ნიშანდობლივია მისი ესთეტიკური შემეცნებისათვის. რეალური სამყარო აბსოლუტური მშვენიერებისაკენ სწრაფვის უცილობელი საფეხურია და ამ მატერიალურ სამყაროს სიმშვენიერეთა შორის ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგია კოსმოსის ცენტრალური წერტილი, ზღვარი სინათლის გამომყვანებისა და სიბნელის არსებობის შორის. ადამიანი, სუფიების აზრით, არის მაღალი ღმერთის გაცხადებული სურვილი და მიზანი. ამ ხილვად სამყაროში მხოლოდ მას, ერთადერთს, შესწევს უნარი აბსოლუტურ მშვენიერებამდე ამაღლდეს და იგი შეიმეცნოს. ადამიანი მარადიული ქმნადობის მარადუწყვეტი წრებრუნვის კონდინაციული წერტილია, მხოლოდ მასში გარდატყდება სიყვარულის მარადუქრობი ნათელიდან გამოსროლილი მოელვარე სხივი, რომელიც უკან, პირველსაწყისს უნდა დაუბრუნდეს ასევე ჭეშმარიტი სიყვარულის გზით. ამგვარად, ადამიანურ და ღვთიურ სიყვარულს შორის ლოგიკური კავშირი მყარდება, (ღმერთს უყვარს ადამიანი, ადამიანს უყვარს ღმერთი, სასიყვარულო წრედი შეკრულია) რომელშიც ადამიანური სიყვარული, მშვენიერების აღქმის ევოლუციური ხაზის საჭირო და უცილობელი საფეხურია. მიწიერი სიყვარული - სუფიების გაგებით - არის ხიდი, რომელიც უნდა გაიაროს იმან, ვინც ღვთიურ სიყვარულში ნეტარებას ეძებს, სწორედ ამ გზით ხდება აბსოლუტური მშვენიერების შემეცნება, რომელიც ერთადერთი არსებული ჭეშმარიტებაა და იგი განაგებს ყველაფერს, მას კი ვერავინ განაგებს, იგი არის ერთი მთლიანობა, რომელიც მოიცავს ყველაფერს და არ გამორიცხავს არაფერს. იგი არის ერთი მთლიანი, ყოველგვარი გამორიცხვის გარეშე. „ჰუვა-ჰუვა“ („ის არის ის“) და მისი შეცნობა მხოლოდ ადამიანს შესწევს და ისიც საკუთარი „მეს“ შესწავლის საშ-



უალებით. ადამიანი, რომელიც ღმრთის გამოჩინების უნივერსალური ფორმაა, მისი მიკროკოსმოსია და მთელი სამყაროს, ე.ი ღმრთის ადეკვატური ამსახველი, აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომის გზამ ღმერთამდე აამალა და გააღმერთა. როცა შემეცნება იწყება, შენი ადამიანური „მე“-ს აღქმით ვითარდება შენივე „მეობის“ რკალში, ხოლო როცა საკუთარი „მე“-ს ინტუიტიური შესწავლით რწმუნდები, რომ არაფერი არ არსებობს ალაჰის გარდა, ბუნებრივად გებადება აზრი, რომ თვით შენც ღმერთი ხარ. ამიტომ სუფიური აზროვნებისათვის სავესებით ბუნებრივად ჟღერს „ან ალ-ჰაქქ“ (მე ვარ ღმერთი). ან კიდევ, „დიდება მქონდეს მე“ ნაცვლად ისლამის ფორმულისა „დიდება ჰქონდეს ალაჰს“.

ამგვარად, სუფიურ მსოფლმხედველობაში თვით აბსოლუტური ჭეშმარიტების გაგება ადამიანური „მეობის“ რკალში იფარგლება, მაგრამ ეს ადამიანური „მე“ ემპირიული, ინდივიდუალური არ არის. ეს „მე“ ერთსა და იმავე დროს არის „შენც“ და არის „ისიც“, საყოველთაოდ ცნობილია სუფიზმის დედააზრის გამომხატველი ფორმულა: „მე არ ვარ მე, შენ არ ხარ შენ, მაგრამ არც შენ ხარ მე“, „მე“ ერთდროულად „მე“-ც ვარ და „შენ“-ც. „შენ“ ერთდროულად „შენ“-ც ხარ და „მე“-ც. ეს არის ზოგადად ადამიანური „მე“. უფრო მეტიც, ეს „მე“ ყოვლისმომცველია. სწორედ ამ „მე“-ს ზოგად ცნებამდე აყვანით უნდა ავხსნათ, ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეების აღმოსავლური ლირიკა, კონკრეტულ ადამიანურ განცდებს მოკლებული, ზოგად ადამიანურ ხედვაში ტყდება. აღმოსავლური ლირიკის ზოგადად ადამიანური განცდისა და ზოგადსაკაცობრიო აზრების გადმოცემის ფოლოსოფიური ფესვები ამ „მე“-ს განზოგადებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომაც, „ან ალ-ჰაქქ“ (მე ვარ ჭეშმარიტება) ერთგვარ პოეტურ ფორმულირებად იქცა და სუფი პოეტების ლექსებში არაერთგზის გაჟღერდა.

ადამიანის გაღმერთების დოქტრინამ - ჰურუფიზმმა, რომელიც სუფიზმის ერთ-ერთ განშტოებად შეიძლება მივიჩნიოთ, გაარღვია შემეცნების სუბიექტივიზმის რკალი და საერთოდ ყველა ადამიანში ღმერთ დაინახა. ჰურუფის შემეცნებელი ჭკრეტა უკვე თავის „მე“-სკენ კი არ არის მიმართული, არამედ თავის „მე“-ს გარეთ მყოფი ადამიანისაკენ, რაც უდავოდ პროგრესულ ნაბიჯი იყო. ჰურუფიები უკიდურეს პანთეიზმს ქადაგებდნენ,

მათ ღმერთს გაუტოლფარდოვნეს არამხოლოდ ადამიანი, არამედ მთელი მატერიალური სამყარო. ისინი ხილვად სამყაროს ყველა ატომში ღმერთის ემანაციას ხედავდნენ, რითაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ტრანსცენდენტალური გაგება მოუხსნეს და მატერიალურ სამყაროში გაანივთეს. მაგრამ ჰურუფიების ჭვრეტის ძირითადი ობიექტი, ისევე როგორც ყველა სუფის, ადამიანი იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყველა სრულყოფილ ადამიანში, კერძოდ კი, მის ლამაზ სახეში, ღმერთია გამოჩინებული და განსხეულებული. ამიტომ, მათი აზრით, უნდა გიყვარდეს ადამიანი და მისი ლამაზი სახე უნდა იყოს ჭვრეტისა და ესთეტიკური განცდის ობიექტი.

ჰურუფიულ მსოფლმხედველობაში ადამიანი კი არ მალდება ღმერთამდე, არამედ ღმერთი დადის ადამიანის ცნებამდე და იგი ანთროპომორფულია. აღმოსავლეთში სულიერი განვითარების დუალისტურმა გზამ: გარეგნულმა (ეზოთერიული - ზაჰერი) და შინაგანმა (ეზოთერიული-ბათინი) სისხლიანი დაპირისპირებები და იდეური განხეთქილებები წაროქმნა. ამიტომაც, თავდაპირველად „ბათინური“ მიმართულებანი სასტიკად იდეზნებოდა. საშინელი წამებით მოკლეს ჰურუფიული მოძღვრების ფუძემდებელი, ასტრაბადელი დერვიში შაჰაბ ად დინ ფაზლულაჰ იბნ ბაჰა ედ დინ აბუ მუჰამმად ნაიმი (1339-40/1394), მისი სწავლების მიხედვით, რომელიც სახადივით მოედო ანატოლიის, სირიის, დასავლეთ ირანისა და აზერბაიჯანის, ორთოდოქსალური ისლამის სწავლებით გაჯერებულ გეოგრაფიას, სამყაროს განსხეულების პირველ მიზეზად ღვთიური სიტყვა - ლოგოსი იქნა აღიარებული. სიტყვა, როგორც, მარადიული ქმნადობის წინაპირობა და შემოქმედების არსი, ხოლო ასო - ხილული სამყაროს არსებობის, განსხეულების საფუძველი. (საერთოდ, ტერმინი ჰურუფიზმი/ჰურუფ - არაბულიდან მომდინარეობს და ასოებს, ანბანს ნიშნავს) ჰურუფიების სწავლებით, ღვთიური სიტყვის, ასოების მეტამორფოზა მატერიალური სამყაროს ყოველ ატომში და მოვლენაში უნდა ვეძიოთ, რადგანაც მუჰამედი არაბული ენით ქადაგებდა (ე.ი. 28 ასოთი), ხოლო ფაზლულაჰ ნაიმი სპარსულით (ე.ი. 32 ასოთი), ამ 28 და 32 ასოს რიცხვითი ჯამი მოცემულია ყველაფერში, თვით ყურანიც ასოთა რიცხვობრივი სის-

ტემით განიმარტება და რიცხვების ჯამით შეიმეცნება ღვთიური არსი.

რიცხვების კაბალისტიკა ოდითგანვე წარმოადგენდა ადეპტთა საკრალურ ძალას. ამიტომაც ტექსტი, დაწერილი სიტყვა და მისი გახშიანება აბსოლუტის კოსმიური ნება-სურვილის გაცხადების აქტია. წერა-კითხვის უნარ-ქმედებაც განეკუთვნებოდა მისტერიათა რიგს. დამწერლობის შექმნას პოლითეიზმის ქურუმები ღმერთებს მიაწერდნენ. მაგ: ეგვიპტელები - ტოტს, ბაბილონელები - ნაბუს, ბერძნები - ჰერმესს, ინდოელები - სარასვატის. ამიტომ ასოთა გრაფიკას ბუნდოვანების სამოსელში ახვევდნენ, ანიჭებდნენ საკრალურ მნიშვნელობას და უკავშირებდნენ რიცხვთა მისტიკას. მაგ. ებრაული ანბანის პირველი ასო ალფ ალნიშნავდა ხარს, ჰქონდა რიცხვითი ნიშანი 1, ფიზიკურად შეესაბამებოდა სუნთქვას, ზოდიაქალურად - მხეს, სიმბოლოურად - ძალას, ფერად იყო ბაცი ყვითელი და მიმართული იყო ზევიდან ქვევით და ა.შ.

ჰურუფიების მიხედვით სამყაროს ქმნადობის საიდუმლო მისტიკურ ციფრებშია და ადამიანი, თავად ალაჰია ან კიდევ, მისი ღვთიური სხეულის ნაწილი და იგი მხოლოდ სრულყოფილების შემთხვევაში კვლავ შეერწყმება შემოქმედს, დაუბრუნდება თავის პირველსახეს. ფაზოლულაჰის სწავლებით ალაჰი დაფარული განძია და მისი გამოჩინება ასო-ბგერებშია. ყოველივე მატერიალური ასოა, ხოლო სული - ბგერაა, კეთილხმოვანებით შექმნილი სიტყვები ალაჰის ემანაცია. სიტყვები კი ადამიანის ბაგეთგან ჟღერს, ასევე ტექსტიც ადამიანის ხელით იქმნება. სამყარო სავსეა ბგერებით, ბგერათა ჯამის სრულყოფილი ფორმა სიტყვაა, სიტყვა, რომელიც იყო დასაბამიდან. ამიტომაც ამ არაბული ანბანის 28 და სპარსული ანბანის 32 ასოთა ჯამს ეძებენ ჰურუფიები ყველგან და ყველაფერს მას უკავშირებენ. მათი ლოგიკური მსჯელობა ამ რიცხვთა მისტიკური სიმბოლოზმით არის გაბუნდოვანებული. სამყაროს მეტაფიზიკურ სიღრმეებში დავანებული მარადიული ინდივიდუმი, მრავალფეროვან მატერიალურ დეტალებშია ემანაცირებული, იგი განფენილია მრავლად და განთითოებული უმცირეს ატომებშიც კი, მათი თავმოყრა და გამთლიანება ღვთიური სახების ჯამია გაცხადებული,

ჯამი ღმერთთა, იგია ყოველ საგანთა და სულთა საფუძველი, ის არის ჯამი მთელი სამყაროსი, (ო ჯამო, მთელ სამყაროსავს - მიმართავს ჰალაჯა (865-922) ღმერთს).

ჰურუფიზმში ოთხი ელემენტი: ღმერთი, ასო, ადამიანი და მატერიალური სამყარო განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული, განუყოფელი ერთობა. სრულყოფილება არის ღმერთი, სრულყოფილება 28 და 32 ასოთი გამოიხატება და გამოითქმის, სრულყოფილება არის ადამიანში, რომელმაც იცის ამ ასოთა საიდუმლოება, სრულყოფილება ეს 4 ელემენტი, რომელიც არის ყოველივე არსებულის (მატერიალური სამყაროს) საფუძველი. ჰურუფიები საწყისი და მარადიული სუბსტანციიდან აღმოცენებული მატერიალური ქმნადობის წესრიგს ამ სისტემის სახით აღიქვამდნენ: ღმერთი, სიტყვა, სამყარო, ადამიანი. „ თუ ადამი ღმერთის ხატადაა, მაშინ ღნერთთა ადამიანი“ წერს ფაზლოლლაჰ ნაიმი თავის „ჯავვადნამე“-ში. მან ყველა საგანი არამარტო ადამიანს დაუკავშირა, არამედ მის მეტყველებასაც: „ყველაფერი - ადამიანის მეტყველებაა). ზოგადად, ჰურუფიზმის სწავლებით ღმერთმა თავის თავი ორი ფორმით გამოამჟღავნა: I. ასოს ,სიტყვის სახით და ამ ფორმის გამოხატულებაა ყურანი, როგორც მათ მიაჩნიათ, ყურანი ჭეშმარიტების გამოვლინებაა სიტყვის სახით. II. ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის სახით. ამიტომ, ჰურუფიები ყურანს უწოდებდნენ „ქითაბ ალ-სამით“-ს („უმეტყველო წიგნი“), ხოლო ადამიანს – „ქითაბ ალ-ნათიგ“-ს („მეტყველი წიგნი“).

ჰურუფიების კოდექსით ადამიანი, არა მხოლოდ თავისი სულიერი სიდიადითა და ძლევამოსილებით ითვლებოდა ღმერთის ხატების ანარეკლად, არამედ თავისი გარეგნობითა და სილამაზით. ვინაიდან ადამიანი გარეგნულად ულამაზესი ქმნილებაა, მის სილამაზეში ყოვლისშემძლე შემოქმედის უნაკლო ხატება აირეკლება. ადამიანი - ჭეშმარიტებისათვის თვისობრივი ნიშნების მატარებელია. ჭეშმარიტების თვისობრიობა, როგორც დასტური, სამყაროს პირმშოს სახეზეა ასახული. მაგალითად, ადამიანის სახეზე დაწერილია სიტყვა „ალაჰი“. ჰურუფიები ადამიანის ცხვირს ადარებდნენ არაბულ ასოს "ალიფ"-ს (I), ცხვირის ნესტოებს ასო "ლამ"-ს (L), თვალებს "ჰე" (C) და სიტყვა "ალაჰი"-ც

ამ ასოებიდან იქმნება. ჰურუფიზმში ადამიანის სახის 7 ნიშანი (4 წამწამი, 2 წარბი, 1 თმა თავზე) განიმარტებოდა, როგორც ღვთაებრივი ატრიბუტი. ამასთანავე, ადამიანის სახეზე ეს 7 ნიშანი ჰურუფიებმა ყურანის პირველ სურას „ფათიჰა“-ს შეადარეს, რომელიც 7 აიისგან შედგება და წმინდა წიგნის შესავალია. აღსანიშნავია, რომ მთავარი ღვთაებრივი სიბრძნეც ამ სურაში აისახება. ჰურუფიების სწავლებით, ადამიანის სახეც ამ „შესავალი“-ს მსგავსია და მისი ამოცნობის მთავარი ობიექტია, რომლის 7 - წმინდა ნიშანი ჭეშმარიტების ატრიბუტი და ანარეკლია.

ჰურუფიები თავყვანისცემის ორ ფორმას აღიქვამდნენ: თავყვანისცემას გულით და თვალთ თავყვანისცემას. ისინი უპირატესად, თვალეზით თავყვანისცემას მიიჩნევდნენ და ამიტომაც მშვენიერი სახის მზერას ქაბის მომლოცველობას (ჰაჯის აღსრულებას) ან კიდევ, ჭეშმარიტების თავყვანისცემას ადარებდნენ. ჰურუფიზმის ფუძემდებელმა თავის ბეითებში, მშვენიერი სახე 28 და 32 ასოთი შექმნილი ღვთაებრივი სწავლების ანარეკლად მიიჩნია: „ეს სილამაზე და ბრწყინვალეა არის ღმერთის სიტყვის (ასოების) მეცნიერება“, და კიდევ უფრო დაკონკრეტდა: „სილამაზე და ბრწყინვალეა, თვალეზი, წარბები, სახის ნაკვთები, ხალები, თმა თავზე - მეცნიერებაა ღვთის სიტყვის შესახებ“. ჰურუფიებისათვის სატრფოს ლამაზი სახის ჭვრეტა და მისი აღწერა სალოცავი მიჰრავის, ყურანის, რწმენისა და თვით ღმერთის მაგივრობაა. სატრფოს სახის მზერა ყურანის სურების ამოკითხვაა, ღვთაებრივი მშვენიერების განჭვრეტა და მისი უხეანესი საიდუმლოს ამოკითხვაა. ჰურუფიებმა ყველა ადამიანში ღმერთი დაინახეს და შეიცნეს, მისი გარეგნობა ღვთიური ენიგმების ერთობლიობაა, სხეულის თითოეული ნაწილი ასოებისა და ციფრების ეკვივალენტი, ხოლო უნარი ყოველივე ამის ამოკითხვისა სიყვარულია, მხოლოდ ამ ღვთივობებულად, ზეციური გრძნობით გამსჭვალული გონებით, თვალეზითა და გულით ამოკითხება და შეიცნობა ღვთიური სიტყვა და ცხადდება დიდი საიდუმლო (გამოჩინდება დაფარული).

ჰურუფიული შემეცნების სფეროში პირველ პლანზე ადამიანი და ადამიანური სიყვარული არის წამოწეული. როგორც ნესიმი აღნიშნავს, ჰურუფიებისათვის ულამაზესი ადამიანური

ფორმა არის არა უბრალოდ ადექვატური გამოსახულება, არამედ ღვთაებრივი განსხეულება და სიყვარული, რომელსაც განიცდი ამ ადამიანისადმი, არის არა უბრალოდ „ხიდი“, მიმავალი აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, არამედ თავისთავადი საბოლოო მიზანი. ჰურუფიების ცნობიერებაში ადამიანს განიხილავენ არა ღმერთის ასლად, როგორც ამას ადგილი აქვს სუფიებთან, არამედ თვით ღმერთად, ამიტომ ღმერთი გააზრებულია ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანად და პირუკუ, მაგრამ აღქმის დროს პრიორიტეტი ადამიანს ეკუთვნის, რადგან აღმქმელისათვის უშუალო ჭვრეტისა და წვდომის ობიექტი ადამიანია. ჰურუფიულ პოეზიაში მანამდე „ცადაჭრილი“ ადამიანი (როგორც შესავალში აღვნიშნეთ) ისევ ეშვება მიწაზე, მაგრამ ამჯერად გაღმერთკაცებული, იგი ხელშესახებია და „თუალით სამზერი“, ღმერთი კი მასში დავანებული დაფარულია და ამოსაცნობი, სიტყვა მისი კი, ამოსაკითხი.

აბსოლუტური სიყვარულის შეცნობა მხოლოდ საკუთარი ეგოს განქარვებით, საკუთარი „მეს განლლობის“ გზით მიიღწევა და ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ექსტაზის, უკიდურესი აღზნებისა და თავდავიწყების გზითაა შესაძლებელი და თუ ეს უიდუმლესი აღმოჩენა შესძლო ადამიანმა, მაშინ მოიშლება „მე“-ს ყოველგვარი საზღვარი, „განქარდება პიროვნულობის გამთიშველი ყრუ კედელი და განიხვენება ბქენი ჭეშმარიტი არსებობისა“. მაშინ იცნობა, რომ ეს ხილული სამყარო სხვა არაარის - რა, თუ არა საუფლო „ერთდაერთისა“, რომელსაც ღმერთი ეწოდება და რომლის ნაწილიც ადამიანია. მხოლოდ იგია ჭეშმარიტი რეალობა და სხვა ყოველივე მაცდუნებელი მოჩვენებაა. მის გარდა, არ არსებობს არაფერი, არავითარი ფასეულობა, თვით ზნეობაც კი კარგავს ყოველგვარ ღირებულებას, ვინაიდან კეთილისა და ბოროტის, დუალისტური მსოფლადქმის ამ უძველესი ურთიერთდაპირისპირებული ანტიპოდების ადგილს ერთი დიდი სიკეთე იჭერს, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული სინამდვილე.

ბათინური მოძღვრების მიმდევრები თავიანთ ქადაგებებში უხვად იყენებდნენ პოეტური ფორმით გამოთქმულ შეგონებებს. ამიტომაც, მათი მსოფლმხედველობა სიამოვნებით აიტაცეს პოე-

ტებმა და შექმნეს საგანგებო ხატოვან-სიმბოლური სისტემა, რომელთა თარგმანებით ღმერთი იქცა სატრფოდ; პოეტი ანუ ლირიკული გმირი კი - მეტრფედ, მიჯნურად; სულიერი ექსტაზი - ღვინოდ; სულიერი მოძღვარი ( შეიხი) - მერიქიფედ , მწედდ, რომელიც პოეტს აწვდის ამ „ღვინოს“ და შეჰყავს იგი სულიერი ექსტაზის მდგომარეობაში, ამზადებს მას მისტიური „თრობის“ ანუ ღმერთთან შერწყმის უზენაესი ნეტარებისათვის. თრობის მისტერია, როგორც კოსმიური ჰედონიზმი, სუფი და ჰურუფი პოეტების ორგანულ სიუჟეტად იქცა.

### **დასკვნა.**

აღსანიშნავია რომ, ბათინური მოძღვრების მსოფლმხედველობაში სიყვარულის არსის გააზრება უნდა შეცვლილიყო. აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ადგილი უნდა დაეთმო ადამიანისათვის, რომელიც კი არ უგულუბელყოფდა მას (აბსოლუტურ ჭეშმარიტებას), არამედ მისი ცნებების იდენტური იყო. ამას ცვლილებები უნდა გამოეწვია მხატვრული აზროვნების გამოვლინებებშიც. მართლაც, ეს ასე მოხდა, ჰურუფი პოეტების „მშვენიერის“ სურათი უფრო რეალურ არსებად წარმოდგა და მასთან დაკავშირებული განცდის მომენტებმაც უფრო მიწიერი, ადამიანური ელფერი შეიძინა, მაგრამ, ჰურუფიულმა აზროვნებამ აღმოსავლური ლირიკის განვითარებაში ვერ შეძლო ძირეული გარდატეხის მოხდენა, რადგან აღმოსავლური სიყვარული, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტრადიციები მყარად იყო ფესვგადგმული ეპოქალურ აზროვნებაში. ჰურუფიების სიყვარულის ობიექტი, მართალია, პირველ რიგში იყო ადამიანი, მაგრამ ეს ადამიანი შემეცნების ღრმა მეტაფიზიკურ სივრცეებში ღმერთად იყო მოვლინებული. ბათინური მოძღვრებით სანეთელივით მღვენტავი დევრვიშები, ყოველ ადამიანში ღმერთის მხედველნი, ყოფიერების სისასტიკით გატანჯულ ხალხს, თავიანთი ქადაგებებით ასევე ღმერთად ევლინებოდნენ და აქაც ცხადდებოდა მარადიული წრებრუნვა, რომელსაც არ ქონდა დასაწყისი და არც დასასრული, რომელიც იყო მხოლოდ აქტი მარადისობის, ჭეშმარიტებაში დავანების მისტერია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- Шиммель, А. (2000). *Мир Исламского Мистицизма*. Москва;
- Массе, А. (1961). *Ислам*. Москва.
- Бертельс, Е. (1965). *Суфизм и Суфийская Литература*. Москва.
- Джавелидзе, Э. (1979). *У истоков турецкой литературы, I  
Джелаль-ед-дин Руми*. Тбилиси.

#### REFERENCES:

- Shimmel', A.(2000). *Mir Islamskogo Misticzma (World of Islamic mysticism)*. Moskva.
- Masse, A. (1961). *Islam (Islam)*. Moskva.
- Bertel's, E. (1965). *Sufizm I Cufijskaya Literatura (Sufism and Sufi literature)*. Moskva.
- Dzhavelidze, Je. (1979). *U istokov Tureckoj Literatury, IDzhelal' -ed-din Rumi (At the origins of Turkish literature, Jalal-ed-din Rumi I)*. Tbilisi.



## Hurufism- the batin doctrine of the dervish from Estarabad

**Alkazar Kashia**

Assistant Professor of The Department  
Of oriental studies at Batumi  
Shota Rustaveli State University  
Georgia, 6010, Batumi Ninoshvili st. 32/35  
+995551005925, aleko.kashia@bsu.edu.ge  
Orcid.org/0000-0001 6827-6394

### **Abstract.**

There have been two ways of development in the history of religion: external (exoteric - zaher) and internal (esoteric - batin). Differences between these two diverse theories often turned into sharp conflicts. These cases were especially evident in the reality of the East, where extreme `Batin/"Baten" were pursued and their representatives were treated with fire and sword.

Hurufism was founded by Fazlullah Abu Muhammad,- a dervish from Estarabad. It does not represent a new doctrine and it's closely related to Sufism, but it fundamentally differs from this form of islam in a number of issues. According to the Hurufian doctrine, we should consider the divine word - 'Logos' as the first cause of the creation of the universe. That is why the word is the essence of creation, and the letter is the basis of the existence of the visible world (in general, the term `hurufism' is Arabic and means letters, alphabet).

The metamorphosis of the letters of the divine word must be sought in every object and event, because Muhammad preached in Arabic (i.e. 28 letters), and Fazlullah in Persian (i.e. 32 letters), the numerical sum of these 28 and 32 letters is given potentially in everything and we have an obligation to discover it, through which we will know the divine essence. This is the only and true way to find the truth. That is why they look for the sum of these 28 and 32 letters everywhere, they connect everything to it, and their logical reasoning is obscured and reduced to misunderstanding by the mystical

symbolism of these numbers. Hurufism considers human as the object of its knowledge and worship, which, according to Hurufists, represents the microcosm of God, the ultimate goal of God's creation.

**Keywords:** Hurufism; Estarabad; Esoteric.

**ბაირონის რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა**

**მალხაზ ბალაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის  
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ბათუმი.

**აბსტრაქტი.**

ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია, რომ რომანტიკული ლიტერატურის სულიერი საზრდო ქრისტიანული მსოფლმხედველობა იყო. ამიტომაც, ბაირონის შემოქმედების საკვლევ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რელიგიურმა პრობლემატიკამ, რადგან იგი ხშირად მიმართავდა ბიბლიურ თემებს.

ზოგადად, ამ თემების გამოყენება მსოფლიო ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამას ისიც განაპირობებს, რომ ბოლო ხანებში გაიზარდა ინტერესი ევროპული კულტურის სულიერი საფუძვლების მიმართ. განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების შემდეგ ინგლისსა და ამერიკაში ბაირონის შემოქმედების როგორც რელიგიური, ასევე ფილოსოფიური საკითხები კვლევის საგნად იქცა. მოცემული თემა ამ დიდი საკითხის მოკლედ განხილვის მცდელობას წარმოადგენს. ასევე, საინტერესო იქნება ზოგიერთი პარალელი ქართულ რომანტიზმთან.

ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პოეტის შეხედულებები რელიგიის შესახებ არ ატარებდა სისტემურ ხასიათს, იგი იხრებოდა კლავინიზმისკენ და დეისტური მსოფლმხედველობით იყო ნასაზრდ-

ოები. ამასთან ერთად, იგი არასდროს წყვეტდა კავშირს სკეპტიციზმსა და რაციონალიზმთან, თუმცა, ამავე დროს, მან უარყო ვოლტერისეული მშრალი რაციონალიზმი. ძირითადი ფაქტორები, რომელმაც განაპირობა პოეტის რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა არამყარი და რთული განვითარება, იყო ბაირონის მაღალი ინტელექტუალიზმი და ამ კუთხით მისი აქტიუობა. ასევე, დიდი როლი ითამაშა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა, მათმა მიღწევებმა და იმ ეპოქის რაციონალისტურმა სულმა.

ბაირონი ყოველთვის ცდილობდა იმის დაჯერებას, რომ სამყარო მოწესრიგებულია და, ასე ვთქვათ, კეთილგანწყობილი. შემდეგ კი მთელი ემოციითა და სიბრაზით ეძებდა წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემას.

ბაირონს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწამდა რწმენის აუცილებლობა ადამიანისათვის, რომელიც მას ეხმარებოდა მორალური სისავსისა და სამყაროს საყრდენი ძალის გაცნობიერებაში. იგი არ იყო მართმადიდებელი ქრისტიანი. ინტელექტუალური პატიოსნებისა და გონების ცნობისმოყვარეობის გამო პოეტი იძულებული იყო მიემართა სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკური დოქტრინების ანალიზისათვის, რომლებიც ვერ იძლეოდნენ მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხებს წამოჭრილ ონტოლოგიურ კითხვებზე. ამ საკითხის მხატვრულად გადაწყვეტის მიზნით პოეტი ქმნის ყოფიერების არსისა და ადამიანის ურთიერთქმედების მისთვის უნივერსალურ მოდელს.

ასევე ნაშრომში საინტერესო სურათს იძლევა ბაირონის შემოქმედების შედარება ქართველ რომანტიკოსებთან .

**საძიებო სიტყვები:** რომანტიზმი; ბაირონი; რელიგიური; ფილოსოფიური; ბაირონიზმი.

## **შესავალი.**

რომანტიზმის წარმოშობა ევროპაში „დიდი სევდის“ პერიოდს ემთხვევა. მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი საოცარი ქართვეილებისა და იმედგაცრუების პერ-

იოდი იყო. იგი შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს, რამაც ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში რომანტიკული მიმართულების კუთხით. რომანტიზმის სულიერ წყაროს ქრისტიანული მსოფლგაგება ასაზრდოებდა. რადგან ამ ჟანრის წარმოშობის მიზეზი ერთნაირი განწყობილება იყო, თემატიკური და მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებიც სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკულ ლიტერატურაში ხშირად იჩენენ მსგავსებას, რომელთა კვლევა ძალიან საინტერესო სურათს იძლევა.

### **მეთოდი.**

შედარებითი, მხატვრულ-სახეობრივი და სისტემური ანალიზის საფუძველზე მოხდა ბაირონის შემოქმედების რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემის ანალიზი, რომელმაც წარმოაჩინა გენიალური მოაზროვნის მრავალწახნაგოვანი მიდგომა ამ საკითხთან. საკვლევ საკითხთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ „შინაგანი დიალოგისა“ და მწვავე სულიერი განცდების წარმომშობ მოტივებს, რომელიც თან ახლდა მწერლის პოეტურ სამყაროს ამ საკითხთან ჭიდილის დროს.

ასევე მოხდა შედარება ქართველ რომანტიკოსებთან იგივე თემატიკის კუთხით, რამაც გამოავლინა ერთეულ საკითხებთან როგორც იდენტური, ასევე განცხვავებული მიდგომები.

### **შედეგები.**

შედარებითმა ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, მკაფიოდ გამოკვეთილიყო მწერლის მრავალგვარი მიდგომა რელიგიურ საკითხებთან. ასევე დაგვანახა, ამ მრავალგვარობის ფილოსოფიური საფუძვლები. გამოჩნდა, რომ პოეტის მწერლურ მიზანსწრაფვასა და მსოფლმხედველობრივ კრედოს წარმოადგენდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა.

ქართველ რომანტიკოსებთან შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა მრავალი მსგავსება, როგორც თემატიკური, ასევე მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებისა.

### **დისკუსია.**

ბაირონის შემოქმედების საკვლევ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რელიგიურმა პრობლემატიკამ, რადგან იგი ხშირად მიმართავდა ბიბლიურ თემებს.

ზოგადად, ამ თემების გამოყენება მსოფლიო ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამას ისიც განაპირობებს, რომ ბოლო ხანებში გაიზარდა ინტერესი ევროპული კულტურის სულიერი საფუძვლების მიმართ. განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების შემდეგ ინგლისსა და ამერიკაში ბაირონის შემოქმედების როგორც რელიგიური, ასევე ფილოსოფიური საკითხები კვლევის საგნად იქცა. მოცემული თემა ამ დიდი საკითხის მოკლედ განხილვის მცდელობას წარმოადგენს. ასევე, საინტერესო იქნება ზოგიერთი პარალელი ქართულ რომანტიზმთან.

ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პოეტის შეხედულებები რელიგიის შესახებ არ ატარებდა სისტემურ ხასიათს, იგი იხრებოდა კალვინიზმისკენ და დეისტური მსოფლმხედველობით იყო ნასაზრდოები. ამასთან ერთად, იგი არასდროს წყვეტდა კავშირს სკეპტიციზმსა და რაციონალიზმთან, თუმცა, ამავე დროს, მან უარყო ვოლტერისეული მშრალი რაციონალიზმი. ძირითადი ფაქტორები, რომელმაც განაპირობა პოეტის რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა არამყარი და რთული განვითარება, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ (მარჯარუმი), იყო ბაირონის მაღალი ინტელექტუალიზმი და ამ კუთხით მისი აქტივობა. ასევე, დიდი როლი ითამაშა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა, მათმა მიღწევებმა და იმ ეპოქის რაციონალისტურმა სულმა.

ბაირონის რელიგიური საკითხების კვლევას მიეძღვნა მრავალი შრომა. ერთ-ერთი იყო ფეერჩაილდი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც ხუთი ტომი მიუძღვნა აღნიშნულ საკითხს. ავტორი არ ცდილობს, რომ ბაირონის რელიგიური ხარისხი აამაღლოს, როგორც ეს გვხვდება თუნდაც ქართულ კრიტიკაში, არამედ იგი ამბობს, რომ ბაირონი არ უარყოფდა, მაგრამ ბოლომდე ქრისტიანობის მიღების თქმაც არ შეიძლება მისი პოეზიიდან გამომდინარე, იგი მაინც ბიბლიურ მასალას უყურებდა როგორც წყაროს პოეტური მასალისათვის.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ბაირონი ცდილობდა იმის დაჯერებას, რომ სამყარო მოწესრიგებულია და, ასე ვთქვათ,

კეთილგანწყობილი. შემდეგ კი მთელი ემოციითა და სიბრაზით ეძებდა წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემას. ამისთვის იგი მიმართავდა კალვინიზმს, პანთეიზმს, კათოლიციზმს, დეიზმს და მისი ძიება ყოველთვის ბრუნდებოდა ამ უკანასკნელთან.

ცნობილი მკვლევარი და ბიოგრაფი ლესლი მარშანდი წიგნში „The Poetry of Byron: A Critical Introduction“ იგივე დასკვნამდე მიდის, რომ ბაირონის დამოკიდებულება რელიგიის მიმართ კი იყო სერიოზული, თუმცა ორგანიზებული ქრისტიანობის მიმდევრებს მას ვერ მივაკუთვნებთო.

ნინა დიაკონოვა წიგნში „ინგლისური რომანტიზმი“ აღნიშნავს, რომ ბაირონისათვის რელიგია ეს იყო საკუთარი „სინდისის, აზრისა და გრძნობების თავისუფლების დამტკიცებით“ აღქმული ერთობლიობა. იყო „ერთგვარი ფორმა პროტესტისა მიმართული როგორც ოფიციალური საზოგადოების, ასევე მისი იდეოლოგიის დასამარცხებლად“. ასევე, მკვლევრის აზრით, პოეტი არც „ბუნდოვანი დეიზმის“ მიმართ იყო მწყობრი და თანმიმდევრული (Дьяконова, 1978: 79).

ბოსტეტერი „კაენზე“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „კაენი“ ტენდენციური დრამაა და იგი ბაირონის წარუმატებლობაა. ეს კი, მკვლევრის აზრით, განპირობებული იყო ბიბლიის პირდაპირი გაგებით, რაც კალვინისტურმა აღზრდამ და მისმა წარუშლელმა კვალმა განაპირობა.

როგორც ჩანს, პოეტის რელიგიური საკითხების, მსოფლმხედველობრივი თემების მიმართ კრიტიკოსები განსხვებულ აზრებს ავითრებენ, რაც ტექსტის პრობლემური ანალიზის საფუძველი ხდება (Маймин, Слинина, 1984:28). ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ეპიზოდი: ლუციფერის მხარეს არ იჭერს კაენი, რადგან აცნობიერებს, რომ „ემშაკი ღვთის მტერია და მისი მხარდაჭერა უიმედოა, მაგრამ არც ღმერთის დახმარების იმედია გამოსავალი“. აქ აშკარად იკვეთება ის წინააღმდეგობა, რომელიც, ზოგადად, ბაირონის მთელ შემოქმედებას გასდევს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბაირონს უნდოდა დაენახა სამყაროს მოწესრიგებულობისა და კანონზომიერების პრინციპები. თუმცა, როგორც რომანტიკოსებს სჩვევიათ, პოეტი სამყაროში

წინააღმდეგობასა და მტრულ დამოკიდებულებას ხედავდა, რაც მარადიულ და შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვდა. ამიტომაც აღნიშნავენ კრიტიკოსები, რომ ადამიანსა და სამყაროს შორის ჰარმონიის ძიება პოეტისათვის ძირითად პრობლემად იქცა. ალბათ, ეს მდგომარეობაა, რომელზეც სიორენ კირკვეგორი ამბობდა: „ადამიანური ცხოვრების მთავარი უკმარობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასურველს მხოლოდ კონტრასტების გზით აღწევდა თვით წმინდანობაც კი სხვაგვარად არ მიიღწევა, თუ არა ცოდვის მეშვეობით“ (კიკნაძე, 1978: 283).

ბაირონისთვის რელიგიურ საიდუმლოში პოზიტიური დასკვნების გამოტანა რთულია, მაგრამ მთლად პესიმიზმის საფუძველიც არ არსებობს. ამიტომაც ამბობს იგი: „ტრაგიკულია ბედთან ბრძოლაში ბედი ადამიანისა, თუმცა სასოწარკვეთილს ვერ ვუწოდებთ. სისუსტის მიუხედავად მისი როლი არ არის უიმედო“. ბუნებრივია, მოაზროვნე ადამიანებისთვის დამახასიათებელია მუდმივი შინაგანი დიალოგი და წინააღმდეგობა ძიების გზაზე. შემეცნება თანდათან ხდება, ლოგიკური ჩაღრმავებით, მსჯელობით, ანუ, როგორც ბახტინი ამბობს, „შინაგანი დიალოგით“. პოეტი თითქოს მუდმივი არჩევანის წინაშე დგას. „არჩევანის აქტში იგულისხმება არჩევანი დაპირისპირებულ მხარეთა შორის: თავისუფლება და აუცილებლობა, მოვალეობა და ტკბობა, კარგი და ავი, სიკეთე და ბოროტება... თვითარჩევანის შედეგად პიროვნება თითქოსდა ხელახლა ბადებს, ქმნის საკუთარ თავს“ (პოპიაშვილი, 1988:128-164). ამიტომაც ამბობს პოეტი ერთგან განსხვავებულ აზრს: „ჩვენ ვცხოვრობთ იმიტომ, რომ იმედი მიმართავს მეხსიერებას და ორივე ერთად გვატყუებს“. ეს რომანტიკული ხედვაა. ალექსანდრე ჭავჭავაძეც ასე გადმოგვცემს ანალოგიურ აზრს:

„გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი  
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად“

(ჭავჭავაძე, 1986:45).

„კაენი“ ღვთისმგომო პოემად იქნა გამოცხადებული და ამას საფუძველიც ჰქონდა, რადგან ლუციფერი ვერ არკვევს სამყაროში თავის ადგილს. კაენის შეკითხვაზე ღმერთთან მისი მსგავსების შესახებ, ლუციფერის პასუხია: „მე არაფერს არ წარმოვადგენო“.



განმეორებით იგივე შეკითხვაზე პასუხი ორაზროვანია: „ვინც შემოქმედს თაყვანს არ სცემს, ის თაყვანისმცემელია ჩემი“. ეს მოგვაგონებს მაცხოვრის სიტყვებს: „ვინც ჩემთან არაა, ის ჩემი წინააღმდეგია“ (აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით სახარებაში იგივე ფრაზის ამგვარ ვერსიასაც ვხვდებით: „ვინც ჩემს წინააღმდეგ არაა, ის ჩემთანაა“).

ბაირონის შემდეგდროინდელ (1816 წლიდან, ინგლისიდან ემიგრაციის შემდეგ) შემოქმედებაში წამყვან ტენდენციად მიჩნეულია ადამიანისათვის გადაულახავი წინააღმდეგობებისა და შეჯახებების ფილოსოფიური არსის ამოხსნის ინტერესი, რაშიც პოეტი ისევე ბიბლიურ თემებს მიმართავს და იჩენს თავის ჩვეულ დიდ მხატვრულ ოსტატობას. ამ დროს პოეტი საზრდოობდა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებით და გამოირჩეოდა რომანტიკოსებისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძიებებით.

ბაირონს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწამდა რწმენის აუცილებლობა ადამიანისათვის, რომელიც მას ეხმარებოდა მორალური სისავსისა და სამყაროს საყრდენი ძალის გაცნობიერებაში. იგი არ იყო მართმადიდებელი ქრისტიანი. ინტელექტუალური პატიოსნებისა და გონების ცნობისმოყვარეობის გამო პოეტი იძულებული იყო მიემართა სხვადასხვა რელიგურ-ფილოსოფიური და ეთიკური დოქტრინების ანალიზისათვის, რომლებიც ვერ იძლეოდნენ მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხებს წამოჭრილ ონტოლოგიურ კითხვებზე. ამ საკითხის მხატვრულად გადაწყვეტის მიზნით პოეტი ქმნის ყოფიერების არსისა და ადამიანის ურთიერთქმედების მისთვის უნივერსალურ მოდელს, რომელიც გამოვლინდა ავტორისეული მითის სახით. ამ თვალსაზრისით, ნიმუშებად მიჩნეულია „კაენი“, „ცა და დედამიწა“ და „დონ ჟუანი“.

რომანტიკული მითის ავთენტურობას გარკვეული პირობაც ჰქონდა და იგი უნდა ყოფილიყო საკუთარი, რომელიც იქნებოდა შესაბამისობაში მის იდეასთან ყოფიერებაზე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ადამიანს ეკუთვნოდა. სამყაროს პოეტური სურათის შექმნის მცდელობამ მრავალგვარი ჟანრული ფორმების ბიებამდე მიიყვანა პოეტი, რაც ავტორისეული მით-

ების სახით წარმოჩინდა. ამ ფორმის ერთ–ერთი სახე მისტერიის მოდერნიზება იყო და ეს მოდიფიცირებული ჟანრი გამოიყენა „კაენსა“ და „ცა და დედამიწაში“, რომლებიც რომანტიკული მითების შექმნის ნიმუშებადაა მიჩნეული.

ბაირონის ეპოქა ის პერიოდია, როცა ვითარდება მეცნიერება, ახალი შეხედულებები ჩნდება სამყაროს წარმოშობა–განვითარების შესახებ. ეს, თავის მხრივ, ცვლიდა ძველი, უპირობო მრწამსზე დამყარებულ მსოფლგაგებას. სწორედ პოეტის დაინტერესება საბუნებისმეტყველო ცნებებით დაპირობებული იყო შემდეგი ინტერესით – გადაეჭრა ფილოსოფიურ–რელიგიური ეჭვები, ეპოვა მყარი საყრდენი. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი აზრით, ბაირონს სწორედ ის გამოარჩევს სხვა რომანტიკოსთაგან, რომ ის განსაკუთრებით გრძნობდა და განიცდიდა სამყაროში ადამიანის მიტოვებულობასა და უმნიშვნელობას. თუმცა, აღვნიშნეთ უკვე, რომ იგი ამბობს: „ადამიანის ზედს სასოწარკვეთილს ვერ ვუწოდებთო“. ეს განცდა იმდენად დიდი იყო მასში, რომ ვერანაირად ილუზორული წარმოდგენებით ვერ ახერხებდა მისგან თავის დაცვას.

პოეტის ლირიკულ ლექსებშიც მქადავდება სასოწარკვეთილობა:

„მინდა მოვცილდე, მოვწყდე კაცთ მოდგმას,  
ხალხი კი არ მძულს,– მათ თავს ვარიდებ,  
სულს, რომ სწუხს მუდამ, სტირის და მოთქვამს,  
მყუდრო სავანე სურს იმთავითვე“

( ბაირონი, 2013:99).

ნიკოლოზ ბარათაშვილის დარად, ბაირონიც ეძებს მყუდრო სავანეს, თუმცა, უიმედობა და სასოწარკვეთილება ხშირად იპყრობს მასაც და წინააღმდეგობრივი ბუნება აქაც იგრძნობა მისი:

„მე მარტო ვდგავარ ქარგადავლილი,  
იმედიც, ალბათ, მიტომ წამიხდა!“

აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიური განცდები ქართველი რომანტიკოსებისთვისაც არის დამახასიათებელი, რომელთა შემოქმედებაში ეს თემა გამოიკვეთა მთელი თავისი სიცხადითა და მაღალი პოეტური ხერხებით. ამისთვის საკმარისია მოვიგონოთ

ლექსი „ვპოვე ტამარი“, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მაქსიმალურად ცდილობს იპოვოს იმედი, რომელიც დაიცავს მას არსებული სინამდვილით გამოწვეული სევდისა და მწუხარებისაგან, მაგრამ ამაოდ:

„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტამარი!  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,  
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“

„აზრობრივმა სიახლოვემ გამოიწვია ის, რომ ბარათაშვილი „ბაირონული სკოლის“ მიმდევრად აღიარეს, ხოლო ორივენი ჟანაკ რუსოს მიმდევრებად (ჭუმბურიძე, 1974: 117). თუმცა, თემატური მსგავსება სხვა ქართველ რომანტიკოსებთანაც მჟღავნდება. ალექსანდრე ჭავჭავაძე ასე ამოიკვნესებს:

„უსასოდ ყოფას ჯობს ყოფა მკვდარად“.

რასაც გრიგოლ ორბელიანიც უდასტურებს:

„სად სიკვდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა“.

შეიძლება ითქვას, რომ ტექსტთა იდეური იდენტობა არ ნიშნავს ურთიერთგავლენას, არამედ ეს არის დიალოგი მსგავსი მსოფლმხედველობით გამსჭვალული ადამიანებისა, სადაც, ხშირადაც, ტექსტურ იდენტურობასთანაც გვაქვს საქმე. ინტერტექსტი, ანუ, დიალოგი შემოქმედთა შორის, გამომსახველობითი ფორმების დაახლოებასაც იწვევს. „როდესაც შევიცნობთ კავშირს სამყაროს ხატის ნაწილთა შორის, ეს კავშირი, ჩვენი გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა თავად იმ ნაწილთაგან გამომდინარე; იგი არ არის ჩემ მიერ ამ ნაწილებისთვის მოფიქრებული რამ, არამედ ის, რაიც მათ ეკუთვნის არსებითად და, მაშასადამე, რაიც მუდამ უნდა სახეზე იყოს ამ ნაწილთა არსებობისას“ (შტაინერი, 2006: 216). ამ ნიშანთა ფორმის მსგავსება მიგვანიშნებს ჩვენ მათ კავშირზე, რამდენადაც „ნიშანთა გარკვეულ ლოგიკურ შეთანხმებას შეესაბამება მათი მნიშვნელობის განსაზღვრული ლოგიკური კავშირი. მნიშვნელობის ნებისმიერი თავსებადობა ერწყმის მხოლოდ კავშირის არმქონე ნიშნებს“ (Витгенштейн, 1994: 34). მამარდაშვილისეულად რომ ვთქვათ, ეს დიდ შემოქმედთა ის სიმართოვის უფსკრულია, საიდანაც ხმას აწვდენ სხვას... ანუ „ერთი სიღრმე მეორე სიღრმეს ეხმაურება“ (მამადაშვილი, 1992:89).

უკვე ითქვა, რომ სამყაროზე ახალმა წარმოდგენებმა, მისმა უსასრულობის განცდამ რომანტიკოსის პოეტურ ცნობიერებაზე ნეგატიური გავლენა იქონია. ახალმა საბუნებისმეტყველო სურათებმა დაძლია ბაირონი, რადგან მშრალ რეალობასთან გამკლავება და მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთგვარ უუნარობის განცდას იწვევდა პოეტში. მეორეც ის იყო, რომ მზორგავი გენია ვერ კმაყოფილდებოდა ქრისტიანული დოგმატიკური პასუხებით. ეს სიცარიელეს ქმნიდა პოეტის სულში, რომლის შევსებასაც ცდილობდა იგი, რათა სტაბილური სულისმიერი საყრდენი ეპოვა. მსოფლიო წესრიგის გაგების მცდელობა სულ იწვევდა მასში სამყაროს შესახებ რელიგიური და მეცნიერული იდეებისა და მიდგომების შეჯახებას.

ყოფიერების არსზე ფიქრმა, პოეტი მითის სახით შემოსა, რამაც მას საშუალება მისცა ადამიანის თვითგამორკვევის შესახებ გამოეკვეთა სხვადასხვა პრობლემა. დააპირისპირა ერთმანეთს ორი მითოლოგიური მოდელი და ააგო მრავალგვარი რელიგიურ-ფილოსოფიური, ეთიკურ-იდეოლოგიური ხასიათის დაპირისპირება: რელიგიური მართლმადიდებლობისა და ეჭვის დაპირისპირება; წინააღმდეგობა სულიერ ძალადობასა და თავისუფალ აზრს შორის; კანონმორჩილება და აჯანყება ა.შ. ბაირონი სამყაროს ბიბლიურ მოდელს განიხილავს სოციალურ წესრიგთან მიმართებაში, რომლის საყრდენი ის ღირებულებათა სისტემაა, რომელსაც იგი გვთავაზობს - ეს რწმენის პრიორიტეტია, რომელიც უარყოფს სულიერ თავისუფლებას, რაც რომანტიკოსი პოეტის თვალში წარუმატებლობას ნიშნავს. თუმცა, ამავე დროს, პოეტი ეკამათება და ვერ იზიარებს განმანათლებლების შეხედულებებსაც, რომელთა მიხედვით ადამიანს შეუძლია სამყაროს შეცნობაცა და გარდაქმნაც. „კაენში“ სწორედ ეს პრობლემა წარმოჩნდა-ადამიანის არსებობის პრობლემა, ისეთი ადამიანის არსებობისა, რომელიც წყდება ქრისტიან მართლმადიდებლობას, რის გამოც მას ეცლება საყრდენი სულიერ სამყაროში და რჩება უსაფუძვლოდ.

„კაენი“ და „ცა და დედამიწა“ მიჩნეულია როგორც დილოგია. ეს სწორედ იმ წინააღმდეგობებით იყო განპირობებული, რომელზეც ვისაუბრეთ უკვე. ერთიანობას კი დრამის პრო-

ბლემეტიკა განსაზღვრავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პიესებში პირველში საკვანძო საკითხი და პრობლემა ცოდნაა. მეორეში კი-სიყვარული.

ამდენად, „ცა და დედამიწაში“, როგორც რომანტიკულ მითში, ჩნდება ინდივიდის არსებობის ძირითადი ასპექტი და მას ონტოლოგიური დატვირთვაც გააჩნია. აქ ავტორი „ისევ უპირისპირებს გმირებს, რომლებიც ღებულობენ ცხოვრების ბოროტების გამოწვევას და მკაცრად უპირისპირდებიან მას“ (Баїрძე, 1987: 15). მამოდრავებელ ძალად კი სიყვარული გვევლინება, რომელსაც იმის მიცემა შეუძლია ადამიანისათვის, რასაც ცოდნა ვერ მისცემს, ანუ სულიერი საყრდენის. ეს კი თავის მხრივ ადამიანს აძლევს საშუალებას, რომ შეეჭიდოს სამყაროს დისკარმონიას. სიყვარულის თემა ძლიერდება ესქატოლოგიური მოტივით, რომელიც აძლიერებს პიროვნებას მოსალოდნელი კატასტროფების წინაშე, ზრდის მის შესაძლებლობებს, უხსნის შიშს. აძლიერებს მას ღვთაებრივი სისასტიკის წინააღმდეგ, განამტკიცებს „დედამიწის“, ანუ სიყვარულისა და სიცოცხლის მეტობას „ზეცაზე“, როგორც ადამიანისადმი მტრულ ღვთაებრივ განსაზღვრულობაზე. შემდეგ ნიცშეც მსგავს პოზიციას გამოამჟღავნებს: „სიყვარული ყველასადმი, უკეთუ იგი ცოცხალია“, ვიდრე „სიცოცხლის მოძულეთა“ სათნოება (ნიცშე, 1993: 118).

რომანტიკული მითის ნიმუშად „დონ ჟუანიც“ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის პრობლემა აქაც იჩენს თავს და მას თავისი უნივერსალური მნიშვნელობა აქვს. აქ განზოგადებამ, მითოსური საიდუმლოებებისაგან განსხვავებით, სხვა ხასიათი შეიძინა: „კაენსა“ და „ცასა და დედამიწაში“ ღრმა ონტოლოგიურ მნიშვნელობას ძირითადი არსების დაპირისპირება იწვევს, რასაც მისტერიის ჟანრული ფორმა განაპირობებს. ეპოსში კი ბაირონი განზოგადებას აღწევს როგორც ბიბლიური, ასევე ძველი მითოლოგიური მოტივების მეშვეობით. ცხოვრების ჩვეულებრივი გარემოებებისა და მითოლოგიურ მოტივთა ურთიერთობამ შექმნა ის მხატვრული ველი, რომელშიც მოხდა განზოგადება დიდი შესაძლებლობებით.

**დასკვნა.**

ასე რომ, სწორედ ბიბლიური მითების არეალი გახდა საფუძველი „ღვთაებრივი კომედიისა“ და „დაკარგული სამოთხისთვის“. ბაირონისთვის ეს სივრცე გახდა ასპარეზი, სადაც მიმდინარეობდა მუდმივი დაპირისპირება ადამიანისა, როგორც საკუთარ თავთან, ასევე მთელ სამყაროსთან, თან იმგვარად, რომ არ იყო იმედი მათი მორიგებისა და ჰარმონიზაციისა.

მითოსმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ბაირონის შემოქმედებაში, რადგან რომანტიკულ მითებზე ფიქრითა და მათი გააზრებით შეძლო გადმოეცა რომანტიკული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები და მრავალი ონტოლოგიური ხასიათის რთული საკითხები, რომელთაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა მთელს მე-19 საუკუნეში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაირონი, ლ. (2013). *ლექსები*, თბილისი.  
მამადაშვილი, მ. (1992). *საუბრები ფილოსოფიაზე*, თბილისი.  
ჭუმბურიძე, ჯ. (1974). *ქართული კრიტიკის ისტორია*, ტ.1, თბილისი.  
ჭავჭავაძე, ალ. (1986). *თხზულებები*, თბილისი.  
პოპიაშვილი, ა. (1988). *ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში*, თბილისი.  
შტაინერი, რ. (2006). *ჭეშმარიტება და მეცნიერება*, თბილისი.  
ნიცშე, ფ. (1993). *ესე იტყოდა ზარატუსტრა*, თბილისი.  
კიკნაძე, გ. (1978). *ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები*, თბილისი.  
Байрон, Д. (1987). *Избранные произведения*, Москва.  
Дьяконова, Н. (1978). *Английский романтизм*, Москва.  
Витгенштейн, Л. (1994). *Философские работы*, Москва.  
Маймин, Е. Слина, Э. (1984). *Теория и практика литературного анализа*, Москва.

### REFERENCES:

- Baironi, L. (2013). *Leksebi (Poems)*, Tbilisi.

- Mamardashvili, M. (1992). *Saubrebi Filsofiaze (Conversations on philosophy)*, Tbilisi.
- Ch'umburidze, J. (1974). *Kartuli K'rit'ik'is ist'oria (The history of Georgian criticism)*, T.1, Tbilisi.
- Ch'avch'avadze, Al. (1986). *Tkhzulebebi (Essay)*, Tbilisi.
- p'op'iashvili, A. (1988). *Individis P'roblema S. K'irk'egorisa da F. Nitsshes Filsofiashi* (The problem of the individual Kierkegaard and F. In Nietzsche's philosophy), Tbilisi.
- Sht'aineri, R. (2006). *Ch'eshmarit'eba da Metsniereba (Truth and Science)*, Tbilisi.
- Nitsshe, F. (1993). *Ese It'qoda Zarat'ust'ra (This is what Zarathustra would say)*, Tbilisi.
- K'ik'nadze, G. (1978). *Lit'erat'uris Teoriisa da Ist'oriis Sak'itxebi (Literary theory and history issues)*, Tbilisi.
- Bajpon, D. (1987). *Izbannye proizvedeniya (Selected Writings)*, Moskva.
- D'yakonova, N. (1978). *Anglijskij Romantizm (English Romanticism)*, Moskva.
- Vitgenshtein, L. (1994). *Filosofskie Raboty (Philosophical Works)*, Moskva.
- Majmin, E. Slinina, Je. Маймин, Е. (1984). *Teoriya I Praktika Literaturnogo Analiza (Theory and Practice of Literary Analysis)*, Moskva.

## Byron's religious and philosophical problematics

**Malkhaz Baladze**

Assoc. Professor

Department of Georgian Philology,  
Batumi Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi.

### **Abstract.**

It is well known in literature that the spiritual growth of romantic literature was a Christian viewpoint. Due to the fact that Byron frequently referred to Biblical themes, the religious issue became one of the major issues in his work.

In general, the use of these topics in world art or literature is one of the major issues of modern literary criticism. This can also be proven by the fact that in recent times there has been an increased interest in the spiritual foundations of European culture. Byron's work in England and America, both religious and philosophical aspects of Byron became the subject of study, especially after the 20th century. This topic is an attempt to briefly discuss this big issue. Also, some parallels with Georgian romance will be interesting.

Researchers interested in Byron's work concluded that the poet's views on religion were not systematic, he leaned towards Calvinism and was raised on a Deist viewpoint. Yet he never stopped associating himself with scepticism and rationalism, yet, at the same time, he denied Volterian dry rationalism. A major factor that influenced the poet's unambiguous and difficult development of religious-philosophical views was Byron's high intellectualism and his activity in that regard. Also, the natural sciences, their achievements, and the rationalist spirit of that era played a big role.

Byron has always tried to believe that the world is in order and, so to speak, kind. And then, with all his emotion and anger, he was looking for answers to the questions that were raised.

Byron believed throughout his life in the necessity of faith in Adam, which helped him to realize the moral fullness and the



underlying power of the universe. He was not an orthodox Christian. Out of intellectual integrity and curiosity of the mind the poet was forced to turn to various religious-philosophical and ethical doctrines which could not provide satisfactory answers to the ontological questions he had. To solve the problem artistically, the poet creates a universal model for the essence of being and human interaction.

Comparison with Georgian romantics also gives an interesting picture in the work.

**Keywords:** Romanticism; Byron; Religious; Philosophical; Byronism.

მეცნიერების განვითარება და თარგმანის როლი ცოდნის  
გავრცელების პროცესში

ანასტასია მახარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი,  
საქართველო, ბათუმი.

**აბსტრაქტი.**

წინამდებარე სტატია ეძღვნება მეცნიერების განვითარებას, მის გავრცელებას ევროპიდან მსოფლიოს სხვადასხვა აქვეყნებში, კერძოდ, შავი ზღვის რეგიონის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საქართველო, თურქეთი და სხვ. ცოდნის გაცვლასა და თარგმანის როლს. ამ პროცესებში თარგმანი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა სამეცნიერო მიღწევების, რომლებიც ძირითადად ევროპულ ქვეყნებში წარმოიშვა, ევროპიდან მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში და მათ შორის შავი ზღვის რეგიონში გავრცელება, რაშიც ერთ-ერთი მთავარი მისია სწორედ რომ თარგმანს ჰქონდა. იმისათვის, რომ სამეცნიერო მიღწევები სხვა ერებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, ეს ყველაფერი მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. სტატიაში წარმოდგენილია სამეცნიერო პროგრესისა და ცოდნის გავრცელების საინტერესო მოდელი, რომელსაც მკვლევარი ჯორჯ ბასალა გვთავაზობს. განხილულია მის მიერ შემოთავაზებული ცოდნის გავრცელების სამფაზიანი მოდელი, სადაც აღწერილია თუ როგორ, რა გზით და ვის მიერ ხდებოდა სამეცნიერო მიღწევების ევროპიდან სხვა კონტინენტებზე გადატა-გავრცელება. ასევე საუბარია, თუ როგორ იქცა სხვადასხვა ქვეყანაში კოლონიური მეცნიერება დამოუკიდებელ მეც-

ნიერებად, რამაც საბოლოო ჯამში ეს ქვეყნები მოწინავედ აქცია. ევროპელი მეცნიერების მონაპოვარი ითარგმნებოდა იმ ხალხთა ენაზე, სადაც ეს ინოვაციები სხვადასხვა გზით აღწევდა. სწორედ ამაში მდგომარეობს თარგმანის დიდი როლი მეცნიერების განვითარებისა და ცოდნის გაცვლის პროცესში.

**საძიებო სიტყვები:** თარგმანი; თარგმანის როლი; მეცნიერების განვითარება; ცოდნის გაცვლა; ბასალას სამფაზიანი მოდელი.

### **შესავალი.**

თარგმანი კაცობრიობის განვითარების განუყოფელი ნაწილია. იგი ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის მატარებელი, რომელიც ხელს უწყობდა და უწყობს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ერებს შორის კულტურულ, სამეცნიერო და ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობას, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო ერებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ამა თუ იმ ეთნოსის კულტურულ მონაპოვარსა თუ სამეცნიერო მიღწევებს.

მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია თარგმანს მეცნიერების კულტურათმორისი ისტორიის შესწავლისას, რამეთუ იგი ცოდნისა და იდეების გაცვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. როგორც მკვლევარი ნინო აროშომე აღნიშნავს თავის სტატიაში: „ნებისმიერი საქმიანობა, ნებისმიერი პროგრესი, მათ შორის სამეცნიერო, შესაძლებელია მხოლოდ წარმატებული კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში“ (აროშიძე, 2018: 401), რადგან სამეცნიერო ცოდნისა და მიღწევების ურთიერთგაცვლის პროცესში ხელმისაწვდომი და გასაგები სამეცნიერო ენა აუცილებელი პირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის გაცვლის დასაწყის ეტაპზე მეცნიერების ენა იყო ევროპული, ასე მაგალითად, ფილოსოფიური ნაშრომები გერმნლ ენაზე იქმნებოდა. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესში ხდებოდა ევროპული ნაშრომების თარგმნა ეროვნულ ენაზე და მიმღები ენისა და მიმღები ერის კულტურის თავისებურებიდან გამომდინარე ყალიბდებოდა მთარგმნელობითი სტრატეგიები. დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ქართული ენა

მეცნიერების განვითარების ხვადასხვა ეტაპებზე ხშირად ექცეოდა სხვა ენის გავლენის ქვეშ, ასე მაგალითად, როდესაც ხდებოდა რუსული ენიდან თარგმანები, ქართულში ინტენსიურად შემოდოდა და მკვიდრდებოდა რუსული სამეცნიერო ტერმინები, მსგავსი სიტუაცია ენაშ დღესაც, როდესაც რუსული ენა ინგლისურმა ჩაანაცვლა და ხშირ შემთხვევაში არ ხდება ახალი ტერმინის ქართული შესატყვისით ჩანაცვლება, არამედ ადგილი აქვს ინგლისური ტერმინების პირდაპირ გადმოტანას, რამაც, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა იქონიოს ენაზე. თვა, ეს როდი შეიძლება ითქვას ყველა ენაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა თურქული ენა. მთარგნელობითი სტრატეგიების ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნა ასეთია: თურქ მეცნიერებს პირველ რიგში მოეთხევათ ახალი სამეცნიერო ტერმინების თურქული შესატყვისის შექმნა, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თურქულ ენაში საერთოდ არ არის ნასესხები სიტყვები, მაგრამ ასთი სიტყვების რაოდენობა მინიმალურია და არ შეედრება სხვა ენებს, მათ შორის ქართულს, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახასითებს უცხოენოვანი ტერმინების პირდაპირ გადმოტანის ტენდენცია. აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ კოლონიალური მეცნიერებიდან დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბების ეტაპზე სამეცნიერო შრომები ეროვნულ ენაზე იქმნებოდა, რაც ასევე ხელს უწყობდა ეროვნული სამეცნიერო ენის განვითარებას. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში მეცნიერების ენა ინგლისური გახდა. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები თავანთ შრომებს პირდაპირ ინგლისურ ენაზე ასრულებენ რათა თავიანთი მიღწევები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის არამხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რის შედეგადაც სულ უფრო ნკლებად ხდება ეროვნული სამეცნიერო ენის განვითარება.

## **მეთოდი.**

კვლევის მეთოდოლოგია წარმოდგენს თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების შეხამებას: სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის მეთოდი, წყაროებთან მუშაობის

მეთოდი, დისკურს-ანალიზი, შეპირისპირებით-ისტორიული მეთოდი და სხვ.

### **შედეგები.**

სავარაუდოდ, თარგმანი ოდითგანვე არსებობდა და ჩართული იყო სხვადასხვა სოციალურ პროცესებში, მაგრამ მთარგმნელობითი საქმიანობის განსაკუთრებული ზრდა მეცნიერების განვითარებას უკავშირდება, რამაც თავისი აქტიურობისა და აქტუალურობის პიკს სამეცნიერო რევოლუციის პერიოდში მიაღწია. შესაბამისად, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავაგლოთ მეცნიერების განვითარებას/გავრცელებას, ცოდნის გაცვლას და თარგმანის როლს ამ პროცესებში, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობდა ცოდნის გავრცელებას. ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა მეცნიერების მსოფლიო მასშტაბით გავრცელების და ცოდნის გაცვლის პროცესი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა კაცობრიობის განვითარებაში. ამ საკითხს უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის პროექტი მიეძღვნა, მათ შორის KEAC-BSR – „ჰორიზონტი 2020“, რომელიც იკვლევდა შავი ზღვის რეგიონში ცოდნის გაცვლის პროცესებს.

### **დისკუსია.**

ცოდნის მიმოქცევა და გაცვლა სავარაუდოდ ხდებოდა უხსოვარი დროიდან, როდესაც დაახლოებით 10 000 წლის უკან პირველი საზოგადოებები ჩამოყალიბებდნენ. უფრო კონკრეტული სამეცნიერო ცოდნის გახდა დაიწყო მას შემდეგ, რაც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში თანამედროვე მეცნიერებები გაჩნდა 16-17 სს-ში.

კ. კასერი და დ. გუთმაიერი თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ, რომ ძირითადად, უნდა განვასხვავოთ ცოდნისა და კვლევის მეთოდების გაცვლა უნივერსიტეტებს, აკადემიებსა და ცალკეულ მეცნიერებს შორის რეგიონულ, ეროვნულ, ტრანსნაციონალურ და გლობალურ დონეზე, ასევე ექსპერტებს, არაექსპერტებსა და დამწყებ ექსპერტებს შორის, როგორცაა სტუდენტები. ისინი გამოყოფენ ამერიკელი ისტორიკოსისა და ვენის უნივერსიტეტის ემერიტუსის მიტჩელ ეშის სამეცნიერო გაცვლის სამ ფორმას, ესენია:

1. მეცნიერთა (იძულებითი) მიგრაცია,

2. ობიექტების, კორესპონდენციისა და ტექსტების შუამავლობით გაცვლა,
3. ცოდნის ტექნიკითა და ინსტრუმენტების საშუალებით გადაცემა საჭირო ექსპერტიზის თანხლებით (Kaser, Gutmeyr, 2018:18).

მათი აზრით, დროთა განმავლობაში სამეცნიერო კომუნიკაციის ფორმებზე, გარდა სხვა დარაჩენი ფაქტორებისა, სამმა მნიშვნელოვანმა ელემენტმა მოახდინა გავლენა, პირველ რიგში, ესაა ტექნოლოგიების გაცვლა და მათი ტრანსფორმაციები. ასევე ზეპირი კომუნიკაციიდან ელექტრონულ კომუნიკაციაზე გადასვლა, სხვადასხვა მედიამ - წერა, ბეჭდვა, ტელეკომუნიკაცია და ციფრული გაცვლის ფორმები - არსებითად იმოქმედა ცოდნის წარმოების, მეცნიერული გაცვლისა და შინაარსის პირობებზე.


მეორე მნიშვნელოვან ელემენტად ისინი ასახელებენ თარგმანს, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ საკმაოდ აქტუალურ მეთოდს და აქვე დასძენენ, რომ: „... წიგნებისა და სტატიების სხვა ენებზე თარგმანის გარეშე ცოდნის გაცვლა ძალიან შეზღუდული იქნებოდა“ (Kaser, Gutmeyr, 2018:19). აქვე მოჰყავთ მიქაელა ოლფის ნაშრომი „ლედი მერი მონტეგიუს თურქული საელჩოს წერილები (1763), სადაც ავტორი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს უწყვეტ კავშირს მოგზაურობას, თარგმანსა და ცოდნის გაცვლას შორის.

საუბრობენ რა ცოდნის გაცვლა-გავრცელებაზე, კ. კასერი და დ. გუთმაიერი თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ, რომ ისტორიულად ის ტერიტორია, სადაც 15-18 საუკუნეებში სამეცნიერო რევოლუცია მოხდა, იყო გერმანელი ერისა და მისი მეზობელი ქვეყნების წმინდა რომის იმპერიის ნაწილი. ეს მოიცავს ტერიტორიას დაახლოებით სტოკჰოლმიდან ლისაბონამდე ესპანეთის გავლით რომსა და ნეაპოლამდე, აქედან კი ადრიატიკის ქალაქებსა და უფრო აღმოსავლეთით ბუდამდე. შემდგომ კრაკოვამდე და ჩრდილეთით დანციგ-მარიენბურგი-კონიგსბერგამდე. სწორედ აქ იყო თავმოყრილი სტამბები და უნივერსიტეტები, და აქ ჰქონდა დასაბამი „ევროპიზაციის“ პროცესს, რომელიც სხვადასხვა კულტურული ტრანსფორმაციებით იყო გამოწვეული“ (Kaser, Gutmeyr, 2018: 5).

თუ თვალს გადავავლებთ მეცნიერებისა და ცოდნის გავრცელების პროცესს, ნათლად დავინახავთ თარგმანის როლს მეცნიერების განვითარებაში. სამეცნიერო პროგრესისა და ცოდნის გავრცელების საინტერესო მოდელს გვთავაზობს მკვლევარი ბასალა.

ჯ. ბასალას მონაცემებით, 16-17 ს-ში თანამედროვე მეცნიერება გეოგრაფიულად აღმოცენდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, ავსტრია და სკანდინავიური ქვეყნები. სწორედ აქ აღინიშნებოდა პროგრესული ფილოსოფიური აზროვნება, ექსპერიმენტალური საქმიანობა და სოციალური ინსტიტუტები, რასაც მთლიანობაში სამეცნიერო რევოლუციას უწოდებენ.

სამეცნიერო-ისტორიულ წრეებში ხშირად ისმის კითხვა, თუ რატომ აღმოცენდა სამეცნიერო მეცნიერება სწორედ დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ბასალა ახდენს საკითხის უფრო სხვაგვარ ფორმულირებას: თუ როგორ მოხდა მეცნიერებისა და ცოდნის დასავლეთ ევროპიდან მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელება. ერთი შეხედვით პასუხი მარტივად ჟღერს: კოლონიზაციის, იმპერიული გავლენის, კომერციული, პოლიტიკური თუ მისიონერული საქმიანობის წყალობით. მაგრამ მეცნიერს ეს მარტივ ახსნად მიაჩნია, მას უფრო კონკრეტული საკითხები აინტერესებს, კერძოდ, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინაც მოახდინა ევროპის ფარგლებს გარეთ მეცნიერების გატანა, რომელი დარგების გავრცელება მოხდა და რა სახეცვლილება განიცადა მეცნიერებამ გადაცემის პროცესში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ბასალამ მეცნიერებისა და ცოდნის გავრცელების სამფაზიანი მოდელი შეიმუშავა. იგი შეეცადა ამ მოდელის ვიზუალიზაციას და გრაფის სახით გამოსახა, სადაც ვერტიკალური ღერძი სამეცნიერო აქტივობის დონეს გამოხატავს, ხოლო ჰორიზონტალური - დროის პერიოდს.



სურ. 1. ფაზების თანმიმდევრობა დასავლური მეცნიერების გავრცელებაში.

პირველ ფაზაში არასამეცნიერო საზოგადოებამ უზრუნველყო ევროპული მეცნიერების წყარო. არასამეცნიეროში ავტორი თანამედროვე დასავლური მეცნიერების არარასებობას მოიაზრებს და არც ზოგადად მეცნიერების არარასებობას, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა.

მეორე ფაზა კოლონიალური მეცნიერების პერიოდია, ხოლო მესამე ფაზა ასრულებს ამ ტრანსპლანტაციის პროცესს „ბრძოლით დამოუკიდებელი სამეცნიერო ტრადიციის მისაღწევად“ (ბასალა, 1967: 611).

ქვემოთ ბასალას ფაზებს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

მკვლევარის მოსაზრებით, პირველი ფაზა ხასიათდება ევროპელების მიერ ცოდნის გავრცელებით, როდესაც ხდებოდა ახალ მიწებზე მოგზაურობა, ათვისება, მათი ფლორა-ფაუნის, ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა და მერე ყველა ამ მონაცემის უკან ევროპაში წაღება. ამ ფაზაში აღინიშნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბოტანიკის, ზოოლოგიისა და გეოლოგიის დომინირება, თუმცა მათ მნიშვნელობით არც არსტრონომია, გეოფიზიკა, ტოპოგრაფია, კარტოგრაფია, ჰიდროგრაფია და მეტეოროლოგია ჩამოუვარდებოდნენ. მეორადი პოზიციები ეკავათ ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და არქეოლოგიას. სხვადასხვა სამეცნიერო დაკვირვებები და კვლევები ხორციელდებოდა მეცნიერების ან მოყვარულთა მიერ, ესენი იყვნენ მოგ-



ზაური-მკვლევარები, მისიონერები, დიპლომატები, ვაჭრები, სამხედროები, მეზღვაურები და კიდევ სხვა ჯურის ადამიანები, ვისაც უშუალო კონტაქტი ქონდა ახალ სამყაროსთან.

საწყის ეტაპზე, როგორც ავტორი აღნიშნავს, მეცნიერება წარმოადგენდა გეოგრაფიული კვლევების გავრცობას და ითვალისწინებდა ბუნებრივი რესურსების შეფასებას, „რამეთუ სადაც არ უნდა ყოფილიყო „ახალი სამყარო“ - ამერიკაში, აფრიკაში, ანტარქტიკაში თუ მთვარეზე, საჭირო იყო მისი ორგანული და არაორგანული გარემოს კვლევა, კლასიფიკაცია და შეფასება“ (ბასალა, 1967: 611).

პირველი ფაზა არ იყო შეზღუდული მხოლოდ არაცივილური ქვეყნებით, სადაც მთავარი ევროპული დასახლებები იყო. დასავლური მეცნიერების ინტერესი ძველი ცივილიზაციის ტრადიციულ ქვეყნებსაც მოიცავდა, რაც ნაწილობრივ ეგზოტიკური ნივთებით ვაჭრობისადმი ინტერესითაც იყო გამოწვეული, თუმცა, კომერცია არ ყოფილა მთავარი მამოძრავებელი ძალა. სამეცნიერო რევოლუცია წარმოადგენდა მოვლენების უნიკალურ სერიას, რომელმაც დასავლელ ადამიანს აწავლა, რომ ფიზიკური სამყაროს შემეცნება უნდა მომხდარიყო ბუნებრივი მოვლენების პირდაპირი, აქტიური დაპირისპირებით (ბასალა, 1967:612).

ისტორიული ჩანაწერებში მოიპოვება ინფორმაცია ევროპელი ნატურალისტების შესახებ, რომლებიც აგროვებდნენ მონაცემებს ჯუნგლების, უდაბნოების, მთებისა და სხვა ახალად აღმოჩენილი ადგილების ცხოველური და მცენარეული სამყაროს შესახებ, და რომლებიც შემდგომ კვლევის შედეგებს ევროპულ სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქვეყნებდნენ. ამერიკის კონტინენტზე ბასალა მოიხსენებს პირველ რიგში გონსალო ფერნანდეს დე ოვიედოს, რომელსაც პირველ მსოფლიო ნატურალისტს უწოდებენ. მისი მოღვაწეობის ეპოქიდან - მე-16 ს-დან მოყოლებული მე17 და მე18 სს-ში მიმდინარეობდა ინგლისელი, ესპანელი, ფრანგი, ჰოლანდიელი, შვედი და სხვა ევროპელი მეცნიერთა კვლევითი ექსპედიციები სამხრეთ ამერიკაში. როგორც ბასალა ამბობს, ეს მოძრაობა მე-19ს-ი დასაწყისში დაგვირგვინდა ჰუმბოლტისა და დარვინის ნაშრომებში (ბასალა, 1967: 612).

თანამედროვე მეცნიერება ევროპიდან ატლანტიკის ოკეანის გავლით აღმოსავლეთ და შუადასავლეთ შეერთებულ შტატებში გავრცელდა.

წყნარი ოკეანის შესახებ ევროპელმა მეცნიერებმა გაიგეს კაპიტან ჯეიმს კუკის სამი კვლევითი ექსპედიციის წაყოფით 1768-1780 წწ-ში. კუკს ექსპედიციებში თან ახლდა სერ ჯოზეფ ბენკსი, რომელსაც ეკუთვნის ცნობები ავტრალიის ზოოლოგიური, ბოტანიკური და ეთნოგრაფიული მახასიათებლების შესახებ.

რაც შეეხება იაპონიას, აქ ევროპელთა კვლევები კარლ პიტერ თუნბერგისა და ფილიპ ფრანც ფონ სინოლდის სახელებს უკავშირდება. ამ ორმა მედიკოსმა ოფიცერმა დიდი წვლილი შეიტანა იაპონიის ბუნების ისტორიის შესწავლაში.

ჩინეთში ევროპული იდეები იეზუიტი მისიონერების წყალობით გავრცელდა. ჩინელი სწავლულებისათვის იეზუიტი მისიონერები ასოცირდებოდნენ კოპერნიკის და გალილეოს ასტრონომიასთან, მაგრამ მათი მეუარეები და კორესპონდენცია მოწმობს მათ დაინტერესებას ბიოლოგიური და გეოლოგიური მეცნიერებებით. მისიონერების კვალდაკვალ ჩინეთით დაინტერესდნენ ევროპელი სწავლულებიც. საყურადღებოა ჩინეთში ევროპული ბოტანიკური აღმოჩენების ისტორიის 1000 გვერდიანი 2 ტომეული.

ინდოეთში ევროპული მეცნიერება პორტუგალიელებმა მიიტანეს. მოგვიანებით, როდესაც ინდოეთში პორტუგალია ინგლისმა ჩაანაცვლა, გაიზარდა ბრიტანელ სწავლულთა ინტერესი ინდოეთის ბუნების ისტორიისადმი. აღსანიშნავია სერ ჯოზეფ დალტონ ჰუკერის „ფლორა ინდიკა“ (1855), რომელიც მან ჰიმალაიში თავისი ბოტანიკური ექსპედიციის შედეგებზე დაყრდნობით შექმნა.

მე-18 ს-ის მეორე ნახევარში ევროპელ მეცნიერებს ინტერესი გაუჩნდათ აფრიკის კონტინენტის ბუნების ისტორიისადმი. ყველაზე ამბიციურ ექსპედიციად ითვლება ნაპოლეონ ბონაპარდის სამეცნიერო ექსპედიცია ეგვიპტეში, რომელიც ამ უკანასკნელში მისი სამხედრო კამპანიის (1798-1801) ნაწილს შეადგენდა. ექსპედიციის თანმხლები ნატურალისტი ჯეფროი სენტ ჰილერი აგროვებდა ეგვიპტურ ფლორასა და ფაუნას, აგნსაკუთრებით იყო

დაინტერესებული ეგვიპტური თევზების სახეობებით. მისი კოლეგები, მათ შორის ფრანგი მეცნიერები აგროვებდნენ მონაცემებს წყალსა და ნიადაგზე, ახდენდნენ ასტროლოგიურ დაკვირვებებს, აგროვებდნენ ეგვიპტურ ანტიკვარიატს, რითაც საფუძველი ჩაეყარა ტანამედროვე ეგვიპტოლოგიას (ბასალა, 1967:613).

ბასალა დასძენს, რომ სწავლულები შეგროვებული მასალებით უკან ევროპაში ბრუნდებოდნენ და ახდენენ მონაცემთა გაანალიზებას. მსგავს ექსპედიციებში მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე იცვლებოდა მათი მეცნიერული შეხედულებები და აზროვნება. და ევროპული ცოდნის მთელს სამყაროში გავრცელების პარალელურად ევროპული მეცნიერება თავად განიცდიდა ტრანსფორმაციას.

მეორე ფაზა, რომელსაც ბასალა კოლონიური (კოლონიალური) მეცნიერების ფაზას უწოდებს, პირველ ფაზაზე გაცილებით გვიან დაიწყო, მაგრამ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია, რამეთუ ამ პერიოდში სამეცნიერო საქმიანობაში გაცილებით მეტი სწავლული და მკვლევარი იყო ჩართული. ამასთან, ავტორი განმარტავს, რომ ზედსართავ სახელს კოლონიური (კოლონიალური) იგი დამამცირებელი მნიშვნელობით არ იყენებს და არ აღნიშნავს რაიმე სახის სამეცნიერო იმპერიალიზმს. ამ ტერმინით ის დამოკიდებულ მეცნიერებას მოიაზრებს, რომელიც ხშირად არაკოლონიურ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. მეორე ფაზის საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ დიდი იყო ინტერესი ბუნების ისტორიისადმი, რომელსაც თანდათანობით პირველი კოლონიური (კოლონიალური) მეცნიერებიც შეუერთდნენ. კოლონიური (კოლონიალური) სამეცნიერო მოღვაწეობის გააქტიურებასთან ერთად გაიზარდა ინტერესიც სფეროებზე და სამეცნიერო სპექტრი. ბასალას განმარტებით, კოლონიური (კოლონიალური) მეცნიერი შეიძლება იყოს ადგილობრივი და ან ევროპიდან გადასახლებული მკვლევარი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მას განათლება იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქვს მიღებული, სადაც ის სამეცნიერო საქმიანობას აწარმოებს. ასეთი მოდელი იყო მე -18 და მე -19 საუკუნეებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში,

რუსეთსა და იაპონიაში; მე-19 საუკუნის ავსტრალიაში და ინდოეთში; და მე-20 საუკუნეში ჩინეთსა და აფრიკაში. ზემოაღ-

იშნული სწავლულები იყოფოდნენ ორ ტიპად: პირველი ტიპი ოფიციალურად განსწავლულები იყვნენ, რომელთაც განათლება ნაწილობრივ ან მთლიანად ევროპაში ჰქონდათ მიღებული, ხოლო მეორე ტიპს განეკუთვნებოდნენ არაოფიციალურად განსწავლულები, რომლებიც ევროპელი მეცნიერების მიღწევებს თავიანთ ქვეყანაში ეზიარნენ მათი წიგნებით შესწავლის გზით და რომლებიც მოცემულ წიგნებს, ლაბორატორიულ ხელსაწყო-დანადგარებს ევროპელი მომწოდებლისგან იძენდნენ. შედეგად, ადგილობრივი სწავლულები მეცნიერების იმ სფეროებსა და საკითხებზე იყვნენ ორიენტირებულნი, რაზეც მათი ევროპელი კოლეგები. ბასალა აღნიშნავს, რომ კოლონიურ (კოლონიალურ) მეცნიერებას მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, საკმაოდ მომგებიანი პოზიცია აქვს იმით, რომ ის ახდენს ევროპელი მეცნიერების მონაპოვრის უტილიზაციას და ამის ფონზე ავითარებს თავის საკუთარს. თუმცა, როგორც ავტორი იქვე დასძენს, იშვიათია კოლონიალურ მეცნიერებაში ისეთი ინსტიტუტი ან სწავლული, რომლის მოღვაწეობას შედეგად მოაქვს ახალი სამეცნიერო გამოწვევა ან აღმოჩენა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. მაგალითად ბენჯამინ ფრანკლინი, რომლის სამეცნიერო აღმოჩენებმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში და არაფრით ჩამოუვარდებოდა თავის ევროპელ კოლეგებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მისი ინტელექტუალური და საინსტიტუციო სამშობლო ლონდონი და პარიზი იყო და არა ფილადელფია, ხოლო მისაბამი მოდელი კი ისააკ ნიუტონი გახლდათ“ (ბასალა, 1967: 614). ასევე ავტორი გამოყოფს დიდი რუსი მეცნიერის მიხეილ ლომონოსოვის სამეცნიერო საქმიანობას, რომელსაც ფრანკლინის ანალოგიური პოზიცია ეჭირა რუსეთის კოლონიურ მეცნიერებაში, და მსგავსად ფრანკლინისა, მისი ინტელექტუალური ბაზა გერმანია იყო.

მე-19 ს-ის მეორე ნახევარში ამერიკელი მეცნიერებს უკვე გერმანია და საფრანგეთი უფრო იზიდავდა, ვიდრე ინგლისი. ბევრი მათგანი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად პარიზში ან გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მიდიოდა. 1904 წ. ამერიკის მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტის განცხადებით, წევრების 10 პროცენტმა დოქტორის ხარისხი გერმანიის

უნივერსიტეტებში მოიპოვა და 20 პროცენტი იქ დაეუფლა მათ-  
ემატიკას.

რაც შეეხება კოლონიალურ მეცნიერებას იაპონიაში, 1868 წლის შემდეგ ქვეყნის მთავრობამ მიიღო მოდერნიზაციის პროგრამა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დასავლეთის მეცნიერებას. მათ ევროპიდან და ამერიკიდან მასწავლებლად იწვევდნენ სწავლულებს, ექიმებს, ინჟინრებს. ბასალას მიხედვით, 1868-1912 წლებში 600ზე მეტი იაპონელი სტუდენტი იქნა სასწავლებლად გაგზავნილი ევროპასა და ამერიკაში. ენობრივი ბარიერის დაძლევა ხდებოდა დასავლური სამეცნიერო სახელმძღვანელოების თარგმანის წყალობით, ასევე იქმნებოდა ტექნიკური სიტყვების ლექსიკონები იაპონურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

მესამე ფაზას ბასალა დამოუკიდებელ სამეცნიერო ტრადიციას უწოდებს. მოცემული ფაზის პერიოდში კოლონიალური მეცნიერები ცდილობდნენ დამოუკიდებელი მეცნიერების შექმნას, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა და კულტურულმა ნაციონალიზმმა. კოლონიალური მეცნიერებისგან განსხვავებით, მესამე ფაზის სწავლულები ძირითადად თავინთი ქვეყნის ფარგლებში იღებდნენ განათლებას და მათი მენტალური ბაზაც საკუთარი ტერიტორია იყო. დამოუკიდებელი მეცნიერებიდან დამოუკიდებელზე გადასასვლელად მთელი რიგი სირთულეები იყო დასაძლევნი და ბევრი ამოცანა შესასრულებელი, მათ შორის მეცნიერების სწავლება სწავლების ყველა დონეზე უნდა დარგილიყო, ასევე საჭირო იყო სახელმწიფო დაფინანსება და მხარდაჭერა, აუცილებელი იყო ეროვნული სამეცნიერო საზოგადოებების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მეცნიერების პროპაგანდას და წახალისებას. ასევე მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი ტექნოლოგიური ბაზის ქონა. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აუცილებელი იყო სამეცნიერო გამოცემების არსებობა, რათა მათი საშუალებით მომხდარიყო მეცნიერების პოპულარიზაცია და გავრცელება. ამასთან, ეს გამოცემები რეიტინგულიც უნდა ყოფილიყო, რათა მიეზიდა და სასურველი გამხდარიყო იმ ადგილობრივი მეცნიერებისათვის, ვინც თავიანთ ნაშრომებს პრესტიჟულ ევროპულ სამეცნიერო ჟურნალებში აქვეყნებდნენ. და

ამ ყველაფერთან ერთად, არსებობდა ენის პრობლემა: მშობლიურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი მისაწვდომი არ იქნებოდა ევროპელი მკთხველისათვის ენობრივი ბარიერის გამო. შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნა თარგმანზე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მესამე ფაზის ეტაპზე მიმდინარე პროცესებში.

ევროპა დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა სამეცნიერო ლიდერის პოზიციას სამეცნიერო რევოლუციის ეპოქიდან მოყოლებული, მაგრამ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში რუსეთი და შეერთებული შტატები ლიდერ სამეცნიერო ერებად იქცნენ, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მიღწევებით გენეტიკასა და დიდ ტელესკოპურ ასტრონომიაში. მიუხედავად საკმაოდ დიდი კრიტიკისა საბჭოთა რეჟიმის მიმართ, რაც ბევრის აზრით უარყოფით ზეგავლენს ახდენდა საბჭოთა მეცნიერების განვითარებაზე, რომ ცოტა რუსი მეცნიერი იყო ნობელის პრემიის ლაურეატი, უდავოა საბჭოთა კავშირის მიღწევები შეიარაღებასა და კოსმოსურ ტექნოლოგიებში.

დასავლეთ ევროპულ მეცნიერებასთან რამდენიმე საუკუნოვანი მჭირდო ურთიერთობის შემდეგ რუსეთის და ამერიკის კოლონიურმა მეცნიერებებმა შეძლეს ერვოპის დონეზე ასვლა და ზოგ სფეროში კიდევ აღემატებოდნენ ევროპულ მეცნიერებას, რაც არ შეიძლება ითქვას სხვა კოლონიულ მეცნიერებებზე, როგორცაა მაგ. კანადა, იაპონია, აღმოსავლეთ ვეროპა და ავსტრალია, რომლებმაც შეძლეს თავიანთი დამოუკიდებელი და საკმაოდ წარმატებული მეცნიერების შექმნა, მაგრამ ბევრად ჩამოუვარდებოდნენ რუსეთსა და ამერიკას.

და ბოლოს ავტორი დასძენს, რომ არ იზიარებს ნაცისტურ თეორიას იმის შესახებ, რომ მეცნიერება რასობრივი ან ეროვნული სულის პირდაპირი გამოხატულებაა, და არც ჩეხოვის გამონათქვამს, რომ არ არსებობს ეროვნული მეცნიერება, ისევე როგორც არ არსებობს ეროვნული გამრავლების ტაბულა. მისი აზრით, მეცნიერება არსებობს ლოკალურ სოციალურ გარემოში, რომლის ეფექტიც შეიძლება უფრო ღმა იყოს, „...მხოლოდ მომა-

ვალ მეცნიერებას შეუძლია განსაზღვროს მისი სიღრმე“, ასკვნის ავტორი (ბასალა, 1967: 620).

### **დასკვნა.**

ჩვენის მხრივ შეგვიძლია დავსძინოთ, რომ მეცნიერება შეიძლება ლოკალურ საგოზადობაში ჩამოყალიბდეს, მაგრამ იგი ინტერნაციონალური მეცნიერების ნაწილია და კაცობრიობის საკუთრებას წარმოადგენს. ამის უტყუარი მაგალითია 21 საუკუნე თავისი გლობალიზაციით, როდესაც სხვადასხვა ენოვანი მსოფლიო მეცნიერება საერთო ამოცანებსა და პრობლემებზეა ფოკუსირებული ენობრივი ბარიერის მიუხედავად, რასაც თანამედროვე საზოგადოება წარმატებით ართმევს თავს სწორედ თარგმანის წყალობით. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს თარგმანის მნიშვნელობასა და მის დიდ როლს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. რამეთუ თარგმანი წარმოადგენდა და წარმოადგენს ცოდნის, მიღწევების, იდეების გაცვლის პროცესის განუყოფელ ნაწილს. შეიძლება ითქვას, მეცნიერების პოპულარიზაცია შესაძლებელი გახდა სწორედ რომ თარგმანის წყალობით, ხარისხიანი თარგმანი უზრუნველყოფს ამა თუ იმ სამეცნიერო მიღწევისა თუ აღმოჩენის ფართო გავრცელებას და პოპულარიზაციას.

სამეცნიერო რევოლუციის განვითარებასთან ერთად უფრო ინტენსიური გახდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რამეთუ მთარგმნელების აქტიური მოღვაწეობის წყალობით ხდებოდა ახალი სამეცნიერო მიღწევების თარგმნა და შედეგად, მისი სწრაფი გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

George, Basalla. (1967). *The Spread of Western Science*. SCIENCE, VOL. 156. 5 MAY.

*INTRODUCTION: EUROPE AND THE BLACK SEA REGION. A HISTORY OF EARLY KNOWLEDGE EXCHANGE (1750–1850)*

Karl Kaser and Dominik Gutmeyr / Studies on South East Europe/vol.22/2018<https://blacksearegion.eu/earlyknowledgeexchange>. (01.01.2022).

Nino Aroshidze. (2018). *CIVILISATIONAL MISSION OF TRANSLATION*/Migration, Knowledge Exchange and Academic Cultures in Europe and the Black Sea Region until World War I. Skopje: Institute of National History. Volume 3, Issue III, September 2018 <https://blacksearegion.files.wordpress.com/2019/02/aroshidze-nino-velikaya-tsivilizatorskaya-missiya.pdf> (01.01.2020).

#### REFERENCES:

George, Basalla. (1967). *The Spread of Western Science*. SCIENCE, VOL. 156. 5 MAY.

*INTRODUCTION: EUROPE AND THE BLACK SEA REGION. A HISTORY OF EARLY KNOWLEDGE EXCHANGE (1750–1850)*

Karl Kaser and Dominik Gutmeyr / Studies on South East Europe/vol. 22/2018 <https://blacksearegion.eu/earlyknowledgeexchange>. (01.01.2022).

Nino Aroshidze. (2018). *CIVILISATIONAL MISSION OF TRANSLATION* / Migration, Knowledge Exchange and Academic Cultures in Europe and the Black Sea Region until World War I. Skopje: Institute of National History. Volume 3, Issue III, September 2018 <https://blacksearegion.files.wordpress.com/2019/02/aroshidze-nino-velikaya-tsivilizatorskaya-missiya.pdf> (01.01.2020).

#### ილუსტრაციები:

სურ. 1. ფაზების თანმიმდევრობა დასავლური მეცნიერების გავრცელებაში. George Basalla, *The Spread of Western Science*. SCIENCE, VOL. 156. 5 MAY 1967.



# Science Development and the Role of Translation in the Process of Knowledge Exchange

**Anastasia Makharadze**

PhD student, The department of European Studies,  
Batumi Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi.

## **Abstract.**

The present article is dedicated to the development of science, its spread from Europe to other countries of the world, knowledge exchange and the role of translation. In these processes, translation was one of the important factors, thanks to which it became possible to spread scientific achievements, which originated mainly in European countries, from Europe to other regions of the world, in which translation played one of the main roles. In order for scientific achievements to become accessible to other nations, all this had to be presented in a language they could understand. The article presents an interesting model of scientific progress and knowledge spread proposed by the researcher George Basalla. The article discusses the scholar's three-phase model of knowledge spread, where it is described how, in what way and by whom scientific achievements were transferred from Europe to other continents. It is also discussed how colonial science became an independent science in different countries, which ultimately, made these countries advanced. The achievements of European science were translated into the language of those nations where these innovations reached in different ways. This is where the great role of translation lies in the process of science development and knowledge exchange.

**Keywords:** Translation; role of translation; science development; knowledge exchange; Basalla's three-phase model.

ოსმალური თიხის ჩიბუხები პეტრას ციხიდან

გიორგი თავამაიშვილი

ისტორიის აკადემიური დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი  
მეცნიერ-თანამშრომელი.

**აბსტრაქტი.**

თქვენ წინაშე წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ორიგინალურ კერამიკულ ნაკეთობებს - თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით სამხედრო - სტრატეგიული ობიექტების - ციხესიმაგრეების გათხრების დროს. აღნიშნული არტეფაქტების ასეთ სპეციფიკურ გარემოში მიკვლევის ფაქტი არ არის გასაკვირი, რადგან, როგორც ევროპის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში, თამბაქოს (მათ შორის - ჩიბუხის) აქტიურ მომხმარებლებად, მეტწილად, სამხედრო მოსამსახურეები გვევლინებიან. ამ კონტექსტში გამონაკლისი არც ჩვენი რეგიონია. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს ზღვისპირეთის ისტორიული ძეგლის - პეტრას ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის სხვადასხვა თაობის მიერ 1964 და 1985 წლებში იყო აღმოჩენილი.

აღნიშნული არტეფაქტების კვლევა საინტერესოა და აქტუალურიც, რადგან, დღესაც, ქართველ არქეოლოგთა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენ ქვეყანაში თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხების გავრცელების საწყისს პერიოდთან დაკავშირებით, რაც, არცთუ იშვიათად, არაერთგვაროვნად

აისახება არათუ ჩიბუხების, არამედ თანმხლები მასალის დათარიღების პროცესში. ევროპელ და თურქ მკვლევართა ნაშრომების გაცნობის შემდეგ, ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს თამბაქოს მოსაწევი ოსმალური თიხის ჩიბუხების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვივარაუდოთ, როდესაც სულთან იბრაჰიმ I-ს დროს, ნაწილობრივ გაუქმდა შეზღუდვა თამბაქოს მოხმარებაზე. ამ ვარაუდს ამყარებს საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, სადაც მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს XVII საუკუნის ნიმუშები, ხოლო მეტი წილი მოდის XVIII-XIX საუკუნეების ნაკეთობებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის და პეტრას ციხის ტერიტორიაზე, სადაც, კონკრეტულ პერიოდში, ოსმალური ელემენტი იყო წარმოდგენილი, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რეგლამენტირებული (სამხედრო სამსახური), მაგრამ ცხოვრების ტრადიციული წესის ნიშნებით. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მასალა უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, რადგან ოსმალებმა ციხე გაცილებით ადრე დაიკავეს და უფრო დიდხანსაც „შემორჩენ“, ვიდრე პეტრა-ციხისძირში. შესაბამისად, თუ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების ასაკი XVII-XIX საუკუნეებით განისაზღვრება, პეტრას ციხეზე მიკვლეული მსგავსი არტეფაქტები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება, რაც, სრულ ქრონოლოგიურ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში მითითებულ პეტრა-ციხისძირში ოსმალთა „მოღვაწეობის“ პერიოდთან.

**სადიებო სიტყვები:** პეტრა-ციხისძირი; თიხის ჩიბუხი; შრომანის ფორმის ჩიბუხი; დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხი; მრგვალი ჯამი; ბიკონუსური ჯამი; კვამლის საქაჩი ღერო.

### **შესავალი.**

პეტრა-ციხისძირი, თავისი გამორჩეული ადგილმდებარეობის გამო, ხშირად იყო ძლიერთა (ბიზანტია, სპარსეთი, ოსმალ-

ეთი) პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის ობიექტი. ამიტომ, პეტრას ციხე, როგორც კარგად გამაგრებული საფორტიფიკაციო კომპლექსი, საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა სტრატეგიულ მნიშვნელობას. უნდა ვალიართ, რომ პეტრას ციხეზე გამართული საბრძოლო პერიპეტიების თუ თვალსაჩინო აღმშენებლობითი პროცესების გამო, ჩვენ უფრო ხშირად ვსაუბრობთ პეტრას ციხის „ცხოვრების“ ადრეზიზანტიურ ეპოქაზე, როდესაც, პროკოფი კესარიელის ცნობით, ერთ დროს კოლხეთის უმნიშვნელო ქალაქი, პატრიკიოს იოანე ციხეს რჩევით, იმპერატორმა იუსტინიანემ „შემოზღუდა და გაამშვენა“ (გეორგიკა, 1965:83): ციხე ფართო გალავნით და კოშკებით გამაგრდა, ადრე არსებული საკულტო ნაგებობის საძირკველზე სამნავიანი ბაზილიკა აიგო, შიდაციხის ტერიტორიაზე სამეურნეო ნაგებობები (აბანო, წყლის რეზერვუარი, საცავები) მოეწყო, რაც დიდი ხნის მანძილზე ციხის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა.

პეტრას ციხეზე ჩატარებული უახლესი არქეოლოგიური კვლევების შედეგად არ დასტურდება VII-IX საუკუნეების კულტურული ფენების არსებობა, რაც, მიუნიშნებს, რომ ეგრისის („ლაზურმა“) ომმა ციხე ისე სერიოზულად დააზიანა, რომ დიდი ხნის მანძილზე ის პრაქტიკულად, გამოუყენებელი იყო (მინდორაშვილი, 2021:54-55). ციხის გალავნის კედლების და კოშკების ანალიზი ცხადყოფს, რომ X საუკუნეში, ციხის ცალკეულ უბანზე, შესაძლოა უმნიშვნელო, მაგრამ გარკვეული მოცულობის სამშენებლო-გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა. სამწუხაროდ, რა პროცესებს ჰქონდა ადგილი პეტრას ციხეში საქართველოს ერთიანი სამეფოს პერიოდში, ჩვენთვის ბოლომდე ნათელი არ არის<sup>19</sup>. XVIII საუკუნის 20-ან წლებში, ციხისძირი ოსმალებმა დაიპყრეს და პეტრას ციხეც საფუძვლიანად გაამაგრეს.

პეტრას ციხეში ოსმალთა ჯარი საკმაოდ დიდხანს იყო „დაბინავებული“, ამიტომ, მათი ცხოვრების და „მოღვაწეობის“ ამსახველი არტეფაქტები აქ მრავლადაა აღმოჩენილი. არქეო-

---

<sup>19</sup> ვენეციელი დიპლომატი ამბროზიო კონტარინი, რომელმაც 1474 წელს იმოგზაურა საქართველოში, საუბრობს შავი ზღვის პირას პატარა ქალაქზე (Caltichea), სადაც ყიდიან აბრეშუმს, ტილოს და თაფლს, ხოლო საზოგადოდ მკვიდრნი დარიბნი არიან (იტალიელი მოგზაურები...1894:49). არსებობს მოსაზრება, რომ „კალტიხეა“ დამახინჯებული ფორმაა „ქაჯეთის ციხის“.

ლოგიური გათხრების შედეგად ციხის ტერიტორიაზე მიკვლეულია: სამშენებლო, სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის კერამიკა, ჯარისკაცთა პროფესიულ საქმიანობასთან თუ ყოფასთან დაკავშირებული ნივთები და ა.შ. არტეფაქტები, რომლის შესახებ ამჯერად ვისაუბრებთ, პეტრას ციხეში ოსმალთა ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები, რომლებიც, დიდი ალბათობით, აქ განთავსებულ ჯარისკაცთა პირად საკუთრებას წარმოადგენდა.<sup>20</sup>

### **მეთოდი.**

კვლევა წარიმართა არსებული არტეფაქტების ტიპოლოგიისა და კლასიფიცირების უკვე აპრობირებული მეთოდოლოგიით: განსახილველი მასალა დაჯგუფდა ჯამის ფორმის მიხედვით. აქცენტი გაკეთდა თიხის კეცის ფერზე, ცალკეული დეტალის პრაქტიკულ მხარესა და ესთეტიკურ გადაწყვეტაზე, ასევე შემკულობის ფორმებზე. აღნიშნული მონაცემები განმსაზღვრელია ოსმალური თიხის ჩიბუხების დათარიღებისთვის.

### **შედეგები.**

თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები (როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური) საინტერესო მასალას წარმოადგენს კონკრეტული ეპოქის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების რეკონსტრუქციისთვის. აღმოსავლური ჩიბუხები, მათი გავრცელების ფართო არეალის და სიმრავლის მიუხედავად, ჯერ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. აღნიშნული არტეფაქტების დათარიღების საკითხი მეტ-ნაკლებად გართულებულია იმ გარემოებითაც, რომ ისინი ნაკლებად გვხვდება დახურულ კომპლექსებში. ამდენად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული ყველა ახალი (მათ შორის ლოკალური) ნიმუშის ანალიზი გვეხმარება ახლებურად გავიაზროთ რეგიონის გვიანი შუასაუკუნეების ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

### **დისკუსია.**

მსოფლიოში თამბაქოს გავრცელების კვლობაზე თიხის ჩიბუხების ორი, კონსტრუქციულად განსხვავებული, ტიპი ჩამო-

---

<sup>20</sup> თურქეთში ბრიტანეთის მისიის (1799-1801 წლები) წევრს უილიამ ვიტმანს თუ ვერწმუნებით, თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხი თურქი ჯარისკაცის განუყოფელი ატრიბუტი იყო (Виттманн, 1804:140).

ყალიბდა: აღმოსავლური და ევროპული. აღმოსავლურ ჩიბუხი სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგებოდა: ჯამი, ღერო და სატუჩე. თამბაქოს ჩასაყრელი ჯამი თიხისგან მზადდებოდა, ამიტომ, დროთა ჟამს გაუძლო და, მართალია, დაზიანებული სახით, მაგრამ ჩვენამდე მაინც მოაღწია.<sup>21</sup> კვამლის საქაჩი ღეროსთვის ორგანულ მასალას არჩევდნენ,<sup>22</sup> ამიტომ მისი მიკვლევა, ობიექტური მიზეზების გამო, იშვიათობას წარმოადგენს. სატუჩე ძვირფასი ქვისგან მზადდებოდა, საკმაოდ გამძლე იყო და მრავალჯერადი გამოყენება ჰქონდა. ჩიბუხის მწვევლები მათ სათუთად ინახავდნენ, ამიტომ, გათხრების დროს სატუჩეები პრაქტიკულად არ გვხვდება.<sup>23</sup> მკვლევართა აზრით, აღმოსავლური ჩიბუხის ნაწილებიდან ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი თიხის ჯამი იყო (Danys, Wyżgoł, 2018:191).

პოპულარობა არ აკლდა ევროპული ტიპის ჩიბუხს, რომელიც, აღმოსავლურისგან განსხვავებით, ერთ მთლიან ნაკეთობას წარმოადგენდა და ევროპელ მწვეველთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობდა.<sup>24</sup> მკვლევრები თანხმდებიან, რომ ევროპული ჩიბუხების ფორმა აღმოსავლურზე უფრო ადრე შეიქმნა, შესაბამისად, აღმოსავლური ჩიბუხების ძირითადი კონტურები ევროპული ჩიბუხების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ოსმალური ჩიბუხების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო XVII-XX საუკუნეებით განისაზღვრება. კეცის ფერის მიხედ-

---

<sup>21</sup> როგორც ჩანს, თამბაქოს მწვევლები დაზიანებულ ჩიბუხებს ადვილად ელეოდნენ. ზოგიერთ ძეგლზე ისინი გატეხილი ჭურჭლების თუ საკვები პროდუქტის ნაშთებთან ერთად სანაგვე ორმოებშია მიკვლეული (Stanceva, 1972:81). ფაქტია, რომ ზოგი ნიმუში მხოლოდ უმნიშვნელოდაა დაზიანებული და მათი გამოყენება, სავარაუდოდ, ერთხანს კიდევ იყო შესაძლებელი: თამბაქოს კვამლის შესუნთქვას ის ხელს ვერ შეუშლიდა. მაგრამ, თურქი მკვლევრების ცნობით, დაზიანებული ჩიბუხით საზოგადოებაში გამოჩენა უხერხულად ითვლებოდა (Bakla, 1985).

<sup>22</sup> თამბაქოს მწვევლებში ყველაზე მეტად ფასობდა ჟსმინის მასალა, რადგან მას ნიკოტინის შთანთქმის გამორჩეული უნარი ჰქონდა. დიდი მოთხოვნა იყო ასევე ე.წ. არომატულ ხეებზეც (ალუბალი, ატამი და ა.შ.) (Gosse, 2007:11). მოგზაურთა დაკვირვებით, ალუბლის საქაჩ ღეროებს უფრო მოიხმარდნენ ზამთარში, ხოლო ჟსმინისას - ზაფხულში (White, 1845:130).

<sup>23</sup> სატუჩე ოსმალური ჩიბუხების ნაკლებად აუცილებელი ნაწილი იყო: მის გარეშე შეიძლებოდა თამბაქოს ჩიბუხით მოწევა. სატუჩე უფრო შეძლებული მწველის ატრიბუტი იყო, ჯარისკაცები კი ამ კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდნენ.

<sup>24</sup> ევროპული ჩიბუხი, მცირე დაზიანების შემთხვევაშიც კი, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ხდებოდა.

ვით ადრეული ნაკეთობები თეთრი ან ნაცრისფერია, რაც, მკვლევართა აზრით, ევროპული ჩიბუხების მიბაძვის სურვილით იყო განპირობებული (Rafferty, Mann, 2005:152; Robinson, 1985:153).<sup>25</sup> XVII საუკუნის ბოლოსთვის თეთრი და ნაცრისფერი თიხა მუქმა ყვითელმა და წითელმა თიხამ შეცვალა. წითელი თიხისგან დამზადებული ჩიბუხები თამბაქოს მომხმარებლებში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა. ადრეული (XVII საუკუნე) ჩიბუხების სათუთუნე ჯამი შედარებით პატარა იყო, რაც, მკვლევართა აზრით, თამბაქოს სიძვირით იყო განპირობებული, შესაბამისად, XVIII-XX საუკუნეებში ჯამების მოცულობის ზრდა პირდაპირ კავშირში იყო თამბაქოს გაიაფებასთან და ხელმისაწვდომობასთან (Simpson, 2011:83). აქვე, ხაზი უნდა გავუსვათ ერთ საგულისხმო დეტალსაც: ჩიბუხებზე მოთხოვნილების ზრდის კვალობაზე ნაკლებად აქტუალური ხდება ჩიბუხების ორნამენტით გაფორმება: ძირითადი აქცენტი ხარისხობრივი მაჩვენებლიდან რაოდენობრივ მაჩვენებელზე გადადის.

ოსმალური ჩიბუხების კლასიფიცირების დროს სხვადასხვა კრიტერიუმები იყო გამოყენებული. ძირითადი აქცენტი კეთდება ჯამის ფორმაზე (მრგვალი, დისკოს, შროშანის ფორმის და ა.შ) (R. Robinson), საჩიბუხე თიხის ფერზე (J. Hayes), ე.წ. „ფასონზე“ (М. Станчева)<sup>26</sup> და სხვადასხვა მორფოლოგიურ მახასიათებელზე (И.Волков).<sup>27</sup> დღესაც, ახალი აღმოჩენების კვალობაზე, ჩნდება ახალი ფორმები, ორნამენტის ორიგინალური (ზოგ შემთხვევაში - ლოკალური) ვარიანტები. როგორც ირკვევა, ჩიბუხის ზოგი ფასონის „ცხოვრების“ ხანგძლივობა საუკუნესაც კი ცდება,

---

<sup>25</sup> ადრეული ევროპული ნიმუშები, როგორც წესი, თეთრი პლასტიკური თიხისგან იყო დამზადებული (Jagielski, 2010:5).

<sup>26</sup> ერთ-ერთი პირველი მცდელობა ოსმალური ჩიბუხების კლასიფიცირებისა ბულგარულ მკვლევარებს უკავშირდება. მათი დაკვირვებით, ჩიბუხის ოსტატები შეგნებულად ცდილობდნენ ყვავილის (შროშანი, ტიტა, ნარცისი, ლოტოსი) ფორმა მიეცათ ნაკეთობისთვის (განსაკუთრებით ჯამებისთვის). ამიტომ, ისინი ჩიბუხის ჯამს ყვავილის სახელით მოიხსენიებდნენ. მათვე შემოიტანეს ჩიბუხის დეტალების აღწერისას გეომეტრიულ ტერმინებზე (წრე, ელიფსი, დისკო, კონუსი, ცილინდრი, სამკუთხედი, მართკუთხედი) დაფუძნებული სახელები (თავამაიშვილი, 2020:170).

<sup>27</sup> აღმოსავლური ჩიბუხების ტიპოლოგიის და კლასიფიცირების თემა არ კარგავს აქტუალობას. ძირითადი აქცენტი კეთდება ლოკალურ ვარიანტებზე, ქვეტიპების გამოყოფაზე.

რაც, სავარაუდოდ, იმიტაც იყო განპირობებული, რომ ჩიბუხის მომხმარებლები არჩევანს უკვე აპრობირებული ფორმის, ფერის თუ შემკულობის, ან, თუნდაც, ბრენდად ქცეული სახელოსნოს თუ ოსტატის, ჩიბუხებზე აკეთებდნენ. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მკვლევრები, ჩიბუხების ასაკის განსაზღვრის დროს, ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (XVII-XVIII, XVIII-XIX, XIX-XX საუკუნეები) მიუთითებენ ხოლმე (Лавров, 2018:262, 266).

პეტრას ციხის არქეოლოგიურ მასალაში რამდენიმე ტიპის ჩიბუხია წარმოდგენილი. ამჯერად, ჩვენ განვიხილავთ ოსმალურ ჩიბუხების იმ ნიმუშებს, რომლებიც 1964 და 1985 წლების ექსპედიციების მიერ ციხის ტერიტორიაზე იყო მოპოვებული.

### **მრგვალჯამიანი<sup>28</sup> ჩიბუხები.**

ოსმალური ჩიბუხების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულს ტიპს წარმოადგენს მრგვალი სათუთუნე ჯამის მქონე ჩიბუხები. მათი კეცი ნაცრისფერი, ყავისფერი (ღია/მუქი) ან მოწითალო-შინდისფერი შეფერილობისაა. ჩიბუხები ზოგჯერ ანგობითაა დაფარული (ცმ. 1964), უფრო ხშირად - მხოლოდ გაპრიალებულია.<sup>29</sup> მრგვალი ჯამის მქონე ჩიბუხებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „ტახტა ჩიბუხის“ ფასონის ნიმუშები.<sup>30</sup> ძნელი ასახსნელია, მაგრამ, პეტრას ციხის მასალებში, განსხვავებით გონიო-აფსაროსის მონაპოვრებისგან, „ტახტა ჩიბუხები“ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშით არის წარმოდგენილი (ტაბ.1.1-2).

პეტრას ციხეში მიკვლეული „ტახტა ჩიბუხის“ ნიმუშების ფორმაც და გაფორმებაც, ფაქტობრივად, ანალოგიურია სხვა ძეგლებზე მიკვლეულ ნიმუშების. მათი დამახასიათებელია დიდი მოცულობის სათუთუნე ჯამი და მოკლე ტარი. სხვა ფასონის ჩიბუხებისგან „ტახტა ჩიბუხს“ არსებითად განასხვავებს დაწახ-

---

<sup>28</sup> ერთი მთლიანი ევროპული ჩიბუხისგან განსხვავებით, აღმოსავლური (ოსმალური) ტიპის ჩიბუხი (pipe) ჯამის (bowl), საქი ღეროს (stem) და სატუჩის (mouthpiece) ერთობლიობას წარმოადგენს.

<sup>29</sup> კერამიკული ნაკეთობების ანგობით დაფარვა საკმაოდ შრომატევადი და ხარჯიანი პროცესი იყო, ამიტომ ხელოსნები სერიული წარმოების დროს ზედაპირის გაპრიალებით იფარგლებოდნენ (Uçar, 2019:122).

<sup>30</sup> ამ სახელის დამკვიდრება არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფრანგი არქეოლოგის და მოგზაურის შარლ პეისონელის სახელს უკავშირდება (Волков, 1994).



ნაგებული ჯამი ( $\pm 8$  წახნაგი) და ყელი ( $\pm 10$  წახნაგი)(ტაბ.11-2). ზოგი ნიმუშის ტარიც დაწახნაგებულია (ცდ.01.1985), თუმცა არის სადაზედაპირიანი ეგზემპლარებიც (ცდ.02.1985). ნიშანდობლივია, რომ ტარის წახნაგების რიცხვი თანხვედრაშია ჯამის წახნაგების რაოდენობასთან (ცდ.01.1985). ჩიბუხების ყელი დაბალი ან საშუალო სიმაღლისაა, ძირითადად, ცილინდრის ფორმის. ჯამი და ყელი, როგორც წესი, შემკულია პალმეტების, ნახევარპალმეტების, თამბაქოს ფოთლის და ე.წ. „კაურის თვალის“ გამოსახულებით<sup>31</sup> (ცდ.02.1985)(ტაბ.12). ტარი<sup>32</sup> მოკლე, მაგრამ ფართო. გვირგვინი სქელი, გამოკვეთილი, ხშირად გაფორმებული მსუბუქი სამკუთხედის ფორმის ნაჭდევებით შედგენილი სარტყლით. ზოგი ნიმუშის ტანზე და ტარზე ოსტატის დამღაა დატანილი. საქაჩი მილისთვის დატოვებული ღრუ მეტწილად ფართოა, რაც მიუნიშნებს, რომ ეს ჯამები გრძელი საქაჩი მილებისთვის იყო დამზადებული<sup>33</sup>. ამ ტიპის ჩიბუხების კილი ფართოა, რელიეფური და სამკუთხედის ფორმის. როგორც წესი, კილი, ორივე მხრიდან, წერტილების ორი რიგით შედგენილი ღარებით არის შემოსაზღვრული.<sup>34</sup>

---

<sup>31</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელი ძირითადად რუსულენოვან ნაშრომებშია მიღებული (Волков, 2010; Спиридонова, Рубан, 2006). კაური მუცელფეხიან უხერხემლოთა კლასის მოლუსკების წარმომადგენელია, რომელსაც ძალიან ამგავსებენ ამ გამოსახულებას. ალბათ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა ხალხებში კაურის ავი თვალისგან ერთგვარი დამცავის დატვირთვა ჰქონდა.

<sup>32</sup> ზოგჯერ ტარს მუნდმტუკის სახელით მოიხსენიებენ. მაგრამ, რადგან მუნდმტუკად ასევე იწოდება სპეციალური საშუალება, რომელსაც იყენებენ სიგარეტის მოსაწევადა, ჩვენ უფრო მართებულად ჩავთვალეთ მისი მოხსენიება ტარის სახელით.

<sup>33</sup> ჩიბუხის ტარის ფართო ღრუ, რომელიც ჩაფიქრებული იყო დიდი საქაჩი მილისთვის, უფრო მოგვიანო პერიოდის ნაკეთობებისთვის არის დამახასიათებელი. საქაჩი ღეროს სიგრძე თამბაქოს მომხმარებლის სოციალურ სტატუსზეც მიუთითებდა. ზოგადად, საქაჩი ღეროს სიგრძე მერყეობდა 1-4 მეტრამდე. ამ ნიშნით ჩიბუხებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: გრძელღეროიან ჩიბუხებს უწოდებდნენ - "Imame/Imanech" საშუალო ზომისას კი - "Tirke" (Bakla, 1985). დაბალი წოდების სამხედრო პირებში უფრო პოპულარული იყო მოკლე ღეროიანი ჩიბუხები (Gosse, 2007:11).

<sup>34</sup> ჩიბუხების ძირის დამახასიათებელ დეტალს წარმოადგენს რელიეფური ფიგურა, რომელიც ძალიან ჩამოგავს გემის კილს. ადრეულ ნიმუშებზე კილი არ არის რელიეფურად გამოკვეთილი, ის უფრო მკაფიო კონფიგურაციას იძენს XVIII საუკუნიდან. თუმცა, აქაც გარკვეული სახეცვლილებებით. რ. რობინსონის დაკვირვებით, XVIII-XIX საუკუნეებში კილი ხან ბრტყელდებოდა, ხან მახვილი კუთხით იძერწებოდა, ხან ფართოვდებოდა, ხან კიდევ ქრებოდა (Robinson, 1985:161).

„ტახტა-ჩიბუხის“ ფასონის ჩიბუხების პოპულარობის მაჩვენებელია მათი ხშირი მიკვლევა გეოგრაფიულად ერთიმეორისგან დაშორებულ ძეგლებზე. მოსკოვის მასალებით ისინი თარიღდება XIX საუკუნის დასაწყისით და შუა წლებით (Рабинович, 1949). ყირიმის და სტაროდუბშინის მასალებით, ამ ტიპის ჩიბუხებს XVIII საუკუნის შუა წლებით (Волков, 1994; Пусь, Ещенко, 2008), ხოლო ვოლოგდის მასალებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრით და XIX საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ (Недомолкина, Недомолкина, 2003). შუისკის ნაქალაქარის მკვლევრები მათ XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისის ნაკეთობებს მიაკუთვნებენ (Метелкина, 2012). კასტლ-ჰილში აღმოჩენილ ამ ტიპის ჩიბუხებს XIX საუკუნის შუა ხანით ათარიღებენ (Petruzelli, 2002:165). დუბროვნიკის მასალების მიხედვით მათი დამზადების თარიღი XIX საუკუნით არის განსაზღვრული (Mološević, Topić, 2011: 318). სერბეთის მასალებით XIX საუკუნით (Gačić, 2011: 97); მარსელში აღმოჩენილ ამ ტიპის ჩიბუხებს XVIII საუკუნის შუა ხანებით ათარიღებენ (Gosse, 2007:13). XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება ბაზადაგში ნანახი მსგავსი ნიმუშები (Costea, Stănică, Ignat, 2007:342, 351). იასას (რუმინეთი) ჯაფას (ისრაელი) და აზაკის ციხის(რუსეთი) მასალებით მკვლევრები მათ XVIII საუკუნის ნაკეთობებს მიაკუთვნებენ (Andronic, Neamtu, 1964: 20; Vinzens, 2020: 135 Гусач. 2016:146).

### **დისკოს ფორმის ბაზის<sup>35</sup> ჩიბუხები.**

ფორმით და შემკულობით პეტრას ციხის ჩიბუხების ორიგინალურ ჯგუფს წარმოადგენს დისკოს ფორმის ბაზის მქონე ნიმუშები. ისინი მეტწილად მოწითალო-მოვარდისფრო შეფერილობისაა, აქვთ მაღალი და ცილინდრული ფორმის ტანი, რომელიც ფაქტობრივად ჯამს წარმოადგენს. ამ ტიპის ჩიბუხების ჯამი (ტანი) დიდი მოცულობისაა, ცილინდრის ფორმის, გარეთ გადაშლილი პირით. პეტრას ციხის ნიმუშების ზედაპირი გაპრიალებულია. ბაზა წრიული ფორმისაა. დიდი ზომის ნიმუშებში, ის ლანგრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ზოგი ნიმუშს ბაზის კიდე

---

<sup>35</sup> დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხები, როგორც ვიზუალურად, ასევე თამბაქოს განთავსების მიხედვით, განსხვავდებიან სხვა ტიპის ჩიბუხებისგან, რადგან თამბაქო არა ბაზის სივრცეში, არამედ ბაზაზე დამერწილ ჩიბუხის ტანში/ყელში თავსდება.

მოსწორებული აქვს (ცმ.03.1985, ცმ.04.1985, ცმ.07.1985, ცმ. 477. 1964), (ტაბ111)ზოგის ბაზა ლოტოსის ყვავილსაა მიმსგავსებული (ცმ.05.1985; ცმ.06. 1985) (ტაბ.110-13-14). დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხების ტარი მეტწილად გრძელია, კონუსის ფორმის, გვირგვინისკენ გაფართოებული. კილი ტრაპეციის ფორმის,<sup>36</sup> მკვეთრად რელიეფური. განსხვავებით სხვა ტიპის ჩიბუხებისგან, პეტრას ციხეში აღმოჩენილი დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხების ძირის ზედაპირი სადაა, კილის საზღვრები მარტივი ორნამენტითაც კი არ არის გაფორმებული. დიდი ჯამის ნიმუშების ტანი ხშირად შემკულია კომბინირებული ორნამენტით. ერთ-ერთი ნიმუშის (ცმ.03.1985) ტანი დახრილი ჭდეებით შედგენილ ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული ფოთლების რიგით (ტოტი) გამოსახულებითაა გაფორმებული (ტაბ112). ნიშანდობლივია, რომ იგივე ორნამენტი გამოყენებულია ბაზის ზედა ნაწილის გაფორმების დროს. აღნიშნულ ნიმუშს ტარი მოტეხილი აქვს, მაგრამ, დიდი ალბათობით, სხვა ნიმუშების (ცმ. 04.1985) მსგავსად, ტარიც იგივე ორნამენტით იქნებოდა გაფორმებული. საინტერესოა ნახაზია შერჩეული ამ ტიპის სხვა ჩიბუხების (ცმ.04.1985; ცმ. 05.1985; ცმ.05.1985) გასაფორმებლად: ტანი, ბაზის ზედა ნაწილი და ტარი (ლილვაკის ჩათვლით) შემკულია დახრილი ჭდეებით შედგენილი ღარების ორ სარტყელს შორის მოქცეული მრგვალი რელიეფური ბურთულების ერთი ჰორიზონტალური რიგით (ტაბ.110). შედარებით მარტივადაა გაფორმებული დისკოს ფორმის ბაზის პატარა ჯამის მქონე ჩიბუხები. მათი ზედაპირი სადაა, მხოლოდ ტანის და ბაზის საზღვარზე და ტარის ბოლოს გვირგვინზე, პატარა ვერტიკალური ნაჭდევებით შემოსაზღვრული წრიული ქედებია გამოყვანილი (ცმ. 05.1985; ცმ.477.1964). ზოგ ნიმუშზე მრგვალი დამლის კვალთა შემორჩენილი ტაბ.111).

ზოგადად, დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხები XVIII-XIX საუკუნეებში იყო გავრცელებული.<sup>37</sup> XVII საუკუნის ბოლოდან,

---

<sup>36</sup> პეტრას ციხის დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხების კილი ტრაპეციის ფორმისაა, თუმცა, სხვა ძეგლებზე სწარბობს სამკუთხედის ფორმის ვარიანტები (Гусау, 2016).

<sup>37</sup> თუმცა, რ. რობინსონი სარაჩანის ტიპის დისკოს ფორმის ჩიბუხებზე საუბრის დროს არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, მომრგვალო ჯამის და დისკოსებური ფორმის ბაზის ჩიბუხები თანაარსებობდნენ XVII საუკუნიდან (Robinson, 1985:161), აქვე აღვნიშნავთ, რომ ადრეული (XVII საუკუნის) მასალა დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხებისა

განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, ოსმალურ თიხის ჩიბუხებში იკვეთება ტენდენცია მიწის ფერების პირველობისა (მოყავისფრო, მოყავისფრო-მოწითალო) (Robinson, 1985:161). სათუთუნე ჯამები ძირითადად საშუალო ზომისაა, მეტწილად, თხელკედლიანი. უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს ჩიბუხების ზედაპირის გაპრიალებას. XVIII საუკუნის მანძილზე ჯამები ზომაში იზრდება, მრავალფეროვანი ხდება ორნამენტი. ჯამის კილი რელიეფურადაა გამოკვეთილი: მას ან სამკუთხედის ან ტრაპეციის ფორმა აქვს. კორინთოსა და ათენის აგორის (საბერძნეთი) მასალებით დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხები XVIII საუკუნის ბოლოთი და XIX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (Robinson, 1985:198). კასტლ-ჰილში (ალასკა) აღმოჩენილი ამ ტიპის ჩიბუხები მიჩნეულია XIX საუკუნის ნაკეთობებად (Petruzelli, 2002: 168). დუბროვნიკში მიკვლეული დახრილი ღარებით და ბურცობიანი ორნამენტით გაფორმებული ჩიბუხების ასაკს მკვლევრები XIX საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრავენ (Zejnilhodžić, 2012:187, f.39). ბურსაში (თურქეთი) აღმოჩენილი მსგავსი ორნამენტით შემკული ბაზის ჩიბუხებს XVIII საუკუნის ბოლოთი და XIX საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული (İnanan, Şahin, 2017:18). XIX საუკუნის ნაკეთობებად მიიჩნევენ მკვლევრები სტამბოლში (თურქეთი), დობრუჯაში (რუმინეთი), სერბეთში და საუდის არაბეთში აღმოჩენილ ლოტოსის ფორმის ბაზის მქონე ჩიბუხებს (Haan, 2004; 2016:274-275; Gačić, 2011:110; Bouzigard, 2010:25), ბარსელონას მასალებით ესპანელი მკვლევრები მათ XVIII საუკუნით ათარიღებენ (Heredia, Miro, Soberon, 2012:121).

## შრომანის ფორმის ჯამის ჩიბუხები

---

კორინთოდან, ათენის აგორადან და კერამეიკოსიდან კონკრეტულად მითითებული არ არის. რუსი მკვლევრებიც დისკოს ფორმის ბაზის ჩიბუხებს აზაკის ციხის (რუსეთი) მასალებით XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებენ (Гусава, 2016: 83, 110, 142, 148, 152, 282, 283, 300), თუმცა, რა არგუმენტებს ეფუძნება დაძველება ამ ტიპის ჩიბუხებისა (კეცის ფერი, ჯამის მოცულობა, ჩიბუხებთან ერთად აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური არტეფაქტები) ბოლომდე გასაგები არ არის.

პეტრას ციხეში აღმოჩენილ ჩიბუხებში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოწითალო-მოყავისფრო ფერის ნიმუშებია,<sup>38</sup> რომელთათვის დამახასიათებელია შროშანის ყვავილის ფორმის ჯამი.<sup>39</sup> მათი ჯამის ზედა ნაწილი წაკვეთილი კონუსის, ხოლო ქვედა ნაწილი ნახევარსფეროს ფორმისაა. კილი საკმაოდ მაღალი, სამკუთხედის ფორმის და რელიეფურად გამოკვეთილი (ტაბ.14).

პეტრას ციხეზე აღმოჩენილი აღნიშნული ტიპის ზოგიერთი ნიმუში თითქმის აბსოლუტურად იდენტურია (ცმ.118.1064, ცმ.08.1985, ცმ.09.1985, ცმ.10.1985, ცმ.08.1985). მცირედ განსხვავდებიან ისინი ტარის გაფორმების მხრივ (ზოგი წერტილებით, ზოგიც მსუბუქი ღარებით შედგენილი სარტყლითაა გაფორმებული). ოთხი ნიმუშის ტარზე მრგვალი დამლა დატანილი, სამ მათგანზე ოსტატის დამლა კარგად იკითხება.<sup>40</sup> ზოგადად, ტარის გაფორმების თვალსაზრისით ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს ცმ. 11.985. მისი ტარი შემკულია წერტილებით შედგენილი სარტყლის ორი რიგით. ტარის ბოლოს ლილვაკი სქელი, მკვეთრად გამოყოფილი და დაწახნაგებულია. რ. რობინსონი აღნიშნავს, რომ ასეთი წახნაგები ოსტატის მიერ ძერწვის დროს თითის დაჭერით არის გამოყვანილი. სავარაუდოდ, პირის ქობაზე დატანილი ოვალური ორნამენტი ფრჩხილით არის გამოყვანილი (Robinson, 1985:167, A31-A32). მსგავსი ლილვაკის ფორმის ტარები დამახასიათებელია დისკოს ფორმის ბაზის და მრგვალი ჯამის მქონე ჩიბუხებისთვისაც (Costea, 2013:265, f.13; Milošević, Topić, 2011:321). ორიგინალური შემკულობისაა ჩიბუხი (ცმ.12.985), რომლის პირი მსუბუქი ნაჭდევებითაა გამოყვანილი. ნაჭდევების ქვევით პატარა ზომის რომბის ფორმის ფიგურებია ამოკაწრული. ტანი, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, მომტვრეულია, წინა მხრიდან, ოთხი ფურცლის სქემატური ნახატი არის გაფორმებული. ტარი, ჯამთან შეერთების ადგილას, ტალღისებრი ორნამენტით არის შემკული. ტანის ქვედა ნაწილი, კილის საზღვრის გაყოლებით სამ რიგად დატანილი ე.წ. „ჩალმის“ ჭდეული ორნ-

<sup>38</sup> მხოლოდ ერთი ნიმუშია (ცმ.14.1985) მოყავისფრო-მონაცრისფრო შეფერილობის.

<sup>39</sup> ზოგ ნაშრომში ისინი ტიტას ყვავილის ფორმას არის მიმსგავსებული და ასეა მოხსენიებული. ბულგარელი მკვლევრები მათ ხშირად ზარის (звонец) ფორმის (ფასონის) ჩიბუხებად მოიხსენიებენ,

<sup>40</sup> სამწუხაროდ, ცმ.118.1064. ნიმუშს ტარი მოტეხილი აქვს.

ამენტით არის გაფორმებული (ტაბ. 1ა). ჩიბუხის ტარზე, ტრადიციულად, ოსტატის მრგვალი დამლა დატანილი. განსხვავებული ფერის (იასამნისფერი) კეცის მქონეა ნიმუში (ცმ.16.1985), რომლის დიდი მოცულობის ჯამი, ტარის და კილის გამოკლებით, ვერტიკალური კანელურებითაა გაფორმებული (ტაბ. 17). გვირგვინი ჰორიზონტალური ღარებით და ჭდეული სამკუთხედებითაა შემკული, ლილვაკი ვარდულის ფორმის, ჭდეებითაა გამოყვანილი. ორიგინალურია მოწითალო-მოყავისფრო ფერის ნიმუშის (ცმ.178.1964), რომელსაც შემორჩენილი აქვს ტანი და ძირი. გაფორმება. ტანის ორივე მხარეს მსუბუქი ღარებით შედგენილი წრიულად მოძრავი „ფრთებია“ გამოსახული (ტაბ.19), როლებიც ერთიმეორისგან წერტილოვანი ფოსოებით არის გამოყოფილი.<sup>41</sup>

XIX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, როდესაც დაიწყო აღმოსავლური ჩიბუხების ერთგვარი სტანდარტიზაცია (Ward, Baram, 2006), ყველაზე მოთხოვნადი ხდება შედარებით დიდი ზომის შროშანის ყვავილის ფორმის ჯამიანი ჩიბუხები. ისინი მზადდებოდა მოწითალო-მოყავისფრო ფერის თიხისგან. ოსტატები ჯამის ზედაპირს ანგობით ფარავდნენ, უფრო ხშირად კი აპრიალდნენ. ზოგი ნიმუშის ჯამი და ტარი დამღებით ან მონოგრამებით არის გაფორმებულია (ტაბ.116). ამ ტიპის ჩიბუხები პოპულარული იყო როგორც თურქეთში, ასევე მისი პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყნებში. როგორც მოგვიანო პერიოდის ნაკეთობები ამ ფასონის ჩიბუხები ისე ხშირად ჩნდებოდა ბულგარეთის ძეგლებზე, რომ მ. სტანჩევა მას ბულგარულ ნაწარმად განიხილავდა (Станчева,1976/1976: 89,90).

შროშანის ყვავილის ფორმის ჩიბუხები აზაკის (რუსეთი) მასალებით XVIII-XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Гуцау, 2016:95, 317), ტულჩეას (რუმინეთი) მასალებით კი XIX საუკუნის დასაწყისით (Costea, 2013:271). რ. რობინსონი კორინთოს (საბერძნეთი) მასალის შეჯერებით მათ XIX საუკუნის შუა წლების ნაკეთობებად მიიჩნევს (Robinson, 1985: 163), ჯ. ჰეისი სარაჩანის (თურქეთი), ლ. ბეკიჩი ჩანჯევოს ციხის (ხორვატია) და ა. შაპირო ა-

---

<sup>41</sup> მსგავსი ორნამენტით შემკული ადრეული პერიოდის ჩიბუხი ცნობილია მდინარე დრავას (უნგრეთი) რეგიონიდან (Kovács, Rózsás,2014:243).

კოს (ისრაელი) მასალებით, მათ XIX საუკუნის მეორე ნახევრით  
ათარიღებენ (Hayes, 1980: 7, VIII; Bekić, 2010:1; Shapiro, 2016:100).

### **ბიკონუსური ფორმის ჯამის ჩიბუხები.**

ჩიბუხების ორიგინალურ ჯგუფს წარმოადგენს ბიკონუსური ფორმის ჯამის ჩიბუხები. პეტრას ციხის მასალებში ეს ჯგუფი მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი, (ტაბ.1 17). ისიც დაზიანებული (მოტეხილი აქვს ჯამის ნაწილი). ტარი გრძელია და შვიდი წახნაგითაა გაფორმებული. მსგავსი ტარი დამახასიათებელია ჩიბუხებისთვის, რომელთაც გააჩნიათ ბიკონუსური ფორმის ჯამი და დაბალი ცილინდრული ტანი. ტარზე. რგოლისებრი გვირგვინის საზღვართან, წრიულად, არაბული გრაფიკული წარწერაა **بلقد جنى الفراق ميخور** („უარი თქვი ეშმაკისეულზე, გამორდი დალევას“) <sup>42</sup> დატანილი. წარწერის განთავსების ადგილი ორი წრიული მსუბუქი ქედით არის შემოსაზღვრული. <sup>43</sup> ტარის ბოლოს, კონუსის ფორმის გვირგვინი და მის გაგრძელებაზე წაკვეთილი კონუსის ფორმის ლილვაკი ასევე მკვეთრად გამოყოფილი. ტარის ღრუ შედარებით ვიწრო, რაც მიუნიშნებს, რომ ეს ნიმუში გრძელი საქაჩი ღეროსთვის არ იყო დამზადებული.

არაბული წარწერებით გაფორმებული ბიკონუსური ფორმის ჯამის ჩიბუხების ტარები აღმოჩენილია გონიო-აფსაროსშიც (თავამაიშვილი, 2020:188). ტარზე დატანილი წარწერები ასე იკითხება: „წყელი დაუნდობელი დარდი მომძალებია“, ან „თუ მეგობრობ საქმლით სავსე ჭურჭელთან, მოგიხდება, გიწამლებს“. ჯ. ჰეისი თვლის, რომ მონოგრამებით გაფორმება XVIII საუკუნის ჯამებისთვის არის დამახასიათებელი (Hayes, 1980:5, t. XVIII-XXI). რუმინული მასალებით, მცირე ტექსტებით გაფორმებული ჩიბუხის ტარები ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებით არის დათარიღებული (Costea, Satica, Ignat. 2007:356, 1-2), თუმცა, ზოგ

---

<sup>42</sup> ჩიბუხზე დატანილი არაბული წარწერა წაკითხვა და თარგმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

<sup>43</sup> ა. ვინსენსი აღნიშნავს, რომ ოსმალური ჩიბუხებზე, ამ ტიპის წარწერისთვის საკმაოდ მცირე სივრცეა გამოყოფილი, ამიტომ მათი წაკითხვა საკმაოდ პრობლემურია და ბევრი მკვლევარი თავს არიდებს ამ სამუშაოს (Vinsenz, 2016:114).

ნიმუშს XVII საუკუნის ნაკეთობად მიიჩნევენ (Costea, 2013:260-262).

### **პატარა ჯამიანი ჩიბუხები.**

პეტრას ციხის მასალაში წარმოდგენილია პატარა ჯამიანი რამდენიმე ჩიბუხი. ისინი საკმაოდ დაზიანებულია (მოტეხილი აქვთ ჯამის დიდი ნაწილი), თუმცა, შესაძლოა, ნახევრად მრგვალი ან ელიფსის ფორმის ჯამის ჩიბუხებს მივაკუთვნოთ. მათთვის დამახასიათებელია სადა ტანი და ლილვაკიანი გვირგვინი (ტაბ.13). ერთ-ერთ ნიმუშზე (ცმ. 178.1964) კილი რელიეფურად არ არის გამოკვეთილი, მხოლოდ შემოსაზღვრულია წერტილებით შედგენილი ნახაზით (ტაბ.15). მეორე ნიმუშის (ცმ.477.1964) კილიც მსგავსი ორნამენტითაა გაფორმებული, ოღონდ ის სამკუთხა ფორმისაა და რელიეფურადაა გამოკვეთილი. ჩიბუხის ძირზე ფრინველის (ჩიტის) სქემატური გამოსახულებაა დატანილი (ტაბ.115).<sup>44</sup>

### **დასკვნა.**

ჩვენ, პეტრას ციხეში ნანახი ოსმალური თიხის ჩიბუხების მხოლოდ ერთი ნაწილი განვიხილეთ. იმედი გვაქვს, რომ ეს მასალა, მომავალი გათხრების შედეგად, კიდევ უფრო შეივსება. მიუხედავად ამისა, წინასწარი დასკვნებს გაკეთება შეგვიძლია: პეტრას ციხეზე აღმოჩენილი თიხის ჩიბუხები მოგვიანო, XVIII-XIX საუკუნეების ნაკეთობებია, რაც ქრონოლოგიურად სრულ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში მითითებულ ოსმალთა პეტრას ციხეში „მოღვაწეობის“ პერიოდთან.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

გეორგიკა, (1965). *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართვე-*

---

<sup>44</sup> გ. აიჰანი არ გამორიცხავს, რომ ჩიბუხებზე დატანილი ჩიტის (ფრინველის) სტილიზებული გამოსახულება ოსტატის სახელოსნოს აღმნიშვნელი დამდა ყოფილიყო (Ayhan, 2015:11; tab.5). 3. უჩარი თვლის, რომ ჩიტის გამოსახულება დეკორატიულ მოტივად უნდა განვიხილოთ, თუმცა შეიძლება ოსტატის დამდაც იყოს (Uçar, 2019:127). ჩიტის (ფრინველის) გამოსახულებიანი ჩიბუხები ცნობილია სმირნის (Ayhan, 2016:11, ტ.16), რობინსონის (Robinson, 1985:pl. 49, c23), ბაზადაგის (Costea, Stănică, Ignat, 2007:347) და სხვა ძეგლების მასალებიდან.



- ლოს შესახებ. ტ.2 თბილისი.
- თავამაიშვილი, გ. (2020). *თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები*. ბათუმი.
- მინდორაშვილი, დ. (2021). *არქეოლოგიური გათხრები პეტრაციხისძირში*, ბათუმი.
- იტალიელი მოგზაურები საქართველოში მე-XV საუკუნეში (1894). „მომბე“, თვიური ჟურნალი №XI, ტფილისი.
- Ayhan, G. (2015). *Lülelerde Görülen Kuş Figürleri Üzerine Bir Araştırma*. Sanat Tarihi Dergisi, 24/1.
- Bakla, E. (1985). *A Long-forgotten Popular Hands craft: Clay Pipe Making Antika*; The Turkish Journal of Collectable Art, August 1985, Issue: 5.
- Bekić, L. (2010). *A Brief Introduction to Clay Pipe Finds in Croatia with Special Attention to Local Pipes Found at Fort Čanjevo in The Kalnik Hills* Journal of the Académie Internationale de la Pipe, Vol. 3.
- Bouzigard, A. (2010). *Archaeological evidence for the consumption of tobacco and coffee in Ottoman Arabia*.
- Costea, I. (2013). *Pipe de lut cu inscripti sim arci din colectia I.C.E.M. Tulcea*. PEUCE, S.N. XI.
- Costea, I., Stănică, A., Ignat, A. (2007). *Pipe de lut descoperite la Babadag*. PEUCE, S.N. V.
- Станчева, М. (1972). *Колекцията от лули във вварненския музей*. Известия на народния музей-Варна. Книга VIII(XXIII), Варна.
- Станчева, М. (1975/1976). *О производни керамичких лула у Бугарској*//Музеј применене уметности. Београд. Зборник. Београд.
- Gačić, D. (2011). *The pipes from museum collections of Serbia. Exhibition catalogue*. Novi Sad.
- Haan, A. (2004). *19 th century clay Chibouks made in Tophane*. The pipe year book.
- Hayes, J. (1980). *"Turkish Clay Pipes: A Provisional Typology,"* The Archaeology of the Clay Pipe, IV (BAR S XCII), London.
- Heredia, J., Miro, N., Soberon, M. (2012). *The production and trade in*

*socketed clay pipes find in Barselona between the seventeenth and nineteenth centuries.* Journal of the Academie Internationale de la Pipe. Vol. 5.

- İnanan, F, Şahin, D. (2017). “*Arkeopark-Osmanlı Lüleleri Osmanlı’da Tütün Keyfi*”. Uludağ Üniversitesi Fen-Edebiyat Fakültesi Sosyal Bilimler Dergisi, C. 18, S. 32.
- Kovács, G Rózsás, M. (2014). *Kora ujkori csereppipak a Drava vidékrol.* Archaeologiai Értesítő.139. Akadémiai Kiadó, Budapest.
- Milošević, B.,Topić, N. (2011). *Keramičke lule s lokaliteta Kula Gornji ugao u Dubrovniku.* Starohrvatska prosvjeta. III. serija – svezak 38.
- Shapiro, A. (2016). *Ottoman Clay Tobacco Pipes and Nargile Heads from the Flour Mills in the Ridwan Gardens, 'Akko.* 'Atiqot 87.
- Vinsenz, A. (2020) (1). *Ottoman period ceramic artefacts from the Magen Avraham Compound, Yaho (Jaffa).* Atiqot, 100.
- Vinsenz, A. (2020). (2). *Excavations on the Outskirts of Tel Yafo (Jaffa)* Atiqot, 100.
- Zejnillahodžić, E. (2012). *Pipesfrom the modern era collections of the archaeological museum of Istria.* Histria archaeologica, 43.
- Гусач, И. (2016). *Курительные трубки из раскопок Османской крепости Азак.* Каталог коллекции. Азов.

#### References:

- Georgik’a, (1965). *Bizant’ieli Mts’erlebis Tsnobebi SakarTvelos Shes-akheb (Byzantine writers information about Georgia).* T’2. Tbilisi.
- Tavamaishvili, G. (2020). *Tambako da Gviani Shuasauk’uneebis Osmaluri Tikhis Chibukhebi (Tobacco and late medieval ottoman clay pipes),* Batumi.
- Mindorashvili, D. (2021). *Arkeologiuri Gatkhrebi P’et’ra-Tsikhisdzirshi (Archaeological excavations in Petra-Tsikhisdziri),* Batumi.

- It'alieli Mogzaurebi Sakartveloshi me- XV Sauk'uneshi (Italian travelers in Georgia in XV century)*, (1894). „Moambe“, tviuri zhurnali, №XI, T'filisi.
- Ayhan, G. (2015). *Lülelerde Görülen Kuş Figürleri Üzerine Bir Araştırma*. Sanat Tarihi Dergisi, 24/1.
- Bakla, E. (1985). *A Long-forgotten Popular Hands craft: Clay Pipe Making Antika*; The Turkish Journal of Collectable Art, August 1985, Issue: 5.
- Bekić, L. (2010). *A Brief Introduction to Clay Pipe Finds in Croatia with Special Attention to Local Pipes Found at Fort Čanjevo in The Kalnik Hills Journal of the Académie Internationale de la Pipe*, Vol. 3.
- Bouzigard, A. (2010). *Archaeological evidence for the consumption of tobacco and coffee in Ottoman Arabia*.
- Costea, I. (2013). *Pipe de lut cu inscripti sim arci din colectia I.C.E.M. Tulcea*. PEUCE, S.N. XI.
- Costea, I., Stănică, A., Ignat, A. (2007). *Pipe de lut descoperite la Babadag*. PEUCE, S.N. V.
- Stancheva, M. (1972). *Kolekcija ot luli v# vvarnenskiya muzej, Izvestiya na narodniya muzej-Varna. Kniga VIII (XXIII)*, Varna;
- Stancheva, M. (1975/1976). *O proizvodn'I keramichkih lula u Bulgarskoj/Muzej primen' ene umetnosti*. Beograd, Zbornik, Beograd.
- Gačić. D. (2011). *The pipes from museum collections of Serbia. Exhibition catalogue*. Novi Sad.
- Haan, A. (2004). *19 th century clay Chibouks made in Tophane*. The pipe year book.
- Hayes, J. (1980). *"Turkish Clay Pipes: A Provisional Typology," The Archaeology of the Clay Pipe, IV (BAR S XCII)*, London.
- Heredia, J., Miro, N., Soberon, M. (2012). *The production and trade in socketed clay pipes find in Barselona between the seventeenth and nineteenth centuries*. Journal of the Academie Internationale de la Pipe. Vol. 5.
- İnanan, F, Şahin, D. (2017). *“Arkeopark-Osmanlı Lüleleri Osmanlı'da Tütün Keyfi”*. Uludağ Üniversitesi Fen-Edebiyat Fakültesi Sosyal

Bilimler Dergisi, C. 18, S. 32.

Kovács, G Rózsás, M. (2014). *Kora ujkori csereppipak a Drava vidékrol.* Archaeologiai Értesítő.139. Akadémiai Kiadó, Budapest.

Milošević, B., Topić, N. (2011). *Keramičke lule s lokaliteta Kula Gornji ugao u Dubrovniku.* Starohrvatska prosvjeta. III. serija – svezak 38.

Shapiro, A. (2016). *Ottoman Clay Tobacco Pipes and Nargile Heads from the Flour Mills in the Ridwan Gardens, 'Akko.* 'Atiqot 87.

Vinsenz, A. (2020) (1). *Ottoman period ceramic artefacts from the Magen Avraham Compound, Yaho (Jaffa).* Atiqot, 100.

Vinsenz, A. (2020). (2). *Excavations on the Outskirts of Tel Yafo (Jaffa)* Atiqot, 100.

Zejnilihodžić, E. (2012). *Pipes from the modern era collections of the archaeological museum of Istria.* Histria archaeologica, 43.

Gusach, I. (2016). *Kuritel'nye trubki iz raskopok Osmanskoj kruposti Azak.* Katalog kolekcii. Azov.

## OTTOMAN CLAY TOBACCO PIPES FROM PETRA FORTRESS

**Giorgi Tavamaishvili**

Academic Doctor of History,  
Chief Scientist of the Department of  
History and Archaeology Niko Berdzenishvili  
institute of Batumi Shota Rustaveli State University.

### **Abstract.**

The paper presented to you is dedicated to the original pottery - tobacco clay pipes, which were found during the excavation of Georgian material cultural monuments, especially during excavations of military-strategic sites, such as fortifications. The fact that these artefacts are being found in such a specific environment is not surprising, as both in Europe and in Eastern countries, active smokers of tobacco (including pipes) were mostly among military personnel. Our region is no exception in this context. The aim of the work is to present the Ottoman clay smoking pipes found on the territory of the Georgian seaside historical monument - Petra Fortress, which were discovered by different generations of the Archaeological Expedition of South-West Georgia in 1964 and 1985.

The study of these artefacts is interesting and topical, because even today, Georgian archaeologists have some differences of opinion about the early period of the spread of Ottoman clay pipes in our country, which, not infrequently, is reflected not only on the process of dating of the pipes, but the accompanying materials as well. After reading the works of European and Turkish scholars, we have more reason to suppose the appearance of Ottoman clay pots on the territory of Georgia from the second half of the XVII century, when, during the reign of Ottoman Sultan Ibrahim I, the restriction on tobacco consumption was partially lifted. This assumption is supported by the archeological material found on the monuments of the late Middle Ages of Georgia, where only a small part consists of samples of the

XVII century, and essentially a larger share falls on the work pieces of the XVIII-XIX centuries.

In southwestern Georgia, tobacco clay pipes are found in large numbers in the area of Gonio-Apsaros and Petra fortresses, where, at a certain period, the Ottoman element was present, regulated by the real situation (military service), but with signs of a traditional local lifestyle. The archeological material of Gonio-Apsaros is more numerous and diverse, because the Ottomans occupied the fortress much earlier and would "stayed" for a longer time than in Petra-Tsikhisdziri. Accordingly, if the age of the tobacco clay pipes found in Gonio-Apsaros dates back to the XVII-XIX centuries, similar artefacts found in Petra Fortress date back to the XVIII-XIX centuries, which is in full chronological agreement with the period of Petra-Tsikhisdziri in the historical sources.

**Keywords:** Petra fortress; Clay pipes; Rounded bowl; Biconical bowl; Lily-shaped pipe; Disk-based pipe; Stem.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



თარგმანი  
TRANSLATION

---

---

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი (1852-1937)  
„შთაგონების ადგილი“

ასმათ ჯაფარიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი.

**აბსტრაქტი.**

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი თურქი მწერალ-განმანათლებელია. მის შემოქმედებაში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური კულტურის, პოეზიის ელემენტები. საოცარი პოეტური აღმაფრენით, მღელვარებით გამოირჩევა პოეტის ქმნილებები. ბუნებისა და სიყვარულის თემები ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს. დიდი სულიერი ტკივილით, სასოწარკვეთილებით, წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრით არის გაჯერებული.

ლექსში „შთაგონების ადგილი“ პოეტი განმარტოვდება ბუნების წიაღში, ქალაქის ხმაურისგან შორს, რათა საფიქრალს მიეცეს. იგი ბუნებაში ღვთიურ ჰარმონიას ხედავს. მისთვის ღმერთი და ბუნება ერთი მთელია. ლექსის ლირიკულ გმირს სურს, რომ ამ მთლიანობის ნაწილი იყოს, მაგრამ სულიერი ტკივილი და სამშობლოს მონატრება უშლის ამაში ხელს.

**საძიებო სიტყვები:** ალქმა; მშვენიერი; ამაღლებული; სამშობლო; სამყარო.

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ



1.

ზღვის სანაპიროს მივაშურე, ადგილს, რომელიც  
სამყაროს არსში ჩასაწვდომად დიდებულია,  
ქვაზე მჯდომარეს, ამა სოფლისგან განმარტოებულს,  
თეთრ სამოსელში გახვეულს და ღრმად დაფიქრებულს,  
გულს სევდა, როგორც ლოდი, გაქვავებულ ტალღას რომ მოჰგავს  
და რომელზედაც დინჯად ვზივარ, ღრმად დამწოლია.

ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

2.

უკაცრიელს ადგილთ ირგვლივ როს შეხედავ,  
არ იფიქრო, თითქოს იყოს ცარიელი,  
აქ ეს სივრცე გაჟღენთილა ოცნებებით,  
სულს წყურია დარწყულება ამ ადგილას,  
ჩემი ფიქრი ზევით-ზევით მიისწრაფის,  
სურს გაგლიჯოს ცის სამანი ამ ფიქრებმა.  
მაგრამ, ვაი, რომ უძლური ვარ ამისთვის,  
უსუსური, უწეო და უუნარო,  
მე არ ძალმიძს ამ უსასრულო სამყაროში  
მივწვდე მიზეზს ყოველივეს, რაც არსებობს.  
აი, ამით არის სავსე ეს მიდამო,  
უმწეობით, დაბრკოლებით, წინაღობით,  
მისწვდეს საწყისს სამყაროსას.

ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

3.

ქალაქის ხმაურს განრიდებულს მმოსავს სიმშვიდე,  
აქ ყოველივე საიდუმლოს იტევს, უდიდესს,

ხეებიდან რომ იღვრება ფიქრი, მოდი, უყურე,  
მდინარეები რომ საუბრობენ, მათაც უსმინე,  
აქ სამყაროს ხმას გაიგონებ, შენ ყური უგდე.  
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

4.

შეეცადე, ფიქრი მისწვდეს უზენაესს,  
რომლის წიაღშიც დაიბადა ეს ყველაფერი,  
ეს ცა და მიწა ვისგანაც იშვა, ფიქრი მას სტყორცნე,  
ზღვას დააკვირდი, თითოეულ წვეთს, უზარმაზარ ტალღებად  
ქცეულს,  
და იგრძნობ იმ ხელს, უხილავს, მაგრამ ასე აშკარას,  
ერთ ენაზე რომ ამეტყველებს თითოეულ სულდგმულს.  
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

5.

სალამოა, ჰორიზონტი სიწითლეში ჩაკარგულა,  
მისკენ მზირალს გიჰყრობს სევდა უძირო,  
წარსულიც და მომავალიც ამოა, ბნელი, თანაც უმიზნო,  
ამ სიბნელეს ცის სილურჯე ასხივოსნებს,  
სიყვარულით დალდასმული გადაშლილა სამყარო,  
ამ კოსმოსში კი ღმერთს ვხედავ სათაყვანოს.  
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

6.

ციო ვენერა მიწას ატომს დაეკონა,

ცას ფრინველი, თევზი ზღვაში, ღამურა თუ მთვარის შუქი,  
ერთ წესს ღვთისას დაემონა.

გირჩევ, დაჯდე აქ, ქვის ლოდზე,  
ზღვა რომ აკრავს და ქცეულა ამბიონად,  
ზღვას და ხმელეთს დაინახავ, შემოქმედის საჩინო ხატს.  
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

7.

თანავარსკვლავედის მოძრაობა იდუმალი,  
ჩრდილების მსგავსი დიდი საიდუმლო,  
საით მიდიან პლანეტები, ნუთუ გაქრებიან უკვალოდ?  
ყველა ქმნილებას შემოქმედის ფერხული გაუმართავს, უბადლო,  
მაყრულს მოსძახიან, ბუნების ქორწილია,  
ყველა ღმერთს ადიდებს უჟამოს.

ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

8.

ხეობაში შორეთიდან ხმა მოისმის, იდუმალი,  
ამღერებულან ნაკადულნი მორაკრაკენი,  
უჩვეულო ფერს შეუმოსავს ირგვლივ ყოველი:  
ცისფერია ბალახი და მთები - ფერადი,  
ცხვარს ვხედავ ვარდისფრად ელვარებს,  
გარიჟრაჟს ოქროს კაბა ჩაუცვამს,  
ზღვის ფერს სამყარო თვალებში შეგაფრქვევს.  
ეჰ, ჩემო გულო, სევდით დადაღულო,  
საყოველთაო მხიარულების ჟამს მოწყენილო.  
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,

ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

9.

დანისლულ მთებს გოგონა მიუყვება, პატარა,  
ღამენათევი, იდუმალი ვარსკვლავი ცისკრის ცას აკიაფდა,  
ზღვა ღელავს ნელა, დილის ნიავი, მსუბუქი და ეგზომ საამო  
ქრის ჩემ გარშემო და ვგრძნობ ტკივილს, უსაშინლესი  
მონატრების,

სამშობლოსგან განშორების ჭრილობებით დასერილ გულს  
მძიმე დაღად რომ დასტყობია.

ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,  
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,  
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,  
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,  
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

## **Abdulahk Hamid Tarhan (1852-1937) – „Place of Inspiration“**

**Asmat Japaridze**

Tbilisi Ivane Javakhishvili State Universitu

Tbilisi, Georgia.

### **Abstract.**

Abdulahk Hamid Tarhan (1852-1937) is a Turkish playwright and poet. He is one of the leading lights of the Turkish Romantic period. Elements of Western and Eastern culture and poetry are closely connected in his work.

Abdulahk Hamit in the poem "Place of Inspiration" secludes himself in the bosom of nature, away from the noise of the city, to give himself time to think. He sees divine harmony in nature. For him, God and nature are one whole. The lyrical hero of the poem wants to be a part of this whole, but the pain of his soul and longing for his homeland prevent him from doing so.

**Keywords:** Perception; Beautiful; Sublime; homeland; universe

**Translated from Turkish by Asmat Japaridze**

თარგმანი  
TRANSLATION

---

---

კოიძუმი იაკუმო (1850-1904) - „ოშიდორი“; „დამარხული  
საიდუმლო“

მარიამ ჩალაბაშვილი  
ისტორიის მაგისტრი,  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის  
დეპარტამენტი, იაპონისტიკის მიმართულება.  
საქართველო, ქ.თბილისი

**აბსტრაქტი.**

იაპონურ ფოლკლორში იოკაის (არამიწიერი არსებები, სულები, მონსტრები და ა.შ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კოიძუმი იაკუმომ<sup>45</sup> კი წერილობითი სახე მისცა სხვადასხვა მითსა თუ ლეგენდას. მათგან „თოვლის ქალბატონი“ უკვე ნათარგმნია ქართულად, ახლა კი „ოშიდორისა“ და „დამარხულ საიდუმლოსაც“ გაეცნობა მკითხველი.

„ოშიდორის“, რომელიც იხვის სახეობაა, „შორეული აღმოსავლეთის ცისარტყელასაც“ უწოდებენ. აგრეთვე, ის ასოცირდება მოსიყვარულე წყვილთან და მუდვივი სიყვარულის, ერთგულების სიმბოლოა როგორც ჩინეთში, ასევე იაპონიაშიც. იაპონიაში არსებობს ასეთი გამოთქმა: „ოშიდორი-ფუფუ“ (おしどろりふふ), რაც სწორედ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს ნიშნავს.

---

<sup>45</sup> კოიძუმი იაკუმო - Patrick Lafcadio Hearn (1850-1904), ეროვნებით იაპონელი არ იყო, მაგრამ ბრწყინვალედ დაეუფლა იაპონურ ენას. ის 1890 წელს ჩავიდა იაპონიაში, სადაც ცოლად შეირთო კოიძუმი სეცუ სამურაის ოჯახიდან, გახდა იაპონიის მოქალაქე და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

საძიებო სიტყვები: ოშიდორი; აკანუმა; სონო; ოშო.

## იაპონურიდან თარგმნა მარიამ ჩალაბაშვილმა

### „ოშიდორი“

მეცუს პროვინციაში, ტამურანოგოში ცხოვრობდა ერთი მონადირე, სახელად სონჯო. ერთ დღესაც სანადიროდ წავიდა, მაგრამ რადგან ვერაფერი დაიჭირა, ხერცალიერი გაუყვა შინისაკენ მიმავალ გზას. მაგრამ გზად, აკანუმაში მოცურავე ოშიდორი დაინახა. მართალია არ სურდა მისი მოკვლა, მაგრამ შიოდა, ისარი დაუმიზნა, ფრინველთა წყვილიდან მამალ ოშიდორის მოხვდა, დედალი კი გაუჩინარდა.

სახლში დაბრუნებისას, ფრინველისგან კერძი მოამზადა.

იმ ღამით სონჯომ შემზარავი სიზმარი ნახა: ლამაზი ქალი მის ოთახში შესულიყო და სასთუმალთან გულამოსკვნილი ტიროდა.

ისე ძლიერ ტიროდა, რომ მისი ქვითინი გულს ნებისმიერს განუგმირავდა.

ქალმა დაიკვილა:

- რატომ, რატომ მომიკალი ქმარი? რა დანაშაული ჩაიდინა რომ სასიკვდილოდ გაემეტებინათ? ჩვენ ხომ ბედნიერად ვცხოვრობდით აკანუმაში და შენ ის მომიკალი. რა დაგიშავა? ხვდები კი ეს რა საშინელება გააკეთე? შენ მეც მომიკალი. რადგან ქმარი აღარ მყავს, სიცოცხლის სურვილიც აღარ მაქვს. ამის სათქმელად მოვედი შენთან.

ეს თქვა და ხმამალა აქვითინდა. ისე გულისშემძვრელად ტიროდა, რომ სონჯოს ძვალ - რბილში დაუარა.

ქალმა ტირილით წაიმღერა:

ჰიგურერება

სასოჰიში მონო ო  
აკანუმა ნო  
მაკომო გა კურე ნო  
ჰიტორი ნემოკი.<sup>46</sup>

ტირილით წამღერების შემდეგ, განმარტა:

- აჰ, შენ არ იცი... არ იცი, რა გააკეთე. მაგრამ ხვალ, როცა აკანუმაში წახვალ, გაიგებ.

დამწუხრებულმა თქვა ეს სიტყვები და ტირილით გაეცალა.

როცა გათენდა და სონჯომ თვალი გაახილა, სიზმარი ისე ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი გულში, რომ ძლიერ დამწუხრდა. „თუკი აკანუმაში წავალ გავიგებ, მივხვდები“, ეს თქვა და გადაწყვიტა დაუყონებლივ წასვლა, რომ გაეგო სიზმარი სიცრუე იყო თუ რეალობა.

როცა აკუნუმაში მივიდა და ნაპირს მიაღწია, დაინახა ეულად მცურავი ოშიდორი. ფრინველმაც შენიშნა სონჯო, მაგრამ გაქცევის ნაცვლად მასთან მიცურა და უეცრად მონადირის წინ ნისკარტით თავი განიგმირა.

სონჯომ თავი გადაიპარსა და ბერად აღიკვეცა.

### „დამარბული საიდუმლო“

ძველად ტამბას პროვინციაში ცხოვრობდა მდიდარი ვაჭარი გენსუკე ტამურაია, რომელსაც ჰყავდა ქალიშვილი სონო. სონო გონიერებასთან ერთად სილამაზითაც იყო დაჯილდოვებული, ამიტომაც მამამისი ფიქრობდა, რომ მხოლოდ მასწავლებლის პროფესია მისთვის საკმარისი არ იყო და მეტის შესაძლებლობა გააჩნდა, ამიტომაც კიოტოში დახვეწილი ტრადიციული საშემსრულებლო ხელოვნების შესასწავლად გააგზავნა, რომელსაც ქალაქში მაცხოვრებელი გოგონები სწავლობდნენ. განათლების მიღების შემდეგ სონო დააქორწინეს გენსუკეს ნაცნობის ვაჭარ შვილზე, რომელთან ერთადაც ოთხი წლის მანძილზე ბედნიერად ცხოვრობდა. მათ ვაჟიც შეეძინათ, მაგრამ ქორწინებიდან ოთხი წლის თავზე სონო ავად გახდა და გარდაიცვალა.

<sup>46</sup> „შებინდებისას გეპატოიები აკანუმაში, მარტომ რომ დავიძინო“.



დაკრძალვის ღამეს, სონოს პატარა ვაჟმა თქვა, რომ დედა დაბრუნდა, ის მეორე სართულზე იყო, ბიჭს გაუღიმა კიდეც, მაგრამ მისთვის არაფერი უთქვამს და ნახვისთანავე შეშინებული გამოიქცა. როდესაც ოჯახის წევრები შევიდნენ სონოს ოთახში, დაინახეს იჰანის<sup>47</sup> წინ პატარა სინათლეზე სილუეტი, რომელიც მართლაც და სონოს ჰგავდა. სონო სწორედ იმ სათავსოს წინ იდგა სადაც მისი ტანისსამოსი და ორნამენტები ეწყო. ქალს მხოლოდ თავი და მხრები მოუჩანდა, ტანის დანარჩენი ნაწილი კი ქრებოდა, მისი სილუეტი ისე მოჩანდა, როგორც წყალში არსებული ანარეკლი. მოჩვენების დანახვაზე ყველა შეშინებული გამოცვივდა და როცა ყველა ერთად ქვედა სართულზე შეიკრიბა, სონოს დედამთილმა თქვა: „ქალებს უყვართ საკუთარი ნივთები და სონოც თავის ნივთებზეა მიჯაჭვული, ალბათ ამიტომაც დაბრუნდა. უამრავ გარდაცვლილ ადამიანს ემართება ასე, სანამ ტაძარში არ განადგურდება მათი ნივთები. სავარაუდოდ, სონოს სულიც მაშინ განისვენებს მშვიდად, როდესაც მის კიმონსა და ოზის ტაძარში შესაწირად მივიტანთ“. მართლაც მიიტანეს სონოს ნივთები ტაძარში, მაგრამ სული კვლავ დაბრუნდა იმ ღამეს და შემდგომ ღამეებსაც კვლავ ბრუნდებოდა. სახლში კი შიმშა დაისადგურა.

რადგან გამოსავალი არ ჩანდა სონოს დედამთილი ტაძარში წავიდა ბერისთვის რჩევის საკითხავად. ეს ტაძარი ძენის ტაძარი იყო, ტაძრის წინამძღოლი კი განსწავლული ბერი, სახელად დაიგენ ოშო. ოშომ ქალს უთხრა: „სათავსოში ანდაც მასთან ახლოს რაღაც ისეთი უნდა იყოს, რაც სულ აღელვებს“. მოხუცმა ქალმა კი მიუგო: “ჩვენ დავაცარიელეთ სათავსო და შიგ არაფერი აღარ დარჩა.” მაშინ ოშომ უთხრა: „ამ ღამით მოვალ, ვუყარაულებ და გავიგებ რა უნდა იყოს მიზეზი“.

მზის ჩასვლისას როდესაც ოშო სახლში მივიდა, მისთვის ოთახი უკვე მომზადებული ჰქონდათ. ბერი იქ მარტო დაჯდა და დაიწყო სუტრების<sup>48</sup> კითხვა, მაგრამ არაფერი გამოჩენილა მანამ,

---

<sup>47</sup> ბუდისტური მიცვალებულთა სარიტუალო დაფა, სადაც იწერება გარდაცვლილის სახელი.

<sup>48</sup> ბუდისტური წმინდა წერილები

სანამ ვირთხის საათი<sup>49</sup> არ დადგა, სონო სათავსოს წინ დადგა, ემჩნეოდა რომ რაღაც ალელვებდა და სათავსოს მისჩერებოდა. ბერმა წაიკითხა ის სუტრა, რომელიც ასეთი შემთხვევებისთვის იყო განკუთვნილი, სილუეტისკენ მიბრუნდა და უთხრა: „მე აქ იმისთვის ვარ, რომ დაგეხმარო. ალბათ ისეთი რაღაც უნდა იყოს ამ სათავსოში, რაც შენ გამწუხრებს და მე დაგეხმარები.“ სილუეტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ოშო წამოდგა, გამოალო პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე უჯრაც რომლებიც ხელით კარგად გასინჯა, მაგრამ მაინც ვერაფერი იპოვა. სილუეტი კი უცვლელად დანადგლიენებული მიშტერებოდა. „ნეტავ, რა სურს რომ გავაკეთო?“ - ბერმა გაიფიქრა. უცებ აზრმა გაუელვა, რომ იქნებ უჯრებში ჩაკრული ქაღალდის ქვეშ იქნებოდა რაიმე და პირველ უჯრას აახია, მაინც არაფერი დახვდა. მეორე და მესამე უჯრის ქვეშაც არაფერი დახვდა. ბოლო უჯრას როცესაც ააძრო ქაღალდი, თვალი მოკრა რაღაცას. ეს წერილი იყო. ოშომ ჰკითხა ქალს: „ეს ისაა, რაც გადელვებდა?“ ქალის სილუეტი მიბრუნდა ბერისკენ და წერილს დააჩერდა. ბერმა ჰკითხა: „წერილი დავწვა?“ ქალმა თავი დაუქნია. ოშომ პირობა დადო: „ამდელითვე დავწვაგ წერილს და ჩემ გარდა მას ვერავინ წაიკითხავს“. სილუეტმა გაიღიმა და გაუჩინარდა.

როდესაც ბერი დაბლა ჩამოვიდა, უკვე თენდებოდა. ოჯახის წევრები კი ალელვებული იცდიდნენ. ბერმა მათ მიმართა: „ნუ ღელავთ, სული მეორედ აღარ გამოჩნდება“. მართლაც, სონოს სილუეტი აღარ გამოჩენილა.

წერილი დაიწვა. ის სასიყვარულო წერილი იყო, რომელიც სონომ კიოტოში სწავლისას მიიღო. შიგნით კი რაც ეწერა, ბერის გარდა არავინ იცოდა. საიდუმლო ოშოსთან ერთად დაიმარხა.

### წყარო:

1. 小泉八雲 田部隆次訳 おしどり OSHIDORI
2. 小泉八雲 戸川明三訳 葬られたる秘密 A BURIED SECRET

---

<sup>49</sup> 23:00-01:00 ან 00:00 - 02:00

**Koizumi Yakumo (1850-1904) - „Oshidori“; „Buried secret“**

**Mariam Chalabashvili**

Master of Arts in History,  
major in History of Far East,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Department of Far East Modern and Contemporary History,  
Japanology.  
Tbilisi, Georgia.

**Abstract.**

Yōkai (class of supernatural monsters, spirits or demons ) plays an important role in Japanese folklore, such as Oshidori and Buried secret. Many of them are written by Koizumi Yakumo.

Oshidori is a mandarin duck (one of the species of ducks). It's also called the *Far East rainbow*. In China and Japan Oshidori is considered a symbol of eternal love for married couples. In Japan there is a saying of oshidori-fūfū, which means loving couple.

**Keywords:** Oshidori; Akanuma; Sono; Osho.

**Translated from Japanese by Mariam Chalabashvili**

თარგმანი  
TRANSLATION

---

---

საბაჰათინ ალი (1907-1948) – „მერცხალი“

ნატო ხარშილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი.

**აბსტრაქტი.**

მე-20 საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალი საბაჰათინ ალი 1907 წელს თურქეთში დაიბადა. მამა, რომელიც ადრე გარდაეცვალა, ოფიცერი იყო. ოჯახს საცხოვრებელის შეცვლა ხშირად უწევდა. მწერალმა კარგი განათლება ჯერ სტამბოლში მიიღო. იქ დაამთავრა პედაგიური სასწავლებელი და ქალაქ ოზგატში მასწავლებლად დაიწყო მოღვაწეობა.

1928-1930 წლებში საბაჰათინ ალი ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც ნაცისტ სტუდენტთან ეროვნულ ნიადაგზე ჩხუბი მოუხდა. მწერალი იძულებული გახდა დაეტოვებინა უნივერსიტეტი და სამშობლოს დაბრუნებოდა. ქალაქ აიდინში, კონიასა და ანკარის სკოლებში გერმენულ ენას ასწავლიდა. არაერთხელ იყო გასამართლებული თურქეთის მთავრობის მიმართ კრიტიკული აზრის გამოხატვისთვის.

1948 წელს სამშობლოს დატოვება და ევროპაში გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ ახლო მეგობარმა პოლიციაში დაასმინა. მწერალი თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე დააკავეს. ერთ-ერთი ვერსიით, იქვე დახვრიტეს, მეორე ვერსიით კი პოლიციაში დაკითხვისას მოკლეს.

**საკვანძო სიტყვები:** მერცხალი; განცდა; ქალი; მზერა.

## თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

### „მერცხალი“

ქალაქის სანაპიროზე ბებერი ტირიფის ხე იდგა. ტოტები იქვე, პატარა რუში ჩაეკიდა. გაზაფხულის ერთ დღეს რუსთან ბარტყებითურთ დედა მერცხალი მოფრინდა და იქ დაიდო ბინა. ტირიფის ტოტებს შორის პატარა, გამჭვირვალე ფრთებით ელვასავით დაფრინავდა, გამალეზული იჭერდა მწერებს და შვილებს კვებავდა. ზოგჯერ მოწყვეტით დაემშვებოდა რუსკენ, მისი თეთრი მკერდი წყალს ეხებოდა და უსველებდა.

ერთ დღეს ღრმად ჩაფიქრებული დედა მერცხალი ტირიფის ტოტზე ჩამომჯდარიყო. უეცრად, ფოთლების შრიალში მამალი მერცხალი მოფრინდა და მოპირდაპირე ტოტზე ჩამოჯდა. გაცნობის გარეშე გააბეს საუბარი. როგორც ახალგაცნობილებს ჩვევიათ ხოლმე, ამინდს განიხილავდნენ.

ნელ-ნელა მამალი მერცხალი გათამამდა და ორი ტოტით წინ გადმოფრინდა. დედა მერცხალმა დაიმორცხვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საუბრის გაგრძელებაში.

გაზაფხულზე მერცხლებს იმდენი საქმე აქვთ, სად სვალაით ასე დასაჯდომად და სალაყბოდ? მაგრამ ისინი განსხვავებული მერცხლები იყვნენ.

„საერთოდ არ მუშაობთ?“ - ჰკითხა დედალმა.

სხვა მერცხალი რომ ყოფილიყო „შენ რას ჩამომჯდარხარ აქო“ - კითხვას დაუბრუნებდა, მაგრამ ჩვენმა ღრმად ამოიოხრა, მზერა ჩხრიალა ნაკადულზე გადაიტანა და გაჩუმდა. ქალმა თავი დაუქნია, თითქოს უსიტყვოდ ესმოდა მისი. ცოტა ხანს ასე იყვნენ. სიჩუმე მამალმა მერცხალმა დაარღვია და ქვემოთ გამალეებით რომ დაფრინავდნენ, იმ მერცხლებზე მიუთითა:

„-ერთი ამათ უყურეთ, დილიდან საღამომდე თავგამეტებით შრომობენ. ასე რატომ იქცევით-მეთქი ვკითხე, მაგრამ პასუხი არ გამცეს, შეიფრთხიალეს და გამშორდნენ“.

„-ერთმანეთს შენობით რომ მივმართოთ, რა იქნება ვითომ?“ -მოულოდნელად ჰკითხა ქალმა. კაცი არ ელოდა ასეთ კითხვას, მაგრამ გულის კუნჭულში ესიამოვნა კიდეც.

„- სიმართლე გითხრა, მერიდება. ჩვენ ხომ ყველასგან გამორჩეული, სანიმუშო ფრინველები ვართ. ყველაზე სწრაფ მტრედებზე შორს დავფრინავთ. ხმამაღლა, ტყუილად მომღერალ ბულბულზე მეტი ტვინი გვაქვს, ბოლოს და ბოლოს. იმდენს ვშრომობთ, თითქოს ყველაზე საწყლები და ღარიბები ვიყოთ. ჩერჩეტი ბელურაც კი ტკბება თავისი სამი დღის ცხოვრებით. ჩვენ კი იმ ხეებსაც ვერ ვამჩნევთ, რომლებს შორისაც დავფრინავთ. ცოტა ხანს გაჩუმდა და თვალი ქალისკენ გააპარა.

„- ხვალ რომ დავიხოცოთ და იქ ვინმემ გვკითხოს, დედამიწაზე კარგი რა ნახეთო, პასუხსაც ვერ გავცემთ. ამ გაუთავებელ სირბილში დრო არ გვაქვს, ზემოდან რამე დავინახოთ და დავტკბეთ“.

ქალმა თვალელები მილულა. „აჰ,-თქვა მან, - შენც ისე ფიქრობ, როგორც მე“.

„-აქ რომ დავინახე, მივხვდი, ჩემი თანამოაზრე იქნებოდი, ამიტომ მოვედი შენთან. განა ასე არ არის? სამყაროს სათანადოდ აღქმის გარეშე, რა არის ცხოვრება? თუ იმას ვერ ვხვდებით, რომ ცოცხლები ვართ, მაშ რისთვის ვცხოვრობთ?“

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა:

„-მეც შენსავით, ჩვენ ირგვლივ მფრინავი მერცხლების გარდა, სხვას ვერაფერს ვხედავ. ზოგჯერ, თავს ვეკითხები, მათნაირი ვარ, ნეტავ? მე მგონი, არა. მათ მე არ ვუნდივარ და რა გავაკეთო? ვზივარ ჩემთვის მარტო და ვიყურები. თქვენ კი არა და, შენ რომ არ მოსულიყავი, მარტოს მომიწევდა ზაფხულის გატარება“.

საღამოსკენ საუბარი უფრო გაღრმავდა. დაღამებულზე დაშორდნენ. მას შემდეგ ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ღმერთო ჩემო, რაზე აღარ ლაპარაკობდნენ. მერცხლებისთვის წერა რომ ჩვეული ამბავი ყოფილიყო, რას დაწერდნენ, ნეტავ? წიგნებს, რა თქმა უნდა, რომლებსაც შემდეგ, ალბათ, უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ.

მერცხლები ძალიან შეეჩვივნენ ერთმანეთს. მეტწილად ქალი მოდიოდა პირველი. წყალს მიაშტერდებოდა და ელოდა. ყვავილებზე, ვარსკვლავებზე და მერცხლებზე საუბრობდნენ. მათი აზრები მუდამ ემთხვეოდა ერთმანეთს. თუმცა ორივეს გულში ფარული შიში ჰქონდა, მოულოდნელი განშორების შიში. ვერცერთი ბედავდა გამხელას. მაგრამ ეს დღე შორს რომ არ იყო, ორივე ხვდებოდა და სათქმელად ემზადებოდა.

„იქნებ არ დავშორდეთ? საერთო ბუდე ხომ არ მოვიწყობთ და ერთად დავრჩეთ?“ - ასე ფიქრობდნენ, მაგრამ არ უნდოდათ ამ ბანალური სიტყვებით სხვა მერცხლებს დამსგავსებოდნენ.

ხანმოკლე სიცოცხლეზე, ცის უსასრულობაზე, სხვა ფრინველების ცხოვრებასა თუ წყალზე საუბრისას მერცხლები მონატრებით უყურებდნენ ერთმანეთს. გულითადი საუბარის დაწყების სურვილი სტანჯავდა ორივეს.

ხვდებოდნენ, შემთხვევითობის წყალობა არ იყო მათი შეხვედრა. ისინი საუბრობდნენ იმ ენაზე, რომელზეც სხვა მერცხლები, ამ ენით კი მათი განცდების გადმოცემა შეუძლებელი იყო. მათ თვალებსა და მზერას ნელ-ნელა შეეპარა სევდა. მეგობრობაზე საუბრისას ხმა უკანკალებდათ. ზოგჯერ უმიზეზოდ ატეხდნენ სიცილს. ორივე ხვდებოდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, გულახდილად უნდა ელაპარაკათ...

გამთენიისკენ შეხვდნენ ერთმანეთს. ქალს უნდოდა თვალებით გადმოეცა სათქმელი. უეცრად ქარმა დაჰბერა. ტირიფის ხიდან ყვითელი ფოთოლი ჩამოვარდა, მათ შორის ჩაიფრიალა და მამალ მერცხალს ქალის მნიშვნელოვანი მზერა მოჰპარა. კაცმა პირი დაალო: „არ მინდა დავშორდე“ - თქვა, მაგრამ ქარის ღრიალმა მისი ხმა ჩაყლაპა. ქალმა ვერ გაიგო კაცის ნათქვამი თუმცა ქარის ცივი ხმა ორივეს ესმოდა. თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს...

გვიანი შემოდგომა დამდგარიყო. იცოდნენ, ამ დროს ბუდეს ვეღარ ააშენებდნენ. განშორების დრო დადგა. ორივემ ღრმად ამოიოხრა. სხვა მერცხლებმა ცხვირწინ ჩამოუქროლეს, თბილ ქვეყნებში მიფრინავდნენ...

დაშორდნენ... მას შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ მაგრამ, სულ ახსოვდათ პატარა ნაკადულთან მდგარი ტირიფი,

იქ გატარებული ლამაზი გაზაფხული და ზაფხული. ზემოდან უყურებდნენ სხვა მერცხლებს, რომლებსაც ასეთი ლამაზი დღეები არ ღირსებიათ...

უმრავლესობას ხშირად ქედმაღლურად უმზერენ მცირენი, რატომღაც... 1933 წელი.

**წყარო:** Sabahattin Ali, Butun Oykuleri I. Degirmen, Kagni, Ses. 25T. s.,44-49.



## **Sabahatin Ali (1907-1948) – „Swallow“**

**Nato Kharshiladze**

Tbilisi Ivane Javakhishvili State University  
Georgia, Tbilisi

### **Abstract.**

Sabahattin Ali was born in Eğridere in 1907. His father was an Ottoman officer. He became a teacher in 1926 and , after a stay in Germany, taught German in Turkey. He started writing poetry and then short stories. While working as a teacher in Konya, he was arrested for criticising Atatürk’s policies and libelling two journalists and spent several months in prison.

He was released in 1933 and was eventually given a job in the publications division of the Ministry of National Education. He served in the army during World War II and was again imprisoned and then released in 1944. He applied for a passport but was denied. He was killed at the Bulgarian border in April 1948, possibly by a smuggler who had been paid to help him pass the border and who turned out to be an agent of the National Security Service. He wrote poetry, stories and novels.


**Keywords:** swallow; feeling; woman; look.

**Translated from Turkish by Nato Karshiladze**

## რეცენზია REVIEW

---

რეცენზია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი სანიკიძის მონოგრაფიაზე - „ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები“ განსხვავებული რეალიები, განსხვავებული შესაძლებლობები, გამომცემლობა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2022.



ქართულ ისტორიოგრაფიაში, ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული რეალიები და შესაძლებლობები, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი, კომპლექსურად და სისტემატურად პირველად შესწავლილი, გაანალიზებული და წარმოდგენილი.

მონოგრაფია შედგება შესავალის, შვიდი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმე და ბიბლიოგრაფია.

თითოეულ თავში მოკლედაა განხილული ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები და გამოკვეთილია ისტორიის აღქმასთან დაკავშირებული პრობლემები; ყურადღებაა გამახვილებული პოლიტიკური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტზე; ირანის პოზიციაზე სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მიმართ; რეგიონში გარე აქტორების როლის აღქმაზე ირანის მხრიდან; ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაზე; ირანისთვის დაწესებული სანქციების გავლენაზე რეგიონის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობებში; ირანულ დიასპორაზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და სამხრეთ კავკასიის ხალხებისა - ირანში; სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო - სავაჭრო მნიშვნელობაზე ირანისთვის; კასპიის ზღვის დემარკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ნავთობ/გაზსადენისათვის ბრძოლაში ირანის ფაქტობრივი მარცხის განმაპირობებელ ფაქტორე-

ბზე; გამოკვეთილია ის განსხვავებული რეალობები და შესაძლებლობები, რაც არსებობს ირანისთვის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებში და რაც აიძულებს ირანს აწარმოოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი განსხვავებული პოლიტიკა.

გიორგი სანიკიძის მონოგრაფია მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსების, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, მკვლევრებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

### **პროფესორი ემზარ მაკარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

**Review on the monograph „Iran and the countries of the South Caucasus“ in different realities, different opportunities, Publishing house of Ilia Chavchavadze State University, Tbilisi, 2022.**

Georgian historiography comprehensively and systematically studied, analyzed and presented the various realities and opportunities of Iran and the countries of the South Caucasus, as well as various aspects of political, economic and cultural life.

The monograph consists of an introduction, seven chapters and a conclusion; there are also attached an annotation and a bibliography in English.

The chapters briefly deal with the historical relations between Iran and the countries of the South Caucasus; explore the problems associated with the perception of history; focuses on various aspects of political relations: Iran's position in conflicts in the South Caucasus; Iran's perception of the role of external actors in the region; dynamics of economic relations; the impact of the sanctions imposed against Iran on Iran's relations with the countries of the region; the Iranian diaspora in the countries of the South Caucasus and the one among the peoples of the South Caucasus - in Iran; transit and trade significance of the South Caucasus for Iran; problems related to the demarcation of

the Caspian Sea; factors that led to the actual defeat of Iran in the struggle for the oil / gas pipeline. There are also highlighted the various realities and opportunities that Iran has at its disposal in its relations with the countries of the region and which force Iran to pursue a different policy towards the countries of the South Caucasus.

The monograph by Giorgi Sanikidze is performed at a high academic level and is of great interest to historians and students of the Faculty of Oriental Studies, as well as readers, researchers and the general public interested in this problem.

**Professor Emzar Makaradze**

Batumi Shota Rustaveli State University

Department of Oriental Studies